



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ინდირა წივწივაძე

სამართლის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

დიდი ოჯახის წევრთა სტატუსი და საოჯახო-საქორწინო

უფლებები

ძველი ქართული სამართლის მიხედვით

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გივი
ლობჯანიძე

თბილისი

საავტორო უფლება © 2024 „ინდირა წივწივაძე“

განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო ნაშრომის სტანდარტის შესაბამისად.

ინდირა წივწივაძე

თარიღი: 01.04.24

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი ეხება დიდი ოჯახის წევრთა სტატუსის განსაზღვრას და საოჯახო-საქორწინო უფლებებს ძველი ქართული სამართლის მიხედვით. ნაშრომში განხილულია ოჯახის ისტორიულად განვითარების ფორმები. საქართველოს ისტორიაში „დიდ ოჯახს“ ისეთივე ღირსეული ადგილი ეკავა, როგორც ყველა პატრიარქალურ კულტურაში. ოჯახმა თავისი განვითარების გზაზე სამი ურთულესი საფეხური გამოიარა: გვაროვნული, დიდი პატრიარქალური და ინდივიდუალური. პირველყოფილი მეურნეობის წარმოშობამ და ნათესაურმა კავშირმა ჩამოაყალიბა გვარი და საგვარეულო თემი, რომლის პირველი საფეხური მატრიარქატი იყო, სადაც ქალი იყო წამყვანი ოჯახსა და მეურნეობაში, რომელიც აძლევდა შვილებს გვარსა და მემკვიდრეობას, თანდათან ეს წესი შეიცვალა, მატრიარქატი დიდმა პატრიარქალურმა ოჯახმა შეცვალა. მამაკაცი გახდა საგვარეულო თემის მეთაური. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში საქართველოში, ისევე, როგორც კავკასიის მთიან რეგიონებში, შეიმჩნევა ორი ტიპის: ინდივიდუალური ანუ პატარა ოჯახის და პატრიარქალური, იგივე დიდი ოჯახის თანაარსებობა.

ნაშრომში აღწერილია დიდი ოჯახის სტრუქტურა, რომელიც აგებული იყო ოჯახის თაობათა შემადგენლობაზე. საყურადღებო იყო ოჯახის წევრთა ასაკი და სქესი. მნიშვნელობა ენიჭებოდა ოჯახის შრომისუნარიან და არაშრომისუნარიან წევრთა რიცხვს. ოჯახის წევრებს აერთიანებდათ საერთო სამეურნეო და საოჯახო საკუთრება, რაზეც მათ გააჩნდათ თანაბარი უფლება-მოვალეობები. საოჯახო თემი მიზნად ისახავდა საკუთრების გაზრდასა და ოჯახის ეკონომიურ გაძლიერებას. ოჯახის წევრთა უფლებები რეგულირდებოდა ჩვეულებითი სამართლის ნორმებით. დიდი ოჯახის უფროსად ირჩევდნენ ოჯახის უხუცეს მამაკაცს, რომელიც მართავდა და უძღვებოდა საოჯახო საქმეებს. დიდი ოჯახი სამი ტიპის იყო: სამძო, საბიძაშვილო და სამამო. საქართველოში ადრეფეოდალური ხანიდან ასეთი ოჯახები განაპირობა ოჯახის სამეურნეო საჭიროებამ. დიდი ოჯახის სიძლიერე მის მრავალწევრიანობასა და წევრთა შრომისუნარიანობაზე იყო დაფუძნებული. მიუხედავად ოჯახის უფროსის შეუზღუდავი ძალაუფლებისა, იგი არ წარმოადგენდა საოჯახო თემის ერთპიროვნულ მმართველს, ის ითვალისწინებდა ოჯახის წევრთა საერთო ინტერესს და მნიშვნელოვან საოჯახო საკითხებზე გადაწყვეტილებას მათთან შეთანხმების შემდეგ იღებდა. საქართველოს ცალკეულ რეგიონებში იყო გამონაკლისი შემთხვევა, როცა უხუცეს ქალს ირჩევდნენ ოჯახის უფროსად. ქართულ სამართლის ძეგლებში: ძეგლისდებასა და აღბუღას კანონებში იკვეთება ოჯახის მამის განუსაზღვრელი უფლებები, თუმცა უფრო რბილია, ვიდრე რომაელების ოჯახის მამისა. უფროსი ქალი იყო

მეორე პირი ოჯახის დიასახლისის რანგში, რომელსაც ევალებოდა საქალებო საქმეების გაძღოლა. ქალის ეს ფუნქცია დამახასიათებელია ასევე ცენტრალური კავკასიის ხალხთა ყოფაშიც.

ნაშრომში ვრცლად არის საუბარი ქორწინებისა და განქორწინების ჩვეულებაზე საქართველოში, რომელზეც სხვადასხვა დროის ცნობები მოგვეპოვება, ამიტომ ისინი შეკრებილია ძველი ქართული სამართლის, ეთნოგრაფიული მასალებიდან, მეცნიერთა შრომებიდან და ძველი ქართული ძეგლებიდან. კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში ქორწინებას წინ უსწრებდა წინასასაქორწინო მოქმედებები, ისინი იწყებოდა ნიშნობისწინა ურთიერთობით და ნიშნობით, რაც საბოლოოდ ქორწინებით სრულდებოდა, მცირეწლოვანსაც ნიშნავდნენ აკვანში. ამ გარიგებაში აქტიურობდნენ მშობლები, შუამავალი, მაჰანკალი და სხვა. დასაქორწინებელ პირთა ნებას ქორწინებაზე იშვიათად ექცეოდა ყურადღება. ვინც ნიშნობას უმიზეზოდ მოშლიდა, ფულადი ჯარიმა დაეკისრებოდა. ქორწინებას დამაბრკოლებელი გარემოებები არ უნდა ჰქონოდა. ამ ინსტიტუტმა დროთა განმავლობაში დასაქორწინებელ პირთა ინტერესები გაზარდა და მოექცა სამოქალაქო გარიგების სამართლებრივ ჩარჩოებში. ნაშრომში შედარებითი ანალიზისათვის განხილულია ასევე ნიშნობა ძველი რომის სამართლის მიხედვით.

განსაზღვრულია ადრეფეოდალურ და გვიანფეოდალურ საქართველოში ქალის სამართლებრივი სტატუსი, რომელსაც მეტად დაჩაგრული მდგომარეობა ეკავა მამაკაცთან შედარებით. საოჯახო-ზნეობრივი ნორმების დარღვევისათვის ქალს ლინჩის წესით უსწორდებოდა: „კვეთილში სვამდნენ“, „სამარცხვინო ბოძზე“ აკრავდნენ, „ნაწნავს აჭრიდნენ“, ცხვირს აჭრიდნენ და ა.შ. ხოლო მამაკაცის ღალატი ცოლის მიმართ არ განიხილება განქორწინების მიზეზად. შუა საუკუნეებში ქალის ინიციატივით ოჯახის დანგრევა შეუძლებელია, განსხვავებით რომაელების წესისგან. იკვეთება ამავე პერიოდში ცოლის „უბრალოდ დაგდება“, რისთვისაც ქმარი მკაცრად არ ისჯებოდა. ოჯახის უფროსი მამაკაცი ყოველთვის ცდილობდა გვარის ინტერესების დაცვას და მემკვიდრის შენარჩუნებას, ქალის უმიზეზოდ გაშვება ოჯახის ინტერესში არ შედიოდა, რადგან განქორწინებისას მას მიაქვს თავისი „მზითევი“ უკან, რომელიც ოჯახის საერთო მეურნეობის მნიშვნელოვანი წილია.

განალიზებულია ქალის პირადი საკუთრება დიდ ოჯახში - „მზითევი“ და „სათავნო“, რომელიც ქალის გათხოვების დროს იყო მშობლებისგან ნაჩუქარი მოძრავი ქონება, მას ოჯახის სხვა სრულწლოვანი წევრი საკუთარი შეხედულებისამებრ ვერ გამოიყენებდა. საზოგადოების მაღალ ფენაში ქალი მემკვიდრეობით უძრავი ქონების სახით მიწასაც იმკვიდრებდა, ხოლო დიდ ოჯახში, სადაც ერთად ცხოვრობდა ძმების და ბიძაშვილების რამდენიმე თაობა, გამორიცხული იყო, მზითვის გარდა ქალისთვის სხვა უძრავი ქონება მიეცათ. საქართველოს ისტორიული არქივიდან შეკრებილია

„მზითევის“ უძველესი ნუსხები ხელნაწერების სახით, რომელიც ორ პირად დგებოდა, ერთს ქალს ატანდნენ ქმრის ოჯახში, მეორეს კი მშობლები იტოვებდნენ. სათავნო მომგებიანი სარგებლიანი ქონება იყო, რომელიც შედგებოდა თავნისა და ნამატისგან, ამიტომ ქალს მასზე მეტი უფლებები გააჩნდა, ვიდრე მზითევეზე. დიდ ოჯახში ერთროულად დამახასიათებელი იყო როგორც „მზითევი“, ისე „სათავნო“. ინდივიდუალური ოჯახების ჩამოყალიბებით კი მოხდა მათი შერწყმა და „სათავნო“ „მზითევის“ შემადგენლობას შეუერთდა.

ასევე განხილულია საქართველოს ცალკეულ კუთხეებში ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების წესები. კვლევამ გვიჩვენა, რომ გაყრა და ქონების განაწილება ოჯახისათვის მნიშვნელოვანი საკითხი იყო, გაყრის საფუძველი ყველგან მსგავსი მიზეზით ხდებოდა, როგორც დაბალ, ისე მაღალ სოციალურ წრეში. გაყრის დროს მამის აზრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როცა დავა ოჯახში ქონების გაყოფაზე დადგებოდა, გარეშე პირების ჩარევა აუცილებლობას წარმოადგენდა, რაშიც მედიატორები ერთვებოდნენ, აღნიშნულზე იწერებოდა გაყრის დოკუმენტები.

ნაშრომის კვლევის დასასრულს მოცემულია ის დასკვნითი დებულებები, რომლებიც საკითხის შესწავლის შედეგად დამუშავდა ავტორის მიერ და გამოყენებული ლიტერატურის სია.

Annotation

The dissertation concerns the determination of the status of the members of a large family and the family-marital rights according to the old Georgian law. In the work, the forms of the historical development of the family are, discussed. In the history of Georgia, the "big family" occupied the same worthy place as in all patriarchal cultures. The family, on the way to its development, went through three most difficult stages: clan, great patriarchal, and individual. The origin of the primitive farm and kinship formed the clan and clan community, the first step of which was a matriarchy, where the woman was the leader of the family and farm. Which gave their children a family name and inheritance, gradually this rule changed, and matriarchy was, replaced by a large patriarchal family. A man became the head of the ancestral community. At the end of the 19th century and the beginning of the 20th century in Georgia, as well as in the mountainous regions of the Caucasus, two types can be, observed: the coexistence of an individual or small family and a patriarchal family of the same large family.

The work describes the structure of a large family, which was, built on the composition of family generations. The age and gender of the family members were noteworthy. The number of working and non-working members of the family was important. Family members were, united by the common agricultural and family property, on which they had equal rights and obligations. The family community was, aimed at increasing property and strengthening the family economically. The rights of family members were, regulated by customary law norms. The eldest man of the family was, appointed as the head of the big family, who managed and led the family affairs. There were three types of big families: brotherhoods, cousins, and fathers. Since pre-feudal times in Georgia, such families have been determined by the family's economic needs. The strength of the big family was based on its multi-membership and the members' ability to work. Despite the unlimited power of the head of the family, he did not represent the sole ruler of the family community, he took into account the common interest of the family members and made decisions on important family issues after agreeing with them. In certain regions of Georgia, there was an exceptional case when the oldest woman was elected as the head of the family. In the monuments of Georgian law: in the laws of Monuments and In Agbugha Laws, the undefined rights of the father of the family are outlined, although they are softer than those of the father of the Roman family. The elder woman was the second person in the position of the housewife of the family, who was in charge of managing women's affairs. This function of a woman is also characteristic of the people of the Central Caucasus.

In the work, there is extensive talk about the customary rules of marriage and divorce in Georgia. Where we will find references from different times, therefore they are collected from ancient Georgian law, ethnographic materials, works of scientists, and ancient Georgian monuments. The research showed us that

premarital activities preceded marriage in Georgia, it started with a pre-engagement relationship and betrothal, which finally ended in marriage, even a minor was, placed in a cradle. Active in this deal: parents, mediators, matchmakers, and others. The will of the persons to be married was rarely taken into consideration. Those who broke the engagement without any reason would be fined.

There should be no obstacles to marriage. Over time, this institution shared the interests of the parties to be married and was included in the legal framework of the civil contract. In the paper, for a comparative analysis, engagement according to ancient Roman law is also considered.

In early-feudal and late-feudal Georgia, the legal status of a woman, who was in a more oppressed position compared to a man, is defined. For violation of family and moral norms, a woman is, lynched: they put her in a "Ritual of carving», they hung them on a shameful pole, they cut the braid, cut the nose, etc. Moreover, a man's betrayal of his wife is not, considered a reason for divorce. In the Middle Ages, it is not possible to destroy a family by a woman's initiative, unlike the Roman rule. In the same period, the wife was "simply beaten", for which the husband was not severely punished. The head man of the family always tried to protect the interests of the family and keep the heir, it was not in the interest of the family to let the woman go for no reason because during the divorce she takes her "dowry" back, which is an important share of the family's common farm.

The personal property of a woman in a large family is analyzed: "dowry" and "bride's personally owned dowry", which was a movable property given to a woman by her parents at the time of her marriage, could not be used by another adult member of the family at his own discretion. In the upper class of society, a woman inherited land in the form of real estate, and in a large family where several generations of brothers and cousins lived together, it was impossible to give another real estate to a woman except for a dowry. The ancient lists of "dowry" have been collected from the historical archive of Georgia in the form of manuscripts, which were made in two copies, one of which was taken by the woman to her husband's family, and the other was kept by her parents. Bride's personally owned dowry was a beneficial property, which consisted of the bride's personally owned dowry, and from the increment, the woman had more rights to it than to the dowry. At one time, both "dowry" and "bride's personally owned dowry" were typical in a large family. With the formation of individual families, their merger took place, and "bride's personally owned dowry" was added to the "dowry" composition.

Also, the rules of family divorce and the distribution of family property in some parts of Georgia are discussed. The research showed us that divorce and distribution of property was an important issue for the family, the reason for the divorce was everywhere for a similar reason, both in low and high social circles. During the divorce, the father's opinion was of great importance. When there was a dispute over the division of property in the family, the intervention of outsiders

was a necessity, in which mediators were involved, and divorce documents were written on the above.

At the end of the research, the paper contains the final statements that were developed by the author as a result of the study of the issue and the list of used literature.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანოტაცია	ii
ს ა რ ჩ ე ვ ი	viii
შ ე ს ა ვ ა ლ ი	1
თავი პირველი.....	14
ოჯახის წარმოშობის ისტორია და მისი განვითარების ფორმები.....	14
1.1. ოჯახის ცნება.....	14
1.2. გვაროვნული ოჯახი	18
1.3. პატრიარქალური ოჯახი საქართველოში	22
1.4. ინდივიდუალური ოჯახი.....	27
მეორე თავი	31
დიდი ოჯახის წევრთა სტატუსი, მმართველობის ფორმა და სტრუქტურა .	31
2.1. დიდი ოჯახის უფროსის ინსტიტუტი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით	31
2.2. ოჯახის მამის უფლებები ქართული სამართლის ძეგლებში	44
2.3. დიდი ოჯახის უფროსი ქალი	47
2.4. დიდი ოჯახის დიასახლისი	51
მესამე თავი	58
ქორწინების და განქორწინების ჩვეულებები საქართველოში	58
3.1. ჩვეულების მნიშვნელობა	58
3.2. ქორწინება არსი და მნიშვნელობა რომაულ და ძველ ქართულ სამართალში	61
3.3. წინა საქორწინო მოქმედებები	66
საცოლის შემოწმება „გაჩხრეკა“	66
3.4. ნიშნობა რომაული და ძველი ქართული სამართლის მიხედვით	74
3.5. ქალის აკვანში ნიშნობა „დაწინდვა“	95
3.6. განქორწინება ძველი ქართული სამართლის მიხედვით	100
მეოთხე თავი	131
დიდ ოჯახში ქალის პირადი საკუთრება.....	131
4.1. „მზითევი“-ს რაობა და მნიშვნელობა.....	131
4.2. „მზითევი“-ს ბედი და მემკვიდრეობის საკითხი ძველ ქართულ სამართლის ძეგლებში	141
4.3. „სათავნო“.....	148
4.4. მზითვის წიგნები და ხელნაწერები	158
4.5. „მზითევი“ ძველ რომში	171
მეხუთე თავი	175
დიდი ოჯახის წევრთა ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში ოჯახის გაყრისას	175
5.1. ოჯახის გაყრის წესები	175
5.2. ოჯახის გაყრის მიზეზები	178
5.3. საოჯახო ქონების მოწილეები.....	182
5.4. ნაბიჭვართა (უკანონოდ შობილთა) წილი ოჯახის გაყრისას	191
5.5. ქვრივი ქალის წილი ოჯახის გაყრისას.....	194

5.6. მშობლების წილი ოჯახის გაყრისას	197
5.7. საოჯახო ქონების განაწილების წესი უცხო პირთა მონაწილეობით	202
დასკვნა	212
გამოყენებული ლიტერატურა:	223
დანართი.....	243

შესავალი

თემის აქტუალურობა

სადისერტაციო თემის სათაურია „დიდი ოჯახის წევრთა სტატუსი და საოჯახო-საქორწინო უფლებები ძველი ქართული სამართლის მიხედვით“, რომლის შერჩევის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭეთ თემის აქტუალურობასა და დისერტაბელურობას, რაც იმას ნიშნავს, რომ დასახელებულ ნაშრომს, ჩვენი აზრით, აუცილებლად ექნება სამეცნიერო და პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა.

დღემდე ქართულ სამართლებრივ სივრცეში თემის ძირითადი მიმართულებები ერთობლივად მონოგრაფიული კვლევის საგანი არ გამხდარა, ვხვდებით ცალკეულ საკითხებზე რამდენიმე ნაშრომს და სტატიას, რამაც განაპირობა ჩვენი არჩევანი.

კვლევის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვრეთ, თუ რა ტიპის კვლევა უნდა გვეწარმოებინა სადისერტაციო თემის ფარგლებში. ავირჩიეთ კვლევის ფუნდამენტური ტიპი, რითაც მივალწიეთ მეცნიერულ თეორიული კონცეფციის შემუშავებას. საფუძვლიანი კვლევები ჩატარდა ცალკეული ინსტიტუტების მიხედვით, რითაც ოჯახთან და ქორწინებასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო და ახალი მასალა მივიღეთ.

ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ სპეციალობა, რომელშიც დოქტორის აკადემიური ხარისხი უნდა მომენიჭოს, დარგთაშორისა ანუ ისტორიისა და სამართლის სფეროებია, ამიტომაც ჩვენი კვლევა სპეციფიკურია.

ქართული ჩვეულებითი სამართლისა და ძველი საკანონმდებლო ძეგლების გაცნობით შევისწავლეთ ოჯახის ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების ფორმები; დიდი ოჯახის წევრთა სტატუსი, მათი უფლებები და მოვალეობები; ძველი საქორწინო სამართლის

ცალკეული საკითხები; რამაც დაგვანახა ჩვენი ეროვნული კულტურა, სული და სამართლებრივ ინსტიტუტთა განვითარების გზა საქართველოში, რომელიც გამოიარა ჩვენმა ერმა. „ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამ არს და არა მიჰგავს სხვათა ქვეყნისა რიგთა და ჩვეულებათა“ - დაწერილია ქართული სამართლის ძეგლში ვახტანგ მეექვსის სამართალში.¹ როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა „ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის, იცოდეს, რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიურ და იურიდიულ ურთიერთობის შესახებ. ეს სფერო ცხოვრებისა, მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სამართალზედ, ერთურთს დამოკიდებულებაზე და სხვა“.² საველე-ეთნოგრაფიული მასალების შესწავლამ მოგვცა საშუალება, შეგვეფასებინა საქართველოს ცალკეულ კუთხეში ქართველი ხალხის საოჯახო ყოფაცხოვრება და საბოლოოდ გამოგვეტანა ლოგიკური დასკვნა საკვლევ საკითხზე.

კაცობრიობის ისტორიაში მეცნიერების მიერ ოჯახის ინსტიტუტის კვლევა ყოველთვის იყო საყურადღებო, როგორც დღეს, მაგრამ, ადათობრივი კანონის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევა და თემის სამართლებრივად შეჯერება, ვფიქრობთ, რომ საჭიროა მეცნიერული კვლევა-ძიების შემდგომი განვითარებისთვის და სასარგებლო და ღირებული იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რამეთუ საოჯახო სამართლის ისტორიის მემკვიდრეა თანამედროვე ქართული საოჯახო სამართალი, რომლის შესწავლა მიზანშეწონილია მისი ისტორიის ფესვებიდან დავიწყოთ, რათა ვიცოდეთ, რანი ვართ? და საიდან მოვდივართ? და როგორც

¹ ქანთარია ბ., სამართლის ისტორია, როგორც პრაქტიკული მეცნიერება და არგუმენტაციის თეორია, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო №8, თბილისი, 2017, 47.

² ჭავჭავაძე ი., ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ.IV, თბილისი, 1955, 192. (მითითებულია: ნიჟარაძე ბ., ისტორიულ ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, უნივერსიტეტი, 1962, 4.)

ფრანგი სოციოლოგი ემილ დიურკემი განმარტავს: „ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ თუ, როგორ მისდევდა ერთმანეთს მოვლენები დღევანდელიობამდე, მაგრამ არ შეგვიძლია იმის თქმა, მომავალში რა თანმიმდევრობით მიჰყვებიან ისინი ერთიმეორეს, რადგან მიზეზი, რაზედაც ისინი ითვლებიან დამოკიდებულად, მეცნიერულად არ არის განსაზღვრული და არც განსაზღვრებადია. მართალია, ჩვეულებრივ უშვებენ, რომ ევოლუცია გაგრძელდება იმავე მიმართულებით, რა გზითაც იგი მიდიოდა წარსულში, მაგრამ ეს მხოლოდ მარტივი ვარაუდია“.³ ვეთანხმებით სამართლის ფილოსოფოსს გ. ნანეიშვილს, რომ „ყოველ ეპოქას თავისი სამართალი აქვს“.⁴ რომელსაც სჭირდება შეფასება, განზომილებათა სისტემის ლეგიმეტრიის გამოყენებით. „თუ გადავხედავთ კაცობრიობის ისტორიას უხსოვარი დროიდან დღემდე, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამგვარი გაზომვები უწინაც ხდებოდა, დღესაც ხდება, და კიდევ უფრო ხშირი გახდება მომავალში, სხვა საკითხია - რამდენად მყარ და მეცნიერულ საფუძველზე“.⁵

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, ქართული სამართლის ძეგლების, ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის, ეთნოგრაფიული მასალებისა და მეცნიერთა შრომების ანალიზის საფუძველზე წარმოვაჩინოთ დიდი ოჯახის წევრთა სტატუსი და საოჯახო-საქორწინო ურთიერთობების უმთავრესი საკითხები, თუ როგორ მოქმედებდა ჩვეულებითი სამართალი საქართველოს ცალკეულ კუთხეში, ავხსნათ დიდი ოჯახის, ქორწინების და განქორწინების, დიდი ოჯახის გაყრის, მზითევის ინსტიტუტის განვითარების

³ დიურკემი ე., სოციოლოგიის მეთოდის წესები, თბილისი, იოანე პეტრიწი, 2001, 151.

⁴ ნანეიშვილი გ., იურიდიული სუბიექტი, ქართული სამართლის კლასიკა, წ. II, თბილისი, ზვიად კორმაძე, 2019, 60.

⁵ უგრეხელიძე მ., ლეგიმეტრიის შესავლისათვის (სამართალი განზომილებათა სისტემა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, II, თბილისი, მერიდიანი, 2015, 148.

კანონზომიერებანი. შევადართ ისინი ძველი რომისა და კავკასიის ზოგიერთ ხალხთა მსგავს ინსტიტუტებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში შემდეგი ამოცანებია რეალიზებული: 1. განსაზღვრულია ოჯახის წარმოშობის ისტორია და მისი განვითარების ფორმები; 2. დახასიათებულია დიდი ოჯახის წევრთა სამართლებრივი სტატუსი, მმართველობის ფორმა და სტრუქტურა; 3. შესწავლილია ქორწინებისა და განქორწინების ჩვეულებები საქართველოში; 4. დადგენილია ქალის პირადი საკუთრება დიდ ოჯახში; და 5. ჩამოყალიბებულია დიდი ოჯახის წევრთა ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა ოჯახის გაყრისას.

საკვლევი კითხვები

1. ოჯახის წარმოშობამ და მისმა განვითარებამ რა ისტორიული ფორმები გამოიარა?
2. როგორი იყო საქართველოსა და ცენტრალური კავკასიის ხალხთა ყოფაში პატრიარქალური ოჯახის მმართველობა და სტრუქტურა?
3. ადრეფეოდალურ და გვიანფეოდალურ ხანაში ქორწინებისა და განქორწინების რა სამართლებრივი და ჩვეულებითი წესები მოქმედებდა?
4. დიდი ოჯახის გაყრისას როგორ ნაწილდებოდა წევრთა შორის ქონება?

კვლევის საგანი და ობიექტი

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს დიდი ოჯახის წევრთა სტატუსისა და საოჯახო-საქორწინო უფლებების შესწავლა ძველი ქართული სამართლის მიხედვით, კვლევის ობიექტად კი განისაზღვრა XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში,

საქართველოს ცალკეულ კუთხეებში არსებული დიდი ოჯახები და საოჯახო-საქორწინო ინსტიტუტები.

კვლევისას გამოყენებული მეთოდები

ნაშრომში დასმულ საკითხებს მეთოდოლოგიურ საფუძვლად უდევს ისტორიულ-სამართლებრივი, ისტორიულ-შედარებითი, სტატისტიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები. ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებისას დაცული გვაქვს ისტორიზმის პრინციპი, თუ როდის წარმოიშვა ოჯახი და განვითარების რა ფორმები გაიარა, როგორ მოხდა მისი ევოლუცია დროში, რა სოციალური მიზეზების გამო აღმოცენდა დიდი ოჯახები. ისტორიული კვლევისას საჭირო გახდა ორი ზოგადი მეთოდის - ისტორიულისა და ლოგიკურის გამოყენება, შევხებით თვისებებსა და თავისებურებებს, რომლებმაც გავლენა იქონიეს მისი განვითარების ზოგად კანონზომიერებებზე, ხოლო ლოგიკურმა მეთოდმა საშუალება მოგვცა, კვლევის პროცესში გაჩენილი რეალური სურათიდან გაგვეკეთებინა საბოლოო დასკვნა. სოციალური კვლევის მეთოდები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებად. მათი საერთო მიზანია სოციალურ ფენომენტა გაგება და ახსნა, რისთვისაც განსხვავებული ტექნიკა გამოიყენება. თვისებრივი მეთოდი, რომელიც შეისწავლის სოციალურ ცხოვრებას, ხშირად გამოიყენება სოციალურ მეცნიერებებში, როგორცაა ეთნოგრაფია. „როგორც ჯ. სპრადლი აღნიშნავს, ეთნოგრაფია ნიშნავს [განსხვავებული] კულტურის აღწერას, და მისი ძირითადი მიზანია ცხოვრების განსხვავებული წესების გაგება ისე, როგორც ეს წესები თავად ამ კულტურის წარმომადგენლებს ესმით“.⁶ ჩვენი კვლევა, მართალია, ძირითადად შედარებით ფორმატში წარიმართა, მაგრამ

⁶ Spradley, J., The Ethnographic Interview. Holt Rinehart and Winston, New York. 1979, 3. (მითითებულია: ზურაბიშვილი თ., თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათ ცენტრი, 2006, 8.

დავამუშავეთ ამ მეთოდებით ეთნოგრაფიული მასალები არქივებში, შევისწავლეთ დაცული ხელნაწერები, როგორც არის „მზითევის“ წიგნები და ყველა ის საოჯახო და საქორწინო საკითხი, რაც კვლევის პროცესმა დაგვანახა, მოვიყვანეთ საარქივო ცნობები საკვლევ საკითხებზე. ვინაიდან კვლევისთვის მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკა, მოვიტანეთ მაგალითები ძველი სასამართლო განჩინებები ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების თაობაზე; რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით ხდება მოსახლეობის აღწერა და შედეგების განზოგადება, რომელიც ობიექტურ რეალობას ასახავს, ვიდრე თვისებრივი კვლევის მეთოდები. რაოდენობრივი კვლევისას მკვლევარმა წინასწარ იცის, თუ რას უნდა მოელოდეს კვლევისგან. ჩვენს შემთხვევაში გამოვიკვლიეთ, თუ რით იყო გამოწვეული დიდი ოჯახის პატარა ნუკლიარულ ოჯახად გარდაქმნის მთავარი მიზეზები და საბოლოოდ მოვახდინეთ მონაცემების ანალიზი; შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებისას (იგივე იურიდიული-კომპარატივიზმი) შევისწავლეთ შესადარებელი ინსტიტუტი, ძველი რომის საოჯახო სამართლის ცალკეულ საკითხების და ცენტრალური კავკასიის მთიელი ხალხის ყოფის, გამოვლენილი ნიშნებით კი გამოვყავით მსგავსება და განსხვავება და საბოლოოდ მივედით შედეგების შეფასებამდე ფორმალურ-ლოგიკური, სპეციალურ იურიდიული და სხვა ხერხების გამოყენებით.

სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა

საკვლევი თემატიკის სრულყოფისთვის ჩვენს მიერ წყაროებად გამოყენებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, ქართული სამართლის ძეგლები, (სადაც ცალკეული სამართლის დარგები არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული. მოცემულია მატერიალური და პროცესუალური ნორმები ერთად. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის, სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების

საკითხები, რაც იმით აიხსნება, რომ ძველი სამართლის წიგნები უმთავრესად ჩვეულებითი სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის ნორმათა კრებულს შეადგენენ, სხვადასხვა დროის და რედაქციით სისტემური დალაგების გარეშე). რომელიც შვიდი საკანონმდებლო ძეგლისაგან შედგება. აქედან სამი უცხო სამართლის (მოსეს, ბერძნული, სომხური), ოთხი კი ეროვნული სამართლის ძეგლებია (კათალიკოსთა სამართალი, ძეგლისდება, აღბუდას სამართალი და სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა).⁷ იურიდიულ-ისტორიული და სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომები და სტატიები, ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორია“,⁸ ივ. სურგულაძის „საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“,⁹ გ. ნადარეიშვილის „ძველი ქართული საოჯახო სამართალი“,¹⁰ ნ. ხიზანიშვილის (ურბნელი) „ძველი ქართული ოჯახი“,¹¹ დ. ბოსტოლანაშვილის „მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში“,¹² ბ. ზოიძის „ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი“,¹³ გ. ლობჯანიძის „რომის სახელმწიფო და სამართალი“,¹⁴ მ. გარიშვილის და მ. ხოფერიას „რომის სამართალი“,¹⁵ ლ. შოშიაშვილის „ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში“¹⁶ და სხვა. ასევე დაგვჭირდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული შრომები,

⁷ ქართული სამართლის ძეგლები ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული, (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963.

⁸ ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია. წიგნი 1, თბილისი, 1928.

⁹ სურგულაძე ივ., საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1985.

¹⁰ ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, სამთავისი, 1996.

¹¹ ხიზანიშვილი ნ., (ურბნელი) ძველი ქართული ოჯახი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბილისი, მეცნიერება, 1982.

¹² ბოსტოლანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში (ქიზიყის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით XIX საუკუნის II ნახევარში) თბილისი, უნივერსიტეტი, 2004.

¹³ ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა) თბილისი, უფლება, 2000.

¹⁴ ლობჯანიძე გ., რომის სახელმწიფო და სამართალი, ტ. II, ქუთაისი, 2009.

¹⁵ გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2013.

¹⁶ შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, მერიდიანი, 2003.

როგორც არის: რ. ხარაძის ნაშრომი „ქართული საოჯახო თემი“ (Грузинская семейная община),¹⁷ ასევე ცალკეული რეგიონების საოჯახო ყოფის შესახებ მეცნიერების: თ. აჩუგბას „ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში“,¹⁸ ი. ჭყონიას „ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში“,¹⁹ ნ. მაჩაბელის „ქართველი ხალხის საოჯახო ისტორიიდან“,²⁰ ვ. ითონიშვილის „ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა“,²¹ მ. ბექაიას „ძველი და ახალი ტრადიციები აჭარაში“,²² გ. ცეცხლაძის „გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა“,²³ რ. თოფჩიშვილის „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია“,²⁴ მ. კოსვენის,²⁵ მ. კოვალევსკის²⁶ და სხვათა შრომები, სადაც გადმოცემულია ქართული და ცენტრალური კავკასიური ოჯახის საოჯახო ყოფის ნიშანდობლივი საკითხები. სამეცნიერო კვლევის შესრულებისას ასევე გამოვიყენეთ სხვადასხვა დროის საარქივო მასალები და ხელნაწერები.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდება ქართველი ხალხის ძველი საოჯახო-საქორწინო სამართლის ისტორიის საკითხის შესწავლაში გარკვეული წვლილის შეტანას. ნაშრომში გამოყენებულია ქართული ჩვეულებითი სამართლის, ქართული სამართლის ძეგლების, მეცნიერთა და ეთნოგრაფთა მასალების ყველა ის ნიშანდობლივი საკითხი, რომელთა შეკრებისა და სამართლებრივი ანალიზის შეჯერების

¹⁷ Харაдзе Р., Грузинская семейная община, т. I Тбилиси, 1960.

¹⁸ აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, მეცნიერება, 1990.

¹⁹ ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1955.

²⁰ მაჩაბელი ნ., ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან: მზითვის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, მეცნიერება, 1976.

²¹ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, ნაწ. I, (ნახებისა და ოსების საოჯახო ყოფა) თბილისი, მეცნიერება, 1969.

²² ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, საბჭოთა აჭარა, 1974.

²³ ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991.

²⁴ თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, უნივერსალი, 2007.

²⁵ Косвен М. О., Семейная община и патронимия. Академия наук, 1963.

²⁶ Ковалевский М., Закон и обычай на Кавказе, Москва, 1890.

საფუძველზე ჩამოყალიბებულია საოჯახო-საქორწინო საკითხებზე მნიშვნელოვანი დებულებები, რაც დაეხმარება აღნიშნული თემით დაინტერესებულ მკვლევრებს და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს. მისი ჩართვა ქართული სამართლის ისტორიის კურსის შესწავლაში მიზანშეწონილი იქნება.

თემის შესწავლის მდგომარეობა

ჩვენს მიერ დიდი ოჯახის წევრთა საოჯახო-საქორწინო უფლებების მასშტაბების შესწავლა - ქართული ჩვეულებითი სამართლის, ქართული სამართლის ძეგლების და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით პირველია, რაც თავისთავად მეცნიერული სიახლეა, რაც აქამდე არ მომხდარა. მართალია, ამ საკითხზე ქართველ მკვლევართა მიერ ცალკეული საოჯახო ინსტიტუტები გამოკვლეულია, თუმცა საკითხი იმდენად ვრცელი და ამოუწურავია, შეუძლებელია, ჩვეულებითი სამართლის სრული სურათი შესწავლილი ყოფილიყო. იგი მუდმივად საჭიროებს ახლის ძიებასა და შეფასებას, რაც განხორციელდა ჩვენს მიერ კვლევის ფარგლებში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, რაც ერთხელ კიდევ საფუძველს მისცემს სამართლის ისტორიის შემდგომ პოპულარიზაციასა და აქტუალობას.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სამეცნიერო სიახლედ მიგვაჩნია - ერთ ნაშრომში თავმოყრა და კომპლექსურად განხილვა დიდი ოჯახის წევრთა ძველი საოჯახო-საქორწინო საკითხების - საქართველოს ადრეფეოდალური და გვიანფეოდალური ხანის ცალკეული კუთხეების: აჭარის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, სვანეთის, რაჭის, და სხვა; მაგალითზე, ასევე, პარალელის გავლება ძველი რომის და კავკასიის ზოგიერთ ხალხთა საოჯახო ინსტიტუტებთან. ქორწინების და განქორწინების, დიდ

ოჯახში ქალის პირადი საკუთრების, მზითევის ინსტიტუტის განვითარების, ოჯახის გაყრის კანონზომიერებასთან დაკავშირებით. საისტორიო ცენტრალური არქივიდან ჩვენს მიერ პირველადაა გამოქვეყნებული „მზითევის“ ნუსხის, შვილად აყვანის ხელნაწერები, „მზითევის“ ცალკეული წიგნები და ძველი სასამართლო განჩინებები.

სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება: შესავლის, 5 თავის, 26 ქვეთავის, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართისგან. ნაშრომის საერთო მოცულობა არის 254 გვერდი.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის პირველი თავი - ეთმობა ოჯახის წარმოშობის ისტორიას და მისი განვითარების ფორმებს, რომელიც შედგება ოთხი ქვეთავისგან, (ოჯახის ცნება; გვაროვნული ოჯახი; დიდი პატრიარქალური ოჯახი; და ინდივიდუალური ოჯახი.) სადაც განხილულია იმ მეცნიერთა ღვაწლი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ ინსტიტუტის შესწავლაში. დადგენილია, რომ საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ხალხებში, არსებობდა სამი ტიპის ოჯახი: გვაროვნული, დიდი პატრიარქალური, პატარა ანუ ინდივიდუალური ოჯახი. განხილული გვაქვს მათი სტრუქტურა. სიტყვა „ოჯახი“ თურქული სიტყვაა და კერას, სახლს აღნიშნავს. გამოიკვეთა, რომ პირველად იგი ისტორიულ დოკუმენტებში „სამოქალაქო ჰსჯულდებაში“ 1799-1800 წლებში გვხვდება. ძველ ქართულში მის ნაცვლად „სახლი“ გამოიყენებოდა, რომელიც ქმრისა და ცოლ-შვილისაგან შედგებოდა, ნათესაობასა და ქონების მფლობელობაზე შემდგარ საგვარეულოს აერთიანებდა. ოჯახის ცნებამ შუა საუკუნეებში მოიკიდა ფეხი საქართველოში და მის პარალელურად დამკვიდრდა მოსახლეობის აღმნიშვნელი ტერმინი

„კომლიც“. XIX ს. ბოლოს და XX ს დასაწყისში საქართველოში თანდათან წარმოების კაპიტალისტურმა ურთიერთობის განვითარებამ და კერძო საკუთრების გაჩენის სურვილმა გამოიწვია პატარა ინდივიდუალური ოჯახების წარმოქმნა პატრიარქალური ოჯახების გვერდით ისევე, როგორც ცენტრალური კავკასიის ხალხთა ყოფაშიც.

ნაშრომის მეორე თავი - დიდი ოჯახის მმართველობის ფორმა და სტრუქტურა- შედგება ოთხი ქვეთავისგან (დიდი ოჯახის უფროსის ინსტიტუტი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით; ოჯახის მამის უფლებები ქართული სამართლის ძეგლებში; დიდი ოჯახის უფროსი ქალი; და დიდი ოჯახის დიასახლისი.), რომელიც მოიცავს დიდი ოჯახის შემადგენლობის აღწერას საქართველოს ცალკეულ კუთხეებში, დიდი ოჯახის უფროსი მამაკაცის და დიასახლისი ქალის ფუნქციებს არა მარტო საქართველოს, არამედ ცენტრალური კავკასიის ხალხთა ყოფაში. განსაზღვრულია ის ჩვეულებები და სტატუსი, რომლებიც დამახასიათებელი იყო ოჯახის უფროსისთვის, განხილულია ასევე ოჯახის მამის უფლებები ქართულ სამართლის ძეგლებში და გამონაკლისი სახით ქალის ოჯახის უფროსად არჩევის შემთხვევები.

ნაშრომის მესამე თავი - ქორწინების და განქორწინების ჩვეულებები საქართველოში, რომელიც შედგება ექვსი ქვეთავისგან (ჩვეულების მნიშვნელობა; ქორწინების არსი და მნიშვნელობა რომაულ და ძველ ქართულ სამართალში; წინა საქორწინო მოქმედება საცოლის შემოწმება „გაჩხრეკვა“; ნიშნობა რომაული და ძველი ქართული სამართლის მიხედვით; ქალის აკვანში ნიშნობა, „დაწინდვა“; და განქორწინება ძველი ქართული სამართლის მიხედვით.) თავდაპირველად ამ თავში განვსაზღვრეთ ჩვეულების მნიშვნელობა, რაც წარმოადგენს ადამიანის ქცევის წესს. ჩვეულება

მაშინ იძენს იურიდიულ ძალას, თუ იგი სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ. ფეოდალურ საქართველოში თავისი ჩვეულებები აქვს ქვეყნის თითოეულ კუთხეს. ქორწინებას წინ უსწრებს წინასაქორწინო მოქმედებები, რაც დამახასიათებელია საქართველოს ცალკეული კუთხისთვის, რომელიც იწყება საცოლის შემოწმებით და ჩამოთვლილი გვაქვს ის მახასიათებლები, რომლითაც აფასებს უფლებამოსილი პირი მომავალ სარძლოს. ამ წესს შემდგომ მოსდევს ქალის ნიშნობა, რაც ქორწინების სავალდებულო წინაპირობაა. განხილული გვაქვს საქართველოში ქალის დანიშვნის სხვადასხვა წესის არსებობის ფაქტები, როგორც იყო: აკვანში დანიშვნა, მცირეწლოვანთა დანიშვნა, გარიგებით დანიშვნა და სხვა. განსაზღვრული გვაქვს ნიშნობის პირობის დარღვევის სამართლებრივი შედეგები ქართულ სამართლებრივ ძეგლებში. ამ პროცედურას მოსდევს ქორწინება, განსაზღვრული გვაქვს მისი პირობები და დამაბრკოლებელი გარემოებები. მოტანილი გვაქვს საქართველოში „კიდის-კიდე“ გვირგვინთა კურთხევის წესის შემთხვევა და მისი გაუქმების საჭიროება. ადრინდელი პერიოდიდან განქორწინების წესში განხილული გვაქვს ყველა ის ძირითადი საკანონმდებლო ძეგლი და ქართული ჩვეულებები, რომლებიც მოქმედებდა საქართველოში განქორწინების დროს. ასევე ვრცლად არის შესწავლილი ქორწინების შეწყვეტის მიზეზებზე ფეოდალურ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში. ერთ-ერთი მიზეზი ქალის მრუშობაა, რაც სასტიკად ისჯება ადათობრივი სამართლით მამაკაცთან შედარებით. განქორწინების მოტივია ქალის ავადმყოფობა ანუ დასნეულება, სოდომური დანაშაული, ქმრის სქესობრივი უძლურება, მრუშობაში დასმენა, ცოლის მოტაცება, „წაგვრა“ და სხვა. ქართულ სამართლებრივ ძეგლებში ოჯახის კანონიერი მიზეზების გარეშე დანგრევის შემთხვევებზეც გამახვილებული გვაქვს ყურადღება. ასევე ამავე თავში განვიხილეთ ნიშნობა რომაული და

ძველი ქართული სამართლის მიხედვით, სადაც აღნიშნული გვაქვს, თუ რა გავლენა მოახდინა რომის სამართალმა საქართველოს და სხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემაზე; საუბარი გვაქვს ნიშნობის პირობებზე და წესზე, რაც აღწერილი იყო დიგესტების 23-ე წიგნის პირველ ტიტულში.

ნაშრომის მეოთხე თავი - დიდ ოჯახში ქალის პირადი საკუთრება შედგება ხუთი ქვეთავისგან: „მზითევი“-ს რაობა და მნიშვნელობა; „მზითევი“-ს ბედი და მემკვიდრეობის საკითხი ძველ ქართულ სამართლის ძეგლებში; „სათავნო“; მზითევის წიგნები და ხელნაწერები; „მზითევი“ ძველ რომში. ამ თავში ლაპარაკია დიდი ოჯახის გაყრისას გასათხოვარი ქალიშვილისა და რძლის წილზე, რომელიც „მზითევი“ და „სათავნო“ იყო, რადგან სხვა წილის მიღების უფლებას ისინი მოკლებულნი იყვნენ ვაჟებისგან განსხვავებით. საზოგადოების მაღალ ფენაში კი ქალი მამისგან მემკვიდრეობით უძრავი ქონების სახით მიწასაც იმკვიდრებს. მოცემული გვაქვს საქართველოს ისტორიული არქივიდან მზითვის ნუსხები ხელნაწერების სახით და მზითევის წიგნები, რომლებსაც მშობლები ატანდნენ ქალიშვილს გათხოვებისას. გაანალიზებული გვაქვს მზითევის ინსტიტუტის თავისებურებები ძველ რომში.

ნაშრომის მეხუთე თავი - დიდი ოჯახის წევრთა ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა ოჯახის გაყრისას - შედგება შვიდი ქვეთავისგან (ოჯახის გაყრის წესები; ოჯახის გაყრის მიზეზები; საოჯახო ქონების მოწილეები; ნაბიჭვართა (უკანონოდ შობილთა) წილი ოჯახის გაყრისას; ქვრივი ქალის წილი ოჯახის გაყრისას; მშობლების წილი ოჯახის გაყრისას; საოჯახო ქონების განაწილების წესი უცხო პირთა მონაწილეობით; სადაც აღნიშნულია, რომ XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში საქართველოში შეიმჩნეოდა დიდი

ოჯახების დაშლა და წევრთა შორის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების განაწილება. გასაყოფი ქონება შედგებოდა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისგან, მიწისგან (სახნავი, ბაღ-ვენახი, სათიბი, ბოსტანი) საქონლისგან, წლიური შემოსავლისგან, საოჯახო ინვენტარისგან და სხვა წვრილმანი ნივთებისგან. არ იყოფოდა პირადი საკუთრება - ტანსაცმელი, სამკაული, იარაღი, მზითევი და სათავენო. ოჯახის გაყრის მიზეზი იყო წევრთა სიმრავლე, ოჯახის წევრთა უთანხმოება, საცხოვრებელი ფართის სივიწროვე და სხვა. საოჯახო ქონების მოწილეები იყვნენ ძირითადად მამაკაცები, ძმები, ბიძაშვილები, მშობლები. ოჯახის გაყრისას მშობლებს თავისი წილი ერგებოდათ. საქართველოს ყოველ კუთხეში, მთასა თუ ბარში, ოჯახის გაყრის ორი წესი იყო: უცხო პირთა მონაწილეობით და მის გარეშე. როდესაც თავად ვერ მორიგდებოდნენ ოჯახის გაყრაზე, მაშინ მათ დავაში მედიატორები ერთვებოდნენ. ქართული სამართლის ძეგლებიდან მოტანილი გვაქვს მუხლები, რომლებითაც რეგულირდებოდა ოჯახის გაყრის დროს მოწილეთა წილები; მოცემული გვაქვს გაყრილობის წიგნები.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი წარმატებითაა დაცული კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში თეორიულ-ემპირიული კვლევების ფარგლებში. სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული საკითხები წარდგენილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: სექციის მოხსენიება სათაურით „ქორწინების ინსტიტუტი ძველ ქართულ საოჯახო სამართალში“. პუბლიკაციები გამოქვეყნებულია სხვადასხვა სამეცნიერო რეცენზირებად ჟურნალში.

დასკვნა: შეჯამების სახით, ჩატარებული კვლევის შედეგები წარმოდგენილია ნაშრომის დასკვნით ნაწილში, რომელსაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი.

თავი პირველი

ოჯახის წარმოშობის ისტორია და მისი განვითარების ფორმები

1.1. ოჯახის ცნება

ოჯახის განვითარებამ კაცობრიობის ისტორიაში ხანგრძლივი გზა განვლო. იგი ვითარდებოდა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი და სხვა გარემოებების ცვლილებებთან ერთად.

ოჯახის საკითხებს იკვლევს მეცნიერების სხვადასხვა დარგი: (ეთნოგრაფია, სოციოლოგია, სამართლის ისტორია, ეკონომიკა, დემოგრაფია, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა და სხვა), ოჯახის საფუძველი ქორწინებაა. გიორგი ნადარეიშვილი ოჯახს „სხვადასხვა სქესის პირთა თანაცხოვრების ორგანიზაციის ისტორიულად ცვალებად ფორმად“²⁷ მიიჩნევს და განმარტავს, რომ ოჯახი თავისი ასაკით უფროსია საოჯახო სამართალზე და საერთოდ სამართალზე“.²⁸

ქართული სამართლის ძეგლებში სიტყვა „ოჯახის“ პირველად გამოყენების საკითხთან დაკავშირებით გიორგი თუმანიშვილი (უმცროსი) იშველიებს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ ტერმინი „ოჯახი“ თურქული სიტყვაა და კერას, სახლს აღნიშნავს.²⁹ იგი ძველ ქართულში არ გამოიყენებოდა, მის ნაცვლად „სახლი“ გვხვდება, რომელიც შედგებოდა ქმრისა და ცოლ-შვილისაგან, ნათესაობასა და ქონების მფლობელობაზე შემდგარ საგვარეულოს აერთიანებდა.³⁰

²⁷ ნადარეიშვილი გ., საოჯახო სამართალი ფეოდალურ საქართველოში, დისერტაცია, 1954, 8.

²⁸ იქვე, 8.

²⁹ თუმანიშვილი გ., ქართული სამართლის ძეგლების ტესტებში სიტყვა „ოჯახის“ პირველად გამოყენების საკითხთან დაკავშირებით, სამართალი #5-6, 20002, 74.

³⁰ ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1928, 24.

„V საუკუნეში საქართველოში „სახლი“ არა მარტო საგვარეულოს და გვარს ნიშნავდა, არამედ ერთ ცოლქმრობაზე დამყარებულ ოჯახსაც“.³¹ „პატარა ოჯახი „ქმარი“-სა და ცოლშვილისგან შედგებოდა. ცოლშვილს დედაწული ერქვა“.³² „ოჯახი“-ს ცნებამ შუა საუკუნეებიდან მოიკიდა ფეხი საქართველოში და მის პარალელურად დამკვიდრდა მოსახლეობის აღმნიშვნელი ტერმინი „კომლიც“.³³ „ოჯახი“ ისტორიულ დოკუმენტებში პირველად „სამოქალაქო ჰსჯულდებაში“ 1799-1800 წლებში გვხვდება.³⁴

ოჯახის წარმოშობისა და მისი განვითარების ისტორიის კვლევაში მრავალი საინტერესო ლიტერატურა არის შექმნილი.³⁵ „ოჯახის ისტორიის მეცნიერული შესწავლა იწყება XIX ს. მეორე ნახევრიდან. იგი დაკავშირებულია შვეიცარიელი მეცნიერის, ი. ბახოფენის სახელთან. მან თავის წიგნში „დედის უფლება“ (1861წ.) პირველმა უარყო მანამდე ბიბლიურ დოგმებზე დამყარებული და საყოველთაოდ აღიარებული „პატრიარქალური“ თეორია და დაასაბუთა, რომ მამის უფლებას წინ უსწრებდა „დედის უფლება“ ანუ მატრიარქატი, რასაც სამართლიანად ყველა ხალხისათვის უნივერსალურ მოვლენად მიიჩნევდა, თუმცა ავტორი ოჯახის განვითარებას იდეალისტურად უდგებოდა და მას ხსნიდა არა ადამიანთა ცხოვრების ფაქტობრივი პირობებით, არამედ რელიგიური იდეების ევოლუციით“.³⁶

ოჯახის საკითხების შესწავლაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის XIX ს. დიდ ამერიკელ ეთნოგრაფს ლუის მორგანს.

³¹ ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1928, 24.

³² ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1984, 269.

³³ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2011, 10.

³⁴ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, კეგელი, 1998, 16.

³⁵ წივწივაძე ი., პატრიარქალური ოჯახი საქართველოში, ჟურნალი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, №14, თბილისი, 2018. 112.

³⁶ Das Mutterrecht: eine Untersuchung über die Gynaikokratie der alten Welt nach ihrer religiösen und rechtlichen Natur. Stuttgart: Verlag von Kraiss und Hoffmann, 1861. (მითითებულია: აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, მეცნიერება, 1990, 6.)

მისი სიტყვებით „ოჯახი აქტიური ელემენტია, იგი არასდროს არაა ერთ ადგილზე გაქვავებული, არამედ დაბალი ფორმიდან უმაღლესში გადადის, იმ ზომით, რა ზომითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან უმაღლეს საფეხურისაკენ ვითარდება“.³⁷ 1877 წელს გამოვიდა მისი მთავარი ნაშრომი „ძველი საზოგადოება“, რომელმაც ოჯახის შესწავლის მიმართულებით ახალი ხედვა დაგვანახა.³⁸ ასევე საყურადღებოა მის მიერ 1871 წელს გამოცემული ნაშრომი „ნათესაობის სისტემა და ნათესაობრივი კავშირები“ (Systems of Consanguinity and Affinity), რითაც მორგანმა შეძლო ნათესაობის სისტემის დედისეული გვარისა და მასში არსებული ოჯახის სხვადასხვა საფეხურის დადგენა.

რუსმა მეცნიერმა მაქსიმ კოვალევსკიმ³⁹ ოჯახის განვითარების ოთხი ფორმა გამოყო: 1) ჰეტერიზმი, რომლის დროსაც ყოველგვარი სქესობრივი ურთიერთობები მოუწესრიგებელი იყო; 2) დედისეული გვარი - „მატრიარქატი“, რომელიც მოიცავდა ჯგუფურ ქორწინებას და მატროლოკალურ დასახლებას; 3) პატრიარქალური წყობილება და მასთან დაკავშირებული პატრიარქალური ოჯახის, მამის უფლებებზე დამყარებული ოჯახის ჩამოყალიბება ჯგუფური ქორწინებით და პატრილოკალური დასახლებით; და 4) წყვილადი „მონოგამური“ ოჯახი.

ოჯახს სხვადასხვა მეცნიერება განსხვავებულად განმარტავს და განსაზღვრავს მისთვის მნიშვნელოვან ასპექტებს. ბევრი მეცნიერი შეეხო ამ საკითხს და ოჯახზე არაერთი ცნება ჩამოაყალიბა. ქართველი სოციოლოგის გ. როგავას გაგებით „ოჯახი არის ადამიანთა ერთობის ფორმა, რომელიც მის წევრებს აერთიანებს სისხლითი ნათესაობისა და

³⁷ Морган Л., Древнее общество, М., 1936. 200. (მითითებულია: ბექია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი, მეცნიერება, 1980, 12.)

³⁸ ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი. მეცნიერება, 1991, 4.

³⁹ Ковалевский М.М., происхождение семьи. рода, племени, государства и религии, М., 1914. იხ. მისივე „Ковалевский М., Очерки, Происхождения и развития семьи и собственности, под. ред. проф. Косвена М.О., Перевод с французского Моравекого С.П., Москва, 1939.

ცოლ-ქმრული ურთიერთობების საფუძველზე, რომელიც ემსახურება ადამიანთა ვიტალური სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას საზოგადოებაში მიღებული ზნეობრივ-ეთიკური ნორმების ფარგლებში“.⁴⁰ გ. ლოგუა კი ოჯახს შემდეგნაირად აყალიბებს: „ოჯახი“ გამოხატავს ადამიანთა ჯგუფის, კოლექტივის ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც ემყარება ქორწინებასა და ნათესაობას, უფრო ვიწრო მნიშვნელობით კი ამ ცნებით აღინიშნება მხოლოდ მეუღლეობრივი „წყვილი და მათი შვილები“.⁴¹

ფრანგული სოციოლოგიის ფუძემდებელის და თვალსაჩინო წარმომადგენლის ემილ დიურკემის აზრით „ოჯახი ესაა პოლიტიკური საზოგადოების წიაღში განსაკუთრებით ახლო იდეებით, გრძნობებითა და ინტერესებით ერთმანეთთან დაახლოებულ ინდივიდთა ერთი ჯგუფი. ასეთი კონცენტრაცია გააიოლა სისხლისმიერმა ნათესაობამ, ვინაიდან იგი ბუნებრივად იწვევს ერთთა ცნობიერების დაახლოებას მეორეებთან. თუმცა ამ პროცესში ერთვებოდა სხვა ფაქტორებიც- ფიზიკური მეზობლობა, ინტერესთა სოლიდარობა, გაერთიანება საერთო საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად ანდა, უბრალოდ ერთად ყოფნის მოთხოვნილება-არსებითი მიზეზები ადამიანთა დასახლოებლად“.⁴²

სამართლის სხვადასხვა დარგში დომინირებს ერთგვაროვანი შეხედულება, რომ „ოჯახი ეს არის პირთა ნებაყოფლობითი კავშირი, რასაც საფუძვლად უდევს ქორწინება, ნათესაობა, შვილად აყვანა, მიუთითებენ, აგრეთვე, მოზარდი თაობის აღზრდაზე, როგორც ოჯახის მთავარ ამოცანაზე, სახელმწიფოსა და საზოგადოების როლზე

⁴⁰ როგავა გ., ოჯახის სოციოლოგია, თბილისი, უნივერსალი, 2012, 3.

⁴¹ ლოგუა გ., ოჯახის სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის საკითხებისათვის. კრებულში-სოციალური გამოკვლევები II, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1976, 226.

⁴² დიურკემი ე., სოციალური შრომის დანაწილება, თბილისი, Capre diem, 2012, 29-30.

ოჯახის დაცვაში და მისი წევრების განსაზღვრულ უფლება-მოვალეობაზე.“⁴³

და ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით საქართველოს კანონმდებლობაში ოჯახის ცნების ერთგვაროვანი განმარტების მოცემა ძალზე რთულია, რადგან ოჯახი მოიცავს მის წევრთა ურთიერთობის მრავალფეროვან საკითხებს და მისი ერთ სივრცეში მოქცევა შეუძლებელია.

1.2. გვაროვნული ოჯახი

ცნობილია, რომ ოჯახის განვითარებამ კაცობრიობის ისტორიაში სტრუქტურულად სამი ფორმა გამოიარა: გვაროვნული, პატრიარქალური და ინდივიდუალური. პირველყოფილი მეურნეობის წარმოშობამ და ნათესაურმა კავშირმა ჩამოაყალიბა გვარი და საგვარეულო თემი, რომლის პირველი საფეხური მატრიარქატი იყო. მატრიარქატი პატრიარქალურმა ოჯახმა შეცვალა, სადაც თემის მეთაური მამაკაცი გახდა. ოჯახის პატრიარქალური წყობის შემდეგ XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში ჩამოყალიბდა ინდივიდუალური ანუ პატარა ოჯახები, რომლის გვერდით საოჯახო თემი ანუ დიდი პატრიარქალური ოჯახიც არსებობდა.

თავდაპირველად ადამიანები თავდაცვის მიზნით ჯოგებად ცხოვრობდნენ, ქმნიდნენ შრომის იარაღებს და ერთად იყენებდნენ საარსებოდ აუცილებელი საკვების მოსაპოვებლად. ამ პერიოდში არ არსებობდა სქესთა შორის დადგენილი წესი, ქორწინება და ოჯახის საწყისი ფორმები. სქესობრივი ურთიერთობა აღრეული იყო არა მარტო დასა და ძმას შორის, არამედ მშობლებსა და შვილებს შორის, რაც შემდგომში აღიკვეთა.⁴⁴ პირველყოფილ-თემური წყობილების

⁴³ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, კეგელი, 1998, 17.

⁴⁴ ჯორბენაძე ს., საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1957, 12

პირობებში უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობიდან გადადიან სიხლით მონათესავე ოჯახის შექმნაზე. „სისხლით მონათესავე ოჯახში ცოლქმრული ჯგუფები დაყოფილი არიან თაობათა მიხედვით. ოჯახის ფარგლებში შესაბამისი თაობის განსხვავებული სქესის ადამიანები ყველანი ერთმანეთის ცოლ-ქმართ წარმოადგენდა, სისხლით მონათესავე ოჯახში ძმები და დები, ბიძაშვილები, პირველი, მეორე და უფრო შორეული საფეხურებისა-ითვლებიან და-ძმებად და სწორედ ამიტომ ცოლ-ქმარნი არიან“.⁴⁵ სისხლით მონათესავე ოჯახის დაშლის შემდეგ „წარმოიშვა პუნალუა ოჯახი, სადაც მშობლები და შვილები, დები და ძმები ურთიერთ შორის სქესობრივი ცხოვრებიდან გამოირიცხნენ“.⁴⁶ პუნალუა ოჯახი წყვილადმა ოჯახმა შეცვალა, როცა მამაკაცს ერთი ცოლი ჰყავს, თუმცა მისთვის დაშვებულია მრავალცოლიანობა.⁴⁷

მოსახლეობის გაზრდამ და პირველყოფილი მეურნეობის წარმოშობამ საჭირო გახადა კოლექტივების შექმნა ჯგუფების მიხედვით, რომელთა წევრები ერთად შრომობდნენ და აკავშირებდათ სისხლით ნათესაობა. ასე შეიქმნა გვარი და საგვარეულო თემი, რომლის პირველი საფეხური მატრიარქატი გახდა.⁴⁸ ქართული ჩვეულებითი სამართლის პირველი ქართველი იურისტი მკვლევარის, ნიკო ხიზანიშვილის გადმოცემით დასტურდება, რომ „იურიდიულ მეცნიერებაში დიდხანს იყო მიღებული საყოველთაოდ ის აზრი, რომ ვითომ პირვანდელ ფორმას ყველა ისტორიული ხალხის საოჯახო წყობილებისას შეადგენდა პატრიარქალური ოჯახი, რომელშიაც

⁴⁵ ჯორბენაძე ს., საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1957, 14-15.

⁴⁶ ნადარეიშვილი გ., საოჯახო სამართალი ფეოდალურ საქართველოში, დისერტაცია, 1954, 15.

⁴⁷ იქვე, 15-16.

⁴⁸ ჯორბენაძე ს., საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1957, 13.

ოჯახის მამას განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა მინიჭებული“.⁴⁹ თუმცა ისტორიული ფაქტების შესწავლით, ველური ხალხის ცხოვრების დაკვირვებით მეცნიერებმა დაასაბუთეს, რომ „თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ სქესობრივი არევ-დარევა, საერთო ცოლქმრობა („инщинный брак“), სადაც დედაკაცი, როგორც ცოლი, ეკუთვნოდა მთელ გვარეულობას, მთელ ტომს („племя, род“). ამგვარ მდგომარეობაში ქალი შეადგენდა ერთადერთ პირს, რომლისაგანაც მომდინარეობდა ყოველგვარი იურიდიული დამოკიდებულება იმ პირთა შორის, რომელიც გვარეულობას, ტომს ეკუთვნოდნენ. წევრთა შორის ნათესაობა დედობრივი იყო („матриархат“) მხოლოდ ქალის იურიდიული ძალა იყო ცნობილი“.⁵⁰ ქალი აძლევდა შვილებს გვარს და მემკვიდრეობას, რადგან ისინი მამის გვარს არ ატარებდნენ, რადგან მხოლოდ ბავშვის დედა იყო ცნობილი. ქონება მემკვიდრეობით გადადიოდა დედის ხაზით ნათესავებზე, განსაკუთრებით დედის ძმაზე და ა.შ.⁵¹ აღნიშნულზე „ბახოფენმა წამოაყენა დებულება, რომ თავდაპირველად ადამიანები ცხოვრობდნენ შეუზღუდველ სქესობრივ ურთიერთობაში და რომ ასეთი ურთიერთობა გამორიცხავს მამობის უტყუარი გამორკვევის შესაძლებლობას“.⁵² ამ მდგომარეობის კვალს ბახოფენი ისტორიულ და რელიგიურ გადმოცემებში ეძებდა და არა უწესრიგო სქესობრივ ურთიერთობებს აკავშირებდა, არამედ გაცილებით უფრო გვიანდელ ფორმისაკენ - ჯგუფობრივი ცოლქმრობისკენ მიანიშნებდა.⁵³ ვიზიარებთ ფ. ენგელსის მოსაზრებას, რომ „ეს პრიმიტიული

⁴⁹ ხიზანიშვილი ნ., ძველი ქართული ოჯახი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბილისი, მეცნიერება, 1982, 135.

⁵⁰ ხიზანიშვილი ნ., ძველი ქართული ოჯახი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბილისი, მეცნიერება, 1982, 136.

⁵¹ ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა) თბილისი, უფლება, 2000, 28.

⁵² ნადარეიშვილი გ., საოჯახო სამართალი ფეოდალურ საქართველოში, დისერტაცია, 1954, 9.

⁵³ ენგელსი ფ., ოჯახის კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა (ლ.გ. მორგანის გამოკვლევებთან დაკავშირებით), თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1978, 28.

საზოგადოებრივი საფეხური, - თუკი იგი ნამდვილად არსებობდა, ისეთ შორეულ ეპოქას ეკუთვნის, რომ ძნელი მოსალოდნელია, სოციალურ ნამარხებში, განვითარების მხრივ ჩამორჩენილ ველურებში, იმის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები ვიპოვოთ, რომ აღნიშნული საფეხური ოდესმე წარსულში არსებობდა“.⁵⁴

ბ. ზოიძე აღნიშნავს: „მატრიარქატის კვალი შენიშნა კავკასიელ მთიელებში გასულ საუკუნეში მაქ. კოვალევსკიმ. მისი აზრით, ეს ჩანს იმ მნიშვნელობიდან, რომელსაც ანიჭებენ ქართველები (ფშაველები და ხევსურები) დის შვილსა და დედის ძმას. იქ დედის ძმა ცვლის მამას ზოგიერთი მოვალეობის შესრულებისას. სახელდობრ, როცა საქმე ეხება სისხლის აღებას. მკვლელის გვართან მორიგებისას პასუხისმგებლობის საზღაურის მეტი წილი ერგება. ასევე ხევსურებში ობოლი ბავშვის მეურვე მხოლოდ დედის ძმაა“.⁵⁵

თანდათან ადამიანთა საზოგადოების მესაქონლეობაზე გადასვლამ, საწარმოო ძალების განვითარებამ მამაკაცს უპირატესობა მიანიჭა, დაიშალა მატრიარქალური გვარი, და წარმოიშვა პატრიარქალური ოჯახი და პატრიარქალური გვარი. მამაკაცი გახდა საგვარეულო თემის მეთაური, მის ხელში გადავიდა ქონებრივი ფასეულება და მოიპოვა უპირატესობა ოჯახში, რის შედეგად მამა აძლევს მემკვიდრეობას შვილს და გვარს. „საოჯახო კლანურ კოლექტივში გარკვეულ უპირატესობას საგვარეულო თემის წინამძღოლს ანიჭებდნენ, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, თუ ის წარმატებით ახორციელებდა სახელისუფლო-მმართველობით ფუნქციებსა და კოლექტივის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თვით თემის წევრებიც საკუთარ

⁵⁴ ენგელსი ფ., ოჯახის კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა (ლ.გ. მორგანის გამოკვლევებთან დაკავშირებით), თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1978, 29.

⁵⁵ Ковалевский М., Очерк происхождения и развития семьи и собственности, пер. с фр. М. Иолшина., С.-Петербург, 1896. 25.27. მითითებულია; ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა) თბილისი, უფლება, 2000, 28-29.

ლიდერს მხარდაჭერას უცხადებდნენ და, განაწილების ექვივალენტური პრინციპის შესაბამისად, მათ კეთილდღეობაზე მუდმივი ზრუნვის გამო, მაღლიერების ნიშნად, წინამძღოლის ავტორიტეტსა და ძალაუფლებას აღიარებდნენ“.⁵⁶

ჟ. რუსო განმარტავს: „არსებობის ახალმა წესმა - ერთ ჭერქვეშ ცოლისა და ქმრის, მამისა და შვილების ერთად ცხოვრებამ - გრძნობათა პირველი სინაზე გაადვივა; ერთად ცხოვრების ჩვევიდან მიეცა დასაბამი ადამიანთა შორის ყველაზე ტკბილ გრძნობას - ცოლქმრულ და მამაშვილურ სიყვარულს. ყოველი ოჯახი იქცა პატარა საზოგადოებად, რომლის ერთიანობაც ურთიერთსიყვარულსა და თავისუფლებას ეფუძნებოდა. იმავდროულად სწორედ მაშინ გამოიკვეთა სხვაობა ორი სქესის არსებათა ცხოვრების წესშიც, რომელიც მანამდე ერთმანეთისგან არ სხვაობდა. ქალები უფრო შინაყუდები შეიქნენ, მათ ქოხისა და ბავშვების მოვლა პატრონობა იტვირთეს, ოჯახის სარჩოს მოპოვებაზე კი მამაკაცები ზრუნავდნენ“.⁵⁷

ასე მოხდა მატრიარქატიდან პატრიარქალურ ოჯახზე გადასვლა, რომელიც შუალედური გარდამავალი ფორმაა წყვილადი ოჯახიდან მონოგამიაზე.⁵⁸ პატრიარქალურ ოჯახში ქალს დაკარგული აქვს ის უფლებები, რაც მატრიარქატის პერიოდში ჰქონდა.

1.3. პატრიარქალური ოჯახი საქართველოში

სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ პატრიარქალური საოჯახო თემი, ერთი და იგივე დიდი ოჯახი, აღმოცენდა პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის დაშლის

⁵⁶ გარიშვილი მ., ხოფერია მ., საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, თბილისი, მერიდიანი, 2014, 15-16.

⁵⁷ რუსო ჟ. ჟ., მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძვლების შესახებ, თბილისი, Carpe diem, 2009, 110-111.

⁵⁸ ნადარეიშვილი გ., საოჯახო სამართალი ფეოდალურ საქართველოში, დისერტაცია, 1954, 17.

საფეხურზე, „რომელიც საქართველოში არსებობას განაგრძობდა ფეოდალიზმის და კაპიტალიზმის ადრეული საფეხურების დროსაც ოჯახის გაბატონებული ფორმის, პატარა ოჯახის გვერდით“.⁵⁹ დიდი ოჯახი ანუ საოჯახო თემი, ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, რომელიც საქართველოს კუთხეებში სხვადასხვა სახელით გვხვდება მაგ. „ძველი ტიპის ოჯახი“,⁶⁰ „დიდი გვაროვნული ოჯახი“,⁶¹ „ერთიანობის სახლი“,⁶² „ერთობის სახლი“,⁶³ „სამმო სახლი“,⁶⁴ „ჯალაბი ოჯახი“,⁶⁵ „ჯარისული ოჯახი“,⁶⁶ „დიდი კვამლი“⁶⁷ და სხვა.

დიდი ოჯახი წარმოადგენდა ორი, სამი და ოთხი თაობის სისხლით მონათესავე ადამიანთა ჯგუფს.⁶⁸ მ. კოსვენნი წერდა: „დიდი შეიძლება ეწოდოს ისეთ ოჯახს, რომელიც შედგება ორი, სამი და მეტი დაღმავალი და გვერდითი თაობებისაგან, ხოლო პატარა - ორთაობიან ოჯახს“.⁶⁹ დიდი ოჯახის ძირითადი ნიშანი იყო ქონებაზე საერთო საკუთრება, კოლექტიური შრომა და დოვლათის კოლექტიური მოხმარება“.⁷⁰ რ. ხარაძის გადმოცემით „ასეთი დიდი ოჯახი, რომელსაც ახასიათებდა წარმოება-მოხმარების კოლექტიური წესი, საკუთრების საოჯახო-სათემო ფორმა და მმართველობის სოლიდარული სისტემა, შექმნილია პატარა მონოგამური ოჯახის

⁵⁹ ბექია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი, მეცნიერება, 1980, 24.

⁶⁰ ხარაძე რ., რობაქიძე ალ., მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი, მეცნიერება, 1965, 35. (მითითებულია: წყარო მაკალათია ს., მთიულეთი, ტფილისი, სახელგამი, 1930, 81.)

⁶¹ იქვე, 35 (მითითებულია: ჩიტაია გ., გლეხის სახლი ქვაბლიანში, ტფილისი, პოლიგრაფტრესტის I- სტამბა, 1926, 955.)

⁶² აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, მეცნიერება, 1990, 16.

⁶³ იქვე, 16.

⁶⁴ იქვე, 16.

⁶⁵ იქვე, 16.

⁶⁶ იქვე, 16.

⁶⁷ იქვე, 16.

⁶⁸ იქვე, 14.

⁶⁹ იქვე, 14. Косвен М. О., Семейная община и патронимия. Академия наук, 1963.

⁷⁰ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 12.

განვითარების შედეგად, რომელიც კერძო საკუთრების პრინციპზე იყო აგებული“.⁷¹

მეცნიერი ეთნოგრაფების აზრით, დიდი ოჯახი არის არა საოჯახო თემის გადმონაშთი, არამედ ინდივიდუალური ოჯახის განვითარების პროდუქტი. „მაგ. ვ. შმიდტი და ვ.კოპერსი ფიქრობენ, რომ არსებობა საოჯახო თემისა (dieGrossfamilie) დამახასიათებელია მხოლოდ გარკვეული „კულტურული წრისათვის“, რომელსაც ავტორები უწოდებენ „პატრიარქალურ-დიდოჯახიანთა კულტურულ წრეს“, (der vaterreichlich-grossfamilialen Kulturkreise), მაგრამ აქაც იგი ოჯახის ადრინდელი ფორმა კი არ არის, არამედ ცალკეული მცირე ოჯახის განვითარების შედეგს წარმოადგენს. მათი აზრით, ოჯახის ამ მიმართულებით განვითარებას სამეურნეო ინტერესი განსაზღვრავს“.⁷²

გამოკვლევებით დასტურდება, რომ „XIX-საუკუნეში დიდი ოჯახი არსებობდა არამარტო განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ხალხების ყოფაში, არამედ ის ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი XIX საუკუნემდე იყო შემონახული. იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ საოჯახო თემი წარმოადგენდა ყველა იმ ხალხისათვის დამახასიათებელ უნივერსალურ ისტორიულ მოვლენას, რომელთაც განვლეს საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაბამისი სტადია“.⁷³

დიდი ოჯახი თავისი ნიშან-თვისებით და სტრუქტურით აგებული იყო ოჯახის თაობათა შემადგენლობაზე. საყურადღებო იყო ოჯახის წევრების ასაკი და სქესის რაოდენობა, ასევე მნიშვნელობა ეძლეოდა ოჯახის შრომისუნარიან და არაშრომისუნარიან წევრთა რიცხვს. დიდი ოჯახი ძირითადად სამეურნეო დანიშნულებით იქმნებოდა და ოჯახის წევრებს აერთიანებდა საერთო მეურნეობა, საოჯახო საკუთრება. ერთად ცხოვრება ერთობაში და სიძლიერეში ვლინდებოდა, კომლის საკუთრება იყო სახლ-კარი, შენობა-ნაგებობა,

⁷¹ ხარაძე რ., რობაქიძე ალ., მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი, მეცნიერება, 1965, 33.

⁷² ხარაძე რ., რობაქიძე ალ., მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი, მეცნიერება, 1965, 33.

⁷³ იქვე, 4-5.

პირუტყვი, საოჯახო ნივთები, საბრძოლო და შრომის იარაღები. „შიდა საოჯახო ურთიერთობები პატრიარქალურ საწყისებს ეფუძნებოდა: უმცროსები ემორჩილებოდნენ უფროსებს, ქალები - კაცებს, ოჯახის ყველა წევრი ოჯახის უფროსს“.⁷⁴ ბესარიონ ნიჟარაძის აზრით: „სვანური ოჯახის სიძლიერე მის გაუყრელობაში ძევს. ოჯახის ინტერესებზე ხელყოფა, მისი თითოეული წევრის დარღვეული უფლებისათვის ბრძოლის დადასტურებაა, აღნიშნული კი ჩვეულებითი სამართლის ნორმათა გამოყენებას უხსნის გზას. თუკი ოჯახი ძლიერია, მისი ურთიერთობა გვარსა, თემსა და ხევისადმი მტკიცე და შეუვალია, რითაც ჩვეულებითი სამართლის ნორმათა დაცვის მეტი შესაძლებლობა იქმნება“.⁷⁵ ამის შედეგად დიდი ოჯახი ინდივიდუალურ ოჯახებს ეკონომიკურად სჯობნიდა. გაბატონებული კლასი და სახელმწიფო მომხრე იყო დიდ ოჯახში ეკონომიკური სიძლიერის, ვიდრე პატარა ოჯახებად დაშლისა და გაყრის. ვახტანგ VI სამართლის 98-ე მუხლის მიხედვით, თუ ოჯახი იყრება „*ბატონმა უნდა დაიბაროს, უფროსი სწვართოს, უმცროსი დატუქსოს; თუ ყმანი სჩხუბევდენ, ავად მოეპყრან, ნუ მოიშლებით, ნუ გაიყრებით-თქო; ამგვარები დაახედონ, ურჩიონ თავის მოყურით, კარის კაცით, გაუყრელობას ეცადნენ. და თუ არ იქნას და არ დაიშალოს, ასრე გაჰყარონ*“.⁷⁶ „*უკეთუ ძმანი ანუ მამა-შვილნი, ანუ ბიძა-შვილნი, გინა სხვა ნათესავნი, ერთსახლნი და ერთად მემამულენი, ველარ მოთავსდენ და გაიყარნენ, ამ წესითა და რიგით არის მათის დაშორების რიგი*“.⁷⁷

⁷⁴ თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, უნივერსალი, 2007, 180.

⁷⁵ ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი I, კეკელია მ., სვანეთის სულხან-საბას - ბესარიონ ნიჟარაძის დაკვირვებები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, თბილისი, მეცნიერება, 1988, 66.

⁷⁶ ქართული სამართლის ძეგლები ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული, (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963. 507.

⁷⁷ იქვე, 507.

ძველი რომაული ოჯახი პატრიარქალური იყო, რომლის სათავეებშიაც იდგა სახლის მეთაური „Pater Familias“, „პუნქტურ ომამდე რომში უმთავრესად პატრიარქალური სახის ოჯახი არსებობდა და პირთა საკმაოდ დიდ რაოდენობას მოიცავდა. პატრიარქალურ ოჯახში მოიაზრებოდა ქმარი, ცოლი, ორივე სქესის შვილები, კლიენტები და მონები. ასეთი ტიპის ოჯახს „კერძო ოჯახი“ ეწოდებოდა. ულპიანეს თანახმად, რამდენიმე პირს, ვინც ან ბუნებით ან სამოქალაქო სამართლის თანახმად, იმყოფებიან ერთი ძალაუფლების ქვეშ, უწოდებენ „კერძო ოჯახს“. ასეთი პირები არიან ოჯახის მამა ან დედა, ვაჟიშვილი ან ქალიშვილი და მთელი მათი ჩამომავალი - შვილიშვილები, შვილთაშვილები და ა.შ... „ოჯახი“ მონებსაც გულისხმობს“.⁷⁸

„პატერ ფამილიას“ „ცნობილი მკვლევარის, პროფ. ი.ა. პოკროვსკის სიტყვით პატარა მონარქიას წარმოადგენდა და მესამე პირების წინაშე ეს პატარა მონარქია დახურული იყო სახლის უფალის, ოჯახის თავის პიროვნებით. ოჯახის ცალკეული წევრები ასეთ ვითარებაში, ცხადია, სამართლის სუბიექტები ვერ იქნებოდნენ. თავდაპირველად ოჯახის წევრებს არ შეეძლოთ ჰქონოდათ რაიმე საკუთრება, მათ არ ჰქონდათ უფლება სახელმწიფოს წინაშე გამოსულიყვნენ მოსარჩელეებად ან მოპასუხეებად, ოჯახის წევრების პიროვნება შთანთქმული იყო „პატერ ფამილიასის“ პიროვნებაში. მაგრამ დროთა ვითარებაში ოჯახი, რომელიც თვით რომის სახელმწიფოს წინაშეც კი „პატარა მონარქიას“ წარმოადგენდა, თანდათან სახესა და შინაარსს იცვლის. ოჯახის უფროსის მკაცრ ძალაუფლებას პირველად თავს აღწევს მისი მეუღლე. სოციალურ პრაქტიკაში შემოდის ქორწინების ახალი სახეობა - „სინე მანუ“ ქორწინების ასეთი სახეობის დროს ცოლი იურიდიულად ქმრის „ფამილიაში“ არ შედის, ის ისევ თავისი მშობლების ოჯახის წევრად ითვლება. ქორწინების ასეთი ფორმის დროს ქმარს არ გააჩნია არავითარი უფლება არც ცოლის

⁷⁸ Digeste you Pandectes, Livre Cinquantieme, 16.195.1, Paris, 1995, 633-4, მითითებულია: ხოფერია მ., ქალის უფლებაუნარიანობა ქართული და რომაული სამართლებრივი აზროვნების ჭრილში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი, №2, 2009, 177.

პიროვნებაზე და არც ცოლის ქონებაზე. ხსენებული ქმრის ხელისუფლებისაგან თავისუფალი ქორწინების შემთხვევაში, ცოლს თუ მამა ცოცხალი არ ჰყავდა, მას შეეძლო, თავისუფლად გაესხვისებინა თავისი ქონება. რომში პატრიარქალური ქორწინების გვერდით დიდხანს არსებობდა თავისუფალი ქორწინება, სანამ ბოლოს ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა ტრადიციულ ქორწინებაზე. თანდათან ოჯახის სხვა წევრებმაც მოიპოვეს თავისუფლება“.⁷⁹

ამდენად, XIX-ს. ბოლოსა და XX-ს. დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობდა როგორც პატარა (ინდივიდუალური), ისე დიდი პატრიარქალური ოჯახიც, რომელიც იზომებოდა ოჯახის წევრთა ასაკის, სქესის, შემადგენლობის, შრომისუნარიანობის და არაშრომისუნარიანობის მიხედვით, ოჯახის წევრებს აერთიანებდა საერთო საოჯახო საკუთრება და საერთო მეურნეობა. საოჯახო თემი მიზნად ისახავდა საკუთრების გაზრდასა და ოჯახის ეკონომიკურ გაძლიერებას, მათი უფლებები რეგულირდებოდა ჩვეულებითი სამართლის ნორმებით.

1.4. ინდივიდუალური ოჯახი

კაპიტალისტური წყობის დამკვიდრებამ გამოიწვია დიდი ოჯახების დაშლა, XIX ს. ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ისევე, როგორც ცენტრალური კავკასიის მთიელთა ყოფაში, ძირითადად ინდივიდუალური ანუ პატარა ოჯახები ჩამოყალიბდა.⁸⁰ იგი მოიცავდა ორ ან სამ თაობას. ორ თაობაში ცოლ-ქმარი და მათი შვილები ითვლებოდნენ, ხოლო სამში - მშობლები

⁷⁹ იოფე ო., ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, თბილისი, სამთავისი, 1994, 202-203.

⁸⁰ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, I ნაწ. თბილისი, მეცნიერება, 1969, 12.

ერთი ვაჟით და მისი ცოლ-შვილით. ამ პერიოდში მის გვერდით ძველი პატრიარქალური ოჯახებიც თანაარსებობდა.⁸¹

ივ. ჯავახიშვილი, იაკობ ხუცესის თხზულების მიხედვით, არ გამორიცხავს, რომ საქართველოში უფრო ადრე მე-5 საუკუნეშიც არსებობდა პატარა ოჯახი „სახლობის“ სახელწოდებით. მშობლებისა და შვილებისაგან შემდგარი, რაც გამოწვეული იყო გაყრილი ძმების ცალ-ცალკე ცხოვრების სურვილით. იგი აღნიშნავს: „სახლობა მრავალ-რიცხოვანიცა და პატარაც ყოფილა, ხოლო სახლობის წევრნი „სახლელულ“-ად იწოდებოდნენ“.⁸² ასევე დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობას ივ. ჯავახიშვილი აღწერს არაბებსა და ქართველებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე არაბთათვის საკომლო გადასახადის მიცემის შესახებ, „სადაც გათვალისწინებული ყოფილა, რომ ქართველებს არ დაეწყოთ ოჯახების ფიქტიური შეყრა-შეერთება, ხოლო არაბებს არ მოეთხოვათ არსებული ოჯახების ხელოვნური დაყოფა-დაქუცმაცება“.⁸³

ინდივიდუალურ ოჯახებად ჩამოყალიბებამ შეცვალა მათ წევრთა ქონებრივი და სამართლებრივი უფლებები. ოჯახის მესაკუთრე უფროსი მამაკაცი გახდა. უძრავი ქონების (საკარმიდამო ნაკვეთის, ბაღ-ვენახების და დაჩემებული მიწების) გასხვისებისას მას შეეძლო დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება დიდი ოჯახისაგან განსხვავებით, სადაც საჭირო იყო ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა.⁸⁴

ოჯახის სტრუქტურა კომლში შემავალი „თავი“-ს რაოდენობით იზომებოდა. „თავი“ კომლში ოჯახის უფროსს ნიშნავდა, მამა - ქმარს, კომლში შეიძლებოდა რამდენიმე ოჯახი ყოფილიყო, თითოეულ

⁸¹ აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, მეცნიერება, 1990, 14.

⁸² ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტი, 1929, 372.

⁸³ ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, თბილისი, 1948, 72. 82.

⁸⁴ ბოსტოდანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 2004, 46

ოჯახს ჰყავდა „თავი“ ანუ უფროსი - „მამა“. „ამგვარი ახსნა-განმარტებისა და არსებული სტატისტიკური მასალის გათვალისწინების შედეგად კომლი ერთ შემთხვევაში წარმოგვიდგება ინდივიდუალურ ოჯახად, რომელსაც სათავეში ედგა ერთი მამაკაცი - ე.წ. „თავი“, მეორე შემთხვევაში კომლი იყო ისეთი სოციალური ერთეული, რომელშიც ირიცხებოდა ორი, სამი, ოთხი, ხუთი და, ზოგიერთ შემთხვევაში, ექვსი „თავი“. თუ „თავი“ ყველა ვარიანტში ოჯახის უფროსს ანუ ცოლ-შვილის (მამა-ქმარს) ნიშნავდა, მაშინ გამოდის, რომ რამდენიმე „თავის“ გამაერთიანებელი კომლი იყო რამდენიმე ოჯახის ერთობლიობა, კოლექტიური უჯრედი. მაშასადამე, თანამედროვე ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში მიღებული ტერმინოლოგიის მიხედვით, კომლი, რომელშიც მხოლოდ ერთი „თავი“ ირიცხებოდა, წარმოადგენდა ინდივიდუალურ ოჯახს, ხოლო კომლი, რომელშიც რამდენიმე „თავი“ ითვლებოდა, უნდა ყოფილიყო დიდი ოჯახი (საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა), რამდენადაც მის ფარგლებში შედიოდა რამდენიმე საქორწინო წყვილი თავისი შთამომავლობით“.⁸⁵

დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობის შესახებ გვიანფეოდალურ ხანაში დასტურდება მოსახლეობის აღწერის დავთრებში, სტატისტიკური მონაცემების კვალობაზე. ვ. ითონიშვილის თანახმად, „ცენტრალური კავკასიის მთიელთა ყოფაშიც XIX ს. ბოლომდე ადგილი ჰქონდა ორი ტიპის ოჯახის - ინდივიდუალური ანუ პატარა ოჯახისა და საოჯახო თემის ანუ დიდი ოჯახის თანაარსებობას, რომელთაგან დიდი ოჯახი საოჯახო თემის გადმონაშთურ სახეს ინარჩუნებდა და რომ ის ინდივიდუალურ ოჯახისაგან განსხვავებულ სოციალურ უჯრედს წარმოადგენდა“.⁸⁶

⁸⁵ ითონიშვილი ვ., კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1977, 14.

⁸⁶ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 12-13.

და ბოლოს, ქართული სამართლის ძეგლების, ისტორიული წყაროების, სტატისტიკური მონაცემების, ლიტერატურის, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ნათელია, რომ ადრეფეოდალური ხანიდან საქართველოში, საზოგადოების ძირითად უჯრედს დიდი ოჯახი წარმოადგენდა. თუმცა წარმოების კაპიტალისტურმა ურთიერთობის განვითარებამ, კერძო საკუთრების გაჩენამ გამოიწვია პატარა ინდივიდუალური ოჯახების წარმოქმნა, რაც დამახასიათებელი იყო არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ცენტრალური კავკასიის ხალხებისთვისაც.

მეორე თავი

დიდი ოჯახის წევრთა სტატუსი, მმართველობის ფორმა და სტრუქტურა

2.1. დიდი ოჯახის უფროსის ინსტიტუტი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მთასა თუ ბარში, XX საუკუნის დასაწყისამდე დიდი ოჯახი, იგივე საოჯახო თემი, რომელსაც პატრიარქალურ ოჯახსაც უწოდებდნენ, არსებობას განაგრძობდა პატარა ინდივიდუალური ოჯახის გვერდით. ასეთი ოჯახები ძირითადად განვითარებული იყო მიწათმოქმედების კუთხეებში: (ქართლი, კახეთი, რაჭა), ასევე მესაქონლეობის კუთხეებში (თუშეთი, ფშავი, ხევი, ქიზიყი) და მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის თანაბარი განვითარების კუთხეებში (მთის რაჭა, სვანეთი).⁸⁷ მათ შორის განსხვავება გამოიხატებოდა შრომის ორგანიზაციაში, მაგრამ საკუთრების ფორმა ყველგან ერთნაირი იყო. სწორედ ეს განსაზღვრავდა მათ მიკუთვნებას საოჯახო თემისადმი. მიუხედავად ამ საკითხით სხვადასხვა სფეროს მკვლევარების: ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, სოციოლოგების, ეთნოლოგების და იურისტების დაინტერესებისა, დიდი ოჯახის უფროსის ინსტიტუტი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ნაკლებად შესწავლილია.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისამდე საქართველოსა და კავკასიის მრავალ კუთხეში დიდი ოჯახების არსებობას ადასტურებს

⁸⁷ ბექია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი, მეცნიერება, 1980, 24.

არაერთი მკვლევარი.⁸⁸ პატარა ინდივიდუალურ ოჯახში ცხოვრობდა ერთი საქორწინო წყვილი და მათი მემკვიდრეები, ხოლო დიდ ოჯახში ანუ საოჯახო თემში, რომელიც წარმოადგენდა პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის დაშლის შედეგად წარმოშობილ სოციალურ უჯრედს - ძმებისა და ბიძაშვილების რამდენიმე თაობა, მათი ქონება საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, ერთობლივად შრომობდნენ, ქმნიდნენ და მოიხმარდნენ დოვლათს. ოჯახის საკუთრებაში იყო სახლ-კარი, შენობა-ნაგებობა, პირუტყვი, საოჯახო ნივთები, საბრძოლო და შრომის იარაღები. „მის შემორჩენას ფეოდალიზმის ეპოქაში და კაპიტალიზმის ადრეულ საფეხურზეც განაპირობებდა მეურნეობის ორგანიზაციის მოთხოვნები“.⁸⁹ გაბატონებული კლასი და სახელმწიფო მომხრე იყო დიდი ოჯახის ეკონომიკური სიძლიერის, ვიდრე პატარა ოჯახებად დაშლისა და გაყრის.

ს. მაკალათიას გადმოცემით, მთიულეთის სოფ. მაქართაში (გუდამაყარი), ყველაზე მრავალრიცხოვანი ვეფხია წიკლაურის (მერაბიანთ) ოჯახი იყო, სადაც 44 სული ერთად ცხოვრობდა „ეს დიდი ოჯახი მოთავსებულია ორ დიდ მთიულურ ტიპის ოჯახში, სადაც გამწკრივებულია მაზლ-რძლების ტახტ-ლოგინები თავიანთ სკივრებით და საოჯახო წვრილმანით“.⁹⁰ ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახები გავრცელებული იყო საქართველოსა და ცენტრალური კავკასიის ხალხებში. მაგ.: „მთიულეთ-გუდამაყარში დიდი ოჯახების შემადგენლობაზე სათანადო ცნობები მოგვეპოვება XIX საუკუნის წყაროებსა და ლიტერატურაში. ამ მხრივ პირველ რიგში საყურადღებოა 1831-32 წწ. კამერალური აღწერა, რომელშიაც ფიქსირებულია რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა გაუყრელად

⁸⁸ ბექია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი, მეცნიერება, 1980, 12.

⁸⁹ ბექია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი, მეცნიერება, 1980, 25.(მითითებულია: წიფწივაძე ი., დიდი ოჯახის უფროსის ინსტიტუტი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სამართალი და მსოფლიო, № 11, თბილისი, 2019. 75.)

⁹⁰ მაკალათია ს., მთიულეთი, ტფილისი, სახელგამი, 1930, 81.

ცხოვრების ფაქტები. აქ აღწერილ მრავალ ოჯახში ერთად მცხოვრები ძმების, ბიძაშვილებისა და მათი შთამომავლობის რიცხვი ოც სულამდე აღწევდა“.⁹¹

ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან ყველაზე ადრეული ცნობა გაუყრელად ცხოვრების შესახებ გვხვდება გიორგი ბრწყინვალეს სამართლის მეშვიდე მუხლში: „თუ ვინ ხევისბერის კაცის გაუყოფარი, მისსა სახლსა შიგან მოახლე, ერთ სახლის კაცი მოკლან: მამა, ბიძა, ბიძას ძე, ძმისწული, რა გინდა რა მისის გუარისა მისი მოახლე,⁹² სისხლად ესევე ექუსი ათასი თეთრი იყოს“...⁹³ ვინაიდან დიდი ოჯახი შედგებოდა სხვადასხვა თაობის მრავალი წევრისგან, ამიტომ დამკვიდრებული იყო წესად: უმცროსები პატივს სცემდნენ უფროსებს და ემორჩილებოდნენ მათ.⁹⁴ უძველესი კანონის ბატონიშვილის ვახტანგის სამართლის წიგნის მე-80 მუხლში ვკითხულობთ: *„იქნება მამას შვილი ერთიმეორეზე ან უღონობისათვის, ან სიავისათვის სძულდეს და სჩაგრავდეს და სხვა შვილს უფრო ჰკერძევდეს, მამა ნუ უზამს, არა კამს-უფროსი უფროსად იმყოფოს უმცროსი-უმცროსად“*.⁹⁵

ოჯახის წევრებს შორის ფუნქციები სქესის, ასაკისა და უნარის მიხედვით იზომებოდა. ყურადღება ექცეოდა ოჯახის წევრთა შრომისუნარიანობას. მას ხნით ყველაზე უფროსი მამაკაცი მართავდა.

⁹¹ ხარაძე რ., რობაქიძე ალ., მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი, მეცნიერება, 1965, 34-35.

⁹² „მოახლე-ახლოს მყოფი“ (ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა, ლექსიკონი, თბილისი, სახელგამი, 1949.) „ძეგლის დადების ლექსიკონში მოცემული განმარტებით, მოახლე ნიშნავს ახლო ნათესავს (დოლიძე ი., გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბილისი, 1957, 138). ეს ტერმინი ასეთივე მნიშვნელობითაა ნახმარი ძეგლის (9, 10, 17, 20, 43) ჩვენი ვარაუდით, მოახლე უნდა ნიშნავდეს მოსახლე-ს, ე.ი სახლის ოჯახის წევრს. (მითითებულია: ითონიშვილი ვ., ქართლის მთიელთა ყოფა ცხოვრებიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974, 8.)

⁹³ იქვე, 8.

⁹⁴ ხიზანიშვილი ნ., ძველი ქართული ოჯახი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბილისი, მეცნიერება, 1982, 153.

⁹⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი.დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 502.

დიდი ოჯახი სამი ტიპის არსებობდა: სამმო, საბიძაშვილო და სამამო ოჯახი.⁹⁶ კავკასიის სხვადასხვა ხალხებში სამამო ოჯახს დესპოტური ტიპის ოჯახად თვლიდნენ. მაგალითად, აზერბაიჯანული სამამო დიდი ოჯახი ამ უკანასკნელს მიეკუთვნებოდა, რადგან ოჯახის უფროსს შეეძლო ოჯახის ნებისმიერი წევრი ფიზიკურად დაესაჯა და სახლიდან უწილოდ გაეშვა, ოჯახის გაყრისას კი საოჯახო ქონებიდან ყველაზე მეტ წილს თავისთვის იტოვებდა.⁹⁷ საქართველოში მსგავსი უფლებებით სამამო დიდი ოჯახის უფროსი არ გვხვდება. იგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებამდე, როგორც იყო საოჯახო ქონების გასხვისება, ჩუქება და ა.შ. ოჯახის ყველა სრულწლოვან მამაკაცს ეთათბირებოდა და მათ აზრს ითვალისწინებდა, ის ოჯახშიც და საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროშიც იყენებდა თავის რჯულში დამკვიდრებულ ჩვეულებას და ადათს და ისე მოქმედებდა.

ფშავის ხევი დაყოფილი იყო 12 თემად, თითოეულ თემში შედიოდა ერთი სოფელი და რამდენიმე კომლად იყოფოდა. „კომლი შეადგენდა მრავალრიცხოვან ოჯახს, სადაც ერთ ჭერქვეშ რამდენიმე ძმათაშვილები ცხოვრობდნენ. ამ დიდი ოჯახის სათავეში ფშავში იდგა „ბერო“ (პაპა) და „ბებო“ (ბერდედა).⁹⁸ თუ ასაკის გამო მათ არ შესწევდათ უნარი ოჯახის გამძღოლის ამ საქმეს უფროს რძალ-მაზლს ანდობდნენ, რომელთაც „მოთაურის“ სახელით იცნობდნენ, ისინი აწესრიგებდნენ საოჯახო საკითხებს: ყიდვა-გაყიდვის, სესხის გაცემის, ქორწილის, მიცვალებულის ხარჯების და სხვა. ოჯახში ყველაფერი საერთო იყო ქალის სათავეს გარდა.⁹⁹ რ. ხარაძე, ნაშრომში იყენებს მ. მაჩაბლის ხელნაწერს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის საოჯახო ყოფის შესწავლიდან და აღნიშნავს, რომ დიდი ოჯახის

⁹⁶ აჩუგა თ., ტრადიციული აჭარული ოჯახისა და საოჯახო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის ძირითადი შედეგები, სდსყკ XIV, თბილისი, 1987, 54.

⁹⁷ იქვე, 77.

⁹⁸ მაკალათია ს., ფშავი, თბილისი, ნაკადული, 1985, 97.

⁹⁹ იქვე, 97.

უფროსი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვერ იღებდა, როგორც იყო საოჯახო ქონების გასხვისება. იგი იწვევდა ოჯახურ საბჭოს და უფროს წევრებთან ერთად აწარმოებდა მოლაპარაკებას ამ საკითხზე, რაზეც საჭირო იყო მათი თანხმობა, გადამწყვეტი ხმის უფლება ბოლოს მას ეძლეოდა. იგი ითვალისწინებდა ოჯახის ყველა წევრის ინტერესს, რაც გამორიცხავდა მისი მხრიდან დესპოტურ მმართველობას.¹⁰⁰

შუა საუკუნეების ხევში დიდ ოჯახებად ცხოვრებას, ინდივიდუალური ოჯახების გვერდით ადასტურებს ვ. ითონიშვილი¹⁰¹ „ხევში ოჯახს მართავდა ხნით უფროსი მამაკაცი, რომელსაც რამდენიმე სახელით მოიხსენიებდნენ: ოჯახის უფროსი, ოჯახის მაწარმოებელი, ჯალაბობის უფროსი, სახლის უფროსი, სახლის მაწაღმართებელი“.¹⁰² ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემთხვევაში, მის ადგილს იკავებდა გარდაცვლილის ხანდაზმული გონიერი ძმა ან უფროსი შვილი.¹⁰³ საოჯახო თათბირში გადაწყვეტილებას უფროსები იღებდნენ. ოჯახის უფროსი თუ უღირსობას გამოავლენდა, შესაძლებელი იყო იგი ღირსეულ უმცროსს შეეცვალა, რაც ოჯახის დემოკრატიულ მმართველობად შეიძლება მივიჩნიოთ.¹⁰⁴ მამის სიცოცხლეში ძმები გაყრას ერიდებოდნენ. გაყრისას უხუცესს ზედმეტ წილად ყანას აძლევდნენ, რომელსაც „გორის უფროსის ყანა“ ერქვა. მისი სიკვდილის შემდეგ ეს ყანა მომდევნო უფროსზე გადადიოდა და ა.შ. მოგვიანებით ეს წესი შეცვლილა, მშობლების სიკვდილის შემდეგ ქონება თანაბრად იყოფოდა, უფროს ძმას ზედმეტ წილად საქონლის ან საყანე მიწის ნაკვეთს აძლევდნენ თუ მას ძმების აღზრდაში წვლილი მიუძღვოდა.¹⁰⁵ უფროსი მამაკაცის სკამს ხევში „სამართო სკამი“ ერქვა.

¹⁰⁰ Харадзе Р., Грузинская семейная община, тбилиси., Т. 1, 1961, 50-51.

¹⁰¹ ითონიშვილი ვ., მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 21. *სიტყვა „ქორ“ სახლს, ოჯახს ნიშნავს, „მახვში“ კი უფროსს.

¹⁰² იქვე, 79.

¹⁰³ იქვე, 79.

¹⁰⁴ იქვე, 91.

¹⁰⁵ მერაბიშვილი ჯ., და მაკალათია ს., ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. I, თბილისი, მეცნიერება, 1988, 127.

სვანეთში დიდ ოჯახს ოჯახის უფროსი მამაკაცი „ქორა მახვში“ ხელმძღვანელობდა, რ. ხარაძე „ქორა მახვშის“ უფლებების შესახებ დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის, რომ ოჯახის უფროსს ასაკის გარდა, ჭკუა და მოხერხებაც უნდა ჰქონოდა, მარტო არ წყვეტდა ისეთ საკითხებს, რომელიც ეხებოდა ოჯახიდან სამშოს, სანათესაოს („სამხუფის“) გამოყოფას, ოჯახის დაშლას, ზედსიძის შემოყვანას, ოჯახის საერთო საკუთრებიდან რაიმე ნაწილის გაყიდვას, გაცემას და სხვა. იგი რჩევას ზოგჯერ ასეთ საკითხებზე „სამხუფ“-საც, იგივე სამშოს, სანათესაოს ეკითხებოდა.¹⁰⁶ ოჯახის უფროსი იყო ოჯახის წარმომადგენელი თემსა და სოფელში. რომელიც ითვალისწინებდა ოჯახის აზრს, მართავდა როგორც შინაურ, ისე გარე საქმეებს და იღებდა მონაწილეობას სათემო ყრილობაში. სვანეთში სათემო ყრილობა ეწყობოდა რამდენიმე სოფლის მცხოვრებთა საერთო მონაწილეობით, იქ დასწრება შეეძლოთ მამაკაცებს და ქალებს 20 წლის ასაკის ზევით, სათემო ყრილობა იქ ითვლებოდა სვანური იურიდიული წეს-წყობილების უზენაეს ინსტანციად.¹⁰⁷ „ყრილობას თავმჯდომარეობდა ყრილობის მიერვე ამორჩეული მახვში (მამასახლისი). მახვშის უფლებები შეზღუდული იყო საერთო ყრილობით, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას მახვშის წინადადების დამტკიცება თუ უარყოფა შეადგენდა. საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდა თავისი წევრის სიცოცხლეზეც კი: მას შეეძლო აეყარა ოჯახი, დაეწვა მისი სახლ-კარი, გაემევებინა ის საზოგადოებიდან და სიკვდილითაც დაესაჯა. სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო იმ შემთხვევაში, თუ მეთემე უღალატებდა თავის სოფელს, თემს. სათემო ყრილობა „აჰყრიდა მოსახლეს, გადასწვავდა მის სახლ-კარს, განდევნიდა საზოგადოებიდან და დასჯიდა სიკვდილით თუ რომ

¹⁰⁶ ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, 1939, 48.

¹⁰⁷ სვანი, ჩვეულებითი მართლმსაჯულება სვანეთში, გაზ. დროება, 1885, № 198. 14 სექტემბერი, (მითითებულია: ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები) თბილისი, უნივერსიტეტი, ტ. I, 1962, 38.

საზოგადოების რომელიმე წევრის საზოგადოების ვნება აღმოაჩნდებოდა“.¹⁰⁸

საოჯახო საქმის განხილვა ღამით ხდებოდა, ოჯახის შემადგენლობა ვახშმად კერიასთან შეიკრიბებოდა. „ქორა მახვში“ თავის საუფროსო სკამს, „საკურცხილს“ მიუჯდებოდა, ზოგჯერ ამ ადგილს საპატიო სტუმარს თუ დაუთმობდა. „ქორა მახვში“ პირველად იწყებდა ლაპარაკს საოჯახო საქმის განხილვისას. შინაურ თუ გარე უთანხმოებას თავად აწესრიგებდა. ის მიდიოდა სოფლისა და სამხუბ-ის შეკრებაზე. მის დაუკითხავად სანადიროდ და დიდ გზაზე ვერავინ წავიდოდა. „ქორა მახვში“ სამღვთოს ცოცხლად დალოცავდა, მერე დაკლულის ღვიძლს დალოცავდა და სალოცავში წაიღებდა ან შინ დაარიგებდა. ასევე ხდებოდა ნანადირევის ჭამის დროსაც, სანამ „ქორა მახვში“ არ დაილოცებოდა, მანამდე ნანადირევის ჭამა არავის შეეძლო. მთელ წლიურ მუშაობას მამაკაცთა შორის „ქორა მახვში“ გეგმავდა და მართავდა. ის ანაწილებდა სხვადასხვა სამუშაოებზე ოჯახის წევრებს და კერძოდ, მამაკაცებს“.¹⁰⁹ ოჯახის უფროსი თაობის მოსაზრებაზე უმცროს თაობას წინააღმდეგობა არ უნდა გაეწია და უნდა შეესრულებინა და გაეთვალისწიებინა მათი აზრი. ჩვეულების თანახმად, ოჯახის უფროსი დიდი პატივივისცემით და გავლენით სარგებლობდა „ამგვარ დიდ ოჯახს ტრადიციულად მოსდევდა წესი, ეცხოვრა შეთანხმებულად უფროს-უმცროსობის კვალობაზე და არ დაერღვია ეს ერთიანობა“.¹¹⁰

¹⁰⁸ სვანი, ჩვეულებითი მართლმსაჯულება სვანეთში, გაზ. დროება, 1885, № 198. 14 სექტემბერი, (მითითებულია: ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები) თბილისი, უნივერსიტეტი, ტ. I, 1962, 38.

¹⁰⁹ ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, 1938, 48.

¹¹⁰ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაცული ალექსი დავითიანის პირადი არქივი, სვანეთი, ეთნოგრაფიული, M2 № 6, რჩეული 6, 32. (მითითებულია: ონიანი ს. დიდი ოჯახის ინსტიტუტი სვანურ ჩვეულებით სამართალში, სამართლის და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები: ტ.2, თბილისი, 2012, 407.)

აჭარაში ოჯახის უფროსს „სახლის დიდს“ უწოდებდნენ, რომელიც დესპოტიზმით არ გამოირჩეოდა. მამას (ან ბაბუას), ახალგაზრდის საქციელის განსჯა შეეძლო, მაგრამ შვილის ან შვილიშვილის ფიზიკური შეურაცხყოფა და უწილოდ დატოვება - არა.¹¹¹ მ. ბექაიას განმარტებით აჭარაში „ოჯახის უფროსს „თავს“, „უმფოსს“ „დიდს“ ან თავბაშსაც უწოდებდნენ“.¹¹² ოჯახის წევრებთან ხანგრძლივი მწვავე კამათისას „ძველი“ კაცები ჩადგებოდნენ შუაში და საქმეს აგვარებდნენ ოჯახიდან უკმაყოფილო წევრის გამოყოფით - „გარიგებით“.¹¹³ აქაც დიდ პატივს სცემდნენ სახლობის მეთაურს, იგივე სახლის დიდს, რომელიც ასაკით ხშირად ყველაზე უფროსი იყო. საცხოვრებელი სახლის ცენტრალურ სამყოფ ოთახში, რომელსაც „საუფროსო ოდასაც“ უწოდებდნენ, ბუხართან ახლოს სექვზე (ტახტზე) საგანგებო ადგილი საუფროსო ადგილი - იყო გამოყოფილი. იგი ბუხრიდან მარჯვენა მხარეს მდებარეობდა, სადაც სახლის დიდის ოჯახში არყოფნის შემთხვევაშიც კი ვერ დაჯდებოდა ვერავინ“.¹¹⁴ „ბუხართან, სექვზე, გარდა საუფროსო ადგილისა, ოჯახის დანარჩენ წევრებსაც თავ-თავისი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი. კერძოდ ოჯახის უფროსიდან ხელმარცხნივ მამაკაცები სხდებოდნენ ასაკის მიხედვით, იმგვარად, რომ რაც უფრო ხანდაზმული იყო პიროვნება, მით უფრო კერასთან ახლოს უწევდა ჯდომა. ბუხრიდან მარჯვენა მხარეს გამართულ ტახტზე ძირითადად მამაკაცები სხდებოდნენ, ამიტომ მას საკაცებო სკამი ერქვა, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს მოთავსებულ სექვს - საქალეზო. ქალებიც უფროსუმცროსობის მიხედვით სხდებოდნენ. აქაც ბუხართან ყველაზე ახლოს ყველაზე ხანდაზმული ქალი ჯდებოდა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალებისა და მამაკაცების ბუხართან ამგვარად, ერთდროული დასხდომა ნხოლოდ

¹¹¹ აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, მეცნიერება, 1990, 91.

¹¹² ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, საბჭოთა აჭარა, 1974, 24.

¹¹³ იქვე, 24.

¹¹⁴ აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, მეცნიერება, 1990, 91.

ზამთრის პერიოდში, საოჯახო თათბირის ან საგანგებო მოვლენასთან დაკავშირებით თავყრილობის დროს ხდებოდა“.¹¹⁵ „ოჯახის უფროსისა და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა ურთიერთობის საკითხის განხილვისას ყურადღება ექცეოდა იმას, ოჯახი სამამო იყო თუ სამძო. პირველ შემთხვევაში მამას (ან ბაბუას), როგორც სახლის დიდს, მეტი უფლებები ჰქონდა და ახალგაზრდის საქციელის განსჯა უშუალოდ მის მოვალეობას შეადგენდა. მაგრამ აქაც შვილის ან შვილიშვილის ფიზიკური შეურაცხყოფა ან მის მიმართ სხვა სახის უხეში ზომების მიღება ძირითადად მაინც გამორიცხული იყო, მას ურჩი ახალგაზრდის უწილოდ დატოვება, მისი სახლიდან გაგდება არ შეეძლო, რაც, როგორც აღინიშნა, აჭარული დიდი ოჯახის სოლიდარობის დამადასტურებელია. ასე რომ, ოჯახის წინამძღოლი სახლობის ყველა წევრის საერთო სურვილიდან გამოდიოდა და ძირითადად მაინც სიტყვიერი შეურაცხყოფით კმაყოფილდებოდა, ან, უკანასკნელ შემთხვევაში, ოჯახის საერთო შეთანხმების საფუძველზე, კუთვნილ წილს მისცემდა და ცალკე დაასახლებდა მას“.¹¹⁶ „საოჯახო ბიუჯეტსაც ოჯახის უფროსი განაგებდა. ოჯახის ყოველი წევრის მიერ შექმნილი შემოსავალი, შინ თუ გარე სამუშაოებზე, მთლიანად შედიოდა საერთო ფონდში“.¹¹⁷

ძველი თუშური ოჯახიც მრავალრიცხოვანი იყო. „ერთ ჭერქვეშ რამდენიმე ძმათაშვილები ცხოვრობდნენ. ამ დიდი ოჯახის უფროსად უხუსესი მამაკაცი-„ბერო“ და უფროსი დიასახლისი „ბერდედა“ ითვლებოდა“.¹¹⁸ აფხაზებში, XVIII-XIX საუკუნეებსა და XX საუკუნის დასაწყისში, ინდივიდუალური ოჯახის გვერდით, გაბატონებული იყო პატრიარქალური დიდი ოჯახი, რომელიც აგნატური ნათესაობის პრინციპს ემყარებოდა, რომელსაც საერთო საკუთრების ფორმა, და

¹¹⁵ აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, მეცნიერება, 1990, 92-93.

¹¹⁶ იქვე, 93.

¹¹⁷ ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, საბჭოთა აჭარა, 1974, 24.

¹¹⁸ მაკალათია ს., თუშეთი, თბილისი, ნაკადული, 1983, 44.

კოლექტიური შრომის მოხმარების წესი ჰქონდა „მისი წინამძღოლი „ათაჰმადა ადჰაბ“ ანუ უხუცესი „თამადა“ იყო. დიდი ოჯახის „ათააცა დუ“ სახელწოდება იმ ფორმაზე მიუთითებდა, რომელშიაც გაუყრელი ძმებისა და ძმათასშვილების რამდენიმე თაობა იყრიდა თავს“. ¹¹⁹ მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის უფროსი ქონების მესაკუთრე იყო, არ შეეძლო შვილების უმემკვიდრეოდ დატოვება. „რადგან „უხუცესთა საბჭო“ მას ამისათვის პასუხს მოსთხოვდა. ე.ი არც ცოლზე და არც შვილებზე მამას შეუზღუდავი ძალა-უფლება არ გააჩნდა, მაგრამ ცოლიც და შვილებიც ვალდებული იყვნენ, ყველა შემთხვევაში, მისი აზრი გაეთვალისწინებინათ“. ¹²⁰ ოჯახის უხუცესის სიცოცხლეში ქონების განაწილება არ ხდებოდა, XIX საუკუნის ბოლოსთვის, უხუცესის გარდაცვალების შემდეგ „დიდი ოჯახის დიფერენციაციას და ამით კერძო მესაკუთრული ტენდენციების გაზრდას ჩაეყარა საფუძველი“. ¹²¹

ქიზიყშიც დიდი ოჯახის ფუნქციები „სქესის, ასაკის და უნარის მიხედვით იყო განაწილებული. მის სათავეში იდგა უფროსი მამაკაცი, კომლის მეთაური, თავკაცი ან როგორც მას ზოგიერთ სოფელში უწოდებდნენ - „მოთაური“ და „სახლის დიდი“. ¹²² იგი აწესრიგებდა როგორც საოჯახო საკითხებს, ასევე აქტიურად იყო ჩართული სოფლის მართვაშიც, იღებდა მონაწილეობას სოფლის ყრილობაზე, სადაც ჰქონდა ხმის მიცემის უფლება. მათგან ღირსეულ პიროვნებას ირჩევდნენ სოფლის მამასახლისად, მოსამართლედ თუ სხვა თანამდებობის პირად. ¹²³

მ. კოსვენის განმარტებით, სამამო ოჯახი პირველყოფილი დიდი ოჯახის გადმონაშთურ სახეს წარმოადგენდა კლასობრივ

¹¹⁹ ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი, თბილისი, 2014, 80.

¹²⁰ იქვე, 83.

¹²¹ იქვე, 84.

¹²² ბოსტოლანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში (ქიზიყის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით XIX საუკუნის II ნახევარში, თბილისი, უნივერსიტეტი, 2004, 34.

¹²³ იქვე, 35.

საზოგადოებაში. ასეთი დიდი ოჯახები აღნიშნულ პერიოდში არსებობდა როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ისე კავკასიის სხვა ხალხებში: ოსებში, აფხაზებში, ბალყარელებში, ინგუშებში, ურუმებში და სხვა.¹²⁴

ცენტრალური კავკასიის მთიელთა ყოფაშიც XIX ს ბოლომდე არსებობდა ორი ტიპის ოჯახი: ინდივიდუალური ანუ პატარა ოჯახი და საოჯახო თემი ანუ დიდი ოჯახი. „ჩაჩნეთ-ინგუშების დიდი ოჯახის მმართველობა სქესისა და ასაკის მიხედვით ხდებოდა, ხოლო შრომის ორგანიზაცია კოლექტიურ პრინციპს ემყარებოდა“.¹²⁵ „ამ ისტორიულად არსებულ ჩვეულებას ხალხი მისი მოსპობის საფეხურზეც კი თაყვანს სცემდა. გაუყრელად ცხოვრების ტრადიციისადმი ასეთ დამოკიდებულებაზე უნდა მიგვითითებდეს ის გარემოება, რომ მრავალრიცხოვანი ოჯახის წარმომადგენელი თავისი ოჯახის სიდიდითა და მამაკაცთა სიმრავლით ამაყოფიდა და საზოგადოებაში ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა“.¹²⁶

ოჯახს, რომელშიც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა, ინგუშურად ეწოდებოდა: ბოჰჰ დიეძალ (დიდი ოჯახი), ხოლო ჩაჩნურად ბოჰჰ დიეზალ (დიდი ოჯახი).¹²⁷ XX ს-მდე ჩაჩნური საზოგადოებისათვის ძალიან დიდხანს ტრადიციას არ კარგავდა სიხლის აღება. ჩაჩნური ჩვეულებით, ხალხი ყოველგვარ წყენას და დანაშაულს სასამართლოს მეშვეობით არ აგვარებდა. მათი ადათით მოკლულის ნათესავი შურს იძიებდა მკვლელზე და მისი გვარის წევრებზე, სისხლის აღება ჩვეულებრივი მოვლენა და მოვალეობა იყო გვარის ყველა წევრისთვის.¹²⁸ ოჯახს უფროსი წენდა ედგა სათავეში, დიასახლისი წენანა ერქვა. წენდა ოჯახის ეკონომიურ წარმოებას ხელმძღვანელობდა. ქონების გაყიდვა და იჯარით გაცემა ოჯახის

¹²⁴ ითონიშვილი ვ., მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 30.

¹²⁵ იქვე, 20.

¹²⁶ იქვე, 32.

¹²⁷ იქვე, 36.

¹²⁸ ითონიშვილი ვ., მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 80.

სრულწლოვან წევრებთან შეთანხმების შემდეგ შეეძლო. ოჯახის შემოსავალს ის იხარებდა. ოჯახის უფროსის გადაყენება არ ხდებოდა, უთანხმოების შემთხვევაში უნდა მოეთხოვათ ოჯახის წევრებს გაყრა. მამის გარდაცვალების შემდეგ უფროსი ვაჟი ინიშნებოდა მის ადგილას. თუ შვილი არასრულწლოვანი იყო, ოჯახს მეუღლე უძღვებოდა. მამის დაუძლურების შემთხვევაშიც ხდებოდა შვილის მიერ ოჯახის მეურნეობის გაძღოლა და ოჯახის სათავეში დადგომა.¹²⁹

ინგუშები, რომლებიც ჩაჩნების მონათესავენი არიან, XIX საუკუნესა და XX ს-ის დასაწყისში ძირითადად მისდევდნენ მთაში მესაქონლეობას, ხოლო ბარში - მიწათმოქმედებას. „ამ პერიოდში შემორჩენილი იყო დიდი ოჯახი, პატრონომია, ლევირატი, მრავალცოლიანობა. დიდი ოჯახები უფრო მეტი რაოდენობით მთაში არსებობდა“.¹³⁰ ინგუშურ საოჯახო თემშიც ოჯახის მეთაურს ასაკით უფროსი მამაკაცი წარმოადგენდა, რომელსაც გონებაც უნდა ჰქონოდა, თუ არადა ოჯახის მართვას ხნით უმცროსს ანდობდნენ. ყველა მნიშვნელოვან საოჯახო საქმეზე უხუცესს ეთათბირობდნენ. „ოჯახის უფროსის დასტურით ხდებოდა მუშაობის დაწყება და დამთავრება, საქონლის გაცვლა-გამოცვლა თუ ყიდვა-გაყიდვა, მეზობლებთან ურთიერთობა, ქორწინება, მოსისხლესთან შერიგება და ა. შ. ერთი სიტყვით, ის იყო ოჯახის ნამდვილი მესაჭე, მაგრამ ყველაფერი ეს კეთდებოდა ოჯახის სრულწლოვან წევრებთან შეთანხმებით. ოჯახის უფროსი, როგორც ამორჩეული პირი, თვითნებურად არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა. ეს გარემოებაც იმაზე მიგვითითებს, რომ ინგუშური საოჯახო თემისათვის ნიშანდობლივი იყო სოლიდარული მართველობის პრინციპი“.¹³¹

ჩაჩნეთ-ინგუშების მეზობელი ნახების საოჯახო ურთიერთობაშიც უპირატესობა ექცეოდა ადამიანის სქესს და ასაკს, ჩვეულებისამებრ

¹²⁹ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, 62.

¹³⁰ თოფჩიშვილი რ. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, მეცნიერება, 2007, 60.

¹³¹ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 66.

მაღალი უფლებების მქონე პირად ითვლებოდა ხანდაზმული მამაკაცი. „ეს ტრადიცია მთაში ისევე დიდხანს შემოინახა, როგორც თემური წყობილების გადმონაშთი“.¹³²

ქისტის დიდ ოჯახს მართავდა ოჯახის უხუცესი მამაკაცი. მისი ხელმძღვანელობით მუშაობდნენ მინდვრად, უვლიდნენ საქონელს, მისდევდნენ ვაჭრობას. ის იყო წარმომადგენელი ოჯახის სახელით სოფლის საზოგადოებაში. მისი გარდაცვალების შემდეგ მის ადგილს იკავებდა უფროსი ძმა.¹³³ ისევე, როგორც სხვა კავკასიელი მთიელებისა, პანკისელ ქისტთა საოჯახო ურთიერთობაშიც დიდ პატივის სცემდნენ უფროსს, აქაც საპატიო მდგომარეობის ატრიბუტს ჩუქურთმით დამშვენებული ზურგიანი სავარძელი წარმოადგენდა, სადაც ჯდებოდა უხუცესი კაცი, რაც ჩაჩნებისა და ინგუშების წეს-ჩვეულებებს ჰგავდა. მაგრამ, განსხვავებით ნახების მამაკაპური მთიელი ქართველების ჩვეულებისგან, საყურადღებოა საუფროსო სკამზე ჯდომის უფლება. მოხუცის სხვაგან წასვლის შემთხვევაში სკამზე დაჯდომა არა თუ კაცებს, არამედ ქალებსაც არ ეკრძალებოდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში ქისტების საოჯახო ყოფა შეიცვალა, საოჯახო თემი მოისპო და ოჯახის მმართველობის სისტემაშიც ასაკობრივ პრინციპს ბზარი გაუჩნდა. მიუხედავად ამისა, უხუცესი კაცი დარჩა ტრადიციის მედროშედ და ასეთი მდგომარეობის კაცს ვერ შეჰკადრებდნენ იმ სკამის წართმევას, რომელიც ითვლებოდა მამაკაპური ტრადიციების სიწმინდედ.¹³⁴

XIX საუკუნესა და XX ს-ის დასაწყისში ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის მთიანეთში გადმონაშთული ფორმით არსებობდა საოჯახო თემი, რომელიც შედგებოდა რამდენიმე თაობისა და რამდენიმე ათეული სულის მომცველ ერთეულისგან. ოსებში, როგორც მაქსიმ კოვალევსკი გადმოგვცემს, „ოჯახის საერთო ხელმძღვანელობას

¹³² ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 61.

¹³³ იქვე, 72-73.

¹³⁴ იქვე, 73.

ეწეოდა უხუცესი მამაკაცი. ოჯახის უფროსი ითვლებოდა რა ოჯახის წარმომადგენლად, ყველა საკითხი მისი თაოსნობით წყდებოდა. მისგან დამოუკიდებლად არ შეიძლებოდა არც ყიდვა-გაყიდვა, არც ხელშეკრულების გაფორმება, არც სამუშაოს ორგანიზაცია, მაგრამ ყოველივე ეს კეთდებოდა ოჯახის სრულწლოვან მამაკაცებთან შეთანხმებით. ერთპიროვნული მმართველობის წესი ოსური საოჯახო თემისთვის არ იყო დამახასიათებელი“.¹³⁵ ოჯახის უფროსი ოჯახის წევრებთან შეთანხმების შემდეგ წყვეტდა მნიშვნელოვანი საკითხებს, მისი ავტორიტეტი რომ არ შელახულიყო.¹³⁶

2.2. ოჯახის მამის უფლებები ქართული სამართლის ძეგლებში

ადრინდელ საკანონმდებლო ძეგლებში სამართლის ცალკეული დარგები ერთმანეთისგან მკვეთრად არ იყო გამიჯნული, სადავო საოჯახო საკითხები მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებთან ერთად იყო არეული. კანონმა და ადათობრივმა ნორმებმა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლასთან ერთად დიდი გარდასახვა განიცადა, რაც დროთა განმავლობაში აისახა წარსულში დამკვიდრებულ საოჯახო ჩვეულებებზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ოჯახის უფროსი იყენებდა თავის რჯულში დამკვიდრებულ წესებს, ამ ინსტიტუტმა ბევრი საერთო

¹³⁵ Ковалевский М., Поземельное и сословные отношения у горцев Северного Кавказа, Русская мысль, кн. XII, 1883., ст. 140. მისივე Ковалевский М.М. Современный обычай и древний закон. Обычное право осетин в историко-сравнительном освещении. – М.1886. ст. 99-102,146, 153-154, 159, 165; ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 247-248; (მითითებულია: ბოსტოლანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში ქიზიყის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით XIX საუკუნის II ნახევარში, თბილისი, უნივერსიტეტი, 2004, 38.)

¹³⁶ Кокиев С., Записки о быте осетин, СМЭ, I, Москва, 1885, стр. 75 (მითითებულია: ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 247.)

მსგავსება დაგვანახა, რაც ამ ტიპის ოჯახისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად შეიძლება ჩავთვალოთ.

ნ. ხიზანიშვილი გადმოგვცემს, რომ უძველეს კანონებში, ძეგლისდებასა და აღბუღას სამართალში, იკვეთება ოჯახის მამის განუსაზღვრელი უფლებები „მათში ოჯახის მამა თითქმის სრული პატრონია, სრული ბატონი, ცოლი არ წარმოადგენს თავისუფალ ზნეობრივ არსებას; მას მეტად მცირე და მკრთალი უფლება აქვს“. ძეგლისდების მიხედვით ოჯახის მამის უფლებები უფრო რბილია, ვიდრე რომაელების ოჯახის მამისა (pater familias), რომელიც თავს ცოლის და ქონების მესაკუთრედ თვლიდა და არა წევრთა კავშირის.¹³⁷ „შვილიც, რომაელების ძველი უფლების შეხედულებით, მამის საკუთრება იყო, მოკლებული ყოველგვარ თავისუფლებას ზნეობრივ ღირსებას. არც ერთი და არც მეორე უკიდურესობა ძეგლისდებამ არ იცის“.¹³⁸ „*კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალოდ, და მისი შეუცოდარი იყოს და გაეყაროს, ესეთსა ნახევარი სისხლი დაუურვოს მის დიაცის გუარსა ზედა*“.¹³⁹ (მუხ.21)

ძეგლისდების მიხედვით, რომთან შედარებით (patria potestas) შვილის უფლებები არ იყო შეზღუდული, შვილი არ არის მამის საკუთრება, შვილს უფლება ჰქონდა, თუ მამა დაუბერდებოდა და ბატონის სამსახური არ შეეძლო, მამისთვის არა მხოლოდ ნაყიდი მამული ჩამოერთმია, არამედ თავისი საკუთარი მეურნეობაც გაეჩინა, თუმცა ამ შემთხვევაში მამის ნებართვა იყო საჭირო. აღნიშნულით ჩანს, რომ ძეგლისდების მიხედვით ოჯახის მამას დიდი ძალა ჰქონდა, მაგრამ ოჯახის წევრების უფლებებსა და პიროვნული ღირსებებს ვერ

¹³⁷ ხიზანიშვილი ნ., ძველი ქართული ოჯახი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბილისი, მეცნიერება, 1982, 147.

¹³⁸ იქვე, 147.

¹³⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული, (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი.დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 411.

თრგუნავდა“.¹⁴⁰ „თუ მამა დაუბერდეს და შვილი მოსწიფოდეს, და მამას სამსახური არ შეეძლოს, უპრიანია ერთგან ყოფნა; და თუ რადმე ვერ იქნებოდენ და ნასყიდი ეყოფოდეს, მამამ ნასყიდი დაიჭიროს და შვილმან მამულით გუმსახუროს; და თუ მამას ნასყიდი არ ეყოფოდეს, მამულისაგანც დაიზიაროს. და შვილთან ნების მყოფელი იყოს, ნასყიდიც შვილს დაუგდოს“.¹⁴¹

აღბუდას სამართალშიც ქმარს არ შეეძლო სრული დამონება ცოლის და ქონებრივ უფლებებსაც ვერ ართმევდა, „დაიცა თუ ღმერთი შერისხდეს, დაქვრივდეს და შვილი არ ედგას, მისი ზითევი თანა გაყვეს დაუკლებლად. და თუ დიაცი მოკვდეს, [ზითევი} მისა სამშობლოსა მართებს, აგრევე დაუკლებლად“(მუხ.81)¹⁴². თუ „შვილოსანი დაქვრივდეს, აბჯარი შვილთა მართებს, სასაქონლო-დაიცა, სადა გინდა იყოს, ანუ ქმარი შეირთოს, ანუ თავისწინა სადმე იყოს“.¹⁴³

მამასა და შვილს შორის უფროს-უმცროსობისა და ერთმანეთის პატივისცემის შესახებაც აღწერილია ბატონისშვილის ვახტანგის სამართალის მე-80 მუხლში: „იქნება მამას შვილი ერთიმეორეზე ან უღონობისათვის, ან სიავისათვის სძულდეს და სჩაგრავდეს და სხვა შვილს უფრო ჰკერძევდეს, მამა ნუ უზამს, არა ჯამს-უფროსი უფროსად იმყოფოს უმცროსი-უმცროსად“.¹⁴⁴ სამოქალაქო სჯულვილების მბ-ე [42]-ე მუხლით იკვეთება მამის მიმართ პატივისცემის მოვალეობა: „ყოველთ შვილთ მოვალეობა აქუთ, რომე თავიანთი მშობელნი

¹⁴⁰ ხიზანიშვილი ნ., ძველი ქართული ოჯახი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბილისი, მეცნიერება, 1982, 148. (ძეგლის დება მუხ. ივ).

¹⁴¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული,(ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი.დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 409.

¹⁴² იქვე, 456.

¹⁴³ იქვე, 457.

¹⁴⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული,(ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი.დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 502.

პატივით და კარგათ შეინახონ და მათნი მორჩილნი იყუნენ მათ სიკუდილამდე“.¹⁴⁵

ვახტანგის სამართლისგან განსხვავებით, ბაგრატ კურაპალატის სამართალში თუმცა არ არის ისე დაწვრილებით აღწერილი იერარქიული დამოკიდებულება ოჯახის წევრთა შორის, მაგრამ იქაც იკვეთება ოჯახის უხუცესის მეტი უფლებები, ვიდრე სხვების. „თუ დიდებულნი გაიყარნენ ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ აიღონ და სხუად შუა გაიყონ. და მონაგებიცა ასრე გაიყონ.“ (მუხ.154)¹⁴⁶; „თუ გლებნი გაიყარნენ უხუცესსა ძმასა ანუ თავი სახლი, ანუ ერთი ვენაჳი ანუ უფროსნი ჭურნი-საუხუცესოდ; სხუად შუა გაიყონ“ (მუხ.155)¹⁴⁷.

ამდენად, ქართული სამართლის მეგლების განხილვით გამოვავლინეთ დიდ ოჯახში უფროსი მამის ღმობიერი და კეთილი დამოკიდებულება შვილისა და ცოლის მიმართ, განსხვავებით ძველი რომაელების ოჯახის მამისგან (pater familias), რომელიც გამოირჩეოდა გაცილებით მეტი სიმკაცრითა და უსამართლობით.

2.3. დიდი ოჯახის უფროსი ქალი

სადავო არ არის, რომ საქართველოში დიდმა ოჯახებმა XX საუკუნის დასაწყისამდე მოაღწია,¹⁴⁸ რომელსაც ოჯახის უფროსი მამაკაცი მართავდა სქესის, ასაკის და უნარის მიხედვით: ბაბუა, მამა ან უფროსი ძმა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან

¹⁴⁵ ფურცელამე დ., სამოქალაქო სჯულვილება, წ. II, ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები გამოსცა 1967, 186.

¹⁴⁶ ქართული სამართლის მეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული, (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 469

¹⁴⁷ იქვე, 469.

¹⁴⁸ მაგალითისთვის იხ: ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, 10; ითონიშვილი ვ., ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974, 17; აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა) თბილისი, მეცნიერება, 1990, 14 და სხვ. (მითითებულია: მათიშვილი მ., ოჯახის უფროსის ხელისუფლების ჩვეულებით სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს დიდ ოჯახებში, სამართლის ჟურნალი #1, 2011, 105.)

უუნარობის გამო ოჯახის უფროსობას მამრობითი სქესის მემკვიდრეები აგრძელებდნენ, თუმცა ამ წესიდან იყო გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც უხუცეს ქალს ირჩევდნენ დიდი ოჯახის უფროსად, რომელიც წარმოადგენდა არა როგორც ოჯახის უფროსის მეუღლესა და დიასახლისს, რომელსაც ევალეობდა ოჯახში მხოლოდ საქალებო საქმეების მართვა-გამგეობა, არამედ მას ოჯახის უფროსობასაც ანდობდნენ.

რუსუდან ხარაძის გადმოცემით, სვანეთში იყო შემთხვევები, როდესაც ქალი, მეტი სიმამაცისა და გონიერების გამო, ქმრის სიცოცხლეშივე და ზოგჯერ ვაჟკაცი შვილის ყოლის დროსაც, ოჯახის უფროსი ხდებოდა და ამ ოჯახსაც მისივე სახელს არქმევდნენ.¹⁴⁹ ამ რეალობაზე სვანური ანდაზაც მიგვანიშნებს „ღვაჟმარ ესერ ჯიამშდებლის ი ლიფუსდ ზუროლარს ოთბინახ“ - „მამაკაცები ამოწყდნენ და უფროსობა ქალებს დაუწყიათო“,¹⁵⁰ ამ მდგომარეობას რუსუდან ხარაძე საგულისხმოდ მიიჩნევს და განმარტავს „და თუ ამ შემთხვევაში ძნელია დედათა უფლებების რაიმე გარკვეულ გარდმონაშთზე ლაპარაკი, ყოველ შემთხვევაში ნათელია ის, რომ არც განვითარებული პატრიარქალური ოჯახის მმართველობასთან გვაქვს საქმე, სადაც ოჯახის სათავეში ქალის დაყენებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა“.¹⁵¹

ოჯახის უფროსად ქალის გამოყოფას ხევში ვალერიან ითონიშვილიც მიუღებლად მიიჩნევს. მისი აზრით, ოჯახში, სადაც ცხოვრობდა რამდენიმე მამაკაცი, ქალის უფროსად არჩევა მიუღებელი იყო. მას ამ მოვალეობის შესრულება შეეძლო უკაცოდ დარჩენილ ინდივიდუალურ ოჯახში.¹⁵² მიუხედავად ასეთი მოსაზრებებისა,

¹⁴⁹ Харадзе Р., Грузинская семейная община, тбилиси, 1961 г. Т. 1, 1960, 182.

¹⁵⁰ კორძია ა., „ლაპრაკლარი“, (სვანური ანდაზები), „სომა პრეს-1,“ თბილისი, სომა პრეს, 2000, 226.

¹⁵¹ ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემია, 1939, 49-50.

¹⁵² ითონიშვილი ვ., მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970. 81.

ეთნოგრაფიულ კვლევებში დიდ ოჯახში ქალის უფროსობის შემთხვევები ცალკეულ შემთხვევებში მაინც გვხვდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.¹⁵³ მაგალითად, „საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ბერძნულ დიდ ოჯახებშიც ცნობილია ქალის უფროსობის წესი. ბერძნულ ოჯახს, მართალია, ტრადიციულად ედგა ასაკით უფროსი მამაკაცი, ხშირად მამა ან უფროსი ვაჟიშვილი, მაგრამ ამის პარალელურად დიდი ოჯახის მეთაური შეიძლება ყოფილიყო დედა“.¹⁵⁴ ქალის მმართველობა დასტურდება ასევე ლაზთა¹⁵⁵ და ბალყარულ დიდ ოჯახებში.¹⁵⁶

გ. მამარდაშვილის გადმოცემით ლეჩხუმში, ოყურეშელი უგრეხელიძეების ოთხ თაობიან ოჯახში, სადაც ექვსი ქალისა და ბავშვების გარდა ოთხი სრულწლოვანი მამაკაცი ცხოვრობდა, ოჯახის უფროსის მოვალეობას მაინც დიდ ბებიად ანუ პეპერად წოდებული ნინო სვანიძე ასრულებდა.¹⁵⁷ ქალის მმართველობას გურიაში ადასტურებს, მაგრამ მიუღებლად მიიჩნევს გულნარა ცეცხლაძე.¹⁵⁸

ქალი ოჯახის უფროსად გვხვდება აჭარაშიც. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით რევოლუციამდე აჭარულ ოჯახში ისევე, როგორც კავკასიელ და ბევრ სხვა ხალხში, მოქმედებდა განრიდების წესები მამამთილსა და რძალს შორის, უფროს მაზლსა და რძალს შორის. ამის გამო ოჯახის წინამძღოლად ერთად ვერ ვხვდებით მამამთილსა და რძალს, სამაგიეროდ ოჯახის მეთაურად ირჩევდნენ დედა-შვილს ან უმცროს მაზლს და რძალს. განრიდება

¹⁵³ მათიაშვილი მ., ოჯახის უფროსის ხელისუფლების ჩვეულებით სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს დიდი ოჯახებში, სამართლის ჟურნალი №1, 2011, 109.

¹⁵⁴ დემუროვა ლ., ქალის მდგომარეობა რევოლუციამდე ბერძნულ ოჯახში (აჭარის სავლე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), სდსყკ, VII, თბილისი, 1987, 66.

¹⁵⁵ ვალიში გ., ლაზთა საოჯახო ყოფის ისტორიიდან, სდსყკ, VII, თბილისი, 1979, 79.

¹⁵⁶ ითონიშვილი ვ., კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა, ისტორიოგრაფიული ნარკვევი, თბილისი, მეცნიერება, 1977, 128.

¹⁵⁷ მამარდაშვილი გ., საოჯახო რწმენა-წარმოდგენები ლეჩხუმის მოსახლეობაში, თბილისი, უნივერსალი, 2006, 15-16.

¹⁵⁸ ცეცხლაძე გ., ოჯახის მმართველობის სისტემა გურიაში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), ისტორიულ ეთნოგრაფიული შტუდიები III, ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1988, 97;

უკავშირდებოდა ქმრის ოჯახში ახალი, უცხო, არასისხლით ნათესავის შესვლას. ამ წესის მიხედვით ახალგაზრდა ქალები მორიდებით და მოკრძალებით უნდა მოქცეოდნენ უფროსი თაობის მამაკაცებს და ქალებს, ასევე ქმრის ნათესავებს. აჭარაში ოჯახის წინამძღოლად ქალის არჩევას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პატრონომიური ნეგრო ყოფილი დიდი ოჯახის უფროსი ქალის სახელს ატარებდა.¹⁵⁹ აღსანიშნავია რომ „მმართველს საქართველოში უვადოთ - სიკვდილამდე - ირჩევდნენ განსხვავებით სერბიული და ხორვატიული დიდი ოჯახებისა, სადაც მეთაურის ერთი წლის ვადით არჩევას იცნობდნენ“.¹⁶⁰ უმცროს-უფროსობის ინსტიტუტი მოკრძალებასა და პატივისცემას მოითხოვდა და ამდენად განრიდების, იგივე მორიდების წესები ამ ჩვეულებიდან იღებდა სათავეს.

გ. ცეცხლამის გადმოცემით, გურიაში „უფროსი მამაკაცის გარდაცვალების შემდეგ, ზოგჯერ დედა ხდებოდა ოჯახის უფროსი, რომელიც დამხმარედ ნიშნავდა უფროს სრულწლოვან ვაჟს და მას ანდობდა ოჯახის სამამაკაცო საქმეს“.¹⁶¹

ამდენად, საქართველოს დიდ ოჯახებში ქალის მმართველობა ცალკეულ შემთხვევებში უცხო არ ყოფილა მიუხედავად იმისა, იყო თუ არა მის ოჯახში სხვა სრულწლოვანი მამაკაცი. რ. ხარაძის მოსაზრებით, „ზემოთ აღნიშნული გარემოება ოჯახის ფორმათა განვითარების გარკვეულ გარდამავლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, როცა ოჯახის მართვა მამაკაცის ხელშია და ცალკეულ შემთხვევაში მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა მიერ

¹⁵⁹ აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, მეცნიერება, 1990, 79.

¹⁶⁰ Косвен М. О., Семейная община и патронимия. Академия наук, 1963., 51, (მითითებულია: მათიაშვილი მ., ოჯახის უფროსის ხელისუფლების ჩვეულებით სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს დიდი ოჯახებში, სამართლის ჟურნალი №1, 2011, 109.

¹⁶¹ ცეცხლაძე გ., ოჯახის წევრთა ქცევისა და ურთერთდამოკიდებულების ნორმები (გურიის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXIII, თბილისი, მეცნიერება, 1987. 71.

მათი შეცვლა ჯერ კიდევ შესაძლებელია“.¹⁶² რასაც ჩვენც ვეთანხმებით.

2.4. დიდი ოჯახის დიასახლისი

საარქივო მონაცემებით და ეთნოგრაფიული მასალებით ფიქსირდება, რომ დიდი ოჯახი წარმოადგენდა არა გვიანდელსა და კაპიტალისტურ ფორმას, არამედ საოჯახო თემის გადმონაშთს.¹⁶³ საქართველოს კუთხეებში-იმერეთში,¹⁶⁴ რაჭაში,¹⁶⁵ სვანეთში,¹⁶⁶ მთიულეთ-გუდამაყარში,¹⁶⁷ ხევში,¹⁶⁸ აჭარაში,¹⁶⁹ აფხაზეთში,¹⁷⁰ გურიაში შემონახული იყო დიდი ოჯახის მმართველობაში ორი პირის - მამაკაცისა და დედაკაცის დაყოფა საკაცო და სადიაცო საქმიანობის უძველეს ფორმად.¹⁷¹ „მამაკაცი „კაცის საქმეში“ ქალს არ ჩარევდა და, პირიქით, „ქალის საქმეში“ ის არ ჩაერეოდა“.¹⁷² ოჯახების მრავალრიცხოვნება და ძმათა გაუყრელობის პრინციპი ხელს უწყობდა ოჯახის ეკონომიურ გამლიერებას. დიდი ოჯახის ძირითად ქონებას წარმოადგენდა სახლ-კარი, საქონელი და მიწა, ამიტომ ოჯახის მმართველობაში ქალის ფუნქცია არანაკლებ მნიშვნელოვან როლს

¹⁶² მათიაშვილი მ., ოჯახის უფროსის ხელისუფლების ჩვეულებით სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს დიდი ოჯახებში, სამართლის ჟურნალი №1, 2011, 109.

¹⁶³ ხარაძე რ., მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი, მეცნიერება, 1965, 35.

¹⁶⁴ Харაძе Р., Грузинская семейная община, тбилиси, 1961 г. Т. 2 1961, 69. (მითითებულია: ცეცხლაძე გ., ოჯახის მმართველობის სისტემა გურიაში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) ისტორიულ ეთნოგრაფიული შტუდიები, თბილისი, 1988, 95.

¹⁶⁵ იქვე, 171.

¹⁶⁶ იქვე, 187.

¹⁶⁷ ითონიშვილი ვ., საოჯახო ყოფა მთიულეთ-გუდამაყარში, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი მთიულეთის ეთნოგრაფიული ნარკვევები, თბილისი, №3, 1971, 113-125.

¹⁶⁸ ითონიშვილი ვ., მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 81.

¹⁶⁹ ბეჟაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, საბჭოთა აჭარა, 1974, 24, აჩუგბა თ., ოჯახის მართველობის ისტორიიდან ზემო აჭარაში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, IX, თბილისი, 1981, 68.

¹⁷⁰ Инал-Ипа Ш.Д., Очерки по истории брака и семьи у абхазов, сухуми, 1964, 153-154.

¹⁷¹ ხარაძე რ., მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი, მეცნიერება, 1965, 73.

¹⁷² ცეცხლაძე გ., ოჯახის მმართველობის სისტემა გურიაში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) ისტორიულ ეთნოგრაფიული შტუდიები, თბილისი, 1988, 95.

ასრულებდა. იგი იყო მეორე პირი, ოჯახის დიასახლისის რანგში განაგებდა შინაურ საქმეებს და თავისი უფლებებით სარგებლობდა საოჯახო საბჭოში.

სვანეთში ოჯახის უფროს ქალს „ქორა მახვში ზურალ“ ან „ხომა ზურალ“-ს ეძახდნენ, ის ხშირად „ქორა მახვშის“ (ოჯახის უფროსი მამაკაცის) ცოლი ან ოჯახის უფროსი რძალი იყო, რადგან სვანურ დიდ ოჯახში მართვა-გამგეობა მარტო ცოლ-ქმარს არ ებარა, ადათი არ კრძალავდა, „ქორა მახვში“ „ქორა მახვში ზურალის“ მაზლი, მამამთილი ან ქმრის ბიძა ყოფილიყო. სვანეთში ოჯახის უფროს დიასახლისად გონიერ ქალს ირჩევდნენ, საქალებო საქმეებს კარგად რომ გაძლოლოდა. ზემო სვანეთში „ქორა მახვში ზურალს“ ოჯახური ფუნქციის შესრულების პურის ცხობის გამო მერბიელ-საც (მცხობელი) უწოდებდნენ,¹⁷³ რომელსაც ებარა ოჯახის მთელი საზრდო მარაგი, გარდა ხორციელისა.¹⁷⁴ უიმისოდ ვერავინ ვერაფერს გასცემდა და გაყიდდა. ქვემო სვანეთში კი თვითონ „ქორა მახვში ზურალი“ ნიშნავდა მერბიელად (მცხობელად) რომელიმე უფროს რძალს.¹⁷⁵ მრავალრიცხოვან ოჯახში საჭირო პურის რაოდენობა და ზომა სქესისა და ასაკის მიხედვით განისაზღვრებოდა, პური ცხვებოდა სამამაკაცო, საქალო, საბავშვო და სასტუმრო.¹⁷⁶ „მერბიელს“ ოჯახში საქმის მმართველობა ებარა: მაგალითად, რძლებს არიგებდა, სტუმრის მოსვლისას ვის როგორ დახვედროდნენ, ხელმძღვანელობდა ოჯახის სამეურნეო საქმეებს, ანაწილებდა ქალებს შორის სეზონურ სამუშაოებს თითო წლის ვადით.¹⁷⁷ ის, „ქორა მახვშის“ მსგავსად, გამორჩეულ

¹⁷³ ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, 1939, 49.

¹⁷⁴ ჩართოლანი მ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1961, 100.

¹⁷⁵ ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, 1939, 49.

¹⁷⁶ იქვე, 50.

¹⁷⁷ იქვე, 51.

საქალეზო სკამზე, ლაზორდის თავში იჯდა.¹⁷⁸ ასევე მნიშვნელოვანია „ქორა მახვში ზურალის“ სამართლებრივი მდგომარეობა, კერძოდ ის, რომ მას მამაკაცის თანასწორად შეეძლო მიეღო მონაწილეობა სოფლის ყრილობაზე, რაც მის გონიერებასა და განსაკუთრებულ სიმამაცეზე მეტყველებს.¹⁷⁹

ხევში დიდი ოჯახის დიასახლისს წინამდევს უწოდებდნენ (ე.ი წინ მდგომი, წინამძღოლი, მეთაური). იგი ხნით უფროსი იყო და სადედაკაცო საქმიანობას ხელმძღვანელობდა. წინამდევს ასაკთან ერთად ოჯახის მართვის უნარიც უნდა ჰქონოდა, მაგრამ ზოგჯერ ეს პრინციპი ირღვეოდა და ოჯახის დიასახლისად ირჩევდნენ ახალგაზრდა ქვრივს, რომელსაც დიდი ამაგი ჰქონდა ქმარ-შვილზე, თუ მას გადაწყვეტილი ჰქონდა ქმრის ოჯახში დაბერება და არ დააპირებდა გათხოვებას.¹⁸⁰ ზოგჯერ დიასახლისად არჩეულ ასეთ ქვრივს ოჯახში დედამთილი და უფროსი თაობის რამდენიმე რძალიც ჰყავდა.¹⁸¹ სახლში უფროს დედაკაცს ებარა ფული, მას წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდა. იგი აძლევდა განკარგულებას მომრიგე რძლებს, რომლებიც რიგ-რიგობით აცხობდნენ პურს, ეზიდებოდნენ წყალს და სხვადასხვა შინაურ საქმეს აწესრიგებდნენ.¹⁸² უფროსი თაობის რძლებს მორიგე რძლებს ეძახდნენ, რომლებიც მორიგეობით ასრულებდნენ საუფროსო საქმეებს, ხოლო რძლებს, რომლებიც ერთ რომელიმე თაობას (უფროსს, საშუალოს ან უმცროსს) ეკუთვნოდნენ და თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ, მათ მესწორე რძლები ეწოდებოდათ.¹⁸³ დიასახლისს ებარა სენას (პროდუქტების სათავსოს) გასაღები. სურსათის ხარჯვა და

¹⁷⁸ ონიანი ს., დიდი ოჯახის ინსტიტუტი სვანურ ჩვეულებით სამართალში, სამართლის და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები: ტ 2, თბილისი, 2012, 412.

¹⁷⁹ იქვე, 414

¹⁸⁰ ითონიშვილი ვ., მოხევეების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 81.

¹⁸¹ იქვე, 81.

¹⁸² ყაზბეგი ალ., მოხევეები და იმათი ცხოვრება, თხზ. ტ.V, თბილისი, 36-37. (მითითებულია ითონიშვილი ვ., მოხევეების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 82.)

¹⁸³ იქვე, 82.

შრომის განაწილებაც მის კომპეტენციაში შედიოდა, თუმცა ხევში ისეთი სამუშაოც სრულდებოდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ყველა ასაკის რძლები და თვით გაუთხოვარი ქალებიც, ასეთი იყო ჭრა-კერვა და მატყლის დამუშავება. გარდა ამ საქმიანობისა, რძლები ეხმარებოდნენ მამაკაცებს მინდვრად მუშაობისას - ყანა-სათიბს ქვისგან არჩევდნენ, ხვნის დროს ნიადაგს წმენდდნენ სარეველა მცენარეებისგან, კაცებს ეხმარებოდნენ თივის ზვინის დადგმაში, თავად ხდიდნენ სასმელს (კაცები ეხმარებოდნენ მხოლოდ ქვაბის გამართვასა და შეშის დაჭრაში), ამზადებდნენ მეცხვარეებს, ისტუმრებდნენ მგზავრებს, უმასპინძლებოდნენ სტუმრებს და ზრდიდნენ ბავშვებს.¹⁸⁴

აჭარაში სადედაკაცო საქმეებს უფროსი ქალი, იგივე დედა ქალი ანუ მეთაური ქალი ხელმძღვანელობდა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სახლის დიდის მეუღლე იყო, იგი დედაკაცებს შორის ანაწილებდა საქმეებს და განაგებდა სურსათ-სანოვაგეს.¹⁸⁵ თუმცა ხელმძღვანელობის გარდა მეთაური ქალი ოჯახში მზარეულის და მემთევრის მოვალეობასაც ასრულებდა, მემთევრის ფუნქციებში შედიოდა პირუტყვის მოვლა-პატრონობისათვის ხელმძღვანელობა, საქონლის მოწველა და რძის პროდუქტების დამზადება. მეთაური ქალი ღრმად მოხუცებულობისას მზარეულობას და მემთევრობას ერთ-ერთ რძალს ან ახალგაზრდა შვილს გადაულოცავდა, თვითონ კი ქალთა შრომას და საქმიანობას თვალყურს ადევნებდა. უფროსი ქალი, ქალის გათხოვებისა და ვაჟის დაქორწინების საკითხშიც, როგორც ყველაზე ავტორიტეტის მქონე პირი, გადამწყვეტ სიტყვას იმსახურებდა.¹⁸⁶ მ. ბექაიას გადმოცემით უფროსი ქალები „ხშირად ოჯახის სხვა უფროსს მამაკაცებთან შეთანხმებით წყვეტდნენ ყველა საკითხს, მათ შორის მიწისა თუ საქონლის ყიდვა-გაყიდვას,

¹⁸⁴ იქვე, 82.

¹⁸⁵ აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, მეცნიერება, 1990, 79.

¹⁸⁶ იქვე, 80-81.

ქორწინების, განქორწინების და გაყოფის საკითხებს, დაკავშირებულს ოჯახის ეკონომიურ, მეურნეობრივ, მორალურ და სხვა მხარეებთან“.¹⁸⁷

ცენტრალური კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფაშიც დამახასიათებელი იყო უფროსი ქალის ინსტიტუტის არსებობა, ინგუშეთში საქალებო საქმეს უფროსი დიასახლისი მართავდა, რომელსაც ამავე დროს ოჯახის გაძღოლის უნარიც უნდა ჰქონოდა, ამიტომ ხშირად იყო შემთხვევები, როცა ოჯახის უფროსი და დიასახლისი ცოლ-ქმარი არ იყო.¹⁸⁸ აღნიშნული არაერთი შემთხვევევა გადმოცემული აქვს ვ. ითონიშვილს, მაგალითად: „ჩანიელების დიდი ოჯახის უფროსი იყო ღოთეჯი. დიასახლისის მოვალეობას ასრულებდა მისი მეუღლე. სიბერით მოტეხილი ღოთეჯი შეცვალა მისმა საშუალო შვილმა არტახმა. დიასახლისი ამ დროს კვლავ არტახის დედაა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ დიასახლისობა გადავიდა ქუსარის ცოლის შექარხას ხელში. მაშასადამე, ჩანიელების ოჯახში ერთხანს ოჯახის უფროსად და დიასახლისად არიან ცოლ-ქმარი - ღოთეჯი და მისი მეუღლე. შემდეგში ეს მოვალეობა ეკისრებათ საშუალო შვილსა და მის დედას, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მმართველებად გვევლინებიან არტახი და მისი უფროსი რძალი“.¹⁸⁹ აქაც ოჯახის დიასახლისი შრომატევად საქმეს უძღვებოდა, შრომის განაწილებაც ქალთა შორის უფროს-უმცროსობის პრინციპით განისაზღვრებოდა. „დიასახლისის ხელმძღვანელობითა და მისივე უშუალო მონაწილეობით პურს აცხობდნენ და საჭმელს ამზადებდნენ უფროსი რძლები. საშუალო რძლების მოვალეობა იყო წველა-დღვება, მემინდვრეობაში მონაწილეობა და სხვა.“¹⁹⁰

¹⁸⁷ ბეჟაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, საბჭოთა აჭარა, 1974, 24.

¹⁸⁸ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 69.

¹⁸⁹ იქვე, 69-70.

¹⁹⁰ იქვე, 70.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დიდი ოჯახები XX საუკუნის დასაწყისამდე არსებობდა პატარა ინდივიდუალური ოჯახების გვერდით, რომლებსაც ოჯახის უფროსი მამაკაცი მართავდა სქესის, ასაკის და უნარის მიხედვით - ბაბუა, მამა ან უფროსი ძმა. თუმცა იყო გამონაკლისი შემთხვევა, როცა დიდი ოჯახის უფროსად უხუცეს ქალს ირჩევდნენ. ადრე ფეოდალური ხანიდან ასეთი ოჯახები საქართველოში ოჯახის სამეურნეო საჭიროებამ შემოინახა. დიდი ოჯახის სიძლიერე მრავალწევრიანობასა და მათ შრომისუნარიანობაზე იყო დაფუძნებული. მიუხედავად ოჯახის უფროსის შეუზღუდავი ძალაუფლებისა, იგი არ წარმოადგენდა საოჯახო თემის ერთპიროვნულ მონარქს, რომელიც ითვალისწინებდა ოჯახის წევრების საერთო ინტერესს და მნიშვნელოვან საოჯახო საკითხებზე გადაწყვეტილებას მათთან მოლაპარაკების შემდგომ იღებდა, რაც უდავოდ ადასტურებს, რომ საქართველოში დიდი ოჯახი და მისი მმართველი, ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სოლიდარული და დემოკრატიული ხასიათის ნიშნების მატარებელი იყო. ასევე საქართველოს ცალკეულ კუთხეებში: იმერეთში, რაჭაში, სვანეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში, აჭარაში, აფხაზეთში, გურიაში დიდი ოჯახის დიასახლისად ყოფნა დამოკიდებული იყო მის ასაკსა და უნარზე. დიასახლისის ინსტიტუტს არ ახასიათებდა დესპოტური მმართველობითი სისტემა, რასაც ადასტურებს ოჯახის სრულწლოვანი წევრების უფლება, დაესვათ დიასახლისის გადაყენების და ოჯახის მმართველობის ფუნქციის სხვისთვის გადაბარების საკითხი. ასაკის მიუხედავად, ოჯახის დიასახლისად არჩეული ქალი არ სარგებლობდა განუსაზღვრელი უფლებებით და ყველა მნიშვნელოვან საკითხს წყვეტდა ოჯახის სრულწლოვან წევრებთან შეთანხმების საფუძველზე. ოჯახის დიასახლისის დაუკითხავად არავითარი საკითხი არ

წყდებოდა, მის აზრს დიდი ყურადღება ექცეოდა, უფროსისადმი პატივისცემა კი ყველა თაობის წარმომადგენლის ვალდებულება იყო.

მესამე თავი

ქორწინების და განქორწინების ჩვეულებები

საქართველოში

3.1. ჩვეულების მნიშვნელობა

ქართული სამართლის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვეულებით სჯულს, რომელიც წარმოადგენს ადათობრივი სამართლის ნორმების კრებულს, ის შედგენილია XIX საუკუნის დასაწყისში, როგორც ფეოდალური საქართველოს მოქმედი სამართლის ნორმების კრებული.

ი. დოლიძის განმარტებით „ადათი და ჩვეულება ეწოდება ადამიანთა ქცევის წესს, რომელიც იქმნება და მკვიდრდება საზოგადოებაში მისი ხანგრძლივი და მრავალგზის გამოყენების შედეგად“.¹⁹¹ ადათ-ჩვეულებები ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდში ჩაისახა, მაგრამ იურიდიული ძალა არ ჰქონდა, რადგან ადათობრივი სამართალი არ მოქმედებდა. ადათი იქცა იურიდიულ ჩვეულებად კლასობრივი საზოგადოებისა და სამართლის წარმოშობის შედეგად.

ი. დოლიძე აღნიშნავს, რომ „სამართლის წარმოშობისა და განვითარების ადრეული ხანა ხასიათდება ჩვეულებითი სამართლის ბატონობით. დაწერილი სამართალი, იმ დროს თითქმის არ არსებობდა და ჩვეულებითი სამართალი სამართლის გაბატონებულ, ზოგჯერ კი სამართლის ერთერთ ფორმას წარმოადგენდა“.¹⁹²

იმავე ავტორის თანახმად, ადათი და ადათობრივი სამართალი განსხვავებული ცნებებია, ადათი უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე

¹⁹¹დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1960, 7.

¹⁹² იქვე, 8-9.

ადათობრივი სამართალი. „ადათი არსებობს ყველა საზოგადოებრივი წყობილების დროს, ადათობრივი სამართალი კი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაში. ადათი ადამიანთა ქცევის წესია, მაგრამ მას სავალდებულო ძალა არა აქვს, თუ იგი სანქცირებული არ არის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. მხოლოდ იმ ადათებს აქვს იურიდიული ძალა, რომლებიც ნებადართულია სახელმწიფოს მიერ, როგორც ქცევის სავალდებულო წესი“.¹⁹³ ტერმინი „ადათი“ არაბული წარმოშობისაა, რომელიც ქართულში გვიან შემოვიდა. ძველ ქართულში ადათის ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინი „წესი“.¹⁹⁴

ძველად ფეოდალურ საქართველოს თითოეულ კუთხეს, თემს, სოფელს, გვარსა თუ ოჯახს, თავისი ჩვეულებები ჰქონდა, რასაც ადასტურებს 1884 წ. გაზეთ დროებაში გამოქვეყნებული ეთნოგრაფიული წერილი: „ფშავ-ხევსურეთში ჩვეულებას ღრმად ქონდა ძირი გადგმული მთელს ცხოვრებაში, ხალხი ჩვეულების შეხედულებით მოქმედებდა, თვით კანონიც ფშავ-ხევსურეთში ჩვეულება იყო, ეგრეთწოდებული სჯული, „აქაურის მთიელის აზრით, იმიტომ არის სჯული, რომ ჩვეულებას წარმოადგენს, ცხოვრებას ეთანხმება. საქმის გათავება „სჯულისამებრ“ - აი დასაწყისი და დასასრული ყოველ გვარის ურთი-ერთობისა ფშავ-ხევსურეთში“,¹⁹⁵ აღნიშნავს ავტორი და მოაქვს სასამართლოდან მაგალითი: „ერთი ვიღაცა უჩივოდა ხევსურს მომრიგებელ სასამართლოში დაჭრილობაზედ. ხევსურს სჯულისამებრ სისხლში მიეცა რამდენიმე თავი საქონელი და წარმოიდგინეთ ხევსურის რისხვა და კრულვა, როდესაც მან მიჰყო ხელი და დაუწყო საყვედური მოწინააღმდეგეს სჯულის უარის ყოფისათვის. რას ვამბობთ-ეს

¹⁹³ დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1960, 7.

¹⁹⁴ იქვე, 26-27.

¹⁹⁵ ეთნოგრაფიული წერილები (ფშავ-ხევსურეთი) გაზ. დროება № 231, 1884 წ. 26 ოქტომბერი, 1-3.

საყვედური კი არ იყო, ეს მთელი ბრალდებულებითი ოქმი იყო! შენ რა კაცობა უნდა გეთხოვებოდეს, როდესაც სჯული არა გწამს და აქ მიჩვიო, ამბობდა მრისხანედ მართლა რომ კერპად დამცველი მამა-პაპურის სჯულისა. მაგრამ კანონმა სძლია ხევსურის სჯულს... დამნაშავეს ორი კვირა საპატიმროში ჩაჯდომა „დააკისრეს“, საქონელიც მომჩივარს დარჩა. ხევსური გამტერებული ბუტბუტით გამოვიდა სასამართლოდამ...“.¹⁹⁶ ამ მაგალითიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვეულება კანონს არ უნდა დაპირისპირებოდა, ის უნდა ყოფილიყო გონივრული, ზნეობრივად მისაღები და მისი დაცვა - ხალხისთვის და კანონისთვის მნიშვნელოვანი.

ნიკო ხიზანიშვილი კარგად აღწერს ჩვეულებითი კანონის მნიშვნელობას და მისი გამოყენების წესს ფშავ-ხევსურეთის მაგალითზე: „აქ ჩვეულება წმინდა კანონია, დაწერილი გონებაა, რომელიც ინახავს ხალხის თავისებურებას... ჩვეულება აძლევს ხალხს განსაკუთრებით ფერს, პირვანდელ ხასიათს, როგორც ყველა ცალკე პირისათვის საჭიროა მისი პიროვნული თავისებურება, ვინაობა, ისე ხალხისათვის საჭიროა გონივრული ხალხოსნური ჩვეულება, სადაც ასე არ არის, იქ არც ცხოვრებაა, იქ არც პროგრესია შესაძლო... ჩვეულებას აქ ღრმად ძირი გაუდგამს მთიელის ცხოვრებაში... თვით კანონიც აქ ჩვეულებაა და სხვა არაფერი... ე.წ. სჯული, აქაურის მთიელის აზრით, ამიტომ არის სჯული, რომ ჩვეულებას წარმოადგენს, ცხოვრებას ეთანხმება. საქმის გათავება სჯულისამებრ - აი, დასაწყისი და დასასრული ყოველ გვარის ურთიერთობისა ფშავ-ხევსურეთში“.¹⁹⁷

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს კუთხეებში, თემში, სოფელსა თუ სხვადასხვა ადგილას, ხალხი ჩვეულების მიხედვით მოქმედებდა და წყვეტდა სადავო საკითხებს ადათობრივი სამართლით, რომელიც მრავალფეროვანი და

¹⁹⁶ ეთნოგრაფიული წერილები (ფშავ-ხევსურეთი) გაზ. დროება № 231, 1884 წ. 26 ოქტომბერი, 3.

¹⁹⁷ იქვე, 3.

სხვადასხვაგვარი იყო. ფეოდალურ საქართველოში ოჯახებსაც კი თავისი ჩვეულებები ჰქონდა. ადათების ნაწილი სანქცირებულ იქნა სახელმწიფოს მიერ და მას იურიდიული ნორმის სტატუსი მიენიჭა.

3.2. ქორწინება არსი და მნიშვნელობა რომაულ და ძველ ქართულ სამართალში

დიდი ოჯახის საოჯახო საკითხების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ქორწინებისა და განქორწინების ჩვეულებებს საქართველოში, რომელიც მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხია. იგი განსაზღვრავს კაცობრიობის ზრდისა და განვითარების პერიოდში, ოჯახის წევრთა ქონებრივ და უფლებრივ მდგომარეობას. ქორწინების საკითხებს იკვლევენ სხვადასხვა სფეროს მეცნიერები: ისტორიკოსები, სოციოლოგები, ეთნოლოგები, ფსიქოლოგები, ეკონომისტები და იურისტები, თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი კვლევის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგია.

ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტით უძველესი დროიდან დაინტერესდნენ მეცნიერები (პლატონი, ჰეროდოტე, ლურიე, იულიუს ცეზარი, ი. ბახოფენი და სხვა.). „ოჯახთან შედარებით არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ განუხორციელებია უფრო ხანგრძლივი და მრავალმხრივი ცდის შედეგები. საჭირო გახდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში გონებრივ და ზნეობრივ ძალთა დიდი დამაბვა, რომ მას მრავალი სხვადასხვა საფეხურის გავლით თანამედროვე მდგომარეობამდე მოედწია“.¹⁹⁸ „ოჯახი ქმრისა და ცოლის, მშობლებისა და შვილების ისეთი ურთიერთობაა, რომელიც ქორწინებასა და სისხლით ნათესაობას ემყარება. ქორწინება საზოგადოებრივი ყოფიერებით შეპირებული ადამიანთა ურთიერთობის ერთი უძველესი ინსტიტუტთაგანია. ქორწინებისა და

¹⁹⁸ Морган Л., Древнее общество, М., 1936. с. 220.

ოჯახის ფორმები ძირითადად ერთმანეთს ეფარდებიან და ნათესაობის შესაბამის სისტემას ქმნიან“.¹⁹⁹

ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით „ამ საყურადღებო საკითხის შესასწავლად უძველეს ძეგლებში ჯერ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება; მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი და სხვადასხვა წყაროებში გაფანტული ცნობები არსებობს. ამასთანავე ცნობები სხვადასხვა დროისა და ამიტომ ცოლქმრობისა და ქორწინების წესების განვითარებისა და ისტორიის სხვადასხვა საფეხურს ეხება. ამის გამო მთლიანი სურათის აღდგენა ამ მასალების მიხედვით შეუძლებელია“.²⁰⁰

ქორწინების ქართულ ტრადიციაზე, იმავე ავტორს მოჰყავს XV ს. დამდეგს აღმოსავლეთში და საქართველოში ნამყოფი გერმანელი ტყვედ ჩავარდნილი მეომრის, ჰანს შილტ-ბერგერის მოგზაურობის ამსახველი მასალა: „რომ ქართველებსა (die Georgiter Kurtzy) და ოსებს (die Jassen Ass) იმგვარადვე, როგორც სომხეთში (in Ermenia) ასეთი ქორწინების წესები აქვთ: როდესაც მშობლებს თავისი შვილისათვის საცოლოდ ქალწულის მოყვანა სურდათ, მაშინ საცოლოს დედას პირობას ადებინებდნენ, რომ მისი ასული მართლაც ქალწული იყო. ქორწილის დროს ქალიშვილებს საცოლო სიმღერით საქორწილო ოთახში მიჰყავთ. ამის შემდგომ საქმრო ყმაწვილი კაცებითურთ მოდის ამოწვდილი ხმლით, იქვე მაყრიონითურთ ჯდება და დიდი ლხინითა, ცეკვითა და სიმღერით ჭამა-სმას შეეცევიან. ასე რომ დროს გაატარებენ, მერმე საქმრო საცოლოსთან შეჰყავთ და ყველანი დანარჩენნი გადიან. შემდეგ მისი ძმა, ან ერთი მახლობელ მეგობართაგანი ოთახის კარს ხმალამოწვდილი დარაჯობს, სანამ საქმრო ადგება. თუ საცოლო ქალწული არ გამოდგა, მაშინ დედას აცნობებს. საქმროს დედა რომ თავის მეგობრებითურთ სარეცელთან

¹⁹⁹ ნანობაშვილი ბ., საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში (ქორწინება ქიზიყის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) თბილისი. მეცნიერება, 1988, 4.

²⁰⁰ ჯავახიშვილი ივ., თხზ. 12 ტომად, ტ. VI, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1982, 144.

მოვა, ზეწარს გაშინჯავენ და თუ იქ არავითარ ისეთ ნიშანს არ შეამჩნევენ, რომელიც ქალწულს უნდა ჰქონდეს, მაშინ ყველანი დაღონდებიან. მეორე დღეს რომ საცოლოს დედმამა ქორწილში მოვლენ, საქმროს დედა ერთ ძირგახვრეტილ სასმისს დაამზადებს და როცა ღვინოს დალევის ჯერი დადგება, ამ სასმისში ღვინოს ჩაასხამს ისე კი, რომ ნახვრეტი ქვეითგან თითით აქვს დაცობილი, და საცოლოს დედას გამოსაცლელად მიაწვდის. ამ დროს, რაკი სასმისის გახვრეტილ ძირს თითი მოშორდება და ღვინო დაიღვრება, საქმროს დედა საცოლოს დედას მიაძახებს: შენი ასულიც ასე მთელი აღმოჩნდაო. ეს რასაკვირველია საცოლის ყველა მახლობელისათვის მეტად სასირცხვილო იყო და საცოლევ ასეთ შემთხვევაში თავის მშობლებს უბრუნდებოდა ხოლმე“.²⁰¹

რომაელი იურისტები მოქალაქეებს ანსხვავებდნენ „status familie“-ს საოჯახო სტატუსით ან ოჯახში სამართლებრივი მდგომარეობით. „sui juris“ (პირი საკუთარი უფლებით) და „alieni juris“ (პირი სხვისი უფლებით).²⁰² „რომაელი იურისტები ქორწინებას განმარტავდნენ, როგორც ქალისა და მამაკაცის თავისუფალ და თანასწორ კავშირს, სინამდვილეში არასოდეს არ ყოფილა რომში ქალი მამაკაცის თანასწორი“.²⁰³ „სამოქალაქო სამართლის თანახმად, რომის მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა ორ ძირითად ელემენტს მოიცავდა: ქორწინების უფლებას და ქონების შეძენისა და გასხვისების უფლებას“.²⁰⁴

ვ. მეტრეველი აღნიშნავს, რომ „რომის სამართალი იცნობდა ორი სახის ქორწინებას: 1. კანონიერი რომაული ქორწინება, როცა ორივე მხარე რომაელია; 2. რომაელ მოქალაქეთა ქორწინება პერეგრინებზე, რომელთა

²⁰¹ Hans Schiltbergers Reisebuch, Walentin Langmantel, 1885, Tubingen, Bibliothek des litterarischen Vereins in Stuttgart, CLXXII, 98-99. (მითითებულია: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1982, 145).

²⁰² ლობჯანიძე გ., რომის სახელმწიფო სამართალი, ტ. II, ქუთაისი, 2009, 33.

²⁰³ მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები) თბილისი, მერიდიანი, 2013, 101.

²⁰⁴ ხოფერია მ., პიროვნების სამართლებრივი სტატუსი ძველ რომში, სამართალი, თბილისი, 2000, №4-5, 114.

უფლებები განისაზღვრებოდა რომის სამოქალაქო სამართლით. VI საუკუნემდე, ანუ იუსტინიანეს პერიოდამდე, რომის სამართალი იცნობდა ასევე ქორწინებას, რომლის ძალითაც ქალი მამაკაცის, ქმრის ძალაუფლებას ექვემდებარებოდა (cum manu) და ქორწინებას, რომლის ძალითაც ქალი არ შედიოდა ქმრის ძალაუფლებაში და წინანდელ ოჯახში რჩებოდა, ანუ ექვემდებარებოდა მამის ხელისუფლებას (sine manu)²⁰⁵ იმავე ავტორის თანახმად, რომში „ოჯახის წევრების მიერ შემენილი ქონება ეკუთვნოდა ოჯახის უფროსს. ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იყო საკუთარი შეხედულებისამებრ განეგო ოჯახის წევრების სამუშაო ძალა, გაექირავებინა ეს წევრები, დაესაჯა და, ზოგ შემთხვევაში, გაეყიდა კიდევ“²⁰⁶ „რომაული სამართალი იცნობდა ფაქტობრივ ქორწინებას (არაიურიდიული ქორწინება), რომელსაც ეწოდებოდა კონკუბინატი. კონკუბინატი არის ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრება ხანგრძლივი დროის მანძილზე, რომელთა ქორწინება იურიდიულად არ შეიძლებოდა გაფორმებულიყო მხარეთა სოციალური განსხვავების გამო. მაგალითად, არ შეიძლებოდა დაქორწინებულიყო სენატორი გააზატებულ ქალზე. რომის სამართალი მართალია, უშვებდა ასეთ ქორწინებას, მაგრამ მას იურიდიული ძალა არ ჰქონდა, ეს ქორწინება არ წარმოშობდა იურიდიულ შედეგებს, ცოლი კანონიერი მეუღლის უფლებით ვერ სარგებლობდა, შვილი კანონიერი შვილის უფლებებს ვერ მოიპოვებდა“²⁰⁷

მ. ხოფერიას გადმოცემით: „ქორწინება ყველა მოქალაქისათვის აუცილებელი იყო. რომაული კანონები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ მოქალაქეებისათვის ქორწინება ჩაეგონებინათ. ცენზორები თვალყურს ადევნებდნენ ქორწინებას და, რესპუბლიკის საჭიროების მიხედვით, მოქალაქეებს სირცხვილისა და სასჯელის მუქარით აიძულებდნენ ქორწინებას. რომაელები მუდამ ხმას იმაღლებდნენ თავაშვებულობით გამოწვეული დაუქორწინებლობის წინააღმდეგ. დიონის თანახმად, ცეზარი

²⁰⁵ მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები) თბილისი, მერიდიანი, 2013, 101.

²⁰⁶ იქვე, 131.

²⁰⁷ იქვე, 101.

ჯილდოს აძლევდა მათ, ვისაც ბევრი შვილი ჰყავდა; ავგუსტუსმა, რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე, ახალი სასჯელები დაადო მათ, ვინც არ იყო დაქორწინებული. ასევე გაზარდა დაქორწინებულთა და მრავალშვილიანთა ჯილდოები“.²⁰⁸ რომის სამართალში ქორწინების ორი განმარტება იყო მნიშვნელოვანი: პირველი - „ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, მთელი ცხოვრების ერთიანობა, ღვთიური და ადამიანური სამართლის ერთობა“²⁰⁹ და მეორე - „ხოლო ქორწინება (nuptiae) ანუ ცოლ-ქმრობა (matrimonium) არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, რომლის არსი ერთობლივ ცხოვრებაში მდგომარეობს“.²¹⁰

ლ. თენიეშვილი ხაზს უსვამს, რომ: „ქორწინების ქრისტიანული კონცეფცია რომის სამართალში აღიარებული ტრადიციული სამართლებრივი ინსტიტუტისა და ოჯახის შესახებ სარწმუნოებრივი შეხედულების სინთეზის შედეგად შეიქმნა. კლასიკურმა მონოგამიურმა რომაულმა ქორწინებამ ქრისტიანული კონცეფციისთვის დამახასიათებელი მუდმივობისა და ერთგულების იდეები გაითავისა. ქორწინების ქრისტიანული გაგებისა და სამართლის შერწყმა პირველად იუსტინიანეს დროს განხორციელდა. შემდეგ კი შუა საუკუნეების კანონიკური სამართლის მცოდნეებმა აქტიურად გამოიყენეს იუსტინიანეს მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი მოდელი და ქორწინების კანონიკურ-სამართლებრივი კონცეფციისათვის, საქორწინო შეთანხმებისთვის, რომის სამართლის კლასიკური კონსესუალური ხელშეკრულების იდეა აიღეს. საოჯახო სამართლის ისტორიაში ქართული ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და თვითმყოფადი ფენომენია. ისტორიულად საქართველოში საოჯახო ურთიერთობები და სამართალი ქრისტიანობის მნიშვნელოვანი

²⁰⁸ ხოფერა მ., პიროვნების სამართლებრივი სტატუსი ძველ რომში, სამართალი, თბილისი, 2000, №4-5, 114.

²⁰⁹ D.23.2.1. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი ოცდამესამე. ლათინულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძე, თბილისი, ნეკერი, 2001, 10.

²¹⁰ Inst. Iust. 1.9.1. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძე, თბილისი, 2002, 23-24.

ზეგავლენის ქვეშ იყო, თუმცა ინარჩუნებდა ინდივიდუალურად მისთვის დამახასიათებელ, ასევე, რომის სამართლიდან რეცეფცირებულ მახასიათებლებს“.²¹¹

3.3. წინა საქორწინო მოქმედებები საცოლის შემოწმება „გაჩხრეკა“

ქორწინებას საქართველოში წინ უსწრებდა წინა საქორწინო მოქმედებები, რომლებიც საცოლის „შეზვერვით“, „გასინჯვით“, „გაჩხრეკვით“, იწყებოდა.²¹² ამ მოლაპარაკებას ახორციელებდნენ სხვადასხვა პირები: მშობლები, შუაკაცი, მაჰანკალი, მაშვალი, მარებელი, და სხვა, რაც ნიშნობითა და ქორწილით სრულდებოდა.²¹³ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამ პროცესს განსხვავებული წესი ჰქონდა, ამით იყო განპირობებული სხვადასხვა სახელწოდების პირების აქტიურობა, მაგრამ საერთო ჯამში იგი ერთიან ქართულ წეს-ჩვეულებებს ეფუძნებოდა.²¹⁴

ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში ნიშნობამდელი მოქმედებები არ გვხვდება, თუმცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეთნოგრაფიული მასალებით დაფიქსირებულია მისი არსებობის არაერთი დამადასტურებელი მაგალითი.

ქორწინების უძველესი წესი გახლდათ ქალის მოტაცებით ქორწინება, რაც ჩვეულებითი სამართლისთვის მიუღებელი იყო, მას ზოგჯერ მძიმე შედეგი (მაგ. შურისძიება, მკვლელობა) მოჰყვებოდა.²¹⁵

²¹¹ თენიეშვილი ლ., რომის სამართლის გავლენა თანამედროვე ქართულ საოჯახო სამართალზე, კულტურათმშორისი კომუნიკაციები, №32, თბილისი, 2019, 117.

²¹² ითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1960, 97.

²¹³ წივწივაძე ი., ქორწინების ინსტიტუტი ძველ ქართულ საოჯახო სამართალში, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კომფერენციის სტატიათა კრებული, თბილისი, 2019. 281.

²¹⁴ შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, მერიდიანი, 2003. 15.

²¹⁵ ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტომი IV, ჯალაბაძე დ., საქორწინო და საოჯახო სამართალი, თბილისი, მეცნიერება, 1993, 138.

დ. ჯალაბადის გადმოცემით, თუ „ქალს არ უყვარდა ვაჟი, არც მშობლები იყვნენ თანახმა, მაგრამ ვაჟი ძალით გაიტაცებდა, ეს განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა იყო და დევნაში შეიძლებოდა დიდი შეხლა-შემოხლა და მკვლელობაც კი მომხდარიყო“.²¹⁶ ე.ი დაზარალებული მხარე სარგებლობდა განუსაზღვრელი უფლებით, რაზეც ჩვეულებითი სამართალი პასუხისმგებლობას მოძალადის მკვლელს არ აკისრებდა. მძიმე შედეგს იწვევდა ასევე დანიშნული (დაწინდული) ქალის მოტაცება, რადგან ნიშნობა იურიდიულ გარიგებად ითვლებოდა და მისი დამრღვევი პასუხისმგებლობას ვერ აცდებოდა. „ქალის მოტაცება ძირითადად მაშინ მოხდებოდა, თუკი თხოვნით ვინმეს ქალს არ გაატანდნენ“.²¹⁷

ლ. შოშიაშვილი აღნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ქალის მოტაცება ცოლად შერთვის მიზნით მშვიდობიანი მოლაპარაკების ფორმით საქორწინო გარიგებით - ნიშნობით შეიცვალა, რასაც წინ უსწრებდა ნიშნობისწინა პერიოდი, რომელიც საცოლის არჩევით „გასინჯვით“ იწყებოდა, სადაც თავდაპირველად მშობლების აზრი გადამწყვეტი იყო. უფრო მეტ აქტიურობას ვაჟის მშობლები ავლენდნენ.

იმავე ავტორის ინფორმაციით, „შემდგომში ვაჟის უფლებები თანდათან ფართოვდება და იგი უკვე მონაწილეობას ღებულობდა ქალის გასინჯვაში მშობლებსა და სხვა პირებთან ერთად. ასეთ ვითარებაში ვაჟი აღარ არის გასინჯვის პასიური დამსწრე, მას ეკითხებიან, მოსწონს თუ არა საცოლე“.²¹⁸ და საბოლოოდ თვითონვე წყვეტდა ქორწინების საკითხს. ქალის გასინჯვისას ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ქალის უარს, ან კიდევ ქალის მშობლები იწუნებდნენ სასიძოს ოჯახს.

²¹⁶ იქვე, 138, ჯალაბადე დ., მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, 1987 წ, რვ, 112.

²¹⁷ იქვე, 138, ჯალაბადე დ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, რვ. 35-36.

²¹⁸ შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, მერიდიანი, 2003. 17.

საცოლის „გაჩხრეკვისას“ მნიშვნელობა ექცეოდა საცოლის ვიზუალობას, ის იყო ქორწინების მთავარი ფაქტორი, საოჯახო საქმეებში მის ოსტატობას, ხასიათს, შრომით ჩვევებს-სტუმრის მიღებას, დახვედრას და გამასპინძლებას, რადგან პატრიარქალური ოჯახი დიდ შრომას მოითხოვდა, ამიტომ საპატარძლოს ენერგიულს და საქმიანს ირჩევდნენ.

„მთიულეთში „გაჩხრეკის“ ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება ისიც იყო, გაერკვიათ, დასაქორწინებელ პირთა შორის ნათესაური კავშირი ხომ არ არსებობდა? ნათესაური კავშირის შესახებ ყურადღების გამახვილება იმ შემთხვევაში ხდებოდა აუცილებელი, როცა გვარებსა და სოფლებს შორის დედით ნათესაობის ნაკვალები იყო შემორჩენილი. მთიულთა წარმოდგენით, სისხლით ნათესავთა შეუღლება შთამომავლობას დააკნინებდა. ამ წესის დამრღვევისათვის მთიულურ სასამართლოში შემამსუბუქებელი გარემოება არ არსებობდა და დამნაშავე სიკვდილით ისჯებოდა“.²¹⁹

მ. ბექაიას გადმოცემით, აჭარაში „ქალიშვილის სარძლოდ მოწონებას აჭარაში „გამორჩევა“ და „თვალის დაკავება“ ეწოდებოდა“.²²⁰

სარძლოს და სასიძოს მოწონების შემდეგ, „სიტყვის მიცემა“, „დაპირება“ ხდებოდა. „ვიდრე საქმე ქორწინებამდე მიაღწევდა ქალ-ვაჟის მშობლები თავდაპირველად ერთი ერთმანეთს უნდა მოჰლაპარაკებოდნენ: ყმაწვილის დედ-მამას უნდა ქალის „სძლად მოყვანება“ მოენდომნათ და სარძლოს მშობლებისათვის შეეტყობინებინათ, ხოლო ქალის დედ-მამას საქმროს „სიძობა“

²¹⁹ შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, მერიდიანი, 2003. 23.

²²⁰ ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, საბჭოთა საქართველო, 1974, 30.

მოესურვებინა და შეთანხმებით დაედოთ „პირი მზახრობისა“ (იქვე), ქალის დედ-მამას კი „გათხოვების“ დასტური უნდა მიეცა“.²²¹

ქორწინებისა და ოჯახის მიმართ აღსანიშნავია დავით ბატონისშვილის განსხვავებული აზრის გამოთქმის მცდელობა: „ქორწინება, როგორც ოჯახის შექმნის ერთერთი იურიდიული საფუძველი, უნდა ემყარებოდეს მექორწინეთა თავისუფალ ნებას. არავის არა აქვს უფლება შეაუღლოს ქალი და მამაკაცი, თუ არა მათი საკუთარი სურვილით. მშობლები მხოლოდ თანხმობას განაცხადებენ, ან უარყოფენ ახალგაზრდების გადაწყვეტილებას. დავითის ამგვარი დამოკიდებულება ქორწინებისადმი პირდაპირაა გადმოცემული მისი „სამართლის“ 120-ე მუხლში: „და უკეთუ არა ჰნებავდეს ქალსა მას, ნუღარა მიათხოვებენ, მით რომე არავის ძალუცს თავისუფლებისა მიღება სიტყვიერისა ცხოველისა და ოდეს მოჰკითხავს მღუდელი, არაიმე არს დასასრულებით მიზეზი, გარდა ნების ცნობისა. მაშა, რასათვის ხამს შეჭირვებაი, რაზეცა შჯულსა ქუეშე დაწესებულ არს?“²²² და „Обозрение“-ში „Поколику союз брачный есть основанием и подпорою существования государств“. მექორწინეთა თავისუფალი ნების აუცილებლობაზე მეტყველებს, „სამართლისა“ და „Обозрение“-ს კიდევ თითო მუხლი, სადაც ავტორი წერს: *„ნურავინ მშობელთაგანი იკადრებს უასაკოთა ძეთა თვისთა წინდობად, რომელიცა ესევეთარი საქმე, ნანდვილისა უგუნერებისა და მნიშვნელ არს და სირცხილისაცა ქვეშე შემყვან მშობელთა. უკეთუ არ ინებოს ჟამსა ჰასაკისასა შეერთებაი (ცოლისა), მაშინ ვერავინ იკადრებს მძლავრებით შეუღლებასა და არა მიეხედების სისხლი მსგავსად ქართველთა სამართლისა, ამად ვინაითგან შეუღლებაი ჯერ-არს ორთავე*

²²¹ ჯავახიშვილი ივ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის ისტორია, შემდგენელი ქანთარია ბ., თბილისი, საქ. უნივერსიტეტი, 2011, 259.

²²² სამართალი ბატონისშვილის დავითისა, მუხლი [120]ბ, ნათხოვნის ქალისათვის, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ფურცელამე დ., თბილისი, მეცნიერება, 1964, 68. მითითებულია: გარიშვილი მ., დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონისშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებები, დისერტაცია, თბილისი, 1999. 110-111.

*თანხმობითა. გარნა საუპატიოსა მიხდასა არა ვაყენებთ. მშობელთა მისთასა უგუნურებისათვის წინათგანსა ზღვრებისა მათისა“.*²²³

ვ. მეტრეველის გადმოცემით, საცოლის დათვალიერების შემდეგ ვაჟის მშობლები ცდილობდნენ ქალის ოჯახში ისეთი შუაკაცი გამოენახათ, რომელიც უცხო არ იყო მშობლებისთვის.²²⁴ ასევე მაჭანკალსაც მიმართავდნენ, საქმე ქორწინებამდე რომ მისულიყო. თუმცა ზოგჯერ ამ ორის ინიციატივითაც ხდებოდა აქტიურობა ქალ-ვაჟის მშობლების დასაინტერესებლად. სამეგრელოში „ოჯახების მიერ შუამავლის არჩევა ხდებოდა მაშინაც, როცა ქალ-ვაჟის პირადი თვისებები, მშობელთა და წინაპართა ავკარგიანობა და ქონებრივი მდგომარეობა უკვე დადგენილი იყო. ასეთ შემთხვევაში შუამავლის ძირითად მოვალეობას შეადგენდა მექორწინე ოჯახებს შორის არსებული ეკონომიკური ვალდებულებების („საქორწილოსა“ და „მზითვის“) შესრულებაზე წინასწარი მოლაპარაკება და მხარეთა ინფორმირება“.²²⁵

თავდაპირველად ამ საკითხზე შუამავალი და მაჭანკალი უსასყიდლოდ მოქმედებდნენ, რაც მოგვიანებით სასყიდლით შეიცვალა. ლ. შოშიაშვილის გადმოცემით, ქალ-ვაჟის შეუღლებით ბედნიერი ოჯახი რაიმე საჩუქარს მიაერთმევდა მაჭანკალს, რამაც სახე იცვალა და გადაიქცა გასამრჯელოდ ანუ „სამაჭანკლოდ“,²²⁶ რასაც უკრძალავდა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 69-ე მუხლი: *„თუ დედაკაცმან მეზობელს თუ მოყუასსა, თუ თავის სახლში უმაჭანკლოს და გამოჩნდეს, რასაც გვარისა იყოს ის მაჭანკალი თავისის სისხლის*

²²³ იქვე, მუხლი [232], წინდობისათვის უსაკოთა, 111.

²²⁴ მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, მერიდიანი, 2003, 252.

²²⁵ ანთელავა ნ., ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში, თბილისი, 2005, 70.

²²⁶ შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, მერიდიანი, 2003, 18.

ნახევარი იმ ქალის პატრონს მისცეს“.²²⁷ ვ. მეტრეველი აღნიშნავს: „თუ მაჭანკალი ამ თანხას არ გადაიხდიდა, მაშინ მას ყელზე საბელს მოაბამდნენ და ტიტველს სოფელს შემოატარებდნენ. აქედან ჩანს რომ კანონმდებლობა ებრძოდა მაჭანკლის სასყიდლიანობასა და მომხვეჭველობას“.²²⁸

მაჭანკალი იყო პიროვნება, „რომლის ერთ-ერთ საქმიანობას შესაფერი წყვილის ძებნა-გამონახვა წარმოადგენდა. იგი ჯერ გამონახავდა შესაფერ წყვილს, შემდეგ შესთავაზებდა ქალისა და ვაჟის ოჯახებს შუამავლობას, თავს იღებდა მხარეთა შეთანხმების მიღწევას (ეს განსაკუთრებულ მონდომებას მოითხოვდა, თუ წყვილი ყოველმხრივ შესაფერი არ იყო) და გასამრჯელოსაც მოითხოვდა ამაში. ამდენად, მაჭანკალს თავისი პირადი ინტერესიც ჰქონდა - მეტი რაოდენობის სამაჭანკლო მიეღო. ამიტომ ხელობით მაჭანკალს ბოლომდე არც ენდობოდნენ და მიმართავდნენ ხოლმე „გასინჯვას“ - ქალის ოჯახის უფლებამოსილი პირი სტუმრად მიდიოდა ვაჟის ოჯახში და ყველაფერს საგულდაგულოდ ათვალთვლებდა. მაგრამ, რადგან დასახლება პატრილოკალური იყო და ქალი სამუდამოდ ხდებოდა ქმრის ოჯახის წევრი, განსაკუთრებული გულისყურით უფრო ქალს სინჯავდნენ“.²²⁹ ამდენად, მაჭანკლობა თავიდან უსასყიდლო იყო, მოგვიანებით კი სასყიდლიანი გახდა.

ს. მაკალათიას დაკვირვებით, მთიულეთში მშობლები ხატობა-დღეობებზე ქალ ვაჟების საბედოებს „ზვერავდნენ“ და შინ დაბრუნებისას დაიწყებოდა „მარჯაკელები“-ს (მაჭანკლების) აქტიურობა. პირველად ვაჟის მშობლები ქალის მშობლებს მიუგზავნიდა მაჭანკალს. ქალი იქნებოდა თუ კაცი, საპატარძლოს

²²⁷ ქართული სამართლის ძეგლები, [მუხლი 69-ე], ტ. I, ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 499.

²²⁸ მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, მერიდიანი, 2003, 352.

²²⁹ ბეჟია მ., საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის, თბილისი, მეცნიერება, 1981, 30.

ახლობელი უნდა ყოფილიყო. გასამრჯელოს რაოდენობას (10-30 მანეთამდე) ქალის მშობლები წყვეტდნენ, რომელიც მაჭანკლისთვის ვაჟის მშობლებს უნდა გადაეხადა, ისე ვაჟს საცოლეს არ გაატანდნენ.²³⁰

წინასაქორწინო ურთიერთობებთან დაკავშირებით ლ. შოშიაშვილი შუაკაცს და მაჭანკალს ერთი ფუნქციის მატარებლად და თანასწორად მიიჩნევს, თუმცა დასძენს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ტერმინები თავისი დანიშნულებით დიდათ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.²³¹ და მოჰყავს ნ. მაჩაბელის შეხედულება: „შუაკაცის ფუნქცია იყო სხვადასხვა სადავო საკითხების მოწესრიგება მოდავე მხარეთა თხოვნით. შუაკაცი დიდად ავტორიტეტული პირი იყო, რომელიც იხილავდა და აწესრიგებდა ოჯახის გაყრის საკითხებს, ძმებსა თუ მეზობლებს შორის სხვადასხვა საკითხზე წამოჭრილ დავებს, ზოგჯერ ქალ-ვაჟის საქორწინო ურთიერთობის საკითხებსაც. შუაკაცი ასეთი საქმიანობის განხორციელებისათვის სასყიდელს არ იღებდა“.²³²

სამეგრელოში შუამავალს „მარებელს“ უწოდებდნენ: „სანამ სასიძოს მშობლები პატარძლის მოსაყვანად ნაბიჯს გადასდგამდნენ, სცენაზე გამოდის მესამე პირი - „მარებელი“ ანუ შუამავალი, რომელსაც აზრად აქვს დააინტერესოს სიძე-პატარძალი ერთმანეთით და ერთმანეთს შეახვედროს. ეს პროფესია იმ პირისაგან, ვინც მას მისდევს, მოითხოვს დიდ ტაქტს, უნდა ემარჯვებოდეს პირფერობა, სულის გადადგომა, შეძლოს მყიდველს საქონელი მიაწოდოს და ეს მაშინაც კი, როცა საქონელი მდარე ღირებულებისაა. ერთი სიტყვით, შუამავალმა, როგორც ამ შემთხვევაში მეგრელები ამბებენ, „ტყუარა

²³⁰ მაკალათია ს., მთიულეთი, ტფილისი, სახელგამი, 1930. 113.

²³¹ შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, მერიდიანი, 2003, 17.

²³² მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბილისი, მეცნიერება, 1978, 39. მითითებულია: შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, მერიდიანი, 2003, 17-18.

სქვამა თქუას“ ე.ი. ტყუილი ლამაზად თქვას...“.²³³ „უკეთუ ქალ-ვაჟის წარმომადგენლები შეთანხმებას მიაღწევდნენ, შემდგომ ზრუნავდნენ ნიშნობაზე. სწორედ ამ დროიდან ექცევა არსებითად მხარეთა ურთიერთობები სამართლებრივი რეგულირების ორბიტაში, რამეთუ თავს იჩენს ქონებრივი ვალდებულებები სასიძოსა და სარძლოს ოჯახებს შორის“.²³⁴

ნ. ხიზანიშვილი შუაკაცს მოდავე მხარეთა მომრიგებლად უფრო წარმოგვიდგენს ვიდრე წინასაქორწინო ურთიერთობების მონაწილედ „შურისძიების მიმდევარი ერი, ადრე თუ გვიან, ამოვარდება და ამის გამო შურის-ძიება უნდა დასცხრეს და ოდესმე კიდევ მოისპოს. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, ეგრეთწოდებული შუაკაცობა არსდება. როგორც სახელ-წოდებაც აჩვენებს, შუაკაცობა ისეთი ბჭობათაჯდომია, რომელსაც საგნად მესისხლეთა შერიგება აქვს. შუაკაცი მშვიდობის მღალადებელია და შურისძიების უარმყოფელი. პირვანდელი ბჭობათაჯდომა შუაკაცობით დაწყებულა. მერე შუაკაცობა ნელ-ნელა გავრცელებულა, დაუთრგუნვია შურისძიება და ბოლოს ყოველ გვარი სასისხლო დანაშაული და სამამულო დავა თითონ დაუპყრია“.²³⁵

ამდენად, განხილული მაგალითებით დადგინდა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქალის შემოწმებას, „გაჩხრეკას“ ნიშნობამდე ახორციელებდნენ სხვადასხვა სახელწოდების პირები: მშობლები, შუამავალი, შუაკაცი, მაჭანკალი, მაშვალი, მარებელი, და სხვა. რომლის გარეშე საქორწინო საკითხები, როგორც იყო ნიშნობა და ქორწინება ვერ განვითარდებოდა.

²³³ სახოკია თ., ქორწილი სამეგრელოში. საეთნოგრაფიო გამოკვლევა, ბრიუსელი, 1912, 31. ქართული თარგმანი ინახება ისტორიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებაში (მითითებულია: შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, მერიდიანი, 2003, 23.

²³⁴ ჯალაბაძე დ., ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტომი IV, საქორწინო საოჯახო სამართალი, თბილისი, მეცნიერებათა აკადემია, 1993, 136.

²³⁵ ხიზანიშვილი (ურბნელი) ნ., ათაბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი, ტფილისი, სტამბა-ლიტოგრაფია მესხიევისა და პოლეტაევისა, 1890. 168-169.

3.4. ნიშნობა რომაული და ძველი ქართული სამართლის მიხედვით

საქართველოში ნიშნობის ინსტიტუტი შორეული წარსულიდან არსებობდა, რომელიც ქრისტიანობის წარმოშობიდან გახდა ქორწინებისათვის მთავარი წინაპირობა, რამაც არსებითად შეცვალა ქალის უუფლებო მდგომარეობა, როცა წარმართობის პერიოდი ქალს ქორწინებაზე სურვილის გამოხატვის საშუალებას არ აძლევდა. ნიშნობის დაწესებით ეს მდგომარეობა მშვიდობიანი გარიგების სახით შეიცვალა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ძველ პერიოდში არ ხდებოდა ნიშნობაზე გარკვეული სახით დასაქორწინებელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ ქმედებები, მაგრამ დრომ თანდათან შეცვალა ის უარყოფითი მხარე ნიშნობის და ამ ინსტიტუტმა საბოლოოდ მიიღო დღევანდელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ასახული სრულყოფილი და მისაღები ნორმის სახე.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ თანახმად, ნიშნობა არის ვაჟის მიერ ქალის საცოლედ დანიშვნა, ქორწილი კი ლხინია ქორწინების აღსანიშნავად. თვით ქორწინება ნიშნავს ქალ-ვაჟის შეუღლებას კანონიერი გაფორმებით“.²³⁶

ნიშნობა (დაწინდვა, დაბელგვა, დაბევება) ქორწინების სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენდა. საქართველოში, ისევე როგორც სხვა ხალხებში, ქალის დანიშვნის სხვადასხვა წესი იყო გავრცელებული (აკვანში დანიშვნა, მცირეწლოვანთა დანიშვნა, გარიგებით დანიშვნა და სხვა). „ქალის დანიშვნას „ნიშნის შებმა“ ეწოდებოდა. ის, ვისაც ნიშანს მიუტანდნენ ანუ ნიშანს შეაბამდნენ, ნიშანშებმული ანუ დანიშნული იყო“.²³⁷ თედო სახოკიას გადმოცემით, სამეგრელოში ნიშნობის აღსანიშნავად გამოიყენებდნენ ტერმინს

²³⁶ ფუტკარაძე ი., ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, თბილისი, მერიდიანი, 2012, 547.

²³⁷ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2011, 79-80.

შანუას. „სიტყვა შანუა ანუ უფრო სწორად-ნიშანუა (ნიშნის დადება) ნიშნავს ნიშნის რისამე დადებას რომელსამე საგანზე (სულიერსა და უსულლოზე). საქორწინო ცერემონიაში ნიშანუა ნიშნავს რამე ნიშნის დადებას გასათხოვარ ქალზე, რომელიც ითვლება იმის კუთვნილებად, ვინც ეს ნიშანი დაადო, „ვის სახელსაც ის ახლა ატარებს“, ვინც ახლა პატრონად გაუხდა, და გარეშე კაცს მისი დაპატრონება არ შეუძლია“.²³⁸

ქალის ნიშნობისთვის ბეჭედს ან სხვა სამკაულს იყენებდნენ. დანიშნული თუ დაავადდებოდა სულით ავადმყოფობით, ნიშნობა არ უქმდებოდა, თუ ავადობა დანიშვნის შემდეგ დადგებოდა. „ნიშნობის ბეჭედი თავისი წარმოშობით ქალის მოტაცებას უკავშირდება. რ. ჩურსინი ეყრდნობა გ.ი კულიშერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ბეჭედი არის იმ ჯაჭვის ნარჩენი რგოლი, რომელიც გამოიყენებოდა პირველყოფილ საზოგადოებაში ქალის მოტაცებისა და დაბმისათვის. ბეჭედი ერთ-ერთი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომლითაც იყო დაბმული მოტაცებული ქალი, ამიტომაც საქორწინო ბეჭედს პირველად ატარებდა მხოლოდ ქალი, მამაკაცებმა მისი ტარება შედარებით გვიან დაიწყეს“.²³⁹

ძველ საკანონმდებლო ძეგლებში ნიშნობის საკითხები მოცემულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 223-ე მუხლში, ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 390-397-ე მუხლებში და სხვა.²⁴⁰

დ. ჯალაბაძე განმარტავს: „ნიშანი („ლიშანი“) ეს ის ნატურალურ-ფულადი სახის ქონებაა, რომელიც საქორწინო შეთანხმების დასტურად მიაქვს სასიძოს მხარეს ქალის ოჯახში. ამდენად, ნიშნობა სამართლებრივი აქტია (რა თქმა უნდა, ჩვეულებითი სამართლის

²³⁸ სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი, 1956, 86.

²³⁹ Чурсин Г., свадебные обычаи и обряды на Кавказе, Сборник. Вестник Кавказа, 1. Этнографический отдел, 1903. Стр. 36. (მითითებულია: შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, მერიდიანი, 2003, 49.

²⁴⁰ იქვე, 548.

გაგებით). მისი სამართლებრივი ბუნება შემდეგში მდგომარეობს: ნიშნობის აქტის ძალით ვაჟი დანიშნულზე ქორწინების უფლებას მოიპოვებს, ხოლო დანიშნულის ოჯახი ვალდებულია უზრუნველყოს მისი ეს უფლება იმით, რომ თავი შეიკავოს ახალი საქორწინო გარიგებისაგან, დანიშნულმა ქალმა კი - სხვაზე გათხოვებისაგან. როგორც ჩანს, ნიშნობა შეიცავს ტიპიურ სამოქალაქო ხელშეკრულების ელემენტებს (უფლება-მოვალეობა) ამიტომ მას „ბე“-სთანაც აიგივებენ^{.241}

დღეს მოქმედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ნიშნობის საკითხს მხოლოდ ერთი, 1109-ე მუხლი განსაზღვრავს, ამ მუხლში აღნიშნულია:

1. დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას.
2. ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი.
3. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.²⁴²

საქართველოში ნიშნობის ინსტიტუტმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღევანდელი დროამდე რთული და საინტერესო სამართლებრივი გზა გამოიარა, რასაც ადასტურებს უძველესი ეთნოგრაფიული მასალები, საკანონმდებლო ძეგლები და ადათობრივი სამართლის მაგალითები, რომელთა განხილვა ნათელს ჰფენს ამ ინსტიტუტის ისტორიულ წარსულს.

ი. ფუტკარაძის გადმოცემით, „ქართველ მთიელთა ყოფაში ნიშნობას დათავისებას ემახდნენ, ქართლში კი ბელგა ერქვა. ტერმინი „ნიშანი“ სპარსული წარმოშობისაა, ამ ტერმინს ქორწინებასთან დაკავშირებული მნიშვნელობა მე-13 საუკუნეში მიუღია. თავისთავად

²⁴¹ ჯალაბაძე დ., საქორწინო საოჯახო სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტომი IV, თბილისი, მეცნიერებათა აკადემია, 1993, 136.

²⁴² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (მუხ. 1109), თბილისი, სამართალი, 1997, 321.

საინტერესოა ფაქტი, რომ თანამედროვე ვითარებაშიც საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილში დღესაც (ქართლში, კახეთში...) შენარჩუნებულია „ბელგა“,²⁴³ „რომელიც გერმანული წარმომავლობის სიტყვაა („ბერეგ“-„ცნობა“, „გამამართლებელი დოკუმენტი“, „ხელწერილი“) და აქედან უნდა იყოს შესული თურქულში. ქართულ ენაში მისი შემოსვლის გზა კი ჯერჯერობით უცნობია“.²⁴⁴

მ. ბექაია აღნიშნავს, რომ პატრიარქალურ საოჯახო თემში ქორწინებაზე თანხმობა დასაქორწინებელ გოგონებსა და ვაჟებს არ ეკითხებოდა. ოჯახში რძლად შემოსაყვანი ქალის ვინაობას ყურადღებას აქცევდნენ. ამან გამოიწვია მცირეწლოვანთა (აკვნის ბავშვისაც კი) დანიშვნა და მეორე მხრივ - გარიგება, სყიდვითი ქორწინება (რასაც მეცნიერული თვალსაზრისით ლევირატი ეწოდებოდა).²⁴⁵ აჭარაში „ნიშანში აუცილებლად შედიოდა სამკაულები: ბეჭდები, საყურეები, გულსაკიდი, ოქროსა და ვერცხლის ძეწკვი. სასურველი იყო, განსაკუთრებით ზემო აჭარაში, კენტი რაოდენობის (უმეტესად 9 ცალი) ალთუნები, რომელთაც დანიშნული შუბლზე იკიდებდა. სასურველი და „კარგი ნიშნის“ ატრიბუტი იყო ვერცხლის ქამარი“.²⁴⁶

რ. ხარაძის დაკვირვებით, „აკვანში დანიშვნისას სვანური წესით ნიშანი ყოფილა ტყვი ე.წ ფირთიხი, რომელსაც ან ჩუმად შეაგდებდა ვაჟის პატრონი ქალის პატრონის სახლში, ანდა ქალის სახლის კარზე თოფს გაისვრიდნენ და დაიძახებდნენ - დღეის შემდეგ ეს ქალი ჩვენს

²⁴³ როსებაშვილი ნ., ივანელაშვილი ნ., ქორწინება ეთნოგრაფიულ მასალებსა და ქართული სამართლის ძეგლებში, ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014, 149.

²⁴⁴ ფუტკარაძე ი., ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, თბილისი, მერიდიანი, 2012, 549.

²⁴⁵ ბექაია მ., საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის, თბილისი. მეცნიერება, 1981, 21-22.

²⁴⁶ ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, საბჭოთა აჭარა, 1974, 34.

მიერაა დაკავებულიო“.²⁴⁷ ქვემო სვანეთში კი ქალის დანიშვნა ქალის სახლში ჯოხის მიყუდებითაც ხდებოდა, რაც ძალის გამოყენების მანიშნებელი იყო.²⁴⁸

პირობის დარღვევა დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა, დამნაშავეს ადათობრივი სასამართლოს მხრიდან გარკვეული გადასახადი უნდა გადაეხადა. მაშასადამე, ნიშნობა სამოქალაქო აქტი იყო, რომელიც მხარეებს ანიჭებდა უფლებებსა და მოვალეობებს, მისი დარღვევა კი პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. „საბუთებით დასტურდება, რომ საქართველოში დანიშნული ქალის დაგდება სრული სისხლის გადახდით ისჯებოდა“,²⁴⁹ რასაც ადასტურებს დავით ბატონიშვილისა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 77-ე მუხლი. „ერთ-ერთი განჩინებიდან ირკვევა: შათირიშვილი უჩიოდა რამიშვილს: „თოფურიას ქალი მყავდა ცოლად, საქმე გადაწყვეტილი მქონდა და შენ მიდი და უთხარი თოფურიას, რომ შათირიშვილის ოჯახშიდ აზნაურის ქალი ვერ გაძლებს, სხვებსაც ბევრ რიგად უგინე ჩემი თავი და ჩემის მტერობით დამეშალა და ის ჩემი ნათხოვარი ქალი შენ შეირთე და ვითხოვ პასუხი მომცე“. „რამიშვილმა არ ცნო სარჩელი. სასამართლომ მას ფიცის დადება მოსთხოვა და დაადგინა, თუ ფიცით დაამტკიცებს, რომ მას ქალი არ წაურთმევია, პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, მაგრამ თუ ფიცით ქალის წართმევას ვერ დაამტკიცებს-მესამედი სისხლი უნდა გადაიხადოს“.²⁵⁰

„უფრო ადრინდელი სამართალი ნიშნობის მოშლას სხვაგვარად არეგულირებდა. ივ. ჯავახიშვილი ნიშნობას ძველ ქართულში

²⁴⁷ ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, 1939, 86. (მითითებულია: შოშიაშვილი ლ., ქორწინების არსი და ფორმები რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, სამართალი #3, თბილისი, 2002, 49.)

²⁴⁸ იქვე, 86.

²⁴⁹ ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, ბონა-კაუზა, 2005, 154.

²⁵⁰ შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, მერიდიანი, 2003, 55.

„დაწინდვით“ მოიხსენიებს.²⁵¹ ფშავში თუ დანიშნულ ქალს სხვაზე გაათხოვებდნენ, მის მშობლებს ვაჟის სასარგებლოდ პასუხისმგებლობის სახით 16 ძროხა უნდა გაეღო. მოტაცების შემთხვევაში ამ ჯარიმას მომტაცებელს დააკისრებდნენ. სასიძოს მხრიდან ნიშნობის დარღვევაზე სამართლებრივი შედეგები კი არ მოიძებნება, „მიზეზი კი, ალბათ ერთი მხრივ ვაჟის უფლებრივ უპირატესობებში უნდა ვეძიოთ, ხოლო მეორე მხრივ - იმ ქონების რისკში, რაც შეიძლება თან ახლდეს ვაჟის მხრიდან საქორწინო ხელშეკრულების (იგივე ნიშნობის) შეუსრულებლობას, იმ აზრით, რომ ნიშნობისას მიტანილი საჩუქრები მას უკან აღარ დაუბრუნდეს“.²⁵²

ერთ საცოლესთან დანიშნული პირი თუ სხვას შეირთავდა, ის ითვლებოდა ორცოლიანად, ერთ-ერთი დანიშნული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, ქვრივის სხვასთან ქორწინება მეორედ დაქორწინებას უთანაბრდებოდა. ორივე შემთხვევას ადათობრივი სამართალი კიცხავდა. „ნიშნობის დროს მიღწეული შეთანხმებით განისაზღვრებოდა ქალის მზითვისა და ვაჟის მიერ ქალისათვის მირთმეული ნიშნის სამართლებრივი მდგომარეობა. მაგალითად, თუ ქალი მოშლიდა ნიშნობას, უარის მთქმელს წინდი ანუ ნიშანი უკან უნდა დაებრუნებინა. ასეთივე ვალდებულება ჰქონდა ვაჟის მხარესაც - თუ ვაჟის ინიციატივით ჩაიშლებოდა ნიშნობა, იგი უფლებას კარგავდა წინდათ მიტანილ ქონებაზე“.²⁵³

„ნიშნობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებიდან ძველ ქართულ სამართალში აღსანიშნავია:

1. ვახტანგ მეექვსის სამართლის 77-ე და 223-ე მუხლები;

²⁵¹ ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, ტფ., 1929, 364,366. (მითითებულია: ფუტყარაძე ი., ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, თბილისი, მერიდიანი, 2012, 549).

²⁵² ჯალაბაძე დ., საქორწინო საოჯახო სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტომი IV, თბილისი, მეცნიერებათა აკადემია, 1993, 137.

²⁵³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ.1, ტექსტები და კომენტარი დაურთო დოლიძე ი., თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1963, 243, 539, (მითითებულია: შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2011, 81-82.)

2. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 390 და 397-ე მუხლები;
3. ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულის „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოდებულნი სჯულნი“, მე-15 და 52-ე მუხლები;
4. დ. ბატონიშვილის სამართლის 119-ე, 120-ე და 222-ე მუხლები;
5. სომხური სამართლის ქართული ვერსიის 57-ე და 58-ე მუხლები“.²⁵⁴

ქორწინების თავდაპირველ ფორმად ქალის მოტაცებით ქორწინება გავრცელებული იყო არამართო რომში, არამედ სხვა ხალხებშიც.²⁵⁵ „გათხოვება“ ნიშნავდა „ქალის შესვლას ქმრის ოჯახში არა სამუდამოდ, არამედ დროებით, შთამომავლობის გამრავლების მიზნით“. განსხვავდებოდა დანიშნული ანუ დაწინდული ქალის მოტაცება და გათხოვილი ქალის მოტაცება, რასაც ადათობრივი სამართალი ებრძოდა. XII საუკუნიდან „საცოლის მოტაცება ქართველებს უკვე ჩვეულებად არა ჰქონიათ“. ცნობილი იყო, ასევე, ქალის „ყიდვით“ ქორწინება, სადაც ქორწინების წესი საქმროს ავალეზდა ქონების მიტანას.

ნიშნობის შემდეგ ხდებოდა ქორწინება, რომელსაც დამაბრკოლებელი გარემოებები არ უნდა ჰქონოდა, აუცილებელი მოთხოვნა იყო: ერთსარწმუნოება, ხორციელი და სულიერი ნათესაობის არარსებობა და მექორწინეთა ნება. „ქრისტიანულმა ეკლესიამ მოგვიანებით, და ისიც არა ყველგან, მოითხოვა, რომ ქორწინების დროს დასაქორწინებელთა ნებას გასწეოდა ანგარიში. როგორც ვიცით, ეს მოთხოვნა ძველ ბერძნულ და ლიტურგიკურ ძეგლებში მკრთალად ჩანს. უნდა ითქვას, რომ ისტორიული

²⁵⁴ მეტრეველი რ., სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, მერიდიანი, 2003, 353-354.

²⁵⁵ შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, მერიდიანი, 2003, 89.

პირობების კარნახით ქორწინების ყველა სხვა პირობათა შორის უკანასკნელი ირღვეოდა ხშირად^{.256}

ქალის საქორწინო ასაკი 12 წელით განისაზღვრებოდა, ხოლო ვაჟებისა 15-16 წელს შეადგენდა. „ჰასაკად მოსლვა“ სქესობრივი სიმწიფის ხანას უდრის. ხოლო რაკი ჩვეულებრივ, ბუნებრივი კანონის ძალით, ქალი სქესობრივად ვაჟზე ადრე მწიფდება, ამიტომ თუმცა „ძეგლის წერა“-ში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ვგონებ, რომ ვაჟი „ჰასაკადმოსულა“-დ მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე წლითგან ითვლებოდა, ასე იყო განსაზღვრული საეკლესიო „შჯულის კანონშიაც“, სადაც ეს მუხლი შეტანილია ლეონ ისავრიელისა და კონსტანტინე სკორის მოსახელის (კოპრონომის) ეკლოგაშიაც. განსხვავება ქალის მხოლოდ წლოვანებას შეეხებოდა: ბიზანტიაში ქალი „ჰასაკად მოსულად“ მხოლოდ 13 წლისა ითვლებოდა, ესე იყო „შჯულის კანონშიაც“^{.257}

ფეოდალურ საქართველოში გათხოვებისას, როდესაც ქალი გადიოდა მამის ოჯახიდან და რძლად მოიყვანდნენ, „კიდე გათხოვება“ ერქვა. თუ იგი დედისერთა იყო და სასიძო მშობლების ოჯახში შემოჰყავდათ ასეთ ქალს „საძეო“ ეწოდებოდა და ის მემკვიდრეობის სრულ უფლებას იძენდა^{.258}

ეთნოგრაფი აპოლონ წულაძე აღწერს, თუ როგორ იწერებოდა გურიაში საქორწილოდ მოსაწვევი, რომელიც ქორწილის წიგნით იწოდებოდა: „ამა გიორგობისთვის ოთხს, დღით კვირას, სადილად მაქვს გათხოვებითი ქორწილი ასულისა ჩემისა გინატრეს, გთხოვთ დამავალოთ სამუდამოდ და გაინაწილოთ ჩვენი ოჯახის ბედნიერება, რითაც დავშთებით თქვენგან პატივცემული და საშვილიშვილოთ

²⁵⁶ ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, სამთავისი, 1996, 19.

²⁵⁷ იქვე, 259 (მითითებულია: შოშიაშვილი ლ., ნებაყოფლობითი ქორწინება, ქორწინებაზე თანხმობა (ნებართვა) რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, ჟურნალი სამართალი №12, 2001, 109.

²⁵⁸ ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, სამთავისი, 1996, 36.

დავალებული. კაცია ქეიფაძე და შვილები ჩემი გომარონ, თაყა და როსტომი“.²⁵⁹

საზოგადოების მაღალ ფენებში ცნობილი იყო „კიდის კიდე გვირგვინთა კურთხევა“ ე.წ. წარმომადგენლობითი ქორწინება.²⁶⁰ „სხვადასხვა გარემოებების გამო ხშირად იქმნებოდა ისეთი ვითარება, რომ გვირგვინის კურთხევის დროს დასაქორწინებელი სუბიექტებიდან ერთ-ერთი სახეზე არ იყო. სხვა მხრივ კი ქორწინებისათვის აუცილებელი ყველა პირობა არსებობდა. დაქორწინებას ხელს უშლიდა ის, რომ გვირგვინის კურთხევის მომენტში, საცოლუ არ იყო ადგილზე. ასეთ მდგომარეობიდან გამოსავალი უპოვიათ წარმომადგენლობითი ანუ „კიდის-კიდე გვირგვინთა კურთხევით“.²⁶¹ „კიდის-კიდე“ ქორწინებისას, როდესაც საცოლეს უკურთხებენ გვირგვინს, მისი საქმროს ნაცვლად გვირგვინის ქვეშ სხვა მამაკაცი იდგა, მაგრამ ჯვრისწერის ნამდვილი საქმროსი-წარმოდგენილის სახელს მოიხსენიებდნენ.²⁶² „კიდის-კიდე“ გვირგვინთა კურთხევის დროს, იქ, სადაც, დაქორწინების ცერემონიალი სრულდებოდა, საცოლის ნაცვლად გვირგვინის ქვეშ პატარძლის წარმომადგენლად ქალი კი არ მდგარა, არამედ მამაკაცი, ჩანს ძველ საქართველოში ქალებს ამგვარი წარმომადგენლობა მათი პატივისა და ღირსებისთვის სათაკილოდ თუ სახიფათოდ მიუჩნევიათ“.²⁶³ ასეთი სახის ქორწინება საბოლოოდ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ აკრძალა 1103 წ.

ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს ტერმინ „კიდე გათხოვებაზე“, რომელიც შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანშია დაწერილი:

„გაგზავნეს კაცი ხუარაზმშას წინა შვილისა მთხოველი

²⁵⁹ წულაძე ა., ეთნოგრაფიული გურია, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1971. 105.

²⁶⁰ ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, სამთავისი, 1996, 25.

²⁶¹ იქვე, 23.

²⁶² იქვე, 24.

²⁶³ იქვე, 24.

შესთვალეს გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოველი
არს ერთი ქალი სამეო, არ კიდე გასათხოველი
და თუ მოგუცემ შვილსა სასიძოდ, სხუასა ნუღარას მოელი“.²⁶⁴

და გამოაქვს შემდეგი დასკვა: ქალი „კიდე-გასათხოველ-ად
ითვლებოდა, თუ რომ იგი ქორწინების შემდგომ ქმრის სახლში უნდა
შესულიყო და ქალს „სამეო“-ს უძახოდენ, თუ რომ იგი ქორწინების
შემდგომაც მშობლების სახლშივე რჩებოდა და ოჯახის ერთად-ერთი
მემკვიდრე იყო. ამ შემთხვევაში ქალი მამრობითი მემკვიდრეობის
აღმადგენელად უნდა გამხდარიყო, რომ გვარი არ მოსპობილიყო,
ხოლო საქმრო სასიძოდ შემოსულიყო ცოლის მშობლების ოჯახში,
ზედსიძედ გამხდარიყო“.²⁶⁵

ქართული ადათობრივი სამართლისა და ეთნოგრაფიული
მასალები გვამცნობს, რომ „ნიშნობა არა მარტო საქართველოს
ცალკეულ რეგიონებში, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის იყო
დამახასიათებელი“.²⁶⁶ მათ შორის ძველ რომშიც.

ძველი რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალმა უდიდესი როლი
ითამაშა მსოფლიოს სამართლებრივ სისტემაზე. „რომის სამართალი
კლასიკური ტიპის სამართალია“.²⁶⁷ ევროპული სამართლის
საფუძვლად რომის სამართალი უდავოდ შეიძლება მივიჩნიოთ.
„ცივილიზაციის ისტორიაში რომის სამართალს ისეთივე მნიშვნელობა
შეიძლება მივანიჭოთ, როგორც ცეცხლის გამოგონებას და გამოყენებას
ადამიანთა მიერ“.²⁶⁸

²⁶⁴ ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1984, 264.

²⁶⁵ იქვე, 264-265.

²⁶⁶ როსებაშვილი ნ., ივანელაშვილი ნ., ქორწინება ეთნოგრაფიულ მასალებსა და ქართული სამართლის ძეგლებში, ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014, 151.

²⁶⁷ ზოფერია მ., პიროვნების სტატუსი ძველ რომში, (დიგესტების ორმოცდამეათე წიგნის მიხედვით.) სამართალი, №8-9, თბილისი, 2000, 100.

²⁶⁸ რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი პირველი, თბილისი, მერიდიანი, 2000, 5.

„რომის სამართლებრივმა სისტემამ თავისი არსებობის პერიოდში გაუძლო თავის სახელმწიფოსაც და შემდეგ ასწლეულებში იქცა საწყის ბაზად ევროპის სახელმწიფოების იმ უმრავლესობისათვის, სადაც ყალიბდებოდა ეროვნული სამართლებრივი სისტემა. რომის სამართლის ასეთმა დროისა და ისტორიის გარეშე ხასიათმა განაპირობა მისი მკაცრი სისტემურობა და ცალკეული ელემენტების საგულდაგულო დამუშავება“.²⁶⁹ გ. ნადარეიშვილი აღნიშნავს: „სამართლის ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, ქრისტეს დაბადებამდე მეხუთე-მეოთხე საუკუნეებში რომის სამართალი განვითარების დონით ჩამორჩებოდა ძველ ბაბილონურ სამართალს. ეს მოსაზრება საფუძველს არ არის მოკლებული. მაგრამ დროთა ვითარებაში პერსპექტივა რომის სამოქალაქო სამართლის სასარგებლოდ შეიცვალა. მომდევნო საუკუნეებში და განსაკუთრებით კი რომის სამართლის განვითარების კლასიკურ ხანაში, როდესაც მკვეთრად გამოვლინდა ხსენებული სამართლის სისტემის უპირატესობა, „დაიხვეწა და განვითარდა იურიდიული ტექნიკა, დამკვიდრდა იურიდიული აზროვნების სასტიკი ლოგიკურობა“, რომის სამართალი ახალ ისტორიულ სიმაღლეზე აღმოჩნდა ძველი ბაბილონის სამართალთან შედარებით“.²⁷⁰

„რომაულმა სამართალმა განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია ჩვ.წ.ად-ის I-III საუკუნეებში, პრინციპადის დროს, როდესაც ზუსტად დადგინდა ის სამოქალაქო უფლებები, რასაც მოქალაქე სახელმწიფოსაგან იძენდა. ცხადია, სამოქალაქო მდგომარეობაში მყოფი ადამიანი თმობდა ბუნებისაგან მიღებულ გარკვეულ უპირატესობას, მაგრამ იძენდა სამოქალაქო თავისუფლებას, საკუთარ უფლებას ყოველივეზე, რაც მას გააჩნდა. განსაზღვრული ნორმებითა

²⁶⁹ მიხაილოვა ნ.ვ., ივანოვი ა.ა., ასანიძე ს.რ., რომის სამართალი, თბილისი, სამართლიანი საქართველო, 2009, 5.

²⁷⁰ ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, მესამე გადამუშავება 2009, 6.

და კანონებით რომის სამართალმა დაადგინა ინდივიდის, როგორც საზოგადოებრივი სუბიექტის ანუ მოქალაქის უფლებათა უზარუნობა“.²⁷¹

რომში დაიბადა სამართლის თანამედროვე სისტემა. იგი თავისი შინაარსით და ფასეულობით იმდენად დახვეწილი იყო, რომ შუა საუკუნეებში რეცეპცია მოახდინა არამარტო საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნების სამართალზე, როგორც იყო საფრანგეთი და გერმანია. ეგვიპტური და ბერძნული სამართალი მის მნიშვნელოვან წყაროებად შეიძლება ჩავთვალოთ. „ისტორიკოსები რომაელებს ახასიათებენ როგორც სამოქალაქო ღირსებით აღსავსე ხალხს“.²⁷² შვედი მეცნიერი ერიკ ანერსი წერდა: „ეგვიპტელებმა შექმნეს ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტები საოჯახო და ქონებრივ სამართალში, სისხლის სამართალსა და პროცესში, რაც ახალი დროის ევროპაში წინაინდუსტრიულ ეპოქაში გაჩნდა...“.²⁷³ რომის სამართლის რეცეპცია განიცადა შემდგომში იმ ქვეყნებმა, „რომელთა სამართალშიც ყველაზე მეტად აისახა ინტერნაციონალიზაციის პროცესები. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ასეთად შეიძლება ჩავთვალოთ ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი“.²⁷⁴ 1990 წელს ჟურნალი „სამართალი“ წერდა: „რომაული სამართალი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი მონაპოვარია. მისი სიდიადე უნივერსალობასა და მოქნილობაშია, დღეს, როცა თვალნათლივია საკაცობრიო ღირებულებისაკენ სწრაფვა, რომაელ იურისტთა ნააზრევს თანამედროვე იურიდიულ ცნობიერებაში, ალბათ, კუთვნილი ადგილი მიეჩინება“.²⁷⁵

²⁷¹ ხოფერია მ., პიროვნების სტატუსი ძველ რომში, (დიგესტების ორმოცდამეათე წიგნის მიხედვით.) სამართალი, №8-9, თბილისი, 2000, 100.

²⁷² ხოფერია მ., პიროვნების სამართლებრივი სტატუსი ძველ რომში, ჟურნ. სამართალი 4-5, 2000, 110.

²⁷³ Аннерс Э., История Европейского права, М.,1994. с. 22 (მითითებულია: ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005, 36.)

²⁷⁴ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005, 37.

²⁷⁵ ჟურნალი „სამართალი“, 1990, 2. №5, მაისი, 80, (მითითებულია: ლობჯანიძე გ., რომის სახელმწიფო და სამართალი, ტ. II, ქუთაისი, 2009, 6.)

მ. ხოფერიას გადმოცემით: „რომაელმა იურისტებმა საფუძვლიანად დაამუშავეს სამოქალაქო სამართლის ყველა ინსტიტუტი, ცნება, რომელთაც ძალზე დიდი გავლენა იქონიეს მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის სამართლებრივი აზროვნების განვითარებაზე. ორიათასი წლის წინათ შექმნილი ტერმინები დღემდე უცვლელი რჩება“.²⁷⁶

რომის სამართალი დღესაც ფუნდამენტია უნიფიცირებულ-ჰარმონიზებული სამართლისთვის, რაც უნდა მივიჩნიოთ ქართული კულტურის სიახლოვით რომისა და ბიზანტიის ცივილიზაციასთან.

„მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული, ქართულ იურისპრუდენციაში არაერთხელ შემოსულა ევროპული სამართლის ძეგლები, ისეთები, როგორებიცაა, დიდი და მცირე სჯულის კანონები, ვახტანგ მეექვსის კოდიფიკაციაც ხომ უცხოური სამართლის ძეგლებითაა გაჯერებული. ყოველი ნახსენები სამართლის ძეგლი, უდავოდ, რომაელი იურისტების ნაღვაწის გამოძახილია. ისინი ყოველთვის მისადაგებული იყო ქართულ რეალობასთან“.²⁷⁷ საქართველოში რომის სამართლის სვლას მეცნიერები ძირითადად ბიზანტიური სამართლის გავლით ადასტურებენ. მაქსიმ კოვალევსკის შეხედულებით, ქართული საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი მთლიანად ნასესხებია ბიზანტიური კანონიკური სამართლიდან.²⁷⁸ ბიზანტიური კანონიკური ძეგლები გადმოღებულია ქართულ დიდ და მცირე სჯულის კანონებში. ასევე ბიზანტიური საეკლესიო სამართლის გავლენად შეიძლება მივიჩნიოთ დავით აღმაშენებლის „რუსურბნისის ძეგლის წერა“ (1103წ.).²⁷⁹ ძეგლის შესავალში ნათქვამია:

²⁷⁶ ხოფერია მ., პიროვნების სტატუსი ძველ რომში, (დიგესტების ორმოცდამეათე წიგნის მიხედვით.) სამართალი, №8-9, თბილისი, 2000, 100.

²⁷⁷ თენიეშვილი ლ., რომის სამართლის გავლენა თანამედროვე ქართულ საოჯახო სამართალზე, კულტურათმშორისი კომუნიკაციები, №32, თბილისი, 2019, 117-18.

²⁷⁸ Ковалевский М., Закон и обычай на Кавказе, Москва, 1890. 110-114, 131, 134.

²⁷⁹ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005, 38.

„დავიდევით სჯულის კანონი და ჩუენცა იმისგან გადმოვიდევით“.²⁸⁰ რუის-ურბნის ძეგლის წერაში კი საქორწინო ასაკად ქალისთვის 12 წელია განსაზღვრული, რასაც ნიკო ხიზანიშვილი ასევე ბერძნულ-რომაული სამართლის გავლენად მიიჩნევს, რომელიც იუსტინიანეს დიგესტებშია შეტანილი შემდეგნაირად: „თორმეტ წლამდე ასაკის ქალიშვილი (საცოლე) მაშინ ხდება კანონიერი ცოლი, როდესაც მას ქმართან ყოფნისას თორმეტი წელი შეუსრულდება“.²⁸¹

ბიზანტიური სამართლის კვალი ეტყობა საერო კანონმდებლობასაც, კერძოდ XVII საუკუნის ქართული სამართლის ძეგლში ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის კრებული, რომელიც შექმნილია 1705-1708 წლებში, შედგება შემდეგი ნაწილებისგან: 1. „სამართალი მოსესი“ 2. „სამართალი ბერძნული“ 3. „სამართალი სომხური“, 4. „სამართალი კათოლიკოსთა“, 5. „სამართალი აღბუღასი“ და უშუალოდ ვახტანგ VI-ის წიგნთა კრებული „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“.

ბესარიონ ზოიძის თანახმად: „რომის სამართლის ისტორია სამართლის ისტორიის ყველაზე ძველი დისციპლინაა, იგი სამართლის მეცნიერების ამოუწურავი ფენომენია. რომის სამართლის საფუძვლებს სხვადასხვა ეპოქაში სამართლის დარგში მოღვაწე მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები ასწავლიდნენ. სწორედ სამართლის ისტორიკოსებმა წამოწიეს წინ ევროპული სამართლის კულტურისათვის კანონიკური და რომაული სამართლის მნიშვნელობა“.²⁸²

სამართლის საერთო იდეა დროსთან ერთად ჩამოყალიბდა. იგი ამსხვრევდა ნეგატიურობას და თანდათან ერგებოდა ადამიანთა ყოფას

²⁸⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბილისი, მეცნიერება, 1963, 393.

²⁸¹ რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი 23-ე, ტიტული I-ლი, მუხლები 1-18, თბილისი, ნეკერი, 2001, 11.

²⁸² Rudolph H., 2004. 355, (მითითებულია: ქანთარია ბ., სამართლის ისტორია როგორც პრაქტიკული მეცნიერება და არგუმენტაციის თეორია, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო 2017, № 8, 50.)

და მის სამოქალაქო ინტერესებს იზიარებდა. „წოდებათა უკიდურესად განსხვავებული უფლებრივი მდგომარეობის პირობებში, როცა მონა მოძრავ ნივთებს განეკუთვნება, ბუნებითი სამართალი იძულებულია, აღიაროს მათი თანასწორობა თავისუფალ მოქალაქეებთან. დიგესტებში ხშირად ნახავთ ნორმას, როცა მონა ცივილური სამართალით მოკლებულია ამა თუ იმ უფლებას, მაგრამ ბუნებითი სამართალით იგი მას ეკუთვნის“.²⁸³

რომაელი იურისტები რომის სამართალს ჰყოფდნენ საჯარო (jus publicum) და კერძო სამართლად (jus privatum). საჯარო სამართალი აწესრიგებდა რომის სახელმწიფოს მდგომარეობას, ხოლო კერძო – ცალკეულ პირთა შორის ურთიერთობებს. ეს დაყოფა შემოიღო ულპიანემ. რომაულმა კერძო სამართალმა საჯაროსთან შედარებით ბევრად მნიშვნელოვანი კვალი დატოვა სამართლის ისტორიაში. ოჯახის ინსტიტუტი რომში ძალზედ მოწესრიგებული იყო კანონმდებლობით. რ.ზომი საოჯახო ხელისუფლებას სამ ნაწილად ჰყოფდა: 1. მეუღლეთა ურთიერთობა (საოჯახო ქონებრივი ურთიერთობების სამართალი), 2. მამისა და შვილების ურთიერთობა (მამის ქონებრივი ურთიერთობების სამართალი) და 3. მეურვისა და სამეურვეო პირის ურთიერთობა (სამეურვეო ურთიერთობების სამართალი).

ბესარიონ ზოიძე ქართულ ძველ კანონმდებლობას ზენაციონალობისაკენ სწრაფვად ხსნის და მოაქვს ქართული სამართლის პრაქტიკიდან მაგალითი, სადაც გამოყენებულია იმ ქვეყნების სამართალი, რომელთა რეცეპციასაც არ ჰქონია ჩვენში ადგილი, კერძოდ: „სოლომონ მეორის (XVIII-XIX ს.ს) ერთ-ერთი სასამართლო განჩინება, რომელიც ქალის სამემკვიდრეო უფლებას ეხება, ამ აზრით ერთობ გამორჩეულია. ქალის ქონებრივი უფლება ჯერ დასაბუთებულია ბიბლიური სამართალით („დაბადების

²⁸³ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005, 37.

სამართალი“ და მოსეს სჯულისდება“), შემდგომ დამოწმებულია ფრანგული სამართალი და პეტრე პირველის კანონები, „თათართა, ურიათა, კერპმთსახურთა, და ყოველთა სჯულიერთა და „უსჯულოთა“ სამართალი, ბერძნული სამართალი. მხოლოდ ამის შემდეგ მოდის ნორმები საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართლიდან. განჩინების ფინალი ასეთია: „ამ მტკიცესა და ჭეშმარიტი სამართლით დაუმკვიდრა თავის შვილს ყმა და მამული თვისი ხუტუ მიქელამემ“.²⁸⁴ ეს განჩინება ნამდვილად დასტურია, რომ ჩვენი ეროვნული სამართალი ისწრაფვოდა თავიდანვე ზენაციონალურობისკენ, რასაც ჩვენც ვეთანხმებით.

ფრანგი მეცნიერი რენე დავიდი მსოფლიოს იურიდიულ რუკაზე მიჯნავს სამ სამართლებრივ ოჯახს და რელიგიურ და ტრადიციულ სისტემებს, რასაც იურისპრუდენციაც აღიარებს. მისი თეორიის მიხედვით მსოფლიოში ხუთი სამართლებრივი სისტემაა: რომანულ-გერმანული, საერთო სამართლის, სოციალისტური, რელიგიური და ტრადიციული. რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახს ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რომელიც დაკავშირებულია ძველი რომის სამართალთან და გავრცელებულია მთელ მსოფლიოში.

„მსოფლიოს ცნობილი მოაზროვნეები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, იურისტები... უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ დღესაც ძველი რომის სახელმწიფოს, სამართალს და, საერთოდ, მისი ცივილიზაციის შესწავლას, რადგან საზოგადოებრივი პროგრესისა და კულტურის ისტორიის თვალსაზრისით იგი მნიშვნელოვანი ეტაპია კაცობრიობის ისტორიაში“.²⁸⁵ ვინაიდან საქართველო რომანულ-გერმანულ ოჯახის ტიპს მიეკუთვნება და მანაც განიცადა რეცეპცია, მნიშვნელოვნად მივიჩნით, გამოვიკვლიოთ საოჯახო და საქორწინო

²⁸⁴ ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVIII-XIX ს.ს) ტ.VI, თბილისი, მეცნიერება, 1977, 431-434, (მითითებულია: ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005, 42.)

²⁸⁵ მეტრეველი ვ., რომის სამართალი საფუძვლები, თბილისი, მერიდიანი, 2013, 7.

ჩვეულებებიდან ნიშნობა ძველი რომის სამართლის მიხედვით, რათა ვიცოდეთ, საიდან მოვდივართ და სად მიდის ჩვენი სამართლებრივი მომავალი.

რომის სამართალში ნიშნობის ინსტიტუტი ისეთივე ძველთაძველია, როგორც ქართულ კანონმდებლობაში. ქორწინებას რომში წინ უსწრებდა წინასაქორწინო მოქმედება ნიშნობა - „sponsalia“, რომელიც მომდინარეობს სიტყვა „spondere“-სგან, რაც დაპირებას ნიშნავს, ამავე ფუძისგან არის ნაწარმოები სიტყვა „sponsio“, იგი სტიპულაციის უძველესი ფორმა იყო და გულისხმობდა ვერბალურ გარიგებას რომელი მოქალაქეებისთვის, რითაც მხარეები ან მათი მშობლები თუ მეურვეები თანხმდებოდნენ მომავალი ქორწინების შესახებ. „თავდაპირველად, ნიშნობა თითოეული დასაქორწინებელი პირის ოჯახის უფროსების შეთანხმებით ხდებოდა. მოგვიანებით კი თავად მექორწინეთა თანხმობით - „არ შეიძლება ქორწინება, თუ არ არის თანხმობა ყველა [მხარისა], ე.ი. იმ პირებისა, რომლებიც ქორწინდებიან და ასევე იმ პირებისა, რომელთა ხელისუფლების ქვეშ ისინი იმყოფებიან“.²⁸⁶

„სტიპულირება (stipulari) დაპირების მიღებას ნიშნავს. იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც აქტი, გარიგების ნაწილი, რომლითაც ერთი მხარე კრედიტორი ხდება, ხოლო „spondere“ („დაპირება“) კი იმ მოქმედებას აღნიშნავს, რომლის მეშვეობითაც მეორე მხარე ვალდებულებას კისრულობს“.²⁸⁷ ნიშნობა „წარმოადგენდა რიტუალურ პროცესს და როგორც ჯვრისწერა, საეკლესიო წესების თანახმად ხდებოდა“.²⁸⁸ VI მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებით იგი ქორწინებას უთანაბრდებოდა, რაც

²⁸⁶ D.23.1.12.1. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი ოცდამესამე, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, ნეკერი, 2001, 11. (მითითებულია: გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2013, 239.

²⁸⁷ იქვე, 10.

²⁸⁸ ლობჯანიძე გ., რომის სახელმწიფო და სამართალი, ტ. II, ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი, 2009, 50.

დაფიქსირებულია საერთო კანონმდებლობაში. (ეკლოგა 740. პროხორონი, 870).²⁸⁹

დიგესტების 23-ე წიგნის, პირველი ტიტულის, 1-ლი მუხლით: „ნიშნობა არის მომავალი ქორწინების დათქმა (ხსენება) და ორმხრივი დაპირება“.²⁹⁰ დასაქორწინებელი პირები კითხვა-პასუხის ფორმით ვერბალურ ანუ ზეპირ გარიგებას დებდნენ ერთმანეთთან. ერთი მხარის შეკითხვაზე (მაგალითად, „მპირდები, რომ მომცემ ან გამიკეთებ?“), “Spondes mihi dare centum?“. მეორე მხარე პასუხობდა - „გპირდები“ “Spondeo“ და ხელშეკრულება დადებულად ითვლებოდა“.²⁹¹

ფლორენტინუსის თანახმად: „ნიშნობა არის მომავალი ქორწინების დათქმა და ორმხრივი დაპირება“,²⁹² რაც ორივე მხარეს აკისრებდა ვალდებულებას ერთმანეთისთვის მიცემული პირობა არ დაერღვიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს აგებდნენ. საცოლე და სასიძო ორჯერ როლების გაცვლით წარმოთქვამდნენ სიტყვებს „მპირდები?“, „გპირდები“. „მეორე შემთხვევაში შეკითხვას („მპირდები“) უკვე სვამდა და ამით უფლებას იძენდა ის მხარე, რომელმაც პირველ შემთხვევაში უპასუხა („გპირდები“), ხოლო პირველ შემთხვევაში კითხვის დამსმელი კი ამჯერად პასუხს იძლეოდა და ამით ვალდებულებას კისრულობდა“.²⁹³

დიგესტების 23-ე წიგნის მე-2 მუხლში, ულპიანეს თანახმად ნიშნობის აღმნიშვნელი ტერმინი „Sponsalia“ - მომდინარეობს

²⁸⁹ იქვე, 51.

²⁹⁰ რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი ოცდამესამე, მუხ.1, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, ნეკერი, 2001, 7.

²⁹¹ რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი ოცდამესამე, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, ნეკერი, 2001, 167.

²⁹² იქვე, 167.

²⁹³ იქვე, 168.

„spondere“-სგან, რაც ლათინურად დაპირებას ნიშნავს.²⁹⁴ საიდანაც წარმოიშვა სახელწოდება დანიშნული საქმრო-sponsus, ხოლო საცოლე - sponsa.²⁹⁵

ნიშნობისთვის საკმარისი იყო მექორწინეთა თანხმობა, რაც მოლაპარაკების დაწყებას გულისხმობდა. ნიშნობა არათანმიოფ პირებს შორისაც მომხდარა, რომლებიც შემდგომში ნიშნობაზე თანხმობას დაამოწმებდნენ. ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ესწრებოდნენ თუ არა ამ პროცესს უშუალოდ მხარეები, უმეტესად ნიშნობას შუამავალი პირები (მაცნეები) აგვარებდნენ. ნიშნობის შესაწყვეტად ქალიშვილის მეურვეებს რომ გაეგზავნათ მაცნე, საკმარისი არ იყო ისევე, როგორც მათი თანხმობა ნიშნობაზე, ორივე შემთხვევაში გადამწყვეტი იყო ქალიშვილის ნება.²⁹⁶ მოწმეების დასწრება ამ დროს არ იყო სავალდებულო, არც მექორწინეთა დაპირების წერილობით გაფორმება. ქალიშვილის მამა თუ არ გამოხატავდა ნიშნობაზე უარყოფით აზრს, ნიშნობა ჩატარებულად ითვლებოდა. პირის შემლილობა ნიშნობის დამაბრკოლებელ გარემოებას ქმნიდა, თუ იგი ნიშნობის შემდგომ დადგებოდა, ნიშნობა არ მოიშლებოდა. თუ ქორწინების ხელშეკრულება 12 წლის ასაკამდე დაიდო და ნიშნობა წინ უსწრებდა ქორწინებას, იგი არ წყდებოდა, თუნდაც ქალიშვილს ქმრის სახლში, როგორც ცოლს, დაეწყო ცხოვრება. მაგრამ თუ ნიშნობა არ უსწრებდა ქორწინებას, ასეთ დროს ნიშნობა დაწესებულად არ ჩაითვლებოდა.²⁹⁷

23-ე წიგნის მე-14 მუხლში მოდესტინუსი აღნიშნავს: „ნიშნობის დაწესებასთან დაკავშირებით კონტრაჰენტების ასაკი განსაზღვრული

²⁹⁴ რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი ოცდამესამე, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, ნეკერი, 2001, 168.

²⁹⁵ იქვე, 169.

²⁹⁶ რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი ოცდამესამე, მუხ.6, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, ნეკერი, 2001. 7.

²⁹⁷ იქვე, (მუხ. 9 ულპიანე, „ედიქტის შესახებ“, 35-ე წიგნში), 8.

არ არის, როგორც ეს არის ქორწინების შემთხვევაში, რის გამოც დანიშვნა ადრეულ ასაკშიც არის შესაძლებელი, ოღონდ თუ ორივე მხარეს ესმის ის, რასაც ისინი აკეთებენ, ე.ი თუ ისინი შვიდ წლამდე ასაკისანი არ არიან“.²⁹⁸ „ნიშნობის დროს საქმროს მხარე საპატარძლოს მშობლებს ნიშნობის ბეჭედს²⁹⁹ და სხვადასხვა სახის მოძრავ ნივთს გადასცემდა“.³⁰⁰

ბიზანტიური სამართლით 7 წლის ქალიშვილის დაწინდვა შეიძლებოდა, 12 წლის ასაკში - ქალის გათხოვებაც. ნარატიული ცნობებით ხუთი ან ხუთნახევარი წლის საცოლედ დანიშვნაც ფიქსირდება, რაც უდავოდ კანონდარღვევაა. ნიშნობის შემდეგ იწერებოდა საქორწინო ხელშეკრულება, სადაც აღნიშნავდნენ მზითვის ოდენობას.³⁰¹

თუ ქალიშვილი მამის ხელისუფლებაში იყო და მას მამა უზნეო ან სახელგატეხილ საქმროს შეურჩევდა, შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია. მამის ხელისუფლებიდან გამოსვლა იშვიათი იყო. „მეურვეს, რომელსაც მეურვეობაში ქალიშვილი ჰყავს, მისი არც ცოლად მოყვანა შეუძლია და არც თავის ვაჟიშვილზე დაქორწინება, ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ ის წესი, რაც ჩვენ ქორწინების შესახებ გადმოვეცით, ნიშნობასაც ეხება“.³⁰²

ე. შტაერმანი მიგვითითებს: „გათხოვებამდე, ქმრის ხელისუფლებაში გადასვლამდე, ქალიშვილი, კანონის თანახმად, *pater familias*-ის ხელისუფლებაში იმყოფებოდა, რომელიც ერთმართველის განუსაზღვრელი ძალაუფლებით იყო აღჭურვილი. გერმანელი

²⁹⁸ იქვე, 9. (მუხ. 14, მოდესტინუსი, „განსხვავებანი“, მე-4 წიგნში.)

²⁹⁹ პატრიციებისთვის-ოქროს, სხვა სოციალური ფენისთვის -შედარებით დაბალი ხარისხის ლითონის ბეჭედი, ხოლო მონებისათვის-რკინის ბეჭედი იყო ნებადართული.

³⁰⁰ გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2013, 239-240.

³⁰¹ ლობჯანიძე გ., რომის სახელმწიფო და სამართალი, ტ. II, ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი, 2009, 50.

³⁰² რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი ოცდამესამე, ტიტული 1, (მუხ. 15, იგივე წიგნში „ცალკეული [საკითხები] გარკვეული შემთხვევების შესახებ] ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, ნეკერი, 2001, 9.

მეცნიერის, ე. შტაერმანის თქმით, „სახელმწიფოსათვის აუცილებელი „სახელმწიფოებრივი ზემოქმედების“ ღონისძიებები, სასჯელის შეფარდება და სხვა რეპრესიული აქციების აღსრულება ხდებოდა ოჯახებში, სადაც „პატერ ფამილიას“-ი აღჭურვილი იყო აბსოლუტური ძალაუფლებით“,³⁰³ მამის ძალაუფლება ქალიშვილის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ ზოგჯერ, სურვილის შემთხვევაში, მამას ნიშნობის ჩაშლაც შეეძლო. ამის შესახებ საგანგებოდ არის ნათქვამი დიგესტებში: „თუ ქალიშვილი მამის ხელისუფლების ქვეშ იმყოფება, მაშინ მამას შეუძლია საქმროს მაცნე გაუგზავნოს და ნიშნობა მოშალოს“. ³⁰⁴ გარდა იმ შემთხვევისა, თუ მამის ხელისუფლებიდან განთავისუფლების მიუხედავად პირობა იყო მათ შორის დადებული, რომ თუ მამა ქორწინებაზე თანახმა არ იქნებოდა, საქორწინო ხელშეკრულება დაიდებოდა, თუ არა - მას შეეძლო მზითევი დაებრუნებინა უკან.³⁰⁵

შ.ლ. მონტესკიეს თანახმად: „ნიშნობა დაუშვებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ ქორწინება არ მოხდებოდა ორი წლის მანძილზე; ვინაიდან არ შეიძლებოდა ქალიშვილის ცოლად შერთვა თორმეტი წლის ასაკამდე, ნიშნობა ხდებოდა მაშინ, როცა იგი ათი წლისა იყო. კანონი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ მოქალაქეებს ესარგებლათ დაქორწინებულთა პრივილეგიებით ნიშნობის მოტივით“.³⁰⁶

³⁰³ შტაერმანი ე., რომის სამართალი, ჟურნ. „სამართალი“, №2, 1992, 80. მითითებულია: ხოფერია მ., ქალის უფლებაუნარიანობა ქართული და რომაული სამართლებრივი აზროვნების ჭრილში, სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, №2, 2009, 172.

³⁰⁴ რომის სამართლის წყაროები, იუსტინიანეს დეგესტები, წიგნი 23.1.10, (ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ) თბილისი, 2001, 8. მითითებულია: იქვე, 172.

³⁰⁵ იქვე, 8-9. (მუხ. 10, იგივე, „დისპუტაციები“, მე-3 წიგნში).

³⁰⁶ მონტესკიე შ.ლ., კანონთა გონი, თბილისი, 1994, 510.

3.5. ქალის აკვანში ნიშნობა „დაწინდვა“

უძველესი დროიდან ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, საქართველოს რიგ რეგიონებში, ასევე კავკასიასა და მსოფლიოს სხვა ხალხებშიც, გვხვდება ჩვილი ქალ-ვაჟის აკვანში დანიშვნა „დაწინდვა“, „რომელიც პატრიარქალური ოჯახების დაარსებასთან ერთად უნდა გაჩენილიყო, რათა მეტი სიცხადით ყოფილიყო აღნიშნული მამაკაცის საგვარეულოს უფლებები დანიშნულ ქალზე“.³⁰⁷ სლავურ და გერმანელ ხალხებში „ამგვარი წესი ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული ჩვეულება უნდა იყოს, რადგან გულისხმობს ოჯახში რძლის სახით უკვე მოზრდილი მუშახელის შემოყვანას“.³⁰⁸

ნიშნობის მიზანი იყო შვილების კარგი მომავალი. მშობლებმა, რაკი იცოდნენ სამოყვრო ოჯახების ავ-კარგი, ითვლებოდა, რომ მათი კეთილდღეობისთვის აკვანში ნიშნობა ხელსაყრელი იქნებოდა.

სამეგრელოში იცოდნენ ჩვილის დაბადებამდე, დედის მუცელშივე დაწინდვა. „ნაცნობ-მეგობრის ორი ოჯახი, რომლებსაც თავიანთი ურთიერთობის განმტკიცება დანათესავებით უნდოდათ, ხანდახან ადრეულ ასაკში, აკვანში და დაბადებამდეც კი ნიშნავდნენ თავიანთ შვილებს. ასეთ შემთხვევაში სხვისი ჩარევა აღარ იყო საჭირო. ბავშვების წამოზრდის მთელი პერიოდის განმავლობაში ისინი ყოველნაირად ყურადღებიანი იყვნენ ერთმანეთის მიმართ, დღეობა-დღესასწაულებზე კი საჩუქრებსაც მიართმევდნენ ხოლმე. ეს განსაკუთრებულად ევალებოდა სასიძოს ოჯახს. ბავშვებს მომწიფების შემდეგ კი თავიდან ნიშნავდნენ - აწყობდნენ ჩვეულებრივ ნიშნობას.

³⁰⁷ ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, 1939, 85.

³⁰⁸ Ковалевский М., Очерки, Происхождения и развития семьи и собственности, под. ред. проф. Косвена М.О., Перевод с французского Моравского С.П., Москва, 1939. 81. (მითითებულია: ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი. 1939, 85.)

დანიშვნის ეს ხერხი უმეტესად შემორჩენილი იყო მთიან კუთხეებში (მთიულეთი, ხევი, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი)“.³⁰⁹

ქიზიყში „დაწინდვა“ აკვანზე ფაჩუჩის შებმით ხდებოდა, რაც ქალის „დათავისების“ პირველი ნიშანი იყო.³¹⁰ ტერმინი „დაწინდვა“ წინდის მიტანის ჩვეულებიდანაც უნდა მოდიოდეს³¹¹ მისი ადგილი სპარსულიდან ნასესხებმა „ნიშანმა“, ზოგან კი თურქულმა „ბელგამ დაიკავა“.³¹² „ბელგა და პატარა ნიშანი საპატარძლოს „ხელის დადება“ ქიზიყში და საქართველოს სხვა კუთხეებშიც“.³¹³ „ხელდადებული ქალის ხელყოფა სხვა ოჯახებს აღარ შეეძლოთ“.³¹⁴

მთიულეები ამ ჩვეულების შესახებ „ანდაზად“ შემორჩენილ ამბავს გადმოსცემენ: „პაპები დაგვიტვლიდნენ - ბაღლის მშობლები აკვანში მიუტანდნენ ნიშანსო ქალის მშობლებს; ზოგიერთი მთიულის რწმენით „აკვანში ნიშანი ხევსურებმა და ოსებმა იციანო. ბაღლის მშობლები საქორწილოდ მოღერებამდე მძახლებთან ზღვენით უნდა მისულიყვნენ, ყოველ ბედნიერ დღეს თუ არა, ახალწლის შემდეგ მაინც, დანიშნული ქალისათვის ბედის კვერი უნდა მიეტანათ“.³¹⁵

მცირეწლოვანთა დანიშვნა-დაქორწინებას ადრეული ქართულ წერილობითი ძეგლებიც ადასტურებს. „ძეგლის წერა“-ში არსებული ცნობების მიხედვით, პროფ. ივ. ჯავახიშვილი საქართველოში მცირეწლოვანთა დანიშვნის შესახებ შენიშნავს, რომ ამ წესის არსებობა

³⁰⁹ ბეჟია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი, მეცნიერება, 1980, 31-32.

³¹⁰ ნანობაშვილი ბ., საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში, (ქორწინება ქიზიყის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) თბილისი, მეცნიერება, 1988, 41.

³¹¹ მენტეშაშვილი სტ. ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, საქ. მეცნიერება, 1943, 184, გოცირიძე მ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ VII. თბილისი, 1962, 49, (მითითებულია: ნანობაშვილი ბ., საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, მეცნიერება 1988, 40.)

³¹² იქვე, 40.

³¹³ გოცირიძე გ., ქორწინება., გვ.38-39 (მითითებულია: ნანობაშვილი ბ., საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში, (ქორწინება ქიზიყის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) თბილისი, მეცნიერება, 1988, 42.

³¹⁴ იქვე, 42.

³¹⁵ ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1955, 58.

უძველეს ხანას ეკუთვნის, რასაც XII საუკ. უკვე რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამაც დართო ნება. მაგრამ არა მარტო დაწინდვა, არამედ მცირეწლოვანთა დაქორწინებაც ჰქონიათ წინათ წესად, და ამიტომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას ამავე დროს ეს უკანასკნელი აუკრძალავს“. *„რათა ამიერითგან არღარა ეკურთხეოდინ გვრგვნი ჩჩვლთა ქალ-ყმათა, არამედ უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს, მშობელთა მათ დიად დაუწინდენ იგი უერთიერთას. და რაჟამს ჰასაკად ათორმეტისა წლისასა უმცროდსი ნომცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა“* (ძეგლის წერა).³¹⁶ ასეთი მოთხოვნის შემოღებამ საერო კანონმდებლობაზეც დადებითად იმოქმედა, „რაც დავით აღმაშენებლის პროგრესული საკანონმდებლო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს“.³¹⁷

ზოგიერთ ხალხში აკვანში დანიშვნამ იმდენად მოიკიდა ფეხი, რომ კანონშიც კი ასახეს მისი წერილობითი გაფორმების ვალდებულება, ქორწინებას, როგორც სავაჭრო საქონელს, ისე უყურებდნენ. „ბრუნო მაისნერი შრომაში *Babylonien und Assyrien* (BzI1924) გადმოსცემს ჰამურაბის კანონის ერთი პარაგრაფის შინაარსს: როდესაც ორ ოჯახს თავიანთი შვილების დაქორწინებაც უნდა, ამისათვის ზოგჯერ ბავშვობის ასაკშივე ნიშნავდნენ და ამის შემდეგ (დანიშნულნი) თავისუფლად მათივე მშობლების ოჯახში რჩებოდნენ. შემდეგ იგივე ავტორი გვაუწყებს, რომ ეს ურთიერთობა საზოგადოების განსაზღვრული წრისათვის ვაჭრობის საგნადაც ქცეულა და ასეთი დამოკიდებულების წერილობითი გაფორმებაც საჭირო გამხდარა.³¹⁸

სვანეთშიც ძველად ქალს აკვანში ნიშნავდნენ, ნიშანი პრიმიტიული იყო, რომელიც გადმონაშთული სახით გამოიყენებოდა -

³¹⁶ ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორი, წიგნი II, ნაკვეთი II, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1929, 366.

³¹⁷ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2011, 75.

³¹⁸ ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1955, 62.

სახლის კარზე ჯოხის მიყუდება, ტყვია ე.წ ფინთიხ-ი ანუ ფინდიხ-ი, რომელსაც ვაჟის პატრონი ან ჩუმად შეუგდებდა ქალის პატრონს, ან სახლის კარზე თოფს გაისვროდა და დაიძახებდა: დღეის შემდეგ ქალი ჩვენ მიერაა დაკავებულიო. მოგვიანებით ეს წესი მშობლების მშვიდობიანი გზით მოლაპარაკებით შეიცვალა.³¹⁹

რ. ხარაძე სვანურ ქორწინებაზე გადმოგვცემს, რომ „მცირეწლოვანთა დანიშვნა და ქალების აღზრდის ჩვეულება მათი საქმროების სახლში პატრიარქალური წყობილების დამყარების თავდაპირველი საფეხურის ნიშანს უნდა ატარებდეს. დედ-მამის საგვარეულოდან ქალის უცხო საგვარეულოში გათხოვება და წასვლა მანამდე არსებული წესის ანტიპოდად უნდა მივიჩნიოთ. ამგვარად, თუ მანამდე არსებული ჩვეულებით ქალის გათხოვება მისი დაბადებისთვე განისაზღვრებოდა, ე.ი. ქალი თავისი დაბადებითვე გარკვეული ჯგუფის ვაჟებს ცოლად ერგებოდა და თავის სახლში რჩებოდა, ახლა უკვე რომელიმე სახლი ქალს დაბადებითვე (ზოგჯერ დაბადებამდეც) თავის რძლად ნიშნავდა და საქმროს სახლში ჯერ კიდევ მცირეწლოვანი მიჰყავდა“.³²⁰

აჭარაშიც უცხო არ ყოფილა დაბადებამდე და აკვანში დანიშვნა, ამის აღსანიშნავად თურქული ტერმინი – „ბეშიქერთმა“ არსებობდა, რომელიც მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებით ხდებოდა. „ულვაშის სიტყვა ჭრიდა“ და კმაროდა, ნიშნის მიტანა კი დანიშნულთა საქორწინო ასაკში შესვლის დროს ხდებოდა“.³²¹

ი. ითონიშვილი გადმოგვცემს, რომ ხევში „ნიშნად მიღებული ყოფილა ერთი „ჯვრიანი მანეთი“. უფრო გვიან, ყოველ შემთხვევაში XIX საუკუნის პირველ ნახევრიდან ჯვრიან მანეთიანს შენაცვლება

³¹⁹ ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, 1939, 85.

³²⁰ ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, 1939, 106. (მითითებულია; ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1955, 65.)

³²¹ ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, საბჭოთა აჭარა, 1974, 39.

სამი მანეთი, რაითაც ერთი ცხვრის ყიდვა შეიძლებოდა, ხოლო ჯვრიანი მანეთის გამოყენებამდე რა იყო მოხმარებული ნიშნად, ამის შესახებ ცნობა არ გაგვაჩნია“.³²²

რომაული სამართალი კრძალავდა ადრეულ ასაკში ნიშნობასა და ქორწინებას დასანიშნ პირთა ასაკის გამო, „ნიშნობის დაწესებასთან დაკავშირებით კონტრაქტების ასაკი განსაზღვრული არ არის, როგორც ეს არის ქორწინების შემთხვევაში, რის გამოც დანიშვნა ადრეულ ასაკშიც არის შესაძლებელი, ოღონდ თუ ორივე მხარეს ესმის ის, რასაც ისინი აკეთებენ, ე.ი შვიდ წლამდე ასაკისანი არ არიან“.³²³

მცირეწლოვანთა ნიშნობას ი. ვინიკოვი კუზენური ქორწინებიდან მომდინარედ მიიჩნევს: „და ბოლოს კუზენური ქორწინებითაა დავალებული თავისი წარმოშობით არაბებში ადრეულ ბავშვობაში ქორწინების მახლობელ დრომდე არსებული ჩვეულება. ჯეი-ნაუს არაბები მოგვითხრობენ: „ძველ დროში ჩვენში იყო ჩვეულება: ჩემ ძმას დაებადა ქალი, მე კი პატარა ვაჟი მყავს. მე მივდიოდი ძმასთან, მისი სახლის კართან ვგვიდი და ველაპარაკებოდი: „შენს ქალს ჩემი შვილისათვის ცოლად წავიყვან“. ძმა პასუხობდა „გაძლევო“. ეს ქალი იქნებოდა ჩემი შვილის სახელობაზე (nomika), როცა ქალი გაიზრდებოდა, მე მიმყავდა იგი და ვაძლევდი ჩემს ვაჟიშვილს. ასევე ვიქცეოდი, როცა ჩემს დას გაუჩნდებოდა გოგო“. „მრავალ სხვა ხალხში ცნობილი ეს ჩვეულება წარმოიშვა მაშინ, როცა საზოგადოებაში ქორწინების აუცილებელი ფორმა იყო კუზენური ქორწინება და როცა მამაკაცს უკვე დაბადებიდან ჰქონდა უფლება განსაზღვრული კატეგორიის ქალებზე - ნათესაობის სხვადასხვა საფეხურის თავის კუზენზე. მაშინ მშობლები, შემდგომში შემთხვევითი

³²² ითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1960, 109.

³²³ დიგესტები. 23.1.9 (მითითებულია: შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, მერიდიანი, 2003, 9.)

შესაძლებლობის თავიდან აცილების მიზნით, ცდილობდნენ, თავიანთი შვილები დაენიშნათ უკვე ადრეულ ბავშვობაში“.³²⁴

3.6. განქორწინება ძველი ქართული სამართლის მიხედვით

ქორწინება ოჯახის საფუძველია, ხოლო მისი დარღვევა არასასურველ შედეგს იწვევს. ის უძველესი დროიდან საკანონმდებლო მოწესრიგების საგანი იყო. ქართული ხელისუფლება, ეს იყო მონათმფლობელურ, ფეოდალურ თუ კაპიტალისტურ წყობაში, ცდილობდა საგანქორწინებო სამართლის ნორმები საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე შეემუშავებინა და მისი სიმტკიცისთვის ხელი შეეწყო. „ცოლი და ქმარი რაგინდ სძულდენ ერთმანეთსა, უბრალოდ გაყრა არ იქნების, კათოლიკოსმა წურთნით უნდა შეარიგოს“³²⁵ - გვამცნობს სამართალი ბატონისშვილის ვახტანგის 66-ე მუხლი. ამავე სამართლის 44-ე მუხლის თანახმად „ცოლ-ქმარს შორის ყოველგვარი სასამართლო საქმე, გარდა ქმრის მიერ ცოლის წამების შემთხვევებისა, კათოლიკოსს ექვემდებარებოდა“.³²⁶ სადაც აღნიშნულია: „მაგრამ კაცი რომ ცოლს სტანჯვიდეს და უპატიურად ეპყრობოდეს, და ურიგოს უშურებოდეს, მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს, ავად მიეპყრას და კათალიკოზმაც ასრე უყოს. სხვა ამას გარდა თუ რამ ცოლ-ქმრობაში ურიგო რამ მოხდეს, ის კათალიკოზმან იცის“.³²⁷

³²⁴ Винников И.Н., Арабы в СССР, Советская этнография. № IV, 1940. 17-18, (მითითებულია; ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1955, 64.)

³²⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ.1. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა, მუხ.66, ტექსტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, მეცნიერება, 1963, 499.

³²⁶ სურგულაძე ივ. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ.1, თბილისი, სტალინის სახელობის უნივერსიტეტი, 1952, 358.

³²⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ.1. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა, მუხ.64, ტექსტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, მეცნიერება, 1963, 499.

განქორწინება რომელიმე მხარისთვის ხშირად ცუდად აისახება, მათ შორის მტკივნეულად მოქმედებს ბავშვების ცხოვრებაზეც. აღნიშნული თემით დაინტერესებული მკვლევარები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ქორწინების დარღვევა იწვევს, მხარეთა სამართლებრივი უფლებების შეწყვეტას. მიაჩნდათ რომ „...თითქმის ქორწინების ყოველი დარღვევა - ეს არის ოჯახის დანგრევა და რომ თუნდაც წმინდა იურიდიული თვალსაზრისით ბავშვებისა და მათი ქონების მდგომარეობა არ შეიძლება დამოკიდებული გავხადოთ მშობლების თვითნებური შეხედულებისაგან და იმისაგან, რაც რომელიმე მათგანს მოეპრიანება“.³²⁸

ქორწინების შეწყვეტა ფეოდალურ საქართველოში მიუღებლად ითვლებოდა, რადგან თვლიდნენ, რომ მორალური მხარის დარღვევის გარდა შთამომავლობის შემცირებასაც იწვევდა. ქრისტიანული ეკლესია მას მხოლოდ რომელიმე მეუღლის ფიზიკური სიკვდილის შემდეგ აღიარებდა, იგი ყოველთვის ცდილობდა, ფეოდალურ საზოგადოებაში განქორწინებას ადგილი არ ჰქონოდა, მაგრამ იძულებით მტკიცე ოჯახის შენარჩუნება და იურიდიული ბორკილების დადება, რომ არც სახელმწიფოს და არც ეკლესიას არ შეეძლო, ეს ნათელი იყო, ამიტომ ცხოვრების პირობების შესაბამისად იქმნებოდა და იცვლებოდა განქორწინების წესები ისევე, როგორც ბიზანტიაში, რომლის გავლენის ქვეშ შუა საუკუნეებში მოქცეული იყო ქართული სამართალიც.

ფეოდალური საოჯახო სამართალი შუა საუკუნეებში ქართული კერძო სამართლის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც კავშირში იყო რელიგიასა და ფილოსოფიის ისტორიასთან. ჩვენი მიზანია, განვიხილოთ განქორწინების ისტორიულად განვითარების თავისებურებები, მისი წარმოშობის ეტაპები, პირობები, საფუძვლები და ადათობრივი წესები, რათა შევძლოთ წარმოვაჩინოთ საქართველოს

³²⁸ ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, სამთავისი, 1996, 178.

ძველი საოჯახო სამართლისა და საკანონმდებლო ძეგლების თავისებურებები, რაც უფრო ნათელს გახდის საკვლევი საკითხის გავლენას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე, ქალის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, სხვა ხალხთან ამ ინსტიტუტის შედარებას და სხვა. ვიზიარებთ გ. ნადარეიშვილის მიდგომებს, რომელსაც მოჰყავს ი.ა პროკოვსკის ციტატა: „...იყო ყოველ შემთხვევაში, ერთი ხალხი, რომელმაც იცოდა განქორწინების სრული თავისუფლება და რომელიც ამის გამო არ დაიღუპა. მართალია, იგი სცენიდან წავიდა, მაგრამ არც კი მოინახება ისტორიკოსი, რომელიც ანტიკური სამყაროს დაღუპვას მისი საოჯახო ურთიერთობის სისუსტეს მიაწერდეს“.³²⁹ სწორედ რომში იყო ყველაზე მეტად საკანონმდებლო წესით ნებადართული განქორწინების თავისუფლება. ფილოსოფოს ლუციუს ანეუს სენეკას გამონათქვამით, „რომაელები იმისთვის ქორწინდებოდნენ, რომ განქორწინებულიყვნენ და იმისთვის განქორწინდებოდნენ, რომ ხელახლა დაქორწინებულიყვნენ“. რომში შეიძლებოდა განქორწინება ქმრის, ცოლის ან ორივეს სურვილით, რასაც მოწმეების წინაშე გამოხატავდნენ წერილობით ან ფაქტობრივად წყვეტდნენ თანაცხოვრებას.³³⁰ ქორწინება „Sine manus“-ს არსებობის პერიოდში რომში გაიზარდა ისეთ განქორწინებათა რიცხვი, რომლებშიაც არ იყო ამისათვის საკმაო მორალური საფუძვლები. წმ. ივრონიმე მოგვითხრობს, რომ ის პირადად ესწრებოდა რომში ერთი ქალის დასაფლავებას, რომელსაც გამოუცვლია სიცოცხლეში 22 ქმარი. სენეკას აღნიშნული აქვს, რომ რომაელი ქალები თავიანთ ხნოვანებას

³²⁹ ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, სამთავისი, 1996, 182.

³³⁰ ლობჯანიძე გ., რომის სახელმწიფო და სამართალი, ტ. 2, ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი, 2009, 62.

ითვლიდნენ არა კონსულების, არამედ გამოცვლილი ქმრების რიცხვით“.³³¹

შუა საუკუნეების ქრისტიანული ქვეყნების კანონმდებლობამ შეიმუშავა განქორწინებისათვის საკანონმდებლო მოტივები, რომელიც მანამდე ძალზედ მკაცრი იყო. მაგალითად, „629 წელს კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებამ მუცლის განგებ მოშლასთან დაკავშირებით სიკვდილით დასჯა დააწესა“.³³² განქორწინების მოტივად დაწესდა ცოლის მრუშობა, რაც ნათლად აისახა განქორწინების ფეოდალურ-ქრისტიანულ წესში. მოვიხმობთ საეკლესიო სასამართლოს იურისდიქციაში 1775 წლის ერთ საბუთს, რომელიც წარმოადგენს ვინმე მეზრუხიძის ახსნა-განმარტებითს წერილს ნეკრესელისადმი: „ეს წიგნი მოგართვი მე გიორგი იმერელმა მეზრუხიძემ რაჭველმა, თქვენ ყოვლად სამღვდელს დოსითეოს ნეკრესელს. თქვენ მოგეხსენებათ...ცოლი გაუშვი, მაგრამ ბოზობის მიზეზით გაუშვი. თუ სხვა მიზეზით გამეშოს და ბოზობის მიზეზით არ გამეშოს, ქრისტეს წინ შენ პასუხი მოგცე“.³³³

ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართულ წყაროებში განქორწინების თემას აღწერს V-ს. ქართველი ისტორიკოსი იაკობ ხუცესი (ცურტაველი) თავის უძველეს ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „შუშანიკის წამება“, სადაც მოცემულია შუშანიკის დაჩაგრული მდგომარეობა, როგორც სოციალური არსების, რომელიც ვარსკენის ცოლობაზე უარს ამბობს სარწმუნეობრივი მოტივით, აპროტესტებს ქმრის მიერ ქრისტიანული სარწმუნეობის უარყოფას და მაზდეანობის მიღებას. ამ მიზეზით მიდის სახლიდან და ტოვებს ოჯახს, ე.ი წყვეტს ქორწინებას. რაზეც ვარსკენი მას უთვლის „ან ნებაჲ ჩემი ყავ და

³³¹ ნადარეიშვილი გ., საოჯახო სამართალი ფეოდალურ საქართველოში, დისერტაცია, 1954, 162.

³³² ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, სამთავისი, 1996, 184.

³³³ „გუჯრები“, ა. ხახანაშვილის რედაქციით, 80. მითითებულია: სურგულაძე ივ. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, სტალინის სახელობის უნივერსიტეტი, 1952, 358.

მოვედ ტაძრად, უკუეთუ არა მოხვდე შინა, ჩორდ წარგცე ანუ კარვად კარაულითა“.³³⁴

სიტყვა „კარაული“ ძველ ქართულში ვირს ნიშნავდა. იგი გამოიყენებოდა საოჯახო-ზნეობრივი ნორმების დარღვევისათვის. შუშანიკი კი ვარსკენს პასუხობს: „უბადოო და უგულისხმოო, ხოლო მე თუ კარად ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხვო და ბოროტსა ამას განვერე“.³³⁵ ამის შემდეგ ვარსკენმა გადაიფიქრა შუშანიკის ამ სახით დასჯა, რადგან მიხვდა, რომ შუშანიკს შეეძლო მეორედ გათხოვება.³³⁶

ქართული ადათობრივი სამართლით ცოლის ვირზე უკუღმა შესმა, ქუჩა-ქუჩა ტარება და ისე გაგზავნა თავის მშობლებთან, ქმარს აძლევდა ამის უფლებას, რაც ლინჩის წესით გასამართლებას გულისხმობდა. წერილობითი წყაროების თანახმად, ლინჩის ტიპის სასამართლოს სათავეში ძირითადად უხუცესები ედგნენ მაღალმთიან რეგიონებში.³³⁷ გიორგი ნადარეიშვილის განმარტებით, „ვირზე პირუკუღმა შესმა ან ვირზე შესმა, როგორც გამაწბილებელი სასჯელი, ცნობილი იყო ძველ საბერძნეთშიც“.³³⁸

ადათობრივი ნორმები ადათობრივმა სამართალმა შეცვალა, რომელიც მოქმედებდა კანონთან ერთად, მათგან ძველი ადათები საკანონმდებლო ძეგლებში იქნა გამოყენებული. ამდენად, V საუკუნეში ერთ-ერთ ასეთ დანაშაულად ითვლებოდა ცოლის მიერ ქმრისადმი დაუმორჩილებლობა და ოჯახიდან თვითნებურად წასვლა. ვირზე შესმა შეიძლება შეეფარდებინათ ასევე სხვა მძიმე დანაშაულისთვის, მაგალითად, მრუშობისთვის.

³³⁴ ცურტაველი, ი., წამებად შუშანიკ დედოფლისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.1, (V-X სს) რედ. ილ. აბულაძე, თბილისი, 1963, 2.

³³⁵ წამებად შუშანიკ დედოფლისად., 24, 5.

³³⁶ ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, სამთავისი, 1996, 196.

³³⁷ ქართული ჩვეულებითი სამართალი., ტ. IV, თბილისი, მეცნიერება, 1991, 205.

³³⁸ ნადარეიშვილი გ., ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ქართული სამართლის კლასიკა, წ. I, თბილისი, ზვიად კორძაძე, 426. 2017.

შ.ლ. მონტესკიეს განმარტებით, რომში „ოჯახური სასამართლო განიხილავდა ქალების ყოფა-ქცევას, მაგრამ იყო ერთი დანაშაული - ცოლქმრული ღალატი, რომელიც ამ სასამართლოს მიერ გაკიცხვის გარდა საჯარო ბრალდებასაც ექვემდებარებოდა. ამის მიზეზი ან ის იყო, რომ რესპუბლიკაში ზნეთა ასეთი დიდი დარღვევა მთავრობის დაინტერესებას იწვევდა, ან ის, რომ ქალის ზნედაცემულობა ქმრის ზნეობას საეჭვოდ ხდიდა, ან კიდევ ის, რომ ემინოდათ თვით პატიოსან (honnetes) ადამიანებს ეს დანაშაული დასჯის მაგივრად არ დაეფარათ და შურისძიების ნაცვლად არ უგულებელეყოთ“.³³⁹

ქართული ფეოდალური კანონმდებლობის თანახმად, ცოლის მიერ ქმრის ღალატი მძიმე ცოდვად და დანაშაულად ითვლებოდა, ხოლო ქმრის ღალატი დაუსჯელი იყო. პატრიარქალური ოჯახის უფროსს მოღალატე ცოლისათვის სასჯელის სახედ შეეძლო გამოეყენებინა „გაყრა“, „ვირზე შესმა“, „კვეთილში ჩასმა“, „გახეიბრება-გაჯულურება“, რაც ცხვირის ან ყურის მოჭრას გულისხმობდა და სხვა. არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს, რომ „როდესაც სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა /1611-1657 წწ./ გაიგო, რომ ცოლი - აფხაზეთის მთავრის ასული, მას ღალატობდა, მიუხედავად იმისა, რომ ლევანიც თავის მხრივ მას ღალატობდა - საშინლად დასაჯა. არქ. ლამბერტის სიტყვით მან „მაშინვე გააგდო ცოლი და ბერძნების სჯულისამებრ შესარცხვენად ცხვირი მოსჭრა; მერე შეკრიბა ჯარი და ქალი წაიყვანა მის მამასთან“, ხოლო მისი სამშობლო - აფხაზეთი - მოარბია“.³⁴⁰ ამგვარი ხასიათის სასჯელი, საბედნიეროდ, დღესდღეობით არ გვხვდება, რაც მის საბოლოო გაქრობაზე მიგვითითებს.

მრუში ცოლის დასჯა ქმრის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. „მას შეეძლო, დაუსახიჩრებლადაც გაეშვა ცოლი,

³³⁹ მონტესკიე შ.ლ., კანონთა გონი, თბილისი 1994, 133-134.

³⁴⁰ ლამბერტი არქ. სამეგრელოს აღწერა, თბილისი, ფედერაცია, 1938. (მითითებულია ნადარეიშვილი გ. საოჯახო სამართალი ფეოდალურ საქართველოში, დისერტაცია, თბილისი, თბ1954, 201.)

მაგრამ ხმას დააგდებდა: ვინც მას მოიყვანდა ცოლად, მასთან ექნებოდა საქმე“.³⁴¹ შუაფეოდალურ ხანაში ქალი განქორწინებისას უფრო დაჩაგრული იყო, რაც ჩანს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შესული ბექას სამართლის 29-ე მუხლით. ქმარი, რომელიც უბრალოდ „დააგდებს“ ცოლს, ნახევარი სისხლის გადახდით სჯიან: *„თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, სისხლის ნახევარი მისცეს და მისი ზითევი სრულად“*.³⁴² ხოლო ცოლი ქმრის მიტოვებისათვის ამავე სამართლის 32-ე მუხლით მთელი სისხლის გადახდით ისჯებოდა: *„პირველ დიაცი მიღმა ქრმისა დაგდებასა არას ემართლება, არცა ღირსა და ნუცა იკადრებს. თუ რადმე დააგდოს და ღმერთი შერისხდეს მისითა ენაჭრტიალობითა, უსირცნობითა, რომლისაც გვარისა იყოს იგი კაცი, ეგეთი სისხლი დაუურვოს მან დიაცმან“*.³⁴³

სხვა ძეგლებისგან განსხვავებით, კათალიკოსთა სამართლის 23-ე მუხლით, ცოლის „უბრალოდ დაგდება“ ქმარს არ ეპატიებოდა და სასჯელის სახედ სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა: *„ქ. რომელმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, შეჩუენებულიმცა არის წმიდათა მოციქულთაგან და სიკუდილითა განიპატიჟოს“*.³⁴⁴

კანონმდებლობის პროექტში, სამართალი ბატონისშვილის დავითისა, განხილულია განქორწინების საკითხიც. მ. გარიშვილი გადმოგვცემს: *„დავით ბატონისშვილის აზრით, ქორწინების შეწყვეტისათვის, გარდა ცოლის მიერ ქმრის ღალატისა, საერო და საეკლესიო კანონებმა უნდა დაუშვან განქორწინება შემდეგი ძირითადი მიზეზების არსებობის გამო:*

1. რომელიმე მეუღლის უგზოუკვლოდ დაკარგვა;

³⁴¹ სურგულაძე ი., საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 1985, 134.

³⁴² ქართული სამართლის ძეგლები, ტ.1. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბექასი, მუხლი [29] ტექსტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 435.

³⁴³ იქვე, 436.

³⁴⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ.1. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი კათალიკოსთა, მუხლი [23] ტექსტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 397.

2. რომელიმე მეუღლის პოლიტიკური სიკვდილი;
3. შეუღლებისათვის უვარგისობა, რომელიც სამედიცინო წესით იქნებოდა დადასტურებული;
4. უტყუარი და დამტკიცებული მკვლელობის დანაშაულის მცდელობა ერთმანეთის მიმართ“.

ეს მიზეზები, დავითის აზრით, საკმარისი საბაზია ქორწინების შეწყვეტისათვის. ამიტომ ორივე სახის კანონმდებლობამ - საერო და საეკლესიო - აღარ უნდა შეუქმნან დაბრკოლება ყოფილ მეუღლეებს, რათა ცივილიზებული მეთოდებით განშორდნენ ერთმანეთს, მითუმეტეს, რომ მათ შორის ცოლ-ქმრული ურთიერთობების ნორმალური წარმოება ავტორს შეუძლებლად მიაჩნდა. გარდა ამ ძირითადი მიზეზებისა, დავით ბატონიშვილი ასახელებს კიდევ რამდენიმე დამატებით მიზეზს, რომლებიც, მისი აზრით, თუმცა ვერ მოახდენდნენ გავლენას ქორწინების საიდუმლოებაზე, მაგრამ მაინც უნდა იქნენ გათვალისწინებული საერო და საეკლესიო კანონმდებლობის მიერ. ასეთი მიზეზებია: 1. ხასიათის მკვეთრი განსხვავება, რაც შეურიგებელს ხდის მეუღლეთა ურთიერთობებს. 2. როდესაც ცოლი ქორწინებაში შესვლის შემდეგ დაავადდება გადამდები სენით, ფსიქიურად მოშლილია, სჭირს ეპილევსია ან პირიდან ამოდის მყრალი სუნი; როდესაც ვინმეს მოწამლავს ან მინმეს მისცემს მუცლის მოსაშლელ წამალს, ან თვითონ მოიშლის მუცელს; 3. როდესაც ქალი უშვილოა და ქმარი უარს აცხადებს სხვის შვილად აყვანაზე; 4. თუ ქალი ცრუ დასმენას განახორციელებს ქმრის მიმართ; 5. თუ ქალი ჩაიდენს ქურდობას, მეფის ან საზოგადოების ღალატს, ან მოკლავს ვინმეს. დავითის აზრით, პირველი ოთხი მიზეზის არსებობის შემთხვევაში განქორწინების საკითხი უნდა გადაწყვიტოს დიკასტერიამ“.³⁴⁵ „თუ საკითხი ქმრის სასარგებლოდ გადაწყდება, იგი

³⁴⁵ ბატონიშვილი დ., Озножение, მუხლი 963, გვ. 387, მითითებულია: გარიშვილი მ., დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებები, დისერტაცია, თბილისი, 1999, 118.

უფლებამოსილია, ყოფილი ცოლი გაუშვას პატივყარილი, მაგრამ ქალის მზითევი და თანაცხოვრების პერიოდში კეთილშენაძენი ქონება ამ უკანასკნელის სრულ და განუსხვისებელ განკარგულებაში რჩება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ცოლი საკუთარი ნებით გადასცემს ქმარს თავისი ქონების განკარგვის უფლებას, ან ცოლ-ქმრული დალატის გამო კანონმდებლობით ეკისრება ქონების ნახევრის ყოფილი ქმრისათვის გადაცემა. ავტორი არც განქორწინების მომდევნო ჯგუფის მიზეზების შედეგებს ივიწყებს, და აცხადებს, რომ ასეთი შემთხვევების არსებობისას ქმარი მოვალეა მისცეს ყოფილ ცოლს სარჩო თავისი მდგომარეობისა და განქორწინების წინაპირობების გათვალისწინებით“.³⁴⁶

თუშეთში ჩვეულებითი სამართლით დალატი მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა: „მრუშობისთვის ქმარი ცოლს ცხვირს, თმას, ან მკლავს აჭრიდა. თუ ცოლი ქმარს გაეყრებოდა, ქმარი მას „კვეთილას“ ადებდა და განსაზღვრულ ვადამდე მისი შერთვა არავის შეეძლო“.³⁴⁷ „ქალის შეცდენისთვის დამნაშავეს 60 ძროხა უნდა გადაეხადა. ცოლის მრუშობაში ცილისმწამებელს ქმარი ძროხას მოუკლავდა, ცოლს კი მშობლებს უგზავნიდა. შეურაცხყოფილი მშობლები ცილისმწამებელს სამართალში იწვევდნენ და, თუ გამტყუნდებოდა, ქმარი ცოლს უკანვე მიიღებდა და დაზარალებულ ძროხასაც უზღავდა. ქმარი ზოგჯერ ცოლს სცემდა, მაგრამ ქალს არავინ შეეშველებოდა, რადგანაც გვირგვინოსანი ცოლია და ქმარსაც ნება აქვს დასაჯოსო“.³⁴⁸

ხევსურეთშიც სცოდნიათ სასტიკი შურისძიება ცოლის მიზეზით განქორწინებულ მამაკაცებს, რასაც ქმრები სირცხვილად და შეურაცხყოფად იღებდნენ, შერიგებაზე უარს ამბობდნენ და ხშირად

³⁴⁶ იქვე, მუხლი 964, გ. 387. (მითითებულია: გარიშვილი მ., დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებები, დისერტაცია, თბილისი, 1999, 118).

³⁴⁷ მერაბიშვილი ჯ., სერგი მაკალათია და ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. I, თბილისი, მეცნიერება, 1988, 131.

³⁴⁸ მაკალათია ს., თუშეთი, თბილისი, ნაკადული, 1983, 168.

ასახიჩრებდნენ, ცოლს აჭრიდნენ ცხვირს ან ცერა თითს. თუ გაყრა ქმრის მიზეზით მოხდებოდა, ცოლს „ნამაშვრალს“ აძლევდნენ. უშვილობის გამო კაცი ცოლს ვერ გაეყრებოდა, ხოლო თუ მაინც გაეყრებოდა, „ნამაშვრალის“ გარდა 16 ძროხას აძლევდა.³⁴⁹ უშვილობის გამო ცოლის გაგდების ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას ეთნოგრაფი ალექსანდრე ხახანაშვილი, რასაც ადგილი ჰქონია თუშებში, ფშავლებსა და ქისტებში. ასეთ დროს ცოლის მშობლებისათვის ფშავლებს უნდა გადაეხადათ 5 ძროხა - „სამწუნობრო“.³⁵⁰

„სვანები, ხევსურების, ფშავლებისა და თუშებისაგან განსხვავებით, მოღალატე ცოლებს არ ასახიჩრებდნენ. პირიქით, ქმარი პასუხისმგებელი იყო მისი ცოლის ოჯახის მამაკაცების წინაშე ყოველგვარი იმ ძალადობისთვის, რომლის გადატანაც ქალს მოუხდებოდა. შეურაცხყოფილ სვან ქმარს ჰქონდა უფლება, უკან გაეგზავნა დამნაშავე ცოლი და დაებრუნებინა მისი ნათესავებისაგან საპატარძლოს საფასური „ნაჭელაშ“, რომელიც თავის დროზე თვითონ გადაიხადა ქალის სანაცვლოდ. ასევე მას ჰქონდა უფლება, დამატებით მიეღო საფასური მისი შერცხვენის ასანაზღაურებლად, რაც უტოლდებოდა სისხლის ფასის („წორი“) ნახევარს“.³⁵¹

მ. ბექაიას გადმოცემით, აჭარაში განქორწინების უფლება ორივეს, ცოლსაც და ქმარსაც ჰქონდა. „მისი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ღალატი, უსაქმურობა, უშვილობა, უსტუმრობა და სხვა. განქორწინება ხდებოდა შემდეგი წესით: ქმარი ქალს აძლევდა „გაშვების ქალაღს“ - „ბოშქალიღს“, რომელშიც წერდა, რომ იგი ამ ქალის პატრონი აღარაა. ამ საბუთის გარეშე ქალს მეორედ გათხოვება

³⁴⁹ მაკალათია ს., თუშეთი, თბილისი, ნაკადული, 1983, 141.

³⁵⁰ ზოიძე ო., ალექსანდრე ხახანაშვილი და ქართული ჩეულებითი სამართლის საკითხები, ქართული ჩეულებითი სამართალი, ტ. 2, თბილისი, მეცნიერება, 1990, 23.

³⁵¹ Ковалевский М., Закон и обычай на Кавказе, Москва, 1890. (მითითებულია: გრიგოლია ა., ქართველ მთიელთა ადათი და სამართალი, თბილისი, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტი, 2015, 158-159.)

არ შეეძლო. მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება ითქვას, რამდენიმე სახის განქორწინება არსებობდა: „ერთი ტალღით“ - „ბირტალღით“ - „ორი ტალღით“ - „იკიტალღით“ და „სამი ტალღით“ - „უჩტალღით“ განქორწინება: ქმარი მოწმეების თანდასწრებით იღებდა შესაბამისი რაოდენობის (ერთი, ორი, სამი) კენჭს, ან მიწის გორბს, უკან გადააგდებდა და იტყოდა -გამიშვიაო. უჩტალღით განქორწინების შემთხვევაში ცოლ-ქმარს კვლავ შეერთების უფლება აღარ ჰქონდათ ისევე, როგორც სხვადასხვა დროს სამჯერ ჩვეულებრივი განქორწინების შემდეგ. მოსახლეობის რელიგიურმა ფენამ იცოდა ამ შემთხვევაში მდგომარეობიდან გამოსვლის აღმოსავლური წესი - უჩტალღით გაშვებული ქალი ჯერ სხვა კაცზე უნდა გათხოვილიყო, რომ შემდეგ თავის პირველ ქმართან შერიგების უფლება მიეღო. ამ წესს აჭარაში „ზევჯიას“ უწოდებენ. ასეთ შემთხვევაში, გადმოცემით, ქალის მხოლოდ ფორმალური გათხოვებაც შეიძლებოდა. მიუხედავად ამისა, აჭარაში მას ადგილი არ ჰქონდა არცერთნაირი ფორმით. ამიტომ განსაკუთრებით ერიდებოდნენ ქალის საბოლოო, „უჩტალღით“ ანუ მესამედ გაშვებას“.³⁵²

არაერთი წყაროთი ირკვევა, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლით პატრიარქალური ოჯახის უფროსის მოღალატე ცოლი სასტიკად ისჯება, თავად კი ანალოგიური შემთხვევისთვის დაუსჯელი გამოდის, რაზეც ივანე ჯავახიშვილი წერდა: „როგორც ჩანს, საერო სამართალი, ხალხის ზნე-ჩვეულება დამნაშავეს, მეტადრე ქალს, გაცილებით უფრო უღმობლად ეკიდებოდა. კაცს რომ საყვარელი, „ხარჭი“ ჰყოლოდა, ეტყობა ისე დიდ დანაშაულობად არ ითვლებოდა, როგორც ცოლის ღალატი“.³⁵³

³⁵² ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის, ბათუმი, საბჭოთა აჭარა, 1974, 77.

³⁵³ ჯავახიშვილი ივ., თხზ. თორმეტ ტომად, ტ. VII, თბილისი, სახ. უნივერსიტეტი, 1984.

„კვეთილში ჩასმა“ კერძო ხასიათის სასჯელი იყო, ვაჟა-ფშაველას გადმოცემით: „კვეთილში ჩასმა იმაში მდგომარეობს, რომ ცოლი ქმარს სწუნობდა, მაშინ ქმარი, თუ ცოლი მისი არა ბოზობდა, არ დაასახიჩრებდა, მხოლოდ დაითხოვდა სახლიდამ. ქალს ნება აღარა ჰქონდა ქმრის შერთვისა. უკეთუ ცოლს ბოზობა არ დაუმტკიცდებოდა, მაშინ ქმარს ცხვირს მოსჭრიდა ან ხელსა“.³⁵⁴ „ფშაველში ქმრის მიერ ცოლის დასჯის ორგვარ ფორმას განასხვავებდნენ: 1. „უკეთუ დიაცი სწუნობდა ქმარს, ჰსურდა განშორება მას და არკი უნამუსობდა,... ქმარი ამნაირს ცოლს ნებას მისცემდა, სადა ჰსურდა, იქ ეცხოვრა, მხოლოდ არ შეეძლო სხვა ქმარი მოეძებნა, სხვას გადაჰყოლოდა. ამ ჩვეულებას ჰქვია „კვეთილში ჩასმა“, „კვეთილიანობა“.³⁵⁵ 2. დიაცი თუ აშკარად დაიწუნებდა ქმარსა და ამ დაწუნებას უნამუსობით, მოღალატობით დაამარილებდა, მაშინ ქმარი ამისთანა ცოლს დაასახიჩრებდა, ანუ როგორც ფშაველი იტყვის, „გაახეიბრებდა“ - მოსჭრიდა ცხვირს ან ხელს და განიშორებდა“.³⁵⁶

თანამედროვე ქართულ კინემატოგრაფიაში, ფილმი „ნატვრის ხე“, რომელიც გადაიღო თენგიზ აბულაძემ 1976 წელს გიორგი ლეონიძის მოთხრობის მიხედვით, მოცემულია ვირზე უკუღმა შესმული მარიტა, რომელსაც საოჯახო-ზნეობრივი ხასიათის დანაშაულისათვის თემი ტალახს ესვრის და ქოლავს, ხოლო გედიას იარაღით კლავენ.

სახელგატეხილი ქალის ვირზე უკუღმა შესმა და სოფელში ჩამოტარება ქართული ჩვეულებითი სამართლისთვის ცნობილი სასჯელია. ფშაველში ასეთ ქალს ვირზე უკუღმა შესვამდნენ, ვირის კუდს ხელში დააჭერინებდნენ, სოფელში აატარ-ჩამოატარებდნენ და აფურთხებდნენ“.³⁵⁷

³⁵⁴ ვაჟა-ფშაველა., თხზ. სრ. კრ. ათ ტომათ, ტ. IX, თბილისი, 1994, 447.

³⁵⁵ ვაჟა-ფშაველა., თხზ. სრ.კრ. ხუთ ტომათ, ტ. V, თბილისი, 1994, 65, (მითითებულია: ჯალაბაძე დ. სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში ფშაველის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დისერტაცია, თბილისი, 2003, 128.

³⁵⁶ იქვე, 65.

³⁵⁷ ბოძაშვილი ლ., ფშაველი და ფშაველები, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1988, 99.

ჩაქოლვა უძველესი დროიდან ცნობილია კაცობრიობის ისტორიაში, სავარაუდოდ იგი შორეულ წარსულში არსებობდა, რადგან არ მოგვეპოვება არც ეთნოგრაფიულ მასალებში და არც სამეცნიერო ლიტერატურაში რაიმე ცნობები ამის შესახებ.

ვაჟა-ფშაველა წერს: „ჩაქოლვას გამოიწვევდა ქალისა და კაცის სიყვარული, როდესაც ამ სიყვარულის ნაყოფი გამოჩნდებოდა“.³⁵⁸ ჩაქოლვის ადგილად იყენებდნენ გზაჯვარედინს, ხიდს, რათა გამვლელ-გამომვლელს დაენახა დასჯილები პრევენციის მიზნით. ხატის ტერიტორიაზე ჩაქოლვას ერიდებოდნენ. „ჩაქოლვით ისჯებოდა ხატისა და თემის მოღალატე, თავის თემის ქალის გამტაცებელი და ნამუსის ამხდელი და აგრეთვე მრუშობისათვის“.³⁵⁹

ანსხვავებდნენ სიძვა-მრუშობა ქალმა ჩაიდინა თუ მამაკაცმა. სიძვად ითვლებოდა დაუქორწინებელი ვაჟის გაუთხოვარ ქალთან სექსუალური კავშირის დამყარება, მრუშობად კი როდესაც ერთ-ერთი პარტნიორი დაოჯახებული იყო და დაამყარებდა სხვა პარტნიორთან ურთიერთობას ან როცა იგი ბიგამიურ ქორწინებაში აღმოჩნდებოდა ვინმესთან, რაც ნიშნავდა ძველი ქორწინების იურიდიულად არსებობისას ახალ ქორწინებაში შესვლას.³⁶⁰ „სიძვისად სამი არს განყოფილებაჲ: ქურვისა თანა დაცემაჲ და მძევალსა და მეძავსა... ხოლო მრუშებად მას ვიტყვთ, რაჟამს ქმრისა ცოლსა თანა ვინმე, დაეცეს; ანუ ცოლოსანსა მოუწოდოს დედაკაცმან თვსთანა დაცემად“.³⁶¹ მრუშობისთვის გათვალისწინებული იყო თხუთმეტი წლით უზიარებლობა, ხოლო სიძვისათვის - შვიდი.

ქმარს, რომელიც ცოლის მრუშობას შეიტყობდა, განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა, შეეძლო ცოლის საყვარელი მოეკლა, ხოლო ცოლი

³⁵⁸ ზოიძე ო., სასჯელები, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ.3, თბილისი, მეცნიერება, 1991, 101.

³⁵⁹ მაკალათია ს., ფშავი, თბილისი, ნაკადული, 1985, 92.

³⁶⁰ ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, სამთავისი, 1996, 185.

³⁶¹ მცირე სჯულის კანონი., თბილისი, 1972, 94.

გაეშვა. ასეთი უფლება უძველესი ცნობით საქართველოში დაცულია პეტრე იბერის ცხოვრების ასურულ რედაქციაში: „პეტრე იბერის ბიძამ (მამის ძმამ), არსილიოსმა (არჩილმა) შეიტყო, რომ მისმა ცოლმა „სამარცხვინო საქმე ჩაიდინა“. პირველად რბილად გაკიცხა ის და მეორედაც რომ წაასწრო, საყვარელს უთხრა: „მიჩუქებია შენთვის სიცოცხლე და სისხლი. აჰა საგზალი და სამგზავრო ფული! სასწრაფოდ მომშორდი და ამ ქვეყანაში ნუ გაჩერდები...“. ცოლს კი უთხრა: „შენ ამ საქციელის გამო არ გაგეყრები, მაგრამ შენს უპატიოსნებას სასაცილოდ ავიგდებ“.³⁶² თუ ქმარი ცოლს არ აპატიებდა დალატს, მას გააჯუღურებდა. ერთ-ერთი ინფორმატორის აზრით, ქმარს „შეიძლება ისედაც, დაუსახიჩრებლადაც გაეშვა ცოლი, მაგრამ ხმას დააგდებდა: ვინც მას მოიყვანდა ცოლად, მასთან ექნებოდა საქმე“.³⁶³

საქართველოში ქმრის მიერ ცოლის მკვლელობა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, მაგრამ იყო გამონაკლისი შემთხვევა, როცა ქალის მიერ საოჯახო ზნეობრივ დანაშაულზე კაცს პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა.³⁶⁴ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 42-ე მუხლით: „თუ კაცმან თავისი ცოლი ბოზობაზე დააქელოს და მოკლას, არც ძმისაგან, არც ნათესავისაგან სისხლი არ ეთხოვების“.³⁶⁵ „ეს ნორმა ძველისძველია და სავარაუდოა, რომ ჩვეულებითი სამართლის ნორმებითაც იყო გათვალისწინებული. ქმრის ასეთ

³⁶² ცხოვრება პეტრე იბერისა., ასურული რედაქცია, გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1988, 84. (მითითებულია: გუგუშვილი ნ. ქალის უფლებრივი მდგომარეობა შუა საუკუნეების საქართველოში (განქორწინების მოტივების მიხედვით.) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1997, ისტორიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 1-4, 58.)

³⁶³ მერაბიშვილი ჯ., მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ. 19. (მითითებულია: ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ.3. თბილისი, მეცნიერება, 1991, 120.)

³⁶⁴ ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, სამთავისი, 1996, 48.

³⁶⁵ ქართული სამართლის ძეგლები., ტომი-1, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტესტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1931, 493.

უფლებას იცნობს უძველესი სემიტური კანონმდებლობა ხამურაბის კანონების სახით. ის შედგენილია ქრისტეს შობამდე მეთვრამეტე საუკუნეში, ხამურაბის კანონების 129-ე მუხლის მიხედვით „უკეთეს კაცის ცოლს სხვა მამაკაცთან მწოლარეს წაუსწრეს, ორივენი უნდა შეკრან და წყალში გადაყარონ“...³⁶⁶ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 42-ე მუხლის სხვა პუნქტის თანახმად ქმარს ცოლის საყვარლის მოკვლის უფლებაც ეძლეოდა. „თუ ბატონმა ყმის ცოლს უაშიყოს, ან ღამით და ან დღისით, და ცოლთან საწოლად დააჯელოს, და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ გაუჩნდება“.³⁶⁷

ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართლის 23-ე მუხლში, რომელიც შედგენილია XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის დამდეგს სამცხე-სათაბაგოსთვის, აღნიშნულია: თუ მემრუმე კაცი ცოლშვილიან ქალს პატივს ახდიდა ნებით თუ უნებურად, ცოლის „კუროს“ ქმრის ბრძანებით ქვედა საცვლის ამარა ყელსაბლიანი ატარებდნენ ქუჩა-ქუჩა და ჯარიმის სახით სრული სისხლის ფასსაც გადაახდევინებდნენ.³⁶⁸

ქართული კანონმდებლობა შუა საუკუნეებში ქალის მიმართ მრუმობისათვის უფრო ლოიალური იყო, ვიდრე ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. ტრულის საეკლესიო კრების 98-ე წესის მიხედვით, დანიშნულ ქალთან ცხოვრებაც მრუმობა იყო. ქალის ქორწინებამდელი დეფლორაცია განქორწინების მოტივად ითვლებოდა საქართველოში. ქორწინებამდელი ორსულობა იმ შემთხვევაში არ ითვლებოდა განქორწინების მოტივად:

³⁶⁶ ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005, 157.

³⁶⁷ ქართული სამართლის ძეგლები., ტომი-1, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტესტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1931. 493.

³⁶⁸ იქვე, 493.

1. თუ ქალი ქვრივი ან ნაქმარევი იყო და წინა ქორწინებიდან ერთ წელზე ნაკლები ხნის გასვლამდე ხელახლა გათხოვდებოდა.
2. თუ ქმარმა ქორწინებამდე იცოდა ცოლის ორსულობის შესახებ.
3. თუ ქმარი ცოლის ქორწინებამდელი ორსულობის მიზეზი თვითონ იყო.

განვითარებულ შუა საუკუნეების საკანონმდებლო ძეგლებში მრუშობას ემატება განქორწინების სხვა მოტივებიც: ავადმყოფობა, მცვედნობა-უმამაკაცობა, სოდომურ ცოდვაში მხილება და სხვა.

ქართული სამართლის მიხედვით განქორწინების ერთ-ერთი მიზეზი ცოლის ავადმყოფობა ანუ დასნეულება იყო. ყურადღება ექცეოდა, თუ როდის მოხდა დასნეულება - ქორწინებამდე თუ ქორწინების შემდეგ. თუ ცოლი ქორწინების შემდეგ დასნეულდებოდა, ქმარს შეეძლო სნეულების გამო გაყროდა, მაგრამ პრეტენზიას ვერ განაცხადებდა „*თუ ცოლი დასნეულდეს, ქმარი ცოლისა გუარსა არას ემართლების, მისთვის, რომე მისსა ჯელსა შიგან დამართებია. თუ გაეყაროს, შეფიცოს ნაზნითა, რომე სიძულილითა არა გაყროდეს, და ნახევარი სისხლი დაუურვოს. და დედაკაცი ზითევს ნუ ითხოვს, თუ შვილი დარჩეს*“.³⁶⁹ თუ გათხოვებამდე აღმოჩნდებოდა, რომ სნეული იყო და ეყრებოდა მისი დაავადების გამო, მშობლებისთვის ნახევარი სისხლის ფასი უნდა გადაეხადა.

განქორწინების მიზეზი ხდებოდა, თუ ქალი იქეიფებდა უცხო მამაკაცთან, აბანოში მასთან ერთად ტანს დაიბანდა, ქმრის ნებართვის გარეშე თუ დაესწრებოდა საცირკო სანახაობას, შეიტყობდა მეუღლისგან სახელმწიფოს ღალატს.³⁷⁰ განქორწინების მიზეზად

³⁶⁹ ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბაგრატ კურაპალატის, 140-ე მუხლი, თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1963, 468.

³⁷⁰ ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, სამთავისი, 1996, 201.

გამოდგებოდა ერთ-ერთი მეუღლეთაგანის ბერად ან მონაზვნად აღკვეცა. ერთ-ერთი მეუღლეთაგანის მცდელობა მეორის სიცოცხლის წინააღმდეგ, ერთმანეთში უთანხმოება, თუ ქმარი მკვიდრ ნათესავებს მოუკლავდა ცოლს ან თუ ამ უკანასკნელს დაამახინჯებდა.

ბესარიონ ნიჟარაძე სვანეთის ჩვეულებითი სამართლის აღწერისას გვამცნობს: „თუ მცვედნობა იყო განქორწინების მიზეზი და ქალი წინასწარ არ გაახმაურებდა მას, მცვედანი ქმარი არანაკლებ ორი ხარით დაასაჩუქრებდა ცოლს. ასევე მის მშობლებს დაუტოვებდა „ნაყდანურს“ და „ნაჭელაშს“, რაც ქორწილის დროს მოუტანია მათთვის“.³⁷¹

მ. კეკელია აღნიშნავს: „თუ ქმარი არ აღიარებდა მცვედნობას, მაშინ მისი 12 მოფიცარით უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი. მოფიცართა შორის უნდა ყოფილიყვნენ ქმრის მამა, ძმები და სახლისკაცები. ასევე ნათესავები დედის მხრივ და გარეშე ხალხიც. ყველა ესენი თუ დაიფიცებდნენ რომ, კაცი (ქმარი) არ იყო მცვედანი, ქალი უნდა დარჩენილიყო ქმართან, ხოლო თუ ვერ შესძლებდნენ ასეთს, მოხდებოდა განქორწინება“.³⁷² ხდებოდა ისეც, რომ ქმარი ცოლს ტყუილად დააბრალებდა მომწამლაო და ამ მიზეზით გავხდი მცვედანიო. მაშინ ცოლს უნდა დაეფიცა 12 თავისიანით, რომ ეს საქციელი არ ჩაუდენია და თუ ვერ შეძლებდა თავის მართლებას, მოწამვლისათვის ნახევარ წორს უხდიდა ქმარს. „ნაცვრიელი“ წარმოადგენდა ჯარიმას, რომელიც დაწესებული იყო ცოლის ან ქმრის გაშვების წესთან.³⁷³

სოდომური დანაშაულის ჩადენა, რომელშიც იგულისხმებოდა მამათმავლობა, ცხოველთმავლობა, და მრავალი სხვა სახის უმსგავსო ქმედება. 1103 წელს დავით აღმაშენებლის ინიციატივით მოწვეულ

³⁷¹ კეკელია მ., სვანეთის სულხან-საბას- ბესარიონ ნიჟარაძის- დაკვირვებები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ.1, თბილისი, მეცნიერება, 1988, 84.)

³⁷² იქვე, 4.

³⁷³ იქვე, 85.

საეკლესიო კრებაზე გაჟღერდა სოდომური ცოდვის გავრცელების საფრთხე. მემატიანეები თამარ მეფის პირველ ქმართან განშორების მიზეზად ამ უკანასკნელის სოდომურ ცოდვას ასახელებენ. მემატიანე ამბობს, რომ თამარ მეფე ორნახევარ წელს ითმენდა ქმრის უწესობას „გარნა სხუა ვერღარავინ მოითმენდაო“. თამარმა უღირსი ქმარი ექსორით დასაჯა. სოდომური ცოდვისთვის ბიზანტიასა და მუსლიმური სამართლით სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული.

შუა საუკუნეებში ქალის ინიციატივით განქორწინება შეუძლებელი იყო შედარებით რომაელების საკანონმდებლო წესისა, სადაც საკმარისი იყო, რომელიმე მხარეს გამოეხატა სურვილი მის შეწყვეტაზე. „საყოველთაოდ ცნობილია, რომ ციცერონმა საკუთარი ცოლი ტერენცია იმისთვის გააგდო, რომ ახალი ცოლის მზითვით ვალები გაესტუმრებინა“.³⁷⁴

გვიან შუა საუკუნეებში მდგომარეობა შეიცვალა. ვახტანგ VI-ის სამართლით (XVIII ს) ცოლს ეძლევა ოჯახის დანგრევის უფლება, თუ მისი ქმარი გიჟი ან სქესობრივად უძლურია. „როგორც ალ. ამილახვრის „გეორგიანული ისტორიიდან“ ჩანს, ერეკლე II-ის დროს საქართველოში მამაკაცის მხრით იმპოტენტობა შესაძლებელი იყო ყოფილიყო ცოლის მხრით მასთან განქორწინების საფუძვლად. ალექსანდრე ამილახვარი მოგვითხრობს, რომ მეფე ერეკლე მეორემ მის სიძეს /ალექსანდრეს ძმას/ - იმპოტენტობა „დააბრალა“ და ეს გამოიყენა დის განქორწინების საფუძვლად. ამასთანავე საყურადღებოა, ალექსანდრეს ცნობა იმის შესახებ, რომ „ვითომც“ ერეკლისთვის „მის 16 წლის დას შეეჩვილოს, შვილი არ მიჩნდება ქმრის მამაკაცური უძლურების გამო“;- ჩანს რომ განქორწინების მოტივად გამოდგებოდა არა მარტო მამაკაცის სქესობრივი

³⁷⁴ ნადარეიშვილი გ., საოჯახო სამართალი ფეოდალურ საქართველოში, დისერტაცია, თბილისი, 1954, 162.

შეუღლებიანობის უვარგისობა, არამედ ამ უკანასკნელისთვის მამაკაცის ვარგისობის შემთხვევაში განაყოფიერების უუნარობაც“.³⁷⁵

თუ ქმარს ავადმყოფ ცოლს შეატყუებდნენ, იგი ვალდებული იყო სამი წლის განმავლობაში ემკურნალა მისთვის. თუ განიკურნებოდა, ვერ გაუშვებდა. ქალის უშვილობა ვახტანგ VI-ის სამართალში განქორწინების მიზეზი არ იყო, უფრო აკონკრეტებს მიზეზს და აღნიშნავს „და თუ სულ ასრე მცვედანი არის, რომ ქალთან წოლა არ შეუძლია, უნდა კაცმა ცოლს დასტური მისცეს სხვის ქმრის შერთვისა“. ცვედანობა იმ შემთხვევაში არ იქნებოდა განქორწინების საფუძველი, თუ მამაკაცს იგი დაქორწინების შემდეგ დაემართა: „თუ ვინ იცის, ქორწილზედ კაცი ყოფილა, და ან ქორწილს უწიმაც, და მერე ქორწილზედა დამცვედნებულია, არ გაიყრებიან“.³⁷⁶ ქმრის დასნეულების შემთხვევაში ცოლს ხუთი წელი უნდა ეთმინა და ემკურნალა მისთვის. თუ არ გამოკეთდებოდა, კათოლიკოსი და მოსამართლე ქალს განქორწინების ნებას აძლევდა. თუ მამაკაცს განაყოფიერების უნარი არ ჰქონდა, მაგრამ სქესობრივი კავშირი შეეძლო, ცოლი ვერ მოითხოვდა განქორწინებას.

ვახტანგ-VI-ის წიგნის 87-ე მუხლი განქორწინების მიზეზად მრუშობაში დასმენასაც ასახელებს: „დედაკაცმა სხვას დედაკაცს თავის ქმართან წასძახოს, რომე ჩემი ქმარი შენთან არისო, და იმ დედაკაცის ქმარს გააგონოს, და იმ კაცმან ამ სიტყვისათვის თავისი ცოლი გაუშვას მაშინვე, ბოზობისოდენი სისხლი წამძახებლის ქმარმა მისცეს“. აქ, მართალია, არ ჩანს, ქალმა ნამდვილად იმრუშა თუ არა და შეიძლება ცილისწამება იყოს, მაგრამ ასეთ დაუდასტურებელ ბრალდებაზეც ხდებოდა სახელგატეხილ მეუღლესთან გაშორება, რადგან

³⁷⁵ ამილახვარი ალ., გეორგიანული ისტორია მნათობი, №8, 1939, 142. (მითითებულია: ნადარეიშვილი გ. საოჯახო სამართალი ფეოდალურ საქართველოში, დისერტაცია, თბილისი 1954, 217.

³⁷⁶ ქართული სამართლის ძეგლები., ტ.I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა, მუხლი 167, თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1963, 523.

დანაშაულად ითვლებოდა ქმრის საოჯახო-ზნეობრივი პატივისა და ღირსების შელახვა.

შუა საუკუნეების საქართველოში განქორწინების მიზეზი ხდებოდა ემბაზიდან საკუთარი შვილის გამოყვანა, როცა მშობელი თავისი შვილის ნათლია ხდებოდა, რის შედეგადაც სულიერი ნათესაობა მყარდებოდა ცოლსა და ქმარს შორის.

ცოლის მოტაცება - „წაგვრა“ შეიძლებოდა გამხდარიყო განქორწინების მიზეზი, დედაკაცის (ცოლის) თანხმობით ან მის გარეშე იძულებით. ასეთ დროს, თუ ცოლის თანხმობით ინგრეოდა ოჯახი, მაშინ პირველი ქმრისთვის ახალ ქმარს უნდა გადაეხადა ახალი ქმრის გვარის ორმაგი სისხლი და ასევე პირველი ქმრის სისხლის ფასი. თუ იძულებით მოსტაცეს ქმარს ცოლი, მომტაცებელს პირველი ქმრისთვის ორმაგი სისხლის ფასი უნდა გადაეხადა და ძალად წაყვანისთვის კიდევ ერთი მთელი სისხლი. *„თუ კაცმა კაცსა ცოლი წაგვაროს, ასრე რომე დიაცი მისი ნებითა და წადილითა გაჰყვეს თანა, რასაცა გვარისა იყოს, მისითა წესითა სისხლი ორნაწილი დაუურვოს ქმარსა და, რაცა მისი სასაქონლო რა გინდა რამე წაეტანოს, იგიცა აგრევე შეაქციოს დიაცსა“.*³⁷⁷ ჩადენილი დანაშაულებისათვის სასჯელის სახედ სისხლის სხვადასხვა რაოდენობა იყო განსაზღვრული, სისხლის ფასი სამართლის წიგნში ან სიგელში იყო მითითებული.

ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით ოჯახები ხშირად კანონიერი მიზეზების გარეშეც ინგრეოდა, ცოლთან ასეთ განშორებას „უბრალოდ დაგდება“ ერქვა: *„კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალოდ, და მისი შეუცოდარო იყოს და გაეყაროს ასეთსა ნახევარი სისხლი დაუურვოს მის დიაცის გვარსა ზედა“*³⁷⁸ ასევე ცოლის „უბრალოდ დაგდებაზე“ საუბარი ვახტანგ მეექვსის სამართლის 29-ე მუხლში:

³⁷⁷ ქართული სამართლის ძეგლები., ტომი-1, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბექასი, მუხლი 46, თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1963, 441.

³⁷⁸ ქართული სამართლის ძეგლები., ტომი-1, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბექასი, მუხლი 46, თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1963, 435.

„თუ კაცმან ცოლი უბრალოდ დააგდოს სისხლის ნახევარი მისცეს და მისი ზითევი სრულად“.³⁷⁹ ასეთი შემთხვევები ხდებოდა, როცა ცოლს აღმოაჩნდებოდა რაიმე მანკი ან თუ სამარცხვინო საქმეს ჩაიდენდა.

განქორწინების დროს მთავარი იყო ოჯახის უფროსის გვარის ინტერესების დაცვა. იგი ყოველთვის ცდილობდა ოჯახის სიწმინდის შენარჩუნებას. ამიტომაც იყო დიდი სიმკაცრე მრუშობაში მხილებულ ცოლსა და მის საყვარელზე. განქორწინების შემთხვევაში ქალი მიდიოდა სახლიდან თავისი მზითვით, რაც ოჯახის მეურნეობის მნიშვნელოვანი წილი იყო. ამიტომ ქმარს უნდა გადაეწყვიტა ქალის ოჯახიდან გაშვების საკითხი.

მოვიხმობთ განქორწინების ერთ-ერთ ოქმს, დათარიღებულს 1740 წლით: „მოურავის შვილი თარხანი ლუარსაბ გოსტაშაბისშვილს ამილღაბარს მძახლებიყო. ლუარსბს თავისი შვილი იორამისთვის ამილღაბარის ქალი ეთხოვნა და დაექორწინებინა. თუცა ხანი დაეყოთ ქორწილს უკან, განა შფოთითა და სიძულვილითა, რა ეთმანეთისობა აღარ მოჰხდენოდათ, მოვიდნენ და ჩვენ ყოვლის საქართველოს კათალიკოზს-პატრიარქს ბატონიშვილს ბატონს დომენტის მოგვახსენეს. აწ ჩვენ ყოვლის საქართველოს მაკურთხეველმან კრება ვყავით დავსხით: მთვარ-ეპისკოპოზი ბატონი კირილე, ტფილელლი მიტროპოლიტი ბატონი ევთვიმე და ყოველნი ქარლისა ეპისკოპოზ-წინამძღვარნი, და სამღვდელონი დასნი, აგრევე საქართველოს დარბაისელნი: სარდალ-მდივანბეგი ბატონი ქაიხოსრო, მისკარბაში ბატონი გივი ამილახორი, ბატონი ოთარი, და ყოველნი საქართველოს დარბაისელნი. გავსინჯეთ ამათი სიტყვა და საჩივარი, დიდის გამოწულილვით გამოვიკვლიეთ და შევიტყეთ, რომ რა ჯვარი დაგწერათ და შეერთებულიყვნენ, მაშინ სიძულვილი და უყვარულობა სთვისებოდათ, და არც მას აქეთ ამათში ერთობა და საცოლქმროთ შეყრა ჰქონებიათ, ცხრა წელიწადი გავიდა ამათს

³⁷⁹ იქვე, 435.

ქორწილს უკან, მრავალს ცდილიყვნენ ამათნი დედ/მა/მანი ამათის შეერთებისათვის მაგრამ არას სიტკბოებით და არას სიმწარით ამათ ერთობა აღარ ექნათ. ახლა რადგან თვითცა ერთმანეთისაგან მოშორების ნება ჰქონდათ და ჩვენც შენდობას გუთხოვდნენ და ვხედვედით, რომელ სიძულილსა შინა მტრობა და კაცის კვლა მოჰხდებოდა, და ესე ბოროტი უფროსად გავრცელდებოდა, ამისათვის ჩვენცა ჩვენთან შეკრებულთ ამათ პატიოსანთა სამღვდელოთა დასათათა და თანა მოწმებითა საქართველოს მთავართათა შემდობა მივეცით, რომელ თუცა ვაჟსა ენების ვისიცა ქალი, ცოლად შეირთოს, და აგრეთვე ქალმა, ვინცა უნდეს, ქმრად შეირთოს, ერთმანეთთან არა რა ხელი აქუსთ და არცა რა სადაოდ რამე სალაპარაკო გაგვიშვია.³⁸⁰

განსხვავებით საქართველოსგან, „განქორწინება ინგუშეთში დამოკიდებული ყოფილა კაცის ნება-სურვილზე“.³⁸¹ ვ. ითონიშვილის გადმოცემით, ცენტრალური კავასიელების საოჯახო ყოფაში ადათის მიხედვით ცოლის მიერ ქმრისათვის ერთგულება უწმინდეს მოვალეობად მიიჩნეოდა. მას არ ეპატიებოდა ქმრის ღალატი. „მთხრობლების გადმოცემით, მოღალატე ცოლის მოკვლა ქმრის უფლება იყო, მაგრამ შურისძიება არც ქალის ნათესავებს ეკრძალებოდათ. როგორც ჩანს, მთხრობლები ამ შემთხვევაში ბოლომდე ზუსტნი არ არიან და თავიანთი სუბიექტური შეხედულებიდან გამოდიან, რამდენადაც დღემდე გამოქვეყნებული ლიტერატურიდან არ ჩანს, რომ მოღალატე ცოლის სიკვდილით დასჯის წესი ჩაჩნეთ-ინგუშეთში დასაშვები ყოფილიყო. პირიქით, 1844 წელს კაპიტან ნორდენსტენგის მიერ შეკრებილი ადათები იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ ცოლის მკვლელ კაცს საზოგადოებაში თავი არ გამოეყოფოდა. ამასთან ერთად ის იხდიდა დადგენილ ჯარიმას: შვილებიანი ქალის მოკვლის შემთხვევაში

³⁸⁰ თაყაიშვილი ე., საქართველოს სიძველენი, ტ. I, ტფილისი, 1899, 95-96.

³⁸¹ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, I, თბილისი, მეცნიერება, 1969. 130.

სიმამრს უხდიდა 12 ძროხას, ხოლო თუ ქალი უშვილო იყო, ქმრის გადასახადი შეადგენდა 85 ძროხას“.³⁸²

ქართულ ჩვეულებათა თანახმად კაცს საქართველოს ცალკეულ კუთხეებში პირველი ცოლის სიცოცხლეშიც შეეძლო მეორე ცოლის მოყვანა, თუ პირველი ცოლისგან შვილი არ ჰყავდა ან ცოლი მარტო ქალიშვილს გაუჩენდა, მაგრამ პასუხისმგებლობა და მზრუნველობა პირველი ცოლისთვის ქმარს არ უნდა მოეკლო. მეორე ცოლის მოყვანის დღიდან წყდებოდა მათ შორის ცოლქმრული კავშირი. ეს ადათი ეფუძნებოდა უმემკვიდრეოდ დარჩენის შიშს.³⁸³ იყო ამ მიზეზით მეორე ცოლის შერთვა. ს. მაკალათია გადმოგვცემს, რომ უშვილობის გამო ხევსური ცოლს ვერ დაითხოვდა, თუ დაითხოვდა 16 ძროხა და ნამაშვრალი უნდა მიეცა მისთვის. თუ არ გაუშვებდა, პირველ ცოლთან შეთანხმებით და ნებართვით მეორე ცოლი მოჰყავდა.³⁸⁴ ვინაიდან ცოლებს ერთმანეთში ჩხუბი და უსიამოვნება უხდებოდათ, მათ ხევსური განცალკავებულად აცხოვრებდა.³⁸⁵ „მაგალითად ვიცი ერთი შემთხვევის შესახებ, რომელიც მოხდა არა შორეულ ხევსურეთში ან სვანეთში, არამედ სამეგრელოს ერთ-ერთ მთავარ ქალაქში, შავ ზღვაზე სანავსადგურო ქალაქში, რომელიც თავს იწონებს ცივილიზაციის ისეთი მიღწევებით, როგორცაა გიმნაზიები, ბიბლიოთეკები, კინოდარბაზი და ა.შ. ერთ-ერთი მოქალაქე, ბატონი ა., ყველას პატიოსან და პატივსაცემ კაცად მიაჩნდა. წლების მანძილზე იგი დაქორწინებული იყო და ბედნიერი საოჯახო ცხოვრება ჰქონდა თავის მეუღლესთან ერთად, მიუხედავად იმისა რომ მათ შვილები არ ჰყავდათ. ამიტომ ბატონმა ა-მ სხვა ცოლი გაიჩინა, რომელიც ამ ქალაქიდან დაახლოებით 65 კილომეტრის მოშორებით, სოფელში

³⁸² Леонтович Ф., Адаты кавказских горцев, II, Одесса, 1883,115. (მითითებულია: ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, I, თბილისი, მეცნიერება, 1969. 84.

³⁸³ გრიგოლია ა., ქართველ მთიელთა ადათი და სამართალი, თბილისი, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტი, 2015, 153-154.

³⁸⁴ მაკალათია ს., ხევსურეთი, თბილისი, ნაკადული, 1984, 178.

³⁸⁵ იქვე, 178.

ცხოვრობდა, მას ამ მეორე მეუღლესთან ორი შვილი, ვაჟი და გოგონა შეეძინა. ისინი სკოლის ასაკისანი იყვნენ, როცა მათი დედა ავად გახდა და გარდაიცვალა. ამის შემდეგ ბატონმა ა-მ თავისი შვილები ქალაქში, თავის სახლში წაიყვანა, ხოლო მისმა პირველმა ცოლმა ბავშვები საკუთარივით მიიღო. ეს ამბავი თითქმის ყველამ იცოდა ქალაქში და არავის არ მიუჩნევია ეს უჩვეულო ან გასაკიცხ ამბად^{.386} თუ პირველი ცოლი არ ისურვებდა მეორე ცოლთან ერთად ცხოვრებას, ან ქმარს არ სურდა პირველი ცოლის შინ დატოვება, ქმარს უფლება ჰქონდა, იგი მშობლებთან დაებრუნებინა. „ამ დროს ქმარს მოეთხოვებოდა, ქონება გაეყო ყოფილ ცოლთან, იმ ჩვეულებითი წესების თანახმად, რომლებიც საოცრად ჰგავს ძველი ბაბილონეთის კანონებს“^{.387}

ა. გრიგოლიას თანახმად, „ხევსურულ ჩვეულებით სამართალში იშვიათი იყო ოჯახის გაყრა დანგრევა ცალმხრივი ან ორმხრივი ცოლ-ქმრული ღალატის საფუძველზე, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ხევსურული სამართლის მიხედვით არ იკრძალებოდა და გამონაკლისის სახით დაშვებული იყო ოჯახში ერთდროულად ორი კანონიერი ცოლის ყოლა, რომლებიც ერთ ჭერ-ქვეშ მთელი სიცოცხლის განმავლობაში თანხმობით ცხოვრობდნენ საერთო ქმართან ერთად. მათ ჰქონდათ თანაბარი უფლება-მოვალეობები, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ხნის წინ მოხდა მათი შეუღლება (გარდა ოჯახის გაყრისას არსებული ქონებრივი პირობების სხვაობისა) და რამდენი შვილი ჰყავდათ მათ“^{.388} ამ მიზეზით ქართულ ჩვეულებით სამართალში ორცოლიანობის ფაქტს ვხვდებით

³⁸⁶ გრიგოლია ა., ქართველ მთიელთა ადათი და სამართალი, თბილისი, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტი, 2015. 54.

³⁸⁷ იქვე. 156.

³⁸⁸ კოპალიანი მ., ქალთა სამართლებრივი მდგომარეობა საქორწინო-საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში ქართული საერო და ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, თბილისი, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2015,123.

სვანეთში, ხევსურეთში, თუშეთში,³⁸⁹ და აფხაზეთში.³⁹⁰ „რაც შეეხება მეორე ცოლის მომყვან მამაკაცს, მას პირველი ცოლის მამის სახლი, თუ მოისურვებდა, 5 ძროხის ღირებულების ხელით დრამას ან ერთი საკლავის დაკვლას და სასმლით შერიგებას დააკისრებდა, რასაც ეწოდებოდა „სამეორედო“ ან „სამეორცოლე“ დრამა, მაგრამ „სამეორედო“ დრამას ზოგადად მაშინ ახდევინებდნენ, თუ პირველი ცოლი ამის გამო ქმარს გაეყრებოდა და მამის სახლში წავიდოდა“.³⁹¹

თუ ოჯახის დანგრევა უშვილობის გამო არ სურდათ, უძველესი დროიდან არსებობდა შვილად აყვანის ადათი, რასაც როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ბ. ზოიძე გადმოგვცემს, რომ „ქართული ჩვეულების თანახმად, ნაშვილები ძირითადად ქმრის ნათესავთაგანია. მშვილებელი შეიძლება იყოს როგორც მამაკაცი, ისე ქალი. ამას მოწმობს საქართველოს ჩვეულებითი სჯულის 32-ე მუხლის ნორმა, რომელიც უვაჟოდ დარჩენილი ოჯახის განედლების გზად ჯერ მიიჩნევს ზედსიძის შემოყვანას და თუ მშობლებს ქალიშვილიც არ ეყოლებოდათ, მაშინ... „ცოლს (ქვრივს-ბ.ზ.) შეეძლო ახლო მონათესავთაგანი შვილად აეყვანა და ქმრის ქონებაზე დაეპატრონებინა“.³⁹² ქართული ჩვეულებითი სჯულის 32-ე მუხლის თანახმად: *„გარდაცვლილს მოქალაქეთ, რომელსაც არ დარჩებოდა ვაჟი, გაუყრელი ძმა ანუ ბიძაშვილი, არამედ ქალი, ამისთანას შემთხვევაში ქეთხუდების და მოყვარების მარიფათით იმ ქალის ქმარს ზედსიძედ შეიყვანდნენ და დააპატრონებდნენ გარდაცვლილის ქონებას და შეიქნებოდა ისი ისე სამეფო ხარჯის მძლეველი, ვითარცა*

³⁸⁹ იქვე, 124.

³⁹⁰ ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზეთა ჩვეულებითი სამართალი, თბილისი, შპს ირიდა, 2014, 92.

³⁹¹ იქვე, 124.

³⁹² ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა) თბილისი, უფლება, 2000, 206.

*მამული პატრონი იყო“.*³⁹³ შვილად აყვანის შესახებ ცნობები მოიპოვება ვახტანგ VI-ის კანონმდებლობაში შემავალ აღბუღას სამართლის 157-ე მუხლში,³⁹⁴ ასევე სირიული-რომაული სამართლის 98-ე, მე-100, 102-ე, 129-ე, მუხლებში³⁹⁵ და სომხური სამართლის წიგნის 357-ე მუხლში.³⁹⁶ ამავე კანონში შემავალ მხითარ გოშის სამართლის ვერსიის 161-ე მუხლით: „*ქ. უშვილოს დედაკაცს ნუ გაუშვებს ქმარი მისი, ამისთვის რომ შვილი არ მიმეცაო,-შვილის მიმცემი დ^ათია. გასინჯვა მისის საქმისა მართებს: თუ ჭირისაგან იყოს, უნდა აქიმოთ უღონოს და მოუაროს. და თუ არც იმით იქნას, და დაღონდეს კაცი და ამას ტიროდეს და ჩიოდეს, ვაიმე უშვილოსაო, რომე ჩემი ქონება უპატრონოდ დარჩებაო, და თუ ცოლსა მისსა შეებრალოს ქმარი, დებულობით, როგორც რომ სარამ აბრაამს მისცა დასტური სხვა ცოლის შერთვისა, და ისრე მან დედაკაცმან მისცეს, შეუძლია შერთვა ცოლისა. მაგრამე ორივე ერთგან აღარ უნდა შეინახოს, უშვილო და შვილიანი.*

და იმგვარად, თუ კაცი იყოს უშვილო და გარიგებული, დრო შვიდ წლამდინ უნდა მოიჭირვოს; და იყუნენ ერთმანეთთან გაუყრელად. მასუკან, თუ ქალი ქორწილის დღეს თხუტმეტისა წლისა ყოფილოყოს და ვაჟი თურამეტისა, და თუ ქალს სხვა ქმრის შერთვა აღარ უნდოდეს, ასრე უნდა: მისმა ქმარმა ერთს სახლში დასვას; ტანთა, ფეჯთა, სასმელ-საჭმელი, ყუელა უნდა მისცეს და სიკუდილამდის შეინახოს; და მზითევი მისი და მისი რაც რამ, ყუელა გათავებით უნდა მისცეს. და მისის დასტურით ქმარმან მისმან ცოლი შეირთოს.

³⁹³ დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1960, 58.

³⁹⁴ ქართული სამართლის ძეგლები., ტომი-1, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1963.451.

³⁹⁵ იქვე, 253.

³⁹⁶ იქვე, 356.

და კაცმან თუ უწინვე იცოდა, რომ უშვილო იყო და დასჯერდა და ითხოვა სილამაზისათვის, ამგვარად ცოლ-ქმართ აღარ შეუძლიათ გაყრა“.³⁹⁷

მ. კეკელიას გადმოცემით, შვილად აყვანის აქტის გაფორმებისთვის საჭირო იყო: „1. შვილად ამყვანს დაეწერა პირობის წიგნი, რომ შვილად აყვანილს ოჯახის წევრად მიიღებდა და წარედგინა იგი კათალიკოზისთვის დასამტკიცებლად; 2. შვილად აყვანილს მიეცა ამყვანისათვის მამაშვილობის წიგნი და საყდარში შვილობილობის ლოცვა წაეკითხა“.³⁹⁸

ი. გოგინაშვილი აღნიშნავს, რომ „შვილად აყვანის ტრადიცია არსებობდა მთიულეთსა და გუდამაყარში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, უვაჟო კაცს შეეძლო აეყვანა ბავშვი მისი დედ-მამის თანხმობით. ძირითადად ეს ბავშვი მისი აგნატი ნათესავი ან მოგვარე იქნებოდა. შედარებით იშვილებდნენ ხოლმე სხვა გვარის წევრებსაც“.³⁹⁹ მ. ბექაია გვიზიარებს, რომ აჭარაში უშვილობის გამო მეორე ცოლის შერთვაც მომხდარა. რადგან პირველი ქორწინება არ აკმაყოფილებდა ქორწინებისადმი საერთო წაყენებულ მოთხოვნებს. ორცოლიანობა კი თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც იყო შემორჩენილი აჭარის ძველ ყოფაში. ამით ცოლ-ქმრის ურთიერთობა არ ფუჭდებოდა, ოჯახში ნაცადი, პატიოსანი მეუღლის დაკარგვა ქმარს არ სურდა. „გარდა ამისა, ოჯახი მატერიალურ ზარალს განიცდიდა გაშვებული ქალისთვის ოჯახიდან წილისა და თავისი მზითევის წაღებით“.⁴⁰⁰ „ზემოხსენებული მიზეზებით გამოწვეული ორცოლიანობისადმი

³⁹⁷ ქართული სამართლის ძეგლები., ტომი-1, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1963, 281-282.

³⁹⁸ კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, (ქართლ-კახეთის სამეფო), ტ.1. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 85-86.

³⁹⁹ გოგინაშვილი ი., ხელოვნური ნათესაობა მთიულეთსა და გუდამაყარში, ეთნოგრაფიული ძიებანი, თბილისი, მეცნიერება, 1988, 36-37.

⁴⁰⁰ ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, საბჭოთა საქართველო, 1974, 90.

მოსახლეობა შედარებით ღმობიერ დამოკიდებულებას იჩენდა“.⁴⁰¹
ნაშვილები გათანაბრებული იყო ღვიძლ შვილებთან, მას ქონება
ემლეოდა შვილების თანაბრად როგორც კანონით, ისე ანდერძით“.⁴⁰²

შვილად აყვანის მაგალითები, ასახულია პ. ინგოროყვას მიერ
შეკრებილ სვანურ დოკუმენტებში, იხ. იგი,

და წ ე რ ი ლ ი [მ ა მ ი ს ა] და <<მ ე ლ ო მ ე>>-სი

*„ქ ----- მთავარ მოწამისა ს ე ტ ი ს ა თავსმდებობითა და
შუამდგომელობითა დაგიწერე და მოგახსენე დაწერილი ესე თქუნ
თავად მთავარ მოწამესა და ერთობილსა ჳევსა მე ვ ა ხ თ ა ნ გ ი ა ნ მ ა
ნ ბ ე ნ დ ე და ჩემმან ცოლმან მ ა რ ი ა მ მტკიცე და უქცეველი,
ყოვლისა მიზეზისაგან უმიზეზოი, რაისა გინდა ჟამისა
შემოსრულობისთუინ შეუცვალებელი, მას ჟამსა, ოდეს ჩემითა ნებითა
მთავარ მოწამე ს ე ტ ი- ს ა და ერთობილი ჳევი გიშვილე. დაგათუალე
ჩემი სახლი, მამულ-ეკლესიანი, მ[-]ვარი, ტყე, და ველი, მთა და ბარი,
უძრავი და მოძრავი, უძებარი და საძებარი, ყ[ოვ]ლისა კაცისგან
უცილობლად ჩემი თან დამითულია. მერმე სამართალიც ს ე ტ ე ლ ს ა
ჯმართებდა; თქუნითა დამოწმებითა, ჩემითა ნებითა და ნდომითა,
ერთი ს ე ტ ე ლ ი ს ა შვილი ჩემსა მ[ომიყვა]ნია. ვირე მე ვიყო,
მემსახურებოდეს; მერმე თქუნითა კითხულობითა თქუნ ჳევსაცა
მისთან დაგეთუალა და მე ბენდანსა მისთან დამითულია მთავარ
მოწამისა მეზეგრედ და თქუნ და თქუნ ჳევისა მომსახურედ.*

*ამის გათავებისა თავსდებად მთავარ მო[წამე] ს ე ტ ი ს ა და
ერთობილი ჳევი.*


მე ა ნ ტ ო ნ ს დამიწერია და მოწ[ამეცა ვარ]“.⁴⁰³

(ქვემოთ იხ. შვილად აყვანის ხელნაწერი.)

⁴⁰¹ ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, საბჭოთა საქართველო, 1974, 92.

⁴⁰² მეტრეველი რ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, მერიდიანი, 2003, 386.

⁴⁰³ ინგოროყვა პ., სვანეთის საისტორიო ძეგლები., ნაკვეთი მეორე, ტესტები, თბილისი, სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, 1941, 7-8.



შვილად აყვანის ხელწერილი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1448, საქმე -2975, 1781 წ. დამწერი ეგნატე თუმანიშვილი.

მეოთხე თავი

დიდ ოჯახში ქალის პირადი საკუთრება

4.1. „მზითევი“-ს რაობა და მნიშვნელობა

როგორც ისტორიულად ცნობილია, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალრიცხოვანი დიდი ოჯახების წევრთა ქონება წარმოადგენდა საერთო საოჯახო საკუთრებას, რაზეც მათ გააჩნდათ თანაბარი უფლება-მოვალეობები. ეს წესი არ მოქმედებდა ქალის პირად საკუთრებაზე, რომელშიც შედიოდა მზითევი და სათავნო. იგი იყო გათხოვების დროს მშობლებისგან ნაჩუქარი ქონება, რომელსაც ოჯახის სხვა სრულწლოვანი წევრი საკუთარი შეხედულებისამებრ ვერ გამოიყენებდა.⁴⁰⁴ „თითოეული მათგანი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რამაც განაპირობა როგორც მზითვის, ისე სათავნოს და საერთოდ ქალის ქონების უფრო ღრმად შესწავლის აუცილებლობა“.⁴⁰⁵

საქართველოში დიდი ოჯახის ქონებას იცნობდნენ „მამული“-ს, (ოჯახის სამემკვიდრო ქონება) „დედული“-ს (ქალის მიერ მოტანილი ქონება) და „მონაგები“-ს (საერთო გარჯით შექმნილი ქონება) სახელწოდებით, რომლებიც სხვადასხვა იურიდიულ შედეგს იწვევდა. დიდი ოჯახის გაყრისას, რაც ძირითადად ხდებოდა პირველი თაობის უხუცეს წევრთა გარდაცვალების შემდეგ, გასათხოვარი ქალიშვილისა და რძლის სამკვიდრო წილი „მზითევი“ და „სათავნო“ იყო, რადგან სხვა წილის მიღების უფლებას ისინი მეტწილად მოკლებული იყვნენ

⁴⁰⁴ წივწივაძე ი., დიდ ოჯახში ქალის პირადი საკუთრება „მზითევი“ და „სათავნო“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჟურნალი, მართლმსაჯულება და კანონი, №3, თბილისი, 2020. 169.

⁴⁰⁵ მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბილისი, მეცნიერება, 1978, 10.

ვაჟებისგან განსხვავებით. თუ სამკვიდროდ ვაჟიშვილს მამა ან ნათესავები უძრავ ქონებას დაუტოვებდნენ, „მამული“ ერქვა, გასათხოვარი ქალისთვის კი ასეთ საჩუქარს „დედული“ ეწოდებოდა; თუ პირი საკუთარი შრომით შექმნიდა ქონებას - „მონაგები“. ასევე მეუღლეთა ერთობლივად ცხოვრების პერიოდში შექმნილ ქონებასაც ამ მასას მიაკუთვნებდნენ.⁴⁰⁶

არსებობს მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა - სათავნო უფრო ადრე წარმოიშვა თუ მზითევი? მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით „მზითევი“ და „სათავნო“ იდენტური ცნებებია, ხოლო მეორეთა აზრით, სათავნო მზითვის შემადგენელი ელემენტია.⁴⁰⁷ მზითევი პირველად ფეოდალური დროის წყაროებსა და საბუთებში გვხვდება. ვინაიდან ოჯახი საზოგადოების ადრინდელ სოციალურ-ეკონომიურ უჯრედს წარმოადგენს, ადვილი შესაძლებელია, რომ საზოგადოების განვითარების უფრო ადრეულ საფეხურზე მას სხვა ტერმინითაც იცნობდნენ.⁴⁰⁸

ქართველი ეთნოგრაფი რ. ხარაძე თავის ნაშრომში „ქართული საოჯახო თემი“, იხილავს რა მზითვის და სათავნოს საკითხს, აღნიშნავს, რომ მზითვის ინსტიტუტმა განვლო რამდენიმე ეტაპი. გვიანდელ ფორმისგან განსხვავებით, ადრეულ ეტაპზე საოჯახო თემში, გამოიყენებოდა ტერმინი სათავნოს სახით, (ე.წ. დედული) (მზითვის ადრეული ფორმა), ხოლო შემდგომ ეტაპზე მზითევი დამახასიათებელი იყო ინდივიდუალური ოჯახისათვის. სათავნოში შედიოდა შინაური საქონელი, შემდეგ ფული და ზოგიერთ შემთხვევაში მიწის ნაკვეთი.⁴⁰⁹

⁴⁰⁶ ნადარეიშვილი გ., ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბილისი, მეცნიერება, 1965, 14.

⁴⁰⁷ ჯალაზაძე დ., საქორწინო და საოჯახო სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი., ტ. IV, თბილისი, მეცნიერება, 1993, 148.

⁴⁰⁸ რუხაძე ჯ., ლეკიაშვილი ან., ჭყონია ი., სოფელი აკურა, თბილისი, მეცნიერება, 1964, 74.

⁴⁰⁹ Харაдзе Р., Грузинская семейная община, тбилиси, 1961 г. Т. II, 1960, 54.

ი. ჭყონია კი ამ მოსაზრებას არ იზიარებს და სათავენოს მიიჩნევს გვიანდელ მოვლენად და ადარებს ინდივიდუალური ოჯახის ბუნებას.⁴¹⁰ მისი აზრით: „სათავენო სხვა ბუნებისა და დროის მოვლენაა და, ამასთანავე გვიან გაჩენილი, ვიდრე მზითვი“.⁴¹¹ „ძროხა ან ცხვარი მზითევში თავიდანვე იყო, მაგრამ არც ერთი სათავენოდ არ გამოიყენებოდა, სათავენოს დანიშნულება მას ოჯახის განვითარების შემდეგ მიეცა, რასაც უნდა გამოეწვია მათი ერთმანეთისგან გამოყოფა და თითოეული მათგანის ბუნების შესაფერისი სახელით მოხსენიება“.⁴¹² ამ საკითხზე ჩვენი ხედვა განსხვავებულია და მივიჩნევთ, რომ დიდ ოჯახში ერთდროულად დამახასიათებელი იყო როგორც მზითევი, ისე სათავენო თავისი სამართლებრივი ბუნებით. ინდივიდუალური ოჯახების ჩამოყალიბებით კი მოხდა მათი შერწყმა და სათავენო მზითვის შემადგენლობას შეუერთდა. რაც შეეხება ურვადს, იგი საქართველოს მთიან რეგიონებში უცხო არ ყოფილა, რომელიც წარმოადგენდა სასყიდელს, გასათხოვარი ქალის მშობლების სასარგებლოდ.⁴¹³

ქართული განმარტებითი ლექსიკონით „მზითევი არის ქონება, რომელსაც ქალს თან ატანდნენ მშობლები გათხოვებისას“.⁴¹⁴ ნუნუ მაჩაბელის მოსაზრებით, სიტყვა „მზითევი“ „სახელდობრ რომელი ენობრივი წყაროდან არის ის შემოსული ქართულში, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია, მაგრამ აქაურში დამოწმებულმა Zittum, რაც ქალისა და კაცის წილს ნიშნავს და გაყოფა ძირითადად არის წარმოშობილი, შეიძლება შუქი მოჰფინოს ტერმინ მზითვის წარმოშობის საკითხს“.⁴¹⁵ V-VII საუკუნეების საქართველოში მზითვის

⁴¹⁰ რუხაძე ჯ., ლეკიაშვილი ან., ჭყონია ი., სოფელი აკურა, თბილისი, მეცნიერება, 1964, 76.

⁴¹¹ იქვე, 14.

⁴¹² იქვე, 14.

⁴¹³ ჯალაბაძე დ., საოჯახო და საქორწინო სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი., ტ.IV, თბილისი, მეცნიერება, 1993, 148.

⁴¹⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986. 292.

⁴¹⁵ მაჩაბელი ნ., ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან (მზითვის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში), თბილისი, მეცნიერება, 1976. 31.

ტრადიცია არ დგინდება, რაც ქალის ქონებრივი უფლებების შეზღუდვაზე მიგვანიშნებს. მზითვის ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ კი ქალი ხდება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილე პირი და სრულფასოვანი პიროვნება, რაც დასტურდება მრავალი დოკუმენტით.⁴¹⁶

ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, „რა დროს დაწესდა საქართველოში „ზითევი“ ან როდის შემოიღეს უძრავი საკუთრების ზითვად გატანება, განსაზღვრა ზედმიწევნით ჯერ არ შეიძლება, მაგრამ „ზითევი“ ტერმინად დაბადების თარგმანში გვხვდება (გამოსვლათა 22¹⁷), ხოლო უძრავად უკვე VIII-IX ს. არსებობდა და მას ამ დროს „დედული“ რქმევია, ე.ი. იმგვარივე სახელი, რომლითაც მამის საგვარეულო უძრავ ქონებას აღნიშნავდნენ („მამული“), ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ უკვე VIII-IX ს-ითგან მოყოლებული ზითვად უძრავი ქონებაც უნდა ეძლიათ“.⁴¹⁷ იმავე ავტორის ცნობით „დედული“ „იმ ქონებას ერქვა, რომელიც შვილებს დედისაგან დარჩებოდათ ხოლმე. ამ ქონებას დედას მამის სახლითგან ატანდნენ და „ზითევი“ ეწოდებოდა. ასე არა ყოფილა, რასაკვირველია, ყოველთვის: იმ დროს, როცა ცოლებს წაგვრით, ან მოტაცებით ირთავდნენ, მაშინ მამის საგვარეულო არც რამეს აძლევდა გატაცებულ ქალსა და მის გამტაცებელს. მზითევი გაჩნდა მაშინ, როცა ქალის გათხოვება მშვიდობიან მოლაპარაკებაზე იყო დამოკიდებული“.⁴¹⁸ „ზითვად გატანებული ქონების აღმწესხველ საბუთს „ზითვის წიგნი“ ეწოდებოდა“.⁴¹⁹ იგი დოკუმენტით ფორმდებოდა, რომელსაც იურიდიული ძალა ჰქონდა, სადაც აღწესხული იყო ქალისათვის

⁴¹⁶ კოხრიძე ა., ქალის პროცესუალური მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში. (სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, უნივერსიტეტი, 1998, 23.

⁴¹⁷ ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომი VII, თბილისი, საქ. სსრ მენიერებათა აკადემია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1984, 271.

⁴¹⁸ იქვე, 271.

⁴¹⁹ ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, ტფილისი, პოლიგრაფსკ. სტ, 1930, 106.

მზითვად მიცემული უძრავი თუ მოძრავი ქონება.⁴²⁰ „მზითვის გატანება წესად იყო ყველა წოდებისა და მდგომარეობის ქალისათვის“.⁴²¹ ქალის მზითვის შევსება ხდებოდა ასევე ქმრის ოჯახის ან ახლო ნათესავების მიერ ქორწილზე მირთმეული პირის სანახავით, რომელშიც შედიოდა პირადი მოხმარების საგნები (ტანსაცმელი, სამკაულები და სხვა.)⁴²² მ. გარიშვილის გადმოცემით: „თუ ქალი უშვილოდ გარდაიცვლებოდა, საქორწინო საჩუქარსა და პატარძალის პირის ასახდელსა და პირის სანახავს, მზითვისაგან განსხვავებით, ვეღარ დაიბრუნებდა უკან მისი ოჯახი და ისინი უბრუნდებოდა იმ პირებს, ვინც გაიღო საჩუქარი“.⁴²³

მზითვის შემადგენლობა ქვეყნის კულტურ-ეკონომიკური მდგომარეობით, წეს-ჩვეულებებით და ოჯახის სოციალური საფეხურით განისაზღვრებოდა, რაზეც ქართული საკანონმდებლო წყაროებიც მიგვითითებს: *„ზითვის მიცემის საზღაურარი არასოდეს დაიდების, ამად რომელ დამოკიდებულ არს შეძლებასა ზედა ქალისა პატრონისასა“*.⁴²⁴ *„თუ მდიდარი არის, მის ქალს მის წესით კაი საზითო მიეცემის“*.⁴²⁵

მზითვეს მატების პერსპექტივა არ გააჩნდა, მაგრამ ქალის მუდმივსა და შეუდავებელ საკუთრებას წარმოადგენდა.⁴²⁶ მისი მცირე მატერიალური ღირებულებიდან გამომდინარე, იგი დიდი ოჯახის ეკონომიკურ ერთობას საფრთხეს რადგან არ უქმნიდა, ოჯახის

⁴²⁰ მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები) ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთ მზია იაშვილმა, თბილისი, მეცნიერება 1974, 3.

⁴²¹ იქვე, 3.

⁴²² მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბილისი, მეცნიერება, 1978, 65.

⁴²³ გარიშვილი მ., დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებები, დისერტაცია, თბილისი, 1999, 114.

⁴²⁴ ფურცელაძე დ., სამართალი ბატონიშვილის დავითისა, მუხ. 64, თბილისი, მეცნიერება, 1964, 41.

⁴²⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, მუხ. 257, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ) თბილისი. საქ. მეცნიერებათა აკადემია, 1963, 546.

⁴²⁶ ითონიშვილი ვ., მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 120.

გაყოფისას ქალს მზითევზე არავინ ეცილებოდა.⁴²⁷ გაყრილი იქნებოდა ოჯახი თუ გაუყრელი, ქალის გამზითვება მშობლის აუცილებლობას წარმოადგენდა, მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ვალდებულება მემკვიდრეებზე ვრცელდებოდა „უკეთუ ასეთი კაცი მომკვდარი იყო კეთილშობილთა ანუ მოქალაქეთაგანი, რომელსაც დარჩომიყო ქალნი გაუზითავნი და ეყოლებოდა ვაჟიშვილი, გაუყრელი ძმა, ანუ ძმისწული, და ქალს შეძლებისამებრ გაამზითვებდნენ, მაშინაც, თუნდა მამისაც არა დარჩომოდათ რა“.⁴²⁸

ქართველი ეთნოგრაფები: ჯ. რუხაძე, ან. ლეკიაშვილი და ი. ჭყონია, სოფელ აკურის შესწავლისას აღნიშნავენ, რომ: „ძველ ოჯახში მზითვი და სათავნო, როგორც წესი, ერთდროულად მოქმედებდა. იყო შემთხვევა, როცა მხოლოდ მზითვი მიჰყვებოდა ქალს ქმრის ოჯახში, სათავნო კი არა. ისეთი შემთხვევა არაა ცნობილი, რომ პირიქით ყოფილიყო“.⁴²⁹ „მზითევი და სათავნო ცალ-ცალკე თუ ერთად გვხვდებოდა არა მარტო „საოჯახო თემში“, არამედ ე.წ. ინდივიდუალურ პატარა ოჯახებში“.⁴³⁰

ბ. ზოიძის მოსაზრებით, „უმზითვოდ ქალის გათხოვება ჩვენში იშვიათი გამონაკლისი უნდა ყოფილიყო. მზითვის სავალდებულობა ბუნებითი სამართლის პოზიციებიდან საბუთდებოდა. ასე მაგალითად, ერთ-ერთი მზითვის წიგნიდან ირკვევა, რომ მეფის ასულს ანასტასიას თავის მამის მეფე ერეკლეს თეიმურაზის ძის გარდაცვალების მიზეზით თავის დროზე ვერ მიუღია შესაფერისი მზითევი, ამიტომაც, რომ შემდგომ დედა-დედოფალი დარეჯანი მზითევში აძლევს მას „სამკვიდროდ“ და „საშვილიშვილოდ“ თავის საკუთარ სადედოფლო სოფელს ხეობის ახალდაბას „თვისითა“ სამართლიანის სამძღვრითა, მთითა, ბარითა, წისქვილითა და ერთობ

⁴²⁷ ითონიშვილი ვ., მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 121.

⁴²⁸ საქართველოს ჩვეულებითი სჯული., დოლიძე ი., თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1960, 57.

⁴²⁹ რუხაძე ჯ., ლეკიაშვილი ან., ჭყონია ი., სოფელი აკურა, თბილისი, მეცნიერება 1964, 69.

⁴³⁰ იქვე, 69.

იქაურის ყმებითა“. აქ ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ მშობელს ქალის გამზითვება სავალდებულოდ მიაჩნდა - „...შესაფერისა მზითვისა... გქონდა შენ წილხდომილოება სჯულიერისა და თვით ბუნებითისა სამართლით“. ⁴³¹

ქალისათვის მოძრავ მზითვად მოიაზრებოდა: სკივრი, კამოდი, საკერავი მანქანა, რამდენიმე ხელი ლოგინი, თეთრეული, ფარდაგი, სპილენძის ჭურჭელი, ტანსაცმელი და სხვა საოჯახო წვრილმანი ნივთები, რომელსაც იგი იყენებდა პირად საგნად.

ცნობილი ქართველი საჭადრაკო მოღვაწე, თ. გიორგაძე გადმოგვცემს, რომ „XVII-XVIII საუკუნეებში ტრადიციად დამკვიდრდა მზითვად ჭადრაკის გატანება. დიდგვაროვანი და შეძლებული ოჯახები მეტი სიმპატიით ეკიდებოდნენ ჭადრაკს. იცოდნენ ამ მეფური თამაშის ღირსება. მისადმი განსაკუთრებით ინტერესს იჩენდნენ ქალები. მათთვის ჭადრაკი ისეთივე სულიერი საზრდო იყო, როგორც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ⁴³² „მემატიანემ შემოგვინახა მეფე ვახტანგ მეექვსის ასულის თამარის მზითვის სია, რომელიც 1712 წელსაა შედგენილი, მასში ჭადრაკიც არის მოხსენიებული“. ⁴³³

სამეგრელოს მაგალითზე თ. სახოკია აღნიშნავს, რომ იყო გავრცელებული ხალხში მოსაზრება, რომ „ქალის მზითევში არ უნდა მოჰყვეს არც ნემსი და აღარც მაკრატელი - ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში უბედურობის მიზეზად გახდება ერთიცა და მეორეცა. ეს საჭირო ნივთები ქალმა ქმრის სახლში უნდა შეიძინოს“. ⁴³⁴ მეგრულად მზითევს ოჭყუდური ერქვა. „ეს სიტყვა წარმოებულია ზმნა ჭყვიდუასაგან, რაც

⁴³¹ საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, (ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ, ნ. ბერმენიშვილის რედაქციით) თბილისი, საქ. ებრაელთა ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 1940, 220. მითითებულია: ზოიძე ბ., ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი, ბათუმი, 1992, 129.

⁴³² გიორგაძე თ., ქართული ჭადრაკის მატთანე, ტ. I, განათლება, 1995, 12.

⁴³³ იქვე, 12-13.

⁴³⁴ სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი, 1956, 110.

უდრის ქართულ წყვეტას და რაც ტექსტუალურად ნიშნავს იმას, რასაც მოჰყვება აქტი გაწყვეტისა. აქედან სახელი გასათხოვარი ქალისა, რომელსაც ის დანიშვნის შემდეგ ატარებს არის „მოჰყუდუ“, მოტაცებული, ანუ ვინც მამულისაგან ძალადაა მოშორებული, ანუ ვინც მთელისაგან ძალადაა მოშორებული. ნამდვილი მნიშვნელობა ორ ამ სიტყვისა ოჰყუდური (მზითევი) და მოჰყუდუ“. ⁴³⁵

სამეგრელოში მზითევს შეადგენდა: „რამდენიმე ხელი ტანისამოსი, საცვლები, ლოგინი, საციქველი ანუ სამზარეულოს ჭურჭელი, ერთი ძროხა, ერთი ცხენი. რა თქმა უნდა, რაოდენობა და თვით ნივთები მზითევისა მზითვის გამტანებლის ქონებაზეა დამოკიდებული. ამ ორმოცი წლის წინათ ფული მზითევში არ შედიოდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანში შემოიღეს საქმროსათვის მზითვად ფულის მიცემა, რომლის რაოდენობა გლეხთა შორის ხუთ თუმნიდან ოც თუმნამდე ადის ხოლმე“. ⁴³⁶ „სანამ სასიძო და მისი მაყრები სუფრას უსხედან, მეორე ოთახში რამდენისამე მეზობლისა და აგრეთვე სასიძოს ინტერესების წარმომადგენელის თანდასწრებით ხდება ჩაბარება პატარძლის მზითევისა. პატარძლის ერთ-ერთი ნათესავი ხელში იღებს თითოეულად მზითვის ნივთებს და ყველას გასაგონად იძახის: „ესა და ეს (სახელი და გვარი ქალის მამისა) თავის ქალს ატანს შემდეგს „ოჰყუდურს“ (მზითევს)“, მერე ყველა ნივთის სახელს იტყვის და გვერდზე გადასდებს; იქვე, თუ ვინმე წერაკითხვის მცოდნე აღმოჩნდა,- ამ ნივთების სიას შეადგენენ და სიმტკიცისათვის მოწმეები ხელს მოაწერენ. აღწერილ ნივთებს მზითვისას ურემზე დააწყობენ და სასიძოს სახლში გაუგზავნიან. თუ ქმარი გარდაიცვალა და შვილები არ დარჩა, ქვრივს უფლება აქვს, თუ მეორეჯელ გათხოვდა ან თავისი მშობლების სახლს დაუბრუნდა,

⁴³⁵ სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი, 1956, 87-88.

⁴³⁶ იქვე, 88.

თავისი მზითვის რაოდენობას მზითევის ჩაბარების დროს დამსწრე მოწმეების ჩვენებით გამოარკვევენ“.⁴³⁷

აჭარაში მზითევში ატანდნენ ძროხას ან წვრილფეხა საქონელს, რამდენიმე ხელ ლოგინს, სკივრს და საოჯახო ნივთებს, რომლის მომზადებას დანიშვნის შემდეგ იწყებდნენ. „ოჯახი ცდილობდა ქალიშვილისათვის კარგი „გზითვი“, „ჯეიზი გაეწყო“, რომ ახალ ოჯახში ქალი „ყერიბი არ ყოფილიყო“. ახალ ოჯახში მზითევი ქალის პირად საკუთრებად ითვლებოდა და მისი ნებართვის გარეშე ვერ გასხვისდებოდა. გაყოფის დროს იგი ოჯახის საერთო ქონებაში არ იგულისხმებოდა და, როგორც პირადი საკუთრება, ახალ ოჯახში მთლიანად მიჰქონდა ქალს. საქონლის თავნი და ნამრავლის ნახევარიც ქალს ერგებოდა, ნახევარს კი ოჯახი იტოვებდა, მათი მოვლისა და გამოკვების საფასურად. ქალიც ცდილობდა მისი მზითევისათვის უკეთ მოეწყო და შეენახა შემდეგ თავისი ქალიშვილის სამზითვოდ. ქალის წაყვანის დროს ხშირად მზითევის სიასაც ადგენდნენ, რომელშიც ყველა ნივთი აღნიშნული იყო. აქვე იყო მიწერილი დედოფლის ნათესავებისაგან ქორწილზე მიღებული ნივთებიც. ეს ქაღალდი უმეტესად ქალის მშობლების ოჯახში ინახებოდა“.⁴³⁸

ეთნოგრაფიული მასალებით აჭარაში ქალის გარდაცვალების შემთხვევაში მზითევი ქალიშვილს რჩებოდა, თუ ქალიშვილი არ ჰყავდა - ვაჟიშვილს. თუ არც ვაჟიშვილი ჰყავდა, იგი მშობლებს უბრუნდებოდა. ცოლ-ქმარიც რომ გაყრილიყვნენ ქალის მიზეზით, მზითევი მაინც ქალს უბრუნდებოდა. ქმრის ოჯახთან შეუგუებლობის გამო, მზითევთან ერთად ქალს სარჩოს აძლევდნენ, თუ გაცილების მიზეზი ქმარი იყო, მაშინ მზითევთან და სარჩოსთან ერთად ნიშანს და

⁴³⁷ სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი, 1956, 93.

⁴³⁸ ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974, საბჭოთა აჭარა, 44.

პირად ნივთებს ატანდნენ, რომელიც ქალს ქორწილის და ნიშნობის დღეს აჩუქეს ქმრის ნათესავ-მეზობლებმა.⁴³⁹

სამეგრელოში ვაჟის მიერ ქალის მოწონების შემდეგ მზითვის საკითხზე მოსალაპარაკებლად ერთვებოდა შუამავალი. ქალის მშობლებს რა საშუალებაც ჰქონდათ, ჩამოწერდნენ მზითვის და ფულადი თანხის სიას. მხარეთა ორმხრივი შეთანხმების შემდეგ შუამავალს ერგებოდა ფულადი ქრთამის ერთი მეათედი, ხოლო სასიძოს - ჯვრისწერის ღამეს შეპირებული მზითვი.⁴⁴⁰ „საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთში, ხევსა და ფშავში) მზითევი წყვილთა შეუღლების საქმეში გადამწყვეტი ფაქტორი არ იყო და ამდენად არ წარმოებდა მზითევეზე წინასწარი მორიგება-მოლაპარაკება მექორწინეთა შორის“.⁴⁴¹

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში მზითევეზე პრეტენზიის გამოცხადება სირცხვილად ითვლებოდა ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისთვის (ფშავი, ხევსურეთი, ხევი,). ყურადღება ექცეოდა ქალის გვარიშვილობას, ღირსება-ნაკლოვანებას.⁴⁴² ზოგან კი (კათოლიკეები) ხდებოდა მზითვის წიგნის „თამასუქის“ შედგენა ორ პირად. ერთს ქალს ატანდნენ ქმრის ოჯახში, მეორეს კი მშობლები იტოვებდნენ, სადაც ჩამოთვლილი იყო მზითვის სრული სია და გათხოვილი ქალის ნაადრევად უშვილოდ გარდაცვალების შემთხვევაში, მშობლებს იურიდიულად უფლება ჰქონდათ, მზითვის წიგნის მიხედვით მოეთხოვათ სიძისგან მზითვის დაბრუნება.⁴⁴³

⁴³⁹ აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, (ისტორიულ ეთნოგრაფიული გამოკვლევა) თბილისი, მეცნიერება, 1990, 115.

⁴⁴⁰ მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. (საქართველოს მხარეთმცოდნეობის შრომები.) თბილისი, 1941, 263.

⁴⁴¹ ხოფერია მ., მზითევი როგორც ქალის ქონების ძირითადი შემადგენელი, ნაწილი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში; ქართული სამართლის მიმოხილვა, 10, №1, 2007, 158.

⁴⁴² იველაშვილი თ., საქორწინო წეს ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში. (XIX ს. II ნახ.-XX ს) თბილისი, მეცნიერება, 1987, 51.

⁴⁴³ იქვე, 52.

საქართველოში ქალს შეეძლო ჩვეულებითი სამართლის ნორმები გამოეყენებინა და პრეტენზია გამოეთქვა მშობლებისთვის მზითვის მიუცემლობის გამო,⁴⁴⁴ რაც დიდ ოჯახში სადავო იშვიათად ხდებოდა, რადგან მშობლები მყარად იცავდნენ ამ პრინციპს. ქალი ეგუებოდა ბედს, რომ სხვა წილი არ უნდა მოეთხოვა.

ვ. ითონიშვილი გადმოგვცემს, რომ საქართველოს მსგავსად ცენტრალური კავკასიის მთიელების ყოფაში „გასათხოვარი ქალი მოკლებული იყო უძრავ-მოდრავ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებას. ამიტომ ოჯახის გაყრის მომენტში მისთვის წილის გამოყოფის საკითხი არც დგებოდა. მამას რომ ვაჟი არ ჰყოლოდა, ასეთ შემთხვევაშიც კი ადათი მისი ქონების ფლობას ანიჭებდა არა ქალიშვილებს, არამედ გარდაცვლილის ახლო ნათესავ ვაჟებს“.⁴⁴⁵ მას მხოლოდ მზითევს გამოუყოფდნენ.⁴⁴⁶ საერთო ქონების გაყოფისას ყოველ რძალ თავისი მზითევი მიჰქონდა ოჯახიდან. ქმართან გაყრის მიზეზის მიუხედავად მზითევს არ ართმევდნენ. ქმრის ოჯახთან შეუგუებლობის გამო თუ გაეყრებოდა ქმარს, არც მაშინ დატოვებდნენ უმზითვოდ, დამატებით მცირეოდენ სარჩოსაც ატანდნენ. თუ გაყრის მიზეზი ქმარი იყო, ვალდებული იყო, ცოლისთვის მზითევთან ერთად საქონელი, ნივთები და მარცველულიც გაეტანებინა.⁴⁴⁷

4.2. „მზითევი“-ს ბედი და მემკვიდრეობის საკითხი ძველ ქართულ სამართლის ძეგლებში

ქართული სამართლებრივი ძეგლებიდან ბექას სამართლის 46-ე მუხლიც ადასტურებს, რომ მზითვის შემადგენლობაში შეიძლება

⁴⁴⁴ კეკელია მ., სვანეთის სულხან-საბას - ბესარიონ ნიჟარამის დაკვირვებები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ქართული ჩვეულებითი სამართალი., კრ. I, თბილისი, მეცნიერება, 1988, 83.

⁴⁴⁵ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, I, (ნახებისა და ოსების საოჯახო ყოფა) თბილისი, მეცნიერება, 1969, 116.

⁴⁴⁶ იქვე, 119.

⁴⁴⁷ იქვე, 285.

შესულიყო როგორც პირადი მოხმარების საგნები, ისე პირუტყვი და „სამამულო მზითევი“. „თუ კაცმან კაცს ცოლი წაგვაროს, ასრე რომე დიაცი მისით ნებითა და წადილითა გაჰყვეს თანა, რასაცა გვარისა იყოს, მისითა წესითა სისხლი ორნაწილი დაუურვოს ქმარსა და, რაცა მისი სასაქონლო რა გინდა რამე წაეტანოს, იგიცა აგრევე შეაქციოს დიაცსა; და თუ რა მისი მოტანილის ზითევისაგან, გინა სასაქონლო, გინა პირუტყვი, გაეტანოს მას დიაცსა, იგი ქმარყოფილი იმას ნუ სთხოვს. და, რაცა ქმარყოფილსა დარჩეს, მას დიაცი ნუ ითხოვს, რა გინდა შვილნი უდგნენ, ამად რომე თავის გულით დაუგდიან სახლი, ქმარი და ზითევი, და უაბეზრებია ყველა ურცხვნივ ქმართან; და რაჟამს სისხლი დაუურვოს წამგვრელმან და გაუთაოს, თუ რამ სამამულო ზითევი იყოს, იგი მის ქალისა სამშობლოსავე მართებს; და თუ ქალსავე მისცემენ მათ იციან“.⁴⁴⁸

მზითვის შემადგენლობაში პირუტყვის არსებობას ასევე ამტკიცებს იმავე ძეგლში შესული სომხური სამართლის 81-ე მუხლი: „ვისაც ცოლს მიჰყუეს ზითევი, ყმა ანუ ცხვარი, ანუ აქლემი, ან ჯარი და ფური, ან სხვა რაგინდარა, მასუკან მიეცეს ყმასა შვილი და პირუტყუთაც აშენონ და გამრავლდნენ, თუ, ვინ იცის, გაყრა მოკდეს ცოლ-ქრმისა, თავისი ზითევი ყუელა თან უნდა გაიტანოს და, რაც ნაშენი მომატებული იყოს, შუა გაიყონ ცოლ-ქმართა“.⁴⁴⁹

ვახტანგ VI-ის კრებულში შესულ ბერძნული სამართლის 215-ე მუხლში ტერმინად „გარე მზითევი“ გხვდება: „რომელმანცა კაცმა ქორწილი ქნას და ცოლი შინ მიიყუანოს, მერმე მამა და დედა ქალს რომ მოსაკითხავს გაუგზავნიან, იმას გარეთ-ზითევი ქვიან. იმის დასახარჯავად იმის ქმარს ჯელი არა აქუს. უკეთუ დახარჯოს, ერთი დრო მოვა, რომე მისთა

⁴⁴⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, სამართალი ბექასი, მუხ. 46, (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 441-442.

⁴⁴⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, სამართალი სომხური, მუხ. 81, (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 248.

მშობელთა ის საქონელი ითხოვონ იმ ქალის ქმრისაგან და მისთა ნათესავთაგან: თუ შვილი არ დარჩა, როგორც ზითევს ითხოვენ, ისე ამას გამოართმევენ; იმავე სამართლის 216-ე მუხლი ადგენს: „რომელსაც დედაკაცსა გარეთ ზითევი მოყუა თავისის ნათესავისაგან, მისი კელმწიფება აქუს ქალსა მას, რათა ამით ვაჭრობა ქნას და სარგებელი შეიძინოს. და სხვა ზითევი, რომელიც წიგნით მისცემია, სანამდი მისი ქმარი ცოცხალია, იმისაგან ვერას დახარჯავს ქალი იგი“.⁴⁵⁰

მზითვის საკითხს ეხება, ასევე, ბატონისშვილის ვახტანგის 67-ე, მუხლი, რომელიც ქმარს უფლებას აძლევს: *„თუ ქალს ბოზობა შეემთხვიოს, თუ უნდა, გაუშვებს, რომე არაცარა ამ სოფელს ეკითხვის და არცარა იმ სოფელსა; და თუ უნდა, არ გაუშვებს, ორივ კაცის კელთ არის. მაგრამე, თუ გაუშვა, რაც მზითევი მოჰყოლია, ისიცა და ბოზობით შექმნილი შვილიცა თან უნდა გაატანოს. მაგრამ, თუ ამ მართალს ქმართან შვილი ჰყავს, ზითევი მთლად არ მიეცემის, ამიტომ რომ შვილსაც წილი აქუს, ნახევარი ანუ უმცროსი; ან არა, რამდენიც შვილი ყუანდეს, შვილებსა და დედას თვითო-თვითო წილად მისცენ ყველას სწორედ“.⁴⁵¹* იმავე სამართლის, 72-ე მუხლის თანახმად: *„თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, მთელი სისხლი მისცეს, და თავისი ზითევი უკლებრივ მისცეს“.⁴⁵²*

გაუთხოვარი ქალი მხოლოდ მაშინ ეუფლებოდა უძრავ ქონებას, თუ საგვარეულოდან მამრობითი სქესის პირდაპირი ან გვერდითი ხაზის მემკვიდრეები არ იყვნენ. დავით ბატონისშვილი ასეთი შემთხვევისათვის თავისი სამართლის წიგნის 191-ე მუხლში აღნიშნავს: *„და უკეთუ დაუშთების ქალი, არს მემკვიდრე მამულისა მის. და უკეთუ [63] გაუყრელისა სახლისაგან დაშთების ქალი იგი,*

⁴⁵⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, სამართალი ბერძნული [მუხ. 215], [მუხ. 216], (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი.დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 179-180.

⁴⁵¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა, მუხ. 67, (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი.დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 499.

⁴⁵² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა, მუხ. 72, (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი.დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 500.

მაშინ თანა-აძსთ მონათესავეთა მისთა მამულისა მისგან განმზითვად ქალისა მის“. ხოლო უკეთუ ქალმან არა მოინდომოს გათხოვება და სწადდეს ცალკე ცხოვრებად, მაშინ, რაოდენსაცა ჟამსა ცოცხალ არს ქალი იგი, მიეცეს ნაწილი ეგეოდენი, რაოდენიცა ერგებოდა მამასა მისსა, შემოსავლისაგან მამულისა ყოველსა წელსა, ვიდრე სიკუდილამდე. ხოლო უკეთუ აქუს მამისაგან ანუ დედისაგან საკუთრად მოყიდული მამული, მაშინ თვინიერ ყოვლისა ცილობისა, არს ქალისა მის მამული იგი, ვინადგან საკუთრითა ნივთითა მშობელთა მოყიდულ არს, და სადაცა იპოების საკუთრებად, მუნ არარადმე არს საზოგადოდ.⁴⁵³

წერილობითი წყაროების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ საზოგადოების მაღალ ფენაში ქალი მამისგან მემკვიდრეობით უძრავი ქონების სახით მიწასაც იმკვიდრებს, ხოლო დიდ ოჯახში, სადაც ერთად ცხოვრობდა ძმების და ბიძაშვილების რამდენიმე თაობა, რომელთა ქონება საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, გამორიცხული იყო მემკვიდრეობით ქალისთვის უძრავი ქონება მიეცათ.

ქალისთვის მამულის მიცემა რომ არ იყო მზითვის ობიექტი, ადასტურებს სამართალი ბატონისშვილის ვახტანგის 257-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია რომ ქალს „ჩვენს ქვეყანას მამულს არ მისცემენ“.⁴⁵⁴ რადგან გლეხს არც იურიდიულად და არც ფაქტობრივად არ ჰქონდა შესაძლებლობა, ქალისათვის მამული მზითვად გაეტანებინა. თუმცა ამავე სამართლის 84-ე მუხლი იხსენიებს „სამამულო მზითევს“, რაც ურთიერთს ეწინააღმდეგება. ეს წესი სავარაუდოდ მოქმედებდა მაშინ, თუ მშობლებს მხოლოდ ქალიშვილი ჰყავდათ. „თუ რამ სამამულე ზითევი დარჩომოდეს, მისი არის, რომ პირველს ქმართან შვილი დარჩეს; და თუ არა, სანამდინ სისხლს მისცემდენ, პირველს ქმარს

⁴⁵³ სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ფურცელამდე დ., თბილისი, მეცნიერება, 1964, 108.

⁴⁵⁴ ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა, მუხ. 257, (ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ) თბილისი, მეცნიერება, 1963, 546.

*ეჭიროს. რახან სისხლი მისცეს, ის მამული იმ ქალის სამშობლოსი არის, თავის დას უნდა მისცენ“.*⁴⁵⁵

ასეთ დროს ოჯახში ზედსიძე შემოჰყავდათ, რომელსაც ცოლის გვარი უნდა მიეღო, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალი „სამამულო ქონებას“ მიწას და საოჯახო ნივთებს ვერ დაეუფლებოდა. ვახტანგ VI-ის სამართლის 145-ე მუხლით „თუ კაცი ამოვარდეს და ვაჟიშვილი არ დარჩეს, და ქალი დარჩეს, ის ქალი ვინც შეირთოს, თავისი მამის სახლ-კარი, საქონელი, მამული იმ ქალს მიეცეს. იმ კაცის ვალიც იმ ქალმან და მისმა ქმარმან გადაიკადოს“.⁴⁵⁶

ქალისთვის მზითევის სახით მამულის მიცემას დავით ბატონისშვილის სამართლის პროექტშიც ვკითხულობთ: „ესე არს ესე: იქმნების, რომელ დედასა მათსა მოჰყვეს მზითვად მამული ანუ თეთრი და ნივთი. და ოდეს მოკვდეს დედაკაცი იგი, ნივთი ესე მოყოლილი არა არს საკუთარი მამისა ობოლთასა. და შეხვდების, რომელ კაცმან მან შეირთოს სხვა ცოლი ბირებითა დედისა ნავლისათა მისცეს მზითევი იგი პირველისა ცოლისა სხვათა ძეთა, რომელიცა არს უჯერო და ამაღ არს მოხსენებული ზემორე ვეჭილობა მშობელთა. და მსგავსისავე სახითა სცან დედისაცა“.⁴⁵⁷ ამავე სამართლის [141] [27] მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც მშობლებს მხოლოდ ქალიშვილი ჰყავდათ „უკეთუ კაცსა ვისმე დაუშთეს ასული და შვილი არა ჰყავდეს, და სახლისკაცთან გაყრილი იყოს, და მამული დაუშთეს, სრულიად იმ ქალისა არის, ამისთვის რომელ, ვინათგან არს გაყრილ, ბუნებითისამებრ სჯულისა და სამართლისა სამართალ არს შვილისა თვისისა, რომელიცა ნაწლევისაგან მისისა წარმოებულ არს, რათამცა დაუშთეს მას, ვიდრე სხვასა. და უკეთუ გაუყრელ არს, მაშინ

⁴⁵⁵ ქართული სამართლის ძეგლები., ტ.I, სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა, მუხ. 257, (ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ) თბილისი, მეცნიერება, 1963, 503.

⁴⁵⁶ იქვე, 517.

⁴⁵⁷ ფურცელაძე დ., სამართალი ბატონისშვილის დავითისა, თბილისი, მეცნიერება, 1964, 175.

მიეცეს მზითევი ბიძაწულთაგან და ბიძათა თვისთაგან, და მზითევიცა იგი, რომელიცა დედასა მისსა მოჰყოლია, უძრავი, გინა მოძრავი, და შეძენილიცა მამისაგან, უკეთუ საერთო არ არის, და მეთვრამეტეცა წილი, გარდა ამისსა, მამულისაგან მამეულისა, მით რომე მეთვრამეტე წილი არს მამულისა ასულთათვის მარადის განწესებული; დანაშთენისაგან მამეულთა მამულისა, გინდ იყოს ერთი ასული, გინდ იყვნენ ათნი, ყოველთავე გაიყოფენ მეთვრამეტესა მას წილსა მამულიცა მამ(ე)ულისასა. და მსგავსისავე სახითა სამეფოთა გლეხთა ნუ ჩამოერთმევის მამისაგან დაშთომილი მამული, არამედ იზედსიძოს ვინმე იმა მამულზედ“.⁴⁵⁸

ბექას სამართლის 29-ე მუხლის თანახმად, თუ კაცი ცოლს უმიზეზოდ გაუშვებდა, ქალისთვის ნახევარი სისხლის ფასი უნდა გადაეხადა და მზითევი სრულად დაებრუნებინა. „თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, სისხლის ნახევარი მისცეს და მისი ზითევი სრულად“.⁴⁵⁹ ნახევარი სისხლის ფასი 3000 მანეთით იყო შეფასებული. ყოველივე უდავოდ ადასტურებს, რომ სამართლებრივად ქალს არ ჰქონდა უფლებრივი შეზღუდვა კერძო საკუთრებაზე.

თუ მშობლები გარდაცვლილები იყვნენ, ძმებსაც ევალეობდათ დის გამზითვება, რაც აღნიშნულია სამოქალაქო სჯულცილების მა [41] მუხლში: „თუ ვისმე და, ანუ დები, ჰყვანდესთ გასათხოვარი, უნდა გაათხოვონ, როგორც თვითონ ეკადრებათ, იმგვარი ზითევიც მისცენ, შეძლებისაებრ, რადგანც თავიანთი და არის. მაგრამ ძმებმა უნდა აღასრულონ თავიანთი ვალი, და თუ არ აღასრულებენ, მოვრავით ანუ სასამართლოთი უნდა აღასრულებინონ და სხვა“.⁴⁶⁰

⁴⁵⁸ ფურცელაძე დ., სამართალი ბატონისშვილის დავითისა, თბილისი, მეცნიერება, 1964, 204.

⁴⁵⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, სამართალი ბექასი, მუხ. 29, (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 435.

⁴⁶⁰ სამოქალაქოს სჯულცილება., ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები გამოსცა დ. ფურცელაძემ, თბილისი, მეცნიერება, 186.

ქალის გარდაცვალებისას საზოგადოების დაბალ ფენაში სამართალი აღზუდას 82-ე მუხლით: „თუ დიაცი უშვილო მოკვდეს, ზითევი, ნახევარი სულისა საურავად გაუშვან და ნახევარი სამშობლოს მართებს“.⁴⁶¹ იმავე სამართლის 81-ე მუხლით, საზოგადოების მაღალ ფენაში უშვილო ქალის მზითევი მის მშობლებს უბრუნდებოდა, ხოლო შვილის ყოლის შემთხვევაში სასაქონლო ეძლეოდა ქალიშვილს, ხოლო აბჯარი - ვაჟიშვილს.⁴⁶²

ბატონისშვილის ვახტანგის სამართლის 224-ე მუხლით, ახლად გათხოვილი ქალის გარდაცვალებისას მზითვის ერთი ნაწილი ქალის სულისთვის, მეორე ნაწილი ქმრისთვის და მესამე ნაწილი მშობლებისთვის უნდა დაებრუნებინათ, თუ დიდი ხნის ცოლ-ქმარი იყვნენ, შვილის არყოფნის შემთხვევაშიც მზითევი რჩებოდა ქმარს.⁴⁶³

იმავე თვალსაზრისით საყურადღებო დადგენილებას შეიცავს აღნიშნული სამართლის წიგნის 257-ე მუხლი: უკეთუ მამის სიკვდილის შემდეგ დარჩა მხოლოდ გათხოვილი ქალი, მას შეუძლია მიიღოს მისთვის ნაანდერძევი; მაგრამ თუ ის გაუთხოვარია და ღარიბი, მას ეკუთვნის საქონლის ნახევარი, ხოლო მამულს არ მისცემენ“. საქართველოში არაა მიღებული წესი, რომ ქალს მიეცეს მამული. - ამბობს კანონმდებელი“.⁴⁶⁴

უშვილო ქვრივ ქალს შეეძლო წაეღო მხოლოდ თავისი მზითევი „მამულთან ჯელი არა აქვს, ბატონისა არის. იმ დედაკაცმა თავისი ზითევი და ნიშანი წაიღოს...“.⁴⁶⁵ და თუ შვილი ჰყავს, „მამულს ვერავინ

⁴⁶¹ ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, ვახტანგ VI-ის წიგნთა კრებული, სამართალი აღზუდასი, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქ. მეცნიერებათა აკადემია, 1963. 457.

⁴⁶² იქვე, 456-457.

⁴⁶³ იქვე, 539.

⁴⁶⁴ ვაჩეიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, თბილისი. თბილისი უნივერსიტეტი, 1963, 117.

⁴⁶⁵ ვაჩეიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, თბილისი. თბილისის უნივერსიტეტი, 1963. 115, 231 მუხლის მეორე ვარიანტი (B ნუსხით).

წართმევს, შვილისა არის“. მაგრამ უკეთუ ქვრივი ქალი გათხოვდა, „ზითევის მეტს ვერას გაიტანს“.⁴⁶⁶

მოგვიანებით შეძლებულ გლეხებში გარკვეული დათქმით დასტურდება მამულის მზითევში გაცემა, რაც მზითვის წიგნებში არის მითითებული: „...თუ ჩემს ქალს უძეოდ სიკვდილი რამე დაემართოს, მაშინ ჩემი ბაღი თავისი სიგლებით მომაბრუნო“.⁴⁶⁷ ან კიდევ: „...ჩემს ქალს შვილი არ დარჩეს - არცა ვაჟი და არცა ქალი, მაშინ ეს ზემოხსენებული გლეხნი კაცნი და მიწაცა უნდა ისევ ჩემს ვაჟიშვილებს, - ამის ძმათ დაუბრუნდესთ და მიეცესთ ყოველისავე აუცილებლად“.⁴⁶⁸ უშვილოდ გარდაცვლილი ქალის მზითევი მის მშობლებს ნახევარი უბრუნდებოდა. ნახევარი კი სულის საცხონებლად გამოიყენებოდა. „ყოფილაცა, რომე, თუ დიაცი უშვილო მოკვდეს, ზითევი ნახევარი სულისა საურავად გაუშვან და ნახევარიღა სამშობლოს მართებსო. (მუხ. 82)“.⁴⁶⁹

4.3. „სათავნო“

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მშობლები ქალიშვილს ქორწილიდან გარკვეული დროის შემდეგ მზითევთან ერთად სათავნოსაც ატანდნენ. სათავნოს ინსტიტუტის არსებობა, როგორც ჩვეულება და ტრადიცია, დამახასიათებელი იყო დიდ ოჯახში XX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით.⁴⁷⁰ მთიულეთში მას სათაოს

⁴⁶⁶ იქვე, 115.

⁴⁶⁷ იაშვილი მ., მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები) თბილისი, მეცნიერება, 1974, 144; (მითითებულია: ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, მეცნიერება, 2000, 188.)

⁴⁶⁸ იქვე, 188.

⁴⁶⁹ ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, ვახტანგ VI-ის წიგნთა კრებული, სამართალი აღბუღასი, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქ. მეცნიერებათა აკადემია, 1963, 457.

⁴⁷⁰ მელიქიშვილი ლ., ქონებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ფორმის შესახებ მთიულეთში-სათავნო, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული III, მთიულეთის ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბილისი. მეცნიერება, 1971, 65.

უწოდებდნენ, რომელიც ერთი ძროხის ან ერთი დეკეულის და ორ-სამი ცხვრის სახით ეძლეოდა ქალს მამის ოჯახიდან.⁴⁷¹

სათავნო-სამთავნო ისტორიულ საბუთებშიც მოიხსენიება „მე-19 საუკუნის პირველი წლების ერთ-ერთ საბუთში, რომელიც შედგენილია იმის განსაზღვრის გამო, თუ რა მდგომარეობა იყო საჭირო მოქალაქეთა „ხარისხებად“ დანაწილებისათვის, ვკითხულობთ: „ა) დროსა საქართველოს მეფეთასა რით იყვნენ ცნობილნი პირველხარისხოვანი მოქალაქენი ესე იგი სამთავნოთი და რაოდენამდინ თუ დანიშვნითა და წყალობითა მეფეთასა; ბ)...; გ)...; დ) და არიანა ტფილისში მცხოვრებთაგანნი ესრეთი შრომითა და სხვისა შესაფერის ვაჭრობითა მოეპოვოს თვს და სამთავნო ანუ მდგომარეობა და ამისთვის ჰქონდათ უფლება პირისპირ სხვათა მცხოვრებთა უმეტესისა ღირსებისა; ხსენებულ პასუხთა შინა ცხადყოფა ესრეთ: ა. პირველობა მოქალაქეთა არა სხვა გზით ყოფილ არს ვითარ მხოლოდ მსვლელობისა გამო გვარისა, უძრავის ადგილისა და ან სამთავნოსა გამო გარნა რაოდენამდე გავრცელდებოდა სამთავნო ესე არ იყო გამოცხადებული“.⁴⁷²

სათავნოს მსგავსი ინსტიტუტი უცხო არ ყოფილა სხვა ხალხების ჩვეულებაშიც. მაგალითად, ბელორუსულ დიდ ოჯახსა⁴⁷³ და ზადრუგაში.⁴⁷⁴ ბაბილონელებში, ასირიელებში და სომხებში.⁴⁷⁵

შედლებული ოჯახები სათავნოს ბავშვობიდანვე გამოუყოფდნენ ქალს და ოჯახის საერთო საქონელთან ერთად უზრდიდნენ. სათავნო მომგებიანი სარგებლიანი ქონება იყო. შედგებოდა თავნისა და

⁴⁷¹ ითონიშვილი ვ., კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული III, (მთიულეთის ეთნოგრაფიის ნარკვევები) თბილისი, მეცნიერება, 1971, 136.

⁴⁷² ცსა. ფ. 226, ს. 8544. ამ საბუთის გაცნობისა და გადაწერის საშუალება პროფ. შ. მესხიამ მოგვცა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ. მითითებულია: რუხაძე ჯ., ლეკიაშვილი ან., ჭყონია ი., სოფელი აკურა, თბილისი, მეცნიერება 1964, 70-71.

⁴⁷³ Довнар-Запольский М.В. Исследования и статьи. Т. 1. Этнография и социология, обычное право, статистика, белорусская письменность. Киев, 1909. ст. 17-18.

⁴⁷⁴ Ефименко П.С., Приданое по обычному праву крестьян Архангельской губернии, Зап. Русск. геогр. общ. по отд. этногр., т. III, 1873., ст 77.

⁴⁷⁵ აჭუგა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში. (ისტორიულ ეთნოგრაფიული გამოკვლევა) თბილისი, მეცნიერება, 1990, 116.

ნამატისგან, ამიტომ ქალს მასზე მეტი უფლებები გააჩნდა, ვიდრე მზითევეზე. შეეძლო იგი მემკვიდრეობით გადაეცა თავისი ქალიშვილისთვის, რის შემდეგაც მასზე საკუთრების უფლებას კარგავდა.⁴⁷⁶ იშვიათად, მოგების მიღების მიზნით, მას სათავნოდ მიწას გამოუყოფდნენ.⁴⁷⁷ ქალაქში კი ფულს ატანდნენ პირუტყვის ნაცვლად.⁴⁷⁸ სათავნოს მიცემა იყო ნებაყოფლობითი და ოჯახის შემღებზე დამოკიდებული.

ხევსურეთში ოჯახის გაყრისას ქალს მზითვის ნაცვლად სათავნო ხვდებოდა,⁴⁷⁹ რადგან მზითევი არ იცოდნენ,⁴⁸⁰ რომელსაც იგი ზოგჯერ გათხოვებამდე ყიდდა და აღებულ ფულს საჭიროებისამებრ მოიხმარდა, ვიდრე საერთო საოჯახო საკუთრების შემადგენელ ნაწილად გადაიქცეოდა. ნ. ხიზანიშვილის გადმოცემით, ხევსურები ქალიშვილს სათავნოს პატარაობიდან გამოუყოფდნენ, რაც შეადგენდა-ცხვარს, თხას ან ძროხას.⁴⁸¹ გათხოვების შემდეგ სათავნო ქალის პირადი საკუთრება იყო, ხოლო ნაშენ-მონაგები - ქმრის ოჯახისა. თუ ქმარს დასჭირდებოდა, შეეძლო ცოლის სათავნო საჭიროებისამებრ გამოეყენებინა, თუმცა იმავე სახით უნდა დაებრუნებინა ცოლისთვის. ქალი კი, თუ ქვრივი არ იყო, უფლება არ ჰქონდა, ქმრის სიცოცხლეში გაეყიდა მისი საქონელი და იარაღი. ქმარი საკუთარი ხარჯებით მარხავდა ცოლს. ასევე ცოლს ევალეობოდა სათავნო ქმრის დამარხვისთვის გამოეყენებინა, თუ ამ უკანასკნელს სამარხი არ დარჩენოდა.⁴⁸² „სიკვდილის შემდეგ ეს სათავნო ვაჟი-შვილებს რჩება და ისინი იყოფენ თანასწორად; ქალს მარტო დედის ტალავარი ერგება

⁴⁷⁶ აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში. (ისტორიულ ეთნოგრაფიული გამოკვლევა) თბილისი, მეცნიერება, 1990, 163.

⁴⁷⁷ ნადარეიშვილი გ., ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან. თბილისი, მეცნიერება, 1965, 124.

⁴⁷⁸ მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. თბილისი, მეცნიერება, 1978, 57.

⁴⁷⁹ მერაბიშვილი ჯ., და მაკალათია ს., ქართული ჩვეულებითი სამართალი., ტ. I, თბილისი, მეცნიერება, 1988, 140.

⁴⁸⁰ მაკალათია ს., ხევსურეთი, თბილისი, ნაკადული, 1984, 175.

⁴⁸¹ ხიზანიშვილი ნ., (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, მეცნიერება, 1940, 42.

⁴⁸² იქვე, 42.

სხვა არაფერი. ვინიცობაა, დიაცს არც ვაჭიშვილი დარჩა და არც ქალი, მაშინ სათავნო იმისია, რომელიც დიაცს მოუვლის და დამარხავს. ამ მოვლის და დამარხვის უფლება ქმრის გვარეულობასა, იმის ნათესაობასა აქვს და სხვა არავის; რასაკვირველია, სათავნოც ქმრის მონათესავეებს რჩება“.⁴⁸³

ვ. ითონიშვილის გადმოცემით „ხევში მზითევთან ერთად ქალს გათხოვების დროს მამის სახლიდან ატანდნენ 1 დეკეულს ან 1-2 ცხვარს, რასაც ერქვა სათავნო და ქმრის ოჯახში ის წარმოადგენდა ქალის პირად საკუთრებას. ქალს შეეძლო სათავნოს გაყიდვაც, მაგრამ თუ არ გაყიდდა, სათავნო დროთა ვითარებაში საერთო საოჯახო საკუთრებას შეერწყმოდა და მის შემადგენელ ნაწილად იქცეოდა. ამიტომ ოჯახის გაყრის მომენტში ხანდაზმული რძლებისათვის სათავნოს უკან დაბრუნების საკითხი არ დგებოდა. მხოლოდ 2-3 წლის მოყვანილ რძლებს შეეძლოთ სათავნოს თავისთვის დატოვება თავნის სახით, ე.ი მათ შეეძლოთ მიყვანილი პირუტყვის უკან მიღება ნამატის გარეშე, ვინაიდან ნამატი გადადიოდა საერთო საოჯახო საკუთრებაში იმის ანგარიშით, რომ პირუტყვის მოვლა-პატრონობაზე ოჯახმა გასწია შრომა და ხარჯი. სათავნო რომ ქალის სიბერემდე მისი პირადი საკუთრება ყოფილიყო, ეს უსათუოდ ოჯახის გაყრის მომენტშიც გამოჩნდებოდა. მაგრამ ვინაიდან საერთო ქონების განაწილების დროს ხელშეუხებელი იყო მხოლოდ ყველა ასაკის რძლების მზითევი, ხოლო სათავნო უკან უბრუნდებოდათ მარტოოდენ ახლად მოყვანილ რძლებს და ისიც ნამატის გარეშე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქალის პერსონალურ საკუთრებას წარმოადგენდა მხოლოდ მზითევი, რაც შეეხება სათავნოს, ქალის ასეთი უფლება მასზე დროებით ვრცელდებოდა, ხოლო გარკვეული ხნის შემდეგ საერთო საკუთრებაზე

⁴⁸³ ხიზანიშვილი ნ., (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, მეცნიერება, 1940, 43.

დამყარებული მოხვეური ოჯახი სათავნოს შეზიარებით გზას უღობავდა კერძომესაკუთრულ ტენდენციას“.⁴⁸⁴

ივანე ავტორის თანახმად, ხევში „მზითევი და სათავნო საერთო საოჯახო საკუთრებას ემატებოდა და მის შემადგენელ ნაწილად იქცეოდა, რაც არა მარტო მიმტანს ხმარდებოდა, არამედ ოჯახის სხვა წევრებსაც. სათავნოს მიმტანის გარდაცვალების შემთხვევაშიც ამ ქონების უკან დაბრუნება ქალის მამის სახლს ადარ შეეძლო, რადგან ის ქმარ-შვილის წილხვედრილად ითვლებოდა. ე.ი. ქალის მიერ ქმრის ოჯახში მზითვად და სათავნოდ მიტანილი ქონება, რომელიც ქალს მამის ოჯახიდან წილისდაგვარად ეძლეოდა, გათხოვების დღიდან პერსონალური საკუთრების თვისებას კარგავდა და საერთო საოჯახო საკუთრებად ითვლებოდა. მაგრამ ცოლქმართ გაყრის ან ქალის დაქვრივების შემთხვევაში ქალის მისი კვლავ პირად საკუთრებაში გადატანის სრული უფლება ჰქონდა“.⁴⁸⁵

ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, ქართლ-კახეთში მზითევი შედიოდა ქალის პირადი და საოჯახო მოხმარების ნივთები და მომგებიანი ქონებაც (პირუტყვი, ფული, მამული, სკა, დუქანი).⁴⁸⁶ გადმოცემის თანახმად, „მზითევი იყო ლოგინი, ქრთამი (ფული), საფენი, ხალიჩა, თეთრეული, თუნგი და მურაბის ტაშტი“.⁴⁸⁷ ასევე „მზითევი ატანდნენ: ორ ხელ ლოგინს, კამოდს, ტანისამოსს, სკივრს, ნაღდ ფულს 10 მანეთს, ვინც შეძლებული იყო, აძლევდა ძროხას ან 10-20 ცხვარს“.⁴⁸⁸ მთხრობლები მზითვის შემადგენლობაში შემავალ ფულს „ქრთამს“⁴⁸⁹ და „ჯიბის ფულს“, ხოლო იშვიათ შემთხვევაში სათავნოს

⁴⁸⁴ ითონიშვილი ვ., მოხვეების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 119.
⁴⁸⁵ ითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1960, 235.
⁴⁸⁶ მაჩაბელი ნ., ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან (მზითვის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში), თბილისი, მეცნიერება, 1976. 17.
⁴⁸⁷ იქვე, 17. (მთხრობელი მიხეილ ნიკოლოზის ძე შიომშვილი, 85 წლის, დიღომი, 1970).
⁴⁸⁸ იქვე, 17. (მთხრობელი გიორგი აღნიაშვილი 80 წლის, თხინვალა, 1969).
⁴⁸⁹ იქვე, 22 (ილია ჭყონია წერილობითი წყაროების განხილვის შედეგად ადგენს, რომ „ქრთამი“ ძველ ქართულში „სასყიდელს“ აღნიშნავდა. რუხაძე ჯ., ლეკიაშვილი ან., ჭყონია ი., სოფელი აკურა, თბილისი, 1964. 71.)

უწოდებდნენ, თუ ის სარგებლით იყო გასესხებული. მაგალითად, მთხრობელი დარო მაისურაძე გადმოგვცემს: - „სათავნო ის არის, რომ რამე უნდა მოეგო იმ ფულსა. თუ სარგებლით გაასესხებდი, სათავნოს მაშინ ეძახდი, თუ ოჯახში დაიხარჯა, იტყოდნენ თავისი ფული დახარჯაო. როცა იყრებოდნენ (იგულისხმება ძმების გაყრა), უნდა მიგეცა იმ ფულის საფასური ძროხა ან ფული“.⁴⁹⁰

მე-19 საუკუნის ერთ-ერთ დოკუმენტში - იაკობ ზურაბაშვილის მიერ თავის ასულისადმი მიცემულ „მზითვის წიგნში“ - ჩამოთვლილია ქალის პირადი მოხმარების საგნები და საოჯახო ნივთები, ხოლო ბოლოს აღნიშნულია: „ამას გარდა სამასი თუმანიც ფული, როგორც მიმიცია უფროსი ქალებისათვის“. როგორც ვხედავთ, არც ამ დოკუმენტშია ნახსენები სათავნო, მაგრამ „სამასი თუმანი“ რომ სათავნოა, ამას ადასტურებს „მზითვის წიგნის“ მიმცემის ი. ზურაბიშვილის მიერ საკუთარი ხელით მიწერილი დამატება, სადაც წერია: „1852 წელს გაიანეს ქორწილიდან გავიდა სამი წელი, სამი წლის სარგებელი უნდა დაემატოს ამ ფულსა (სამას თუმანს, ი. ჭ.), რომელიც იქს ოთხმოცდაერთ თუმანს“.⁴⁹¹

განქორწინებისას, როდესაც ქალს შვილები თან მიჰყავდა, უფლება ჰქონდა, სათავნო მამის ოჯახში წაეღო. უმიზეზოდ ქმრის დატოვებისთვის ან დაქვრივებულის კვლავ გათხოვების შემთხვევაში, სათავნოს შვილებს დაუტოვებდა.⁴⁹² ქალის გარდაცვალებისას ხდებოდა სათავნოს ხარჯში გამოყენება. რაც დარჩებოდა, ჯერ ქალიშვილს, ხოლო შემდგომ ვაჟიშვილს ეკუთვნოდა, თუ უშვილო იყო - ქმარს. ცოლ-ქმრის გარდაცვალებისას სათავნო ქმრის ოჯახს რჩებოდა.⁴⁹³

⁴⁹⁰ იქვე, (მთხრობელი დარო მაისურაძე, 90 წლის, გორის რაიონი, 1965).

⁴⁹¹ რუხაძე ჯ., ლეკიაშვილი ან., ჭყონია ი., სოფელი აკურა, თბილისი, 1964. 70.

⁴⁹² მელიქიშვილი ლ., ქონებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ფორმის შესახებ მთიულეთში-სათავნო. კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული III, მთიულეთის ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბილისი, მეცნიერება, 1971, 164.

⁴⁹³ იქვე, 164.

აჭარაში ქმრის ოჯახი სამზითვო საქონელს მოყვანისთანავე გააყიდვინებდა რძალს ან ოჯახი შეისყიდოდა.⁴⁹⁴ სათავნოსადმი ასეთი დამოკიდებულება გამომდინარეობდა საოჯახო თემის შენარჩუნების მიზნით, რადგან ქალის კერძო საკუთრების გაზრდით დიდი ოჯახის ერთობას დაშლის საფრთხე ემუქრებოდა. ზოგჯერ რძალს ერთი წლის ნამატს ან ნამატის ნახევარს აძლევდნენ. თუ პრეტენზიას გამოთქვამდა, მთლიან ნამატსაც მიიღებდა, რაც ეწინააღმდეგებოდა დიდი ოჯახის ერთობას.⁴⁹⁵ ქალები თავიანთ სათავნოს ზრდიდნენ პირადი შრომით, ხელსაქმიანობით, ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ოჯახის გარეთ საქმიანობით იღებდნენ დამატებით შემოსავალს.

ფშაველთა საოჯახო წესებიდან, ვაჟა-ფშაველა გადმოგვცემს ქალის ქონების შესახებ ინფორმაციას: „პირველად გათხოვება ქალისა, როგორც ყველგან არის ჩვეულებად, ოჯახის ვალია, ქალს ეძლევა მცირე მზითევი: ერთი ტყავი, ნაბადი, ფარდაგი, ერთი ხელი ტანისამოსი და ყველა ის, რაც ქალს საკუთარი შრომით მოუპოვებია საოჯახო საქმის გარეთად, ანუ „სათავნო“. სათავნოს შეიძენდა ქალი ხელსაქმით; სათავნოდ სრულ საკუთრებად იმას ჰყავდა ცხვარიც და ძროხაც მამისაგან ან დედისაგან ნაჩუქარი, ნაშენი ცხვარისა და ძროხისაც ქალსავე ეკუთვნოდა“.⁴⁹⁶ ფშავის მაგალითზე სათავნოს ახასიათებს ასევე მ. მაჩაბელი: „სათავნო არის ქალის პირადი კაპიტალი, რომელიც მან თავისი საკუთარი ხელსაქმით (ფარდაგების, ჩოხების ან წინდების გაყიდვით) შეუძლია გაიჩინოს. მისივე განმარტებით, ქალს სათავნო შეიძლება ჰქონოდა სარგებლით გასესხებული ფული, პირუტყვი, რომელიც მას გაბარებული ჰყავდა სანახევრო პირობით, აგრეთვე ხორბალი, რომელსაც ქალი აძლევდა სათესლედ და იმაში იღებდა მოსავლის ნახევარს. ნ. მაჩაბელი გადმოგვცემს რომ ქალის სათავნო დღითიდღე იზრდებოდა. თუ გოგო

⁴⁹⁴ აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში. (ისტორიულ ეთნოგრაფიული გამოკვლევა) თბილისი, მეცნიერება, 1990, 117.

⁴⁹⁵ იქვე, 117.

⁴⁹⁶ ვაჟა-ფშაველა., თხზულებანი, ტ. VII, თბილისი, სახელგამი, 1956, 63.

პატარა იყო, მის სათავნოს განაგებდნენ უფროსები და ანგარიშს ახარებდნენ მას მთელი ოჯახის წინაშე. ჯერ კიდევ 8-9 წლიდან ქალს შეეძლო გაეჩინა საქონელი სხვისი საქონლის მწყემსვის შედეგად, ან ეშოვნა ფული თავისი მოქსოვილი ფარდაგის, ან სხვა ნივთის გაყიდვით. ქალის სათავნო ძირითადად მისი მზითვისა და ქორწილზე მიღებული საჩუქრებისაგან შედგებოდა. ქმრის ოჯახში შესვლისთანავე სათავნო აღირიცხებოდა და მას ვერავინ შეეხებოდა. ქალის ფულად საქმეში ჩარევის უფლება ქმარსაც არ ჰქონდა“.⁴⁹⁷

ერთ-ერთი ინფორმატორის გადმოცემით: ქორწინებისას „ქალს თან მოჰქონდა მზითევი. ეს იყო სხვადასხვა ნივთი, ლოგინი, ფარდაგები, ჩასაცმელი, რომელსაც ძირითადად მშობლები აძლევდნენ. ქალს თან მოჰქონდა სათავნო. ეს ძირითადად პირუტყვი იყო. სათავნო გათხოვებამდე ეძლეოდა გოგოს, რომელსაც უვლიდა და მთელი მისი მონაგებიც მის კუთვნილებაში შედიოდა. ეს ყველაფერი მისი საკუთრება იყო მთელი ცხოვრების მანძილზე. განქორწინების შემთხვევაში ქალს ყველაფერი უკან მიჰქონდა“.⁴⁹⁸

ეთნოგრაფ ნუნუ მაჩაბლის განმარტებით, „გათხოვებისა და ქმრის საოჯახო თემში ქალის გადასვლის შემდეგ ქალის სათავნოს - საქონლის -შენახვის წესი იცვლებოდა. საქონელს, რომელიც სათავნოს წარმოადგენდა, რაკი არ შედიოდა საერთო საოჯახო საკუთრებაში, ვერ შეინახავდნენ ოჯახის ხარჯებით, ამიტომ ქალი სათავნოს სხვას აძლევდა და იქიდან მიღებული შემოსავალი მის ხელშეუხებელ საკუთრებას წარმოადგენდა“.⁴⁹⁹ რუსუდან ხარაძის გადმოცემით, „საოჯახო თემს არ ჰქონდა რაიმე უფლება სათავნოზე. სათავნო გამოიყენებოდა ქალის ინდივიდუალური ოჯახის წევრების, ქმრისა

⁴⁹⁷ მაჩაბელი ნ., ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან (მზითვის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში), თბილისი, მეცნიერება, 1976. 11, ციტირებულია: Мачабели М. В. „Экономический быт крестьян Тионетского уезда, Тиф. Губ.“ (Мат. Экон. Быта государт. крест., т. V Тифлис, 1887 г. 400).

⁴⁹⁸ ჯალაბაძე დ., საოჯახო და საქორწინო სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი., ტ.IV, თბილისი, მეცნიერება, 1993, 151.

⁴⁹⁹ მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. თბილისი, მეცნიერება, 1978, 57.

და შვილების პირადი მოთხოვნილებებისათვის. ზოგ ქართულ საოჯახო თემში ტანსაცმელი ნაწილდებოდა მხოლოდ ოჯახის იმ წევრთა შორის, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ოჯახის საწარმოო ცხოვრებაში. მწყემსობის ასაკის მიღწევამდე ბიჭს დედა აცმევდა მისი კუთვნილი სათავენოს ხარჯზე. მხოლოდ შემდეგ, რაც ბიჭები ჩაებმებოდნენ ოჯახის საერთო სამუშაოებში და იწყებდნენ საქონლის მწყემსვას, მათი ტანსაცმელი მზადდებოდა საერთო კოლექტიურ-საოჯახო ქონების ხარჯზე. ტანსაცმლის ხარჯების ასეთი განაწილება ახასიათებდა ძირითადად მესაქონლე ან შერეული მეურნეობის მქონე ქართულ საოჯახო თემებს (ქიზიყი, მთის რაჭა).⁵⁰⁰

ნარატიული წყაროებით დგინდება, რომ სათავენო ცოლშვილიანი ძმების გაყრა-გაყოფას აჩქარებდა და ხელს უშლიდა ერთობის შენარჩუნებას დიდ ოჯახში: „აკურაში და თითქმის ყველგან, სადაც კი ძმების გაყრილობის მიზეზი გვიკითხავს, მთხრობელები ერთხმად გვიხსნიდნენ, რომ სხვადასხვა ოჯახებიდან მოყვანილი რძლები სხვადასხვა „ხასიათისა და ჭკუის“ არიან, ერთმანეთს ვერ ეწყობიან, ცალ-ცალკე მიიწევენ, ამის თაობაზე კიდევ უფრო ჩაძიებისას ძმების გაყრის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ქრთამ-სათავენოს ასახელებდნენ მთასა და ბარში უფრო ჩქარა ხდებოდა ძმების გაყრა მაშინ, როცა ერთის ცოლს მოჰყვებოდა სათავენო, ხოლო მეორესას - არა, არც ერთ შემთხვევაში მზითვზე არაა ლაპარაკი, კიდევ ერთი დეტალია მასალაში - ძმების დაცოლშვილების შემდეგ მალე გაყრა მაშინაც ხდებოდა, როცა სათავენო ერთს ჰქონდა და მეორეს არა, ან რომელსაც ჰქონდა, იგი „ოჯახში არ ამოქმედებდა“ სათავენოს, მის გარეთ გააბარებდა თუ გაასესხებდა“.⁵⁰¹

ვ. ითონიშვილის გადმოცემით, ქართლის მთიანეთში მცხოვრებ ოსებშიც გავრცელებული იყო სათავენო - ერთი ძროხის ან რამდენიმე

⁵⁰⁰ Харадзе Р., Грузинская семейная община, тбилиси, 1961 г. Т. II, 1960, 14 ციტირებულია: მაჩაბელი ნ., ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან (მზითვის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში), თბილისი, მეცნიერება, 1976. 14.

⁵⁰¹ რუხაძე ჯ., ლეკიაშვილი ან., ჭყონია ი., სოფელი აკურა, თბილისი, 1964. 77.

თხის თუ ცხვრის მიცემის წესი, განსხვავებით ჩრდილოელი ოსებისაგან. „ეს წესი ოსებს შეუთვისებიათ ქართველებისაგან, რის მანიშნებელია, პირველ რიგში, მისი ქართული სახელწოდება სათავო (სათავნოდან)“.⁵⁰² ქალი კუთვნილ საქონელს საერთო-საოჯახო ქონებას ამატებდა, სათავნოს დაბრუნება ნებისმიერ დროს შეეძლო. ოჯახის გაყრისას სათავნოდან მიღებული შემოსავალი და ნამატი საერთო საჭიროებას ხმარდებოდა. თავნი უბრუნდებოდა ქალს, ხოლო ნამატი ოჯახის წევრებს შორის თანაბრად იყოფოდა, რაზეც ქალისა და მისი ქმარ-შვილის მხრიდან პრეტენზია მიუღებლად ითვლებოდა“.⁵⁰³

ამდენად, ჩვენ განვიხილეთ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ დიდ ოჯახებში, ქალის პირადი საკუთრების - მზითევისა და სათავნოს სამართლებრივი ბედი, რის შედეგადაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქმრის ოჯახში მშობლების მიერ ქალიშვილისთვის მზითევის გატანების ტრადიციას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მზითვის შემადგენლობა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. ყველაზე გაჭირვებული ოჯახებიც ახერხებდნენ, შეძლებისდაგვარად, ეს წესი არ დაერღვიათ. მზითევი ძირითადად შედგებოდა საოჯახო მოძრავი ნივთებისგან, რომლებსაც ქალი ყოველდღიურად მოიხმარდა ოჯახში. იგი არ ერწყმოდა საერთო საოჯახო საკუთრებას. დიდი ოჯახის გაყრისას ქალს, გარდა მზითევისა, სხვა წილი არ ერგებოდა ვაჟებისგან განსხვავებით. ქმართან განქორწინებისას მზითევი ქალს უკლებრივ უბრუნდებოდა. სათავნო იყო ქალის მომგებიანი სარგებლიანი ქონება, რომელშიც ძირითადად პირუტყვი შედიოდა, თავნი თავისი ნამატით. დიდ ოჯახში ქალი ცდილობდა, სათავნო დროულად გაეყიდა, ვიდრე იგი საერთო საოჯახო საკუთრებას შეუერთდებოდა. ოჯახის გაყრისას 2-3

⁵⁰² ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 285.

⁵⁰³ იქვე, 285-286.

წლის მოყვანილი რძლები იბრუნებდნენ სათავენოს ნამატის გარეშე, ხანდაზმული რძლები კი ვერ მოითხოვდნენ, რადგან ნამატის მოვლა-პატრონობაზე ოჯახს დიდი შრომა და ხარჯი ჰქონდა გაწეული. დიდი ოჯახის დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა ინდივიდუალური ოჯახები და სათავენო მზითევის შემადგენლობაში შევიდა კერძო საკუთრების სახით, რასაც ქალის სასარგებლოდ მზითვის მნიშვნელობის და მოცულობის გაზრდა მოჰყვა.

4.4. მზითვის წიგნები და ხელნაწერები

108. 1874 წ. XI. 2. მზითევში მიწის მიცემის წიგნი. დედანი 35x22 სმ. თეთრი ქაღალდის ორი ფურცელი. სასვენი ნიშნები ნახმარი არ არის.

ხელნაწერთა ინსტ. Qd 3549

ჩ ყ ო დ -ს წელსა, ნოემბრის ბ-სა დღესა. ჩვენ, ქვემოთე ამის ხელის მომწერნი, მცხოვრებნი სოფელსა ბახვს, ყმები ს ი ს ო, ე რ მ ი ლ ე და

გ ი გ ო ბ ი ჭ ი ა ს-მ ე ბ ი ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ე ბ ი, გაძლევთ ამა პირობის ქაღალდს თქვენ, ჩვენს დას მაცხოვრებელს ამავე ს. ბახვს მ ა-რ თ ა მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა - ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი ს ქალს, მას შინა, რომელი მემკვიდრეობით მზითევად მოგეცით თქვენ, კუთვნილი ჩვენდამო ადგილი მდებარე სოფელსა ბახვს სივრცით მაგალითებრ ხუთი ქცევა. ისაზღვრების ადგილებითა: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ზურაბ მახარამის, დასავლეთით თვით ჩვენ ნიკოლაიშვილების, სამხრეთით შავიშვილის. ამას შიგნით მდებარე მიწისაგან ნახევარი ნაწილი მოგეცით თქვენ და გეკუთვნის საუკუნო საშვილიშვილო სამფლობელოდ. უფლება გაქვს აწარმოო ზეთ ყოველი მუშაობა და შენობა. თქვენის სურვილისამებრ გასყიდო,

გაჩუქო, ანუ და(ა)გირაო, რომელზედაც არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ განმეცხადება რა. და გეკვრით ამ პირობით, რომელი უკეთუ ვინმე ჩემი მემკვიდრე და ნათესავი ანუ სხვა გარეშე პირი დავას გიყოფს ვალდებული ვართ დაგიცოდ ყოვლის მოდავისაგან, ხოლო რაიცა შეიხება (sic) კანონიერი სიგელის შესრულებას, ვალდებული ვართ, პირველის თქვენის მოთხოვნისამებრ შეგისრულოთ ამ მიწაზედ კანონიერი ნასყიდობა სადაცა ჯერ არ თქვენის ხარჯით, ხოლო თქვენ ვალდებული ხარ, ეს ადგილი ზემო აღნიშნულ საზღვრებშიდ აშენო და აკეთო შეძლების და ადგილის შემსგავსების გვარად.

რასა შინა ხელს ვაწერთ გიგო ნიკოლაიშვილი, ერმილე ნიკოლაიშვილი, სისო ნიკოლაიშვილი და რადგან მან წერა არ იცის, მისი თხოვნით მის მაგიერ ხელს ვაწერ ასალო დოლიძე.

ამ პირობის შედგენის და გარდაცემის || დროს მოწმეთ ვიმყოფებოდით ეფრემ ჯანელიძე, შევარდენ სიხარულიძე...მაქსიმე, თენიეშვილი. აზნაური პავლე მახარაძე.

რომელ ამ პირობაზედ ნამდვილს ხელმოწერილ არს ერმილე და გიგო ნიკოლაიშვილების მიერ, ხოლო უწერილობისა გამო სისო ნიკოლაიშვილებისა, მის მაგიერ ნამდვილად მოწერილ არს ასალო დოლიძის მიერ, რასა შ[ინა] ჩემის ხელის მოწერით და სახელმწიფო ბეჭდის დასმით ვემოწმები ჩ ყ ო დ, ოცი (ოკდობ) (sic) ნოემბრის გ...

ბახვის ს. მამასახლისი მ. ჭელიძე.⁵⁰⁴

108. 1874. წ. VIII.24. ალექსანდრე ეპისკოპოსის ხელწერილი მისი ძმისწულის მაკრინეს გამზითვების შესახებ. დედანი 22x17,5 სმ, თეთრი ქაღალდის ორი ფურცელი, ნახმარია სასვენო ნიშნები.

ხელნაწ. ინსტ. Qd 3876.

⁵⁰⁴ ხელნაწ. ინსტ. Qd 3549, მითითებულია: მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, თბილისი, მეცნიერება, 1974, 282.

ჩემი ძმის წულის მაკრინეს მზითვად ვაძლევ (sic) სამღვდელო პირს სემინარიელს;

0. ასს თუმანს მიწის ბადლად, ესე იგი მთლად რაც რამ უძრავი დარჩა მამა-პაპისა იმის ბადლათ, რადგან ქალი მემკვიდრე არის მამულისა.

1. ჩემად ვაძლევ ორმოცდა ათ თუმანს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ნატარიალნის წესით ||ოდესაც დაგვიმტკიცებს ვინც იქნება ის სასიძო კაცი მხოლოთ მაშინ ჩაჰბარდება ის დაპირებული მამულის თაობაზედ ფული ასი თუმანი და არა წინეთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ფული ასს ორმოცდაათი თუმანი, ზემოთ მოხსენებული ქალის სახელზედ უნდა იყოს გაცემული და სარგებელი იხმარონ, ესე იგი სიძეს კი მისცემენ ხელშიდ ფულსა შესაჭმელად.

ვინც თანახმა იქნება ამ პირობაზედ ხომ კარგი და ვინც არ იქნება ნებოს და ნურც ქალს ნახამს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. უკეთუ სასიძო პირს ისა ასსი (sic) თუმანი არ სურს, და იმ ქალის მაკრინას მიწას მამეულს და სახლ-კარს არჩემს, მაშინ მამული ჩაიბაროს სასიძომ და ამ ასს თუმანს აღარ მივსცემთ. ჩვენ ამ პირობაზედ სრულებით თანახმა ვართ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 4. ტანისამოსს და ყოვლისა მზითვის გაწყობილობას ვაძლევთ შეხედულობასა ჩემისა.

ალექსანდრე ეპისკოპოზი გორისა

ყოვარნი (sic) საქართველოსა.

28-ს აგვისტოს.

1874-სა წელს.

თბილისი.⁵⁰⁵

114. 1884 წ. XII.30. „კვიტანცია“ (ხელწერილი) მზითევში ფულის მიღების შესახებ. მიცემული სეფე ჯაფარიძის მიერ კონსტანტინე

⁵⁰⁵ იქვე, 281. ხელნაწ. ინსტ. Qd 3876.

ერისთვისათვის. დედანი 22x18 სმ. თეთრი ქაღალდის ერთი ფურცელი. სასვენი ნიშნები ნახმარი არ არის.

ხელნაწ. ინსტ. Qd 9403.

კ ვ ი ტ ა ნ ც ი ა

ჩ ყ ვ დ წელსა, დეკემბრის 30 დღესა, მე ქვემორე ამისა ხელის მომწერმა, მცხოვრებმა სოფელს ონჭევს კნიაზ ს ე ფ ე გ ლ ა ხ უ ა ს-მ ე მ ჯ ა ფ ა რ ი მ ე მ მივიღე თქვენ კნიაზ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ვ ა ხ ტ ა ნ-გ ა ძ ი ს (sic) ე რ ი- (სთ) ვ ი ს ა გ ა ნ თუთხმეტი თუმანი. ესე იგი ას ორმოცდდათი მანეთი ზითებში. გარდასაცემლად თქვენს ა ს უ ლზე დ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ა ზ- ე დ მას შინა ჩემს საკუთარს ხელს ვაწერ კნ[იაზი] სეფე ჯაფარიძე.

რომელ ნამდვილ კნიაზ სეფე ჯაფარიძისამან თავის საკუთარს ხელით ხელმოწერილ არს ამა კვიტანციაზედ დამტკიცებულ არის კნიაზ კონსტანტინე ერისთვისადმი. მას ვიმოწმებ (sic) ხელის მოწერითა და <ბეჭდის> დასმითა სახელმწიფო ღერბისათა ჩყვდ წელსა, დეკემბრის 30 დღესა, ზვარეთის საზოგადოების მამასახლისი, სიმონკა.⁵⁰⁶

115. 1886 წ. VI. 19. ხელწერილი ნიკოლოზ ქარსელაძისა, მზითვის ფულად მიღების შესახებ ბარბარე ცხვედიანის ქალისაგან. დედანი.

16X520,5 სმ. თეთრი ქაღალდი ორი ფურცელი, სასვენი ნიშნები ნახმარი არ არის .

საქ. სახ. მუზ. ბურჟ. განყ. ხელნაწერთა ფონდი № 61-65.

70

1886 წელსა. 29-სა ივანობის თვესა. მე, ქვემორე ამის ხელის მომწერმა, მცხოვრებმა ლეჩხუმის უეზდის სოფლის თაბორის მცხ. ნიკოლოზ მერაბის ძემ ქარსელაძემ მღვდლის შვილის შვილმა, მივიღე მზითვად ფულად ორმოცი მანეთი ნაღდისა ვეერცხლისა ფული, თქვენ, რაჭის უეზდის

⁵⁰⁶ იქვე, 290. ხელნაწერ. ინსტ. Qd 3876.

სოფლის სადმელისმცხოვრების გვაჯასპირ მუსერიძის მეუღლისაგან ბარბალე ცხვედიანი(ს) ქალისაგან. რასა შინა ხელს ვაწერ ნიკოლოზ ქარსელაძე. და რადგან მანწერა არ იცოდა, მის მაგიერ მისის თხოვნით ხელს ვაწერ აფრასიონ ერისთავი. მოწმედ დავესწარი: დავით კერესელიძე.⁵⁰⁷

116. 1886 წ. ახლო სია საოჯახო ნივთებისა, რომელიც უნდა მისცეს გოჯასპირ მუსერიძემ თავის ძმისწულს ეკატერინას წაყვანის დროს (ე.ი. გათხოვებისას) დედნი. 22,5x17,5 სმ, თეთრი ქაღალდი, უთარილო. თარიღდება ხელწერილის მიხედვით, სადაც იხსენიება აგრეთვე გვაჯასპირ მუსერიძე. იხ. ა ქ ვ ე, საბუთი № 115. ნახმარია სასვენი შიშნები.

საქ. სახ. მუზ. ბურჟ. განყ. ხელნაწერთა ფონდი № 61-65.

68

ს ი ა ბ ა რ გ ი ს ა, რ ო მ ე ლ ი ც უ ნ დ ა მ ი ს ც ე ს გ ო ჯ ა ს პ ი რ მ ა ნ
თ ა ვ ი ს ძ მ ი ს წ უ ლ ს:

1. ერთი ხალიჩა.
2. ერთი ფარდაგი.
3. ერთი საბანი.
4. ოთხი ბალიში.
5. ერთი მურთაქა.
6. ერთი ლეიბი.
7. ერთი ზანდული.
8. ერთი ქვაბი დიდი.
9. ერთი ტაშტი.
10. ერთი თუნგი.
11. ერთი ტაფა.
- 11.⁵⁰⁸ ერთი დუჟინი საინი.

⁵⁰⁷ იქვე, 290 ,საქ. სახ. მუზ. ბურჟ. განყ. ხელნაწერთა ფონდი № 61-65.

⁵⁰⁸ რიგითი ნომერი სიაში ორჯერაა.

12. ერთი დუჟინი სტაქანი.
13. ერთი წყება ტანისამოსი.
14. ერთი ღრაფინკა.
15. ერთი ყუთი.
16. ერთი ძროხა.
17. ერთი ცხვარი.
18. წყება თავხურვა.

ეს ზემოხსენებული, სიისამებრ ბარგი და ნივთები, მოვალე ვარ მოგიზღო შენ, ძმისწულს ჩემსას ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ს წაყვანის დროს. მას შინა ხელს ვაწერ გ ო ჯ ა ს პ ი რ მ უ ს ე რ ი ძ ე. და რადგან მან წერა არ იცოდა, მის მაგიერ ხელს ვაწერ აფრასიონ ერისტ(ა)ვი“.⁵⁰⁹

⁵⁰⁹ იქვე, 291-292, საქ. სახ. მუზ. ბურჟ. განყ. ხელნაწერთა ფონდი № 61-65.
68

საქმე 3369
1448

Handwritten text in Georgian script, likely a legal or administrative document. The text is written in a cursive style and is partially obscured by a dark, irregular stain in the center. The visible text includes various names and titles, such as 'მამია' (Mamia) and 'დიმიტრი' (Dimitri), and mentions of land or property. The document is dated 1448 and is part of a collection numbered 3369.

ფონდი-1448, საქმე 3369, ლ. დადიანი, მე-17 ს.

Handwritten Georgian text in a cursive script, likely a historical document or manuscript. The text is densely packed and covers most of the page. At the bottom left, there is a logo for the Archives of Georgia. At the bottom right, there is a small rectangular stamp with the number 3369 and the year 1448.

საქართველოს არქივი
Archives of Georgia


1448 3369

ფონდი-1448, საქმე 3369, ლ. დადიანი, მე-17 ს.

Handwritten Georgian text in a cursive script, likely a manuscript page. The text is densely packed and covers most of the page. At the bottom left, there is a logo for the National Archives of Georgia. At the bottom right, there is a small rectangular stamp with the number 1448 and 3369, and a handwritten number 3.

Handwritten text in Georgian script, likely a manuscript page. The text is densely packed and covers most of the page. At the bottom left, there is a logo for the National Archives of Georgia. At the bottom right, there is a small rectangular stamp with the number 1448 and 3369, and a handwritten number 3.

ფონდი-1448, საქმე 3369, ლ. დადიანი, მე-17 ს.



ფონდი-1448, საქმე 3369, ლ. დადიანი მე-17 ს.

4.5. „მზითევი“ ძველ რომში

საქართველოს მსგავსად რომშიც, მზითვის ინსტიტუტმა დიდი გზა განვლო, რომელიც განსაზღვრავდა ქალთა უფლებრივ მდგომარეობას. საქორწინო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ქორწინებისთვის აუცილებელი იყო მატერიალური თუ ქონებრივი შენამატი მზითვის სახით. მისი გაცემა მამის ღირსებად და ზნეობრივ მოვალეობად ითვლებოდა. ძველად რომაელები ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, იგი სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა. „სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ქალები უზრუნველყოფილნი იყვნენ მზითვით, რომლის მეშვეობით მათ გათხოვება შეუძლიათ“.⁵¹⁰ „თუ მშობლები თავიანთ შვილებს თანხმობას არ აძლევდნენ ქორწინებაზე, ან უარს ამბობდნენ ქალიშვილისათვის მზითვის მიცემაზე, ამის გაკეთებას მათ მაგისტრატები აიძულებდნენ“.⁵¹¹ საქართველოს მსგავსად „რაოდენ ღარიბიც არ უნდა ყოფილიყო მამა, არადირსეულ პირად მიიჩნეოდა, თუ იგი ქალიშვილს მზითევს არ მისცემდა“.⁵¹²

მ. გარიშვილი და მ. ხოფერია გადმოგვცემენ: „ქრ. შობამდე III საუკუნიდან მზითევის გაცემა მორალურ ვალდებულებაში გადაიზარდა და სავალდებულო ხასიათი შეიძინა. ერთი მხრივ, ეკონომიკის განვითარების კვალობაზე, ამ პერიოდში *convention in manu*-ს გარეშე ქორწინებებმა იმატა, მეორე მხრივ კი, განქორწინებათა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ასეთ ვითარებაში მზითვის გაცემის აუცილებლობას საზოგადოება სულ უფრო და უფრო უჭერდა მხარს, რადგან მზითევი ოჯახის მატერიალური

⁵¹⁰ D.23.3.2. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი ოცდამესამე. ლათინულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძე, თბილისი, ნეკერი, 2001, 38.

⁵¹¹ მონტესკიე შ.ლ., კანონთა გონი, თბილისი, 1994, 510.

⁵¹² ხოფერია მ., მზითევი, როგორც ქალის ქონების ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10, №1, 2007, 140.

საფუძვლის გარანტი იყო. კანონმდებელმაც არ დააყოვნა და მზითევი, როგორც საკუთრების ერთ-ერთი სახეობა, კანონით განსაზღვრა“.⁵¹³

გ. დორმიდონტოვი აღნიშნავს: „მზითევი“ (dos) ეწოდებოდა ყველა იმ ქონებას, რომელსაც ქმარი (ან მისი მამა) იღებდა ცოლისგან ან სხვა პირისგან ქორწინებასთან დაკავშირებით, საცოლქმრო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (pro oneribus matrimonii).⁵¹⁴ ულპიანეს თანახმად, „ედიქტის შესახებ“, 63-ე წიგნში წერია: „სახელწოდება „მზითევი“ არ მიემართება იმ ქორწინებას, რომელთა არსებობა არ შეიძლება, რადგან არ შეიძლება მზითევი არსებობდეს ქორწინების გარეშე. ასე რომ, [იქ], სადაც ქორწინება არ არის, არც მზითევი არსებობს“.⁵¹⁵ მ. ხოფერია აღნიშნავს: „პროფ. ბოგოლეპოვის თანახმად, მზითევი, როგორც საყოფაცხოვრებო ინსტიტუტი, ოდითგანვე არსებობდა რომში. ჩვეულებრივ, მამა ღირსების საქმედ მიიჩნეოდა, არ გაეთხოვებინა მზითვის გარეშე. მაგრამ ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობა იმის შესახებ, განსაზღვრული იყო თუ არა სამართლით მზითვის, როგორც ქონების რაობა“.⁵¹⁶

ვ. მეტრეველი ხაზს უსვამს, რომ: „რომის სახელმწიფოს კლასიკურ ეპოქაში ქალის მზითვის სპეციალური რეგლამენტაცია მოხდა, რომლის ძალითაც მზითევი ქმრის ქონებაში ითვლებოდა მანამდე, სანამ ქორწინება არსებობდა. ქმარს შეეძლო ცოლის მზითვის განკარგვა, თუმცა ეს წესი ყოველთვის მყარად არ იყო დაცული; მაგალითად, ერთ პერიოდში დადგინდა, რომ საჭირო იყო ცოლის თანხმობა, რომ ქმარს მისი ქონება განეკარგა. გარდა ამისა, დაწესდა, რომ მზითევი უბრუნდებოდა ცოლს ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში და სხვ. მოგვიანებით, იუსტინიანეს

⁵¹³ გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2013, 246

⁵¹⁴ Дормидонтов Г.Ф. Система римского права: Семейное право. Казань, Студенческое издание, 1915. 52.

⁵¹⁵ D.23.3.3. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი ოცდამესამე. ლათინულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძე, თბილისი, ნეკერი, 2001, 38.

⁵¹⁶ Bogolepov, *Textbook of the History of Roman Law, Moscow, 1895, 504 (in Russian)* მითითებულია: ხოფერია მ., მზითევი, როგორც ქალის ქონების ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10, №1, 2007, 142.

ეპოქაში, ქალს ყველა შემთხვევაში უბრუნდებოდა მზითვეი გარკვეული ხარჯების გამოქვითვით“.⁵¹⁷

გ. ლობჯანიძის თანახმად: „კლასიკური პერიოდის სამართლის ნორმათა მიხედვით, მზითვეი არ გადადიოდა ქმრის საკუთრებაში. სანამ ქორწინება გრძელდებოდა, ქმარს ან მის პატერ ფამილიას ჰქონდათ სამზითვეო ქონების მართვის უფლება და ვალდებულება, გამოეყენებინათ იგი საქორწინო კავშირის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მათ შეიძლებოდა ჩამორთმეოდათ მზითვის მართვის უფლება. მზითვეზე საკუთრების ახალი გაგება აისახა ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში მზითვის რესტიტუციის საკითხებში. თუ ქორწინება წყდებოდა ცოლის სიკვდილის გამო, უნდა მომხდარიყო რესტიტუირება, ქმარს ჰქონდა უფლება, მოეთხოვა მზითვის ერთი მეხუთედი ამ ქორწინებაში დაბადებული თითოეული ბავშვისთვის“.⁵¹⁸ იმავე ავტორის თანახმად, „თუ ქორწინების შეწყვეტა მოხდებოდა განქორწინებით, მზითვის ბედს წყვეტდა და მის რეგისტრაციას ახდენდა ქმარი და ქონების ნაწილს თვითონ იტოვებდა, ნაწილი კი შვილებს რჩებოდა, მაგრამ არა უმცირეს მეექვსედისა და არა უმეტეს ნახევრისა. ცოლის ღალატის შემთხვევაში მზითვისა და საჩუქრის ნახევარი რჩებოდა ქმარს, ნახევარი კი შვილებს. საბოლოოდ კი მთელი ქონება ქმრის ხელში გადადიოდა მზითვისათვის გაწეულ სასარგებლო ხარჯების გამოკლებით, დანარჩენი ქონების განაწილება ხორციელდებოდა მხოლოდ ცოლის თანხმობით, ხოლო პირად ფუფუნებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება დაშვებული იყო იმ შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებელი იყო მზითვის საერთო ღირებულების გარეშე“.⁵¹⁹

გაიუსი, 42-ე მუხლში: „პროვინციის ედიქტის შესახებ“, მე-11 წიგნში მიუთითებს: „მზითვად მიცემული ის ნივთები, რომლებიც წონით, რაოდენობითა და ზომით განისაზღვრება, ქმრის რისკს წარმოადგენს,

⁵¹⁷ მეტრეველი ვ., რომის სამართალი, (საფუძვლები) თბილისი, მერიდიანი, 2013, 103.

⁵¹⁸ ლობჯანიძე გ., რომის სახელმწიფო და სამართალი ტ. II, ქუთაისი, 2009, 59.

⁵¹⁹ იქვე, 59.

რადგან მათ იმ მიზნით აძლევენ, რომ ქმარმა ისინი თავისი შეხედულებებისამებრ განკარგოს და განქორწინების შემთხვევაში თავად მან ან მისმა მემკვიდრეებმა იმავე სახისა და თვისებების (ხარისხის) სხვა ნივთები დააბრუნოს“.⁵²⁰ ხშირად სამზითვო ნივთი იცვლებოდა ფულით ან პირიქით. მოდესტინუსი „რეგულები“-ს პირველ წიგნში მუხ. 26 აღნიშნავს: „ჩვენ ვამბობთ, რომ ქორწინების არსებობის დროს მზითვის შეცვლა (იმ შემთხვევაში) შეიძლება, თუ ეს ქალისათვის სასარგებლოა, თუ (მაგალითად), ფული იცვლება ნივთით, ან ნივთი - ფულით. და ეს (წესი) მიღებულია“.⁵²¹

ამდენად, ძველ რომში, საქართველოს მსგავსად „მზითევი“ ქორწინებისთვის აუცილებელი იყო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: საოჯახო მოხმარების ნივთები, ფული და მამული.

⁵²⁰ რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი ოცდამესამე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნეკერი, 2001, 57.

⁵²¹ იქვე, 51.

მეხუთე თავი

დიდი ოჯახის წევრთა ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში ოჯახის გაყრისას

5.1. ოჯახის გაყრის წესები

მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად როგორც საქართველოში, ისე ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებში, პატრიარქალურმა ოჯახმა, როცა ამოწურა თავისი არსებობისათვის გასავლელი ურთულესი ისტორიული გზა, XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში დაიწყო დიდი ოჯახების დაშლა და წევრთა შორის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების განაწილება.⁵²² ქართულ ჩვეულებით სამართალში ოჯახის სეგმენტაციას და ოჯახის წევრებს შორის ქონების განაწილებას „ოჯახის გაყრა“ ეწოდებოდა. ეთნოგრაფიული მასალების თანახმად სხვადასხვა სახელწოდება გვხვდება ცალკეულ კუთხეებში, მაგალითად: აჭარაში, იმერეთსა და გურიაში „გაყოფა“, „გარიგება“,⁵²³ „ოჯახი გარიგდა“, „ძმები გარიგდნენ“, რაც ნიშნავს როგორც ოჯახის გაყრას, ისე ქონების განაწილებას, ხოლო ტერმინი „ქონება გეირიგეს“ და „გაფარდება“ მხოლოდ ქონების განაწილებას გულისხმობს და არა ოჯახის გაყრას.⁵²⁴

ქართული სამართლის ძეგლებით დასტურდება, რომ სახელმწიფო მომხრე იყო დიდი ოჯახების შენარჩუნების, გაყრის აუცილებლობის შემთხვევაში კი - დავის ობიექტურად გადაწყვეტის. „საერთოდ, ოჯახის შიდა საქმეებში სახელმწიფო არ ერეოდა. ადრეფეოდალური ხანის საქართველოში ოჯახის გაყრა იმდენად მიუღებელი და იშვიათი მოვლენა იყო, რომ ქართული სამართლის

⁵²² წივწივაძე ი., დიდი ოჯახის წევრთა ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში ოჯახის გაყრისას, ცხოვრება და კანონი, №1(61), თბილისი, 2023. 53.

⁵²³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.II, თბილისი, 1951, 1543.

⁵²⁴ ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, 84.

ადრეულ ძეგლებში ოჯახის გაყრის შესახებ მუხლები არ გვხვდება“,⁵²⁵ გვიანფეოდალურში - კი. „მოგვიანებით, როდესაც ოჯახის გაყრამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, გვიანფეოდალური ხანის ძეგლებში რამდენიმე მუხლი, ზოგან კი მთლიანი კარიც კი დაუთმეს ამ საკითხს“.⁵²⁶ *გაყრის მსურველნი „ბატონმა უნდა დაიბაროს, უფროსი სწვრთოს და დაახედოს, უმცროსი დატუქსოს; თუ ყმანი სჩხუბევდენ, ავად მოეპყრან, ნუ მოიშლებით, ნუ გაიყრებით-თქო; ამგვარები დაახედონ, ურჩიონ თავის მოყურით, კარის კაცით, გაუყრელობას ეცადნენ და თუ არ იქნას და არ დაიშალონ, ასრე გაჰყარონ“.*⁵²⁷ „აწ ამაში არც ჩვენ გვინდოდა ამათის ოჯახის მოშლა და დამცრობა. და თვითონაც დაინახეს, რომ დიდი ზიანი და თავენთი წახდენა იქნებოდა. და ამისათვის ჩვენ ვიგულმოდგინეთ და თავათ მეფენი შუა ჩამოვედით და ჩვენი ეპისკოპოზნი და დარბაისელნი შუა ჩამოვაყენეთ და მათი გაყრა აღარ მოვახდინეთ და ისევ ერთობა და ერთსახლობა მოვანდომებინეთ“.⁵²⁸ მაგრამ გაუყრელად ცხოვრებაც რომ შეუძლებელი იყო და აუცილებლობას წარმოადგენდა სეგმენტაცია, ესეც ჩანს კანონმდებლობით. „ადამს აქეთ ქუეყანა გაყრით არის მოშენებული, რომ არ იქნას, არც იქნების. მაგრამე, ზეითაც დაგუიწერია, მოსამართლეს თავად ყოველს სამართალში სიფრთხილე და უქრთამობა მართებს, და ნამეტნავად ამაში, რომ გაყრა ძნელი საქმე

⁵²⁵ ხოფერია მ., სახელმწიფოს დამოკიდებულება ოჯახის გაყრისადმი, სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, №1, 2015. 29.

⁵²⁶ იქვე, 29.

⁵²⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი.დოლიძემ), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963, 507.

⁵²⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული, (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი.დოლიძემ), თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომც. 1963, 158.

არის. და გარდაწევას, სარჩლობას, ქრთამს, უსამართლობას მოსამართლე დიდად უფრთხილდეს და ერიდებოდეს“.⁵²⁹

ოჯახის გაყოფისას გარეშე პირების ნებართვა რომ იყო საჭირო, რ. ხარაძე ადასტურებს: „ოჯახის გაყოფაზე ნებას იძლეოდა ფეოდალი, რომელიც მატერიალურ დასაჩუქრებას ითხოვდა... ფეოდალები დაინტერესებულები იყვნენ დიდი ოჯახის, როგორც სოფლის მეურნეობის ძირითადი უჯრედის, შენარჩუნებით... დიდი ოჯახების კლასობრივ საზოგადოებაში შენარჩუნებას ხელს უწყობდა ასევე ოჯახთა გაყრის ხელოვნული შეზღუდვა. დიდი ოჯახის, როგორც წარმოების საშუალების, მიწის უჯრედზე მიჯაჭვით დაინტერესებულები იყვნენ ფეოდალები, რომელთა მიერ შემოღებული მატერიალური გადასახადები აფერხებდა სეგმენტაციის პროცესს“.⁵³⁰

ბ. ზოიძის აზრით, ოჯახის „გაყოფა“ ჰგავდა ქონების მემკვიდრეობით მიღების წესს. „ჩვენ გაყრა და მემკვიდრეობა არ უნდა დავუპირისპიროთ ერთმანეთს. ისინი ერთიმეორეს ავსებენ. ამასთან არც იდენტური მოვლენებია. მემკვიდრეობა უფრო ფართო ინსტიტუტია და გარკვეული თვალსაზრისით გაყრასაც მოიცავს. შეიძლება სულაც არ ქონდეს ადგილი გაყრას, მაგრამ მემკვიდრეობა სახეზე იყოს“.⁵³¹ „გაყრით ახალი ოჯახებიც იქმნება, რასაც მემკვიდრეობა არ გულისხმობს ყოველთვის. მისთვის ეს ფაქტი მეორეხარისხოვანია, მთავარია, რომ ერთი სუბიექტის ქონებას დაეუფლა მეორე“.⁵³² გაყრის ინსტიტუტმა თანდათან ცვლილებები

⁵²⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული, (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი.დოლიძემ), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1972, 507.

⁵³⁰ Харაძე Р., 1961 г, Грузинская семейная община, тбилиси., Т. 2. с. 68, (მითითებულია: ონიანი ს; დიდი ოჯახის ინსტიტუტი სვანურ ჩვეულებით სამართალში, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები ტ. II, თბილისი, თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2012, 437.)

⁵³¹ ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა) თბილისი, უფლება, 2000, 41.

⁵³² იქვე, 41.

განიცადა და საბოლოოდ მრავალფეროვანი ნორმების ერთობლიობად ჩამოყალიბდა.

დიდი ოჯახის გასაყოფი ქონება შედგებოდა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობისგან, მიწისგან (სახნავი, ბაღ-ვენახი, სათიბი, ბოსტანი), საქონლისგან, წლიური შემოსავლისგან, საოჯახო ინვენტარისგან და სხვა წვრილმანი ნივთებისგან. ოჯახის გაყრასთან დაკავშირებულ საკითხებს ხალხური სამართლით ჭრიდნენ. არ იყოფოდა პირადი საკუთრება - ტანსაცმელი, სამკაული, იარაღი და მზითვი, სათავნო.

გ. თედორაძის გადმოცემით, „ფშავში უფროსი კაცების ანდერძი იყო: ნუ გაიყრებით, ნუ გაახარებთ მტერს, განაყოფ ქონებას ბარაქა არა აქვს. თუ მტერი არა გყავს, ძმას გაეყარეო და მტერი გეყოლებათ - ფშავლებს სჯერათ, რომ გაყრილ ძმებში უეჭველად ჩამოვარდება მტრობა“.⁵³³

5.2. ოჯახის გაყრის მიზეზები

ეთნოგრაფიულ და სამართლის საისტორიო მასალებში ოჯახის გაყრის არაერთი მიზეზი სახელდება საზოგადოების როგორც მაღალ, ისე დაბალ ფენებში: წევრთა სიმრავლე, საცხოვრებელი ფართის სივიწროვე, სადაც ფიზიკურად შეუძლებელი იყო შემდგომი ერთობლივი თანაცხოვრება, ოჯახის წევრთა უთანხმოება რძლებსა და მულებს შორის, ან რძლებსა და დედამთილებს შორის, რაც კარგად ჩანს ანდაზებში „ძმობას გემო ჩაეტანება ცოლის შერთვამდეო“ (ლიმხუბ ლიჩიჟალდ ესერ იხიდი“) „დედა და ვაჟიშვილი ან სიკვდილმა დააშორა ერთმანეთს, ან ცოლმაო“ („დი ი ჭყინტგეზალ იედ ესერ დაგრას ოთყულელვრა იედ ხეხვს“).⁵³⁴ „ერთმანეთის მოძულე რძლებს ძმები ერთმანეთისათვის შეუწყვეტიათო“ („მასსგარ ლამყარს

⁵³³ თედორაძე გ., ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, წ. II, თბილისი, სახელგამი, 1939, 83.

⁵³⁴ კორძია ა., „ლაჰრაკდ არი“ (სვანური ანდაზები), თბილისი, სომა პრეს-1, 2000, 205.

ლახვბა უშხვარ ესერ ლოხხვიტას“),⁵³⁵ „ცუდმა რძალმა ძმები ცალ-ცალკე ჩააცუცქაო“ („ხოლა თელღრას ლახვბა მოშ-მოშ ესერ ესქუქვა“),⁵³⁶ „ძმა ძმას შერჩება, მაგრამ რძალი რძალს ვერაო“.⁵³⁷ ოჯახის განაწილების მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ლტოლვა კერძო საკუთრების გაჩენაზე - „რომელიმე ახალი რძალი რაღაც საკუთრებას („ლეღანკ“) გაიჩენდა და ამ შემთხვევაში თუნდაც ერთ ცხვარსაც გავღენა ჰქონდა, რომ ოჯახის ერთიანი საკუთრებისათვის ზიანი მიეყენებინა. ცხვარი კრავს იყოღიებდა და ისიც კერძო პიროვნებას მიეკუთვნებოდა, ასევე ამ ცხვრის მატყლი, შალი და მისგან სხვა ნაწარმი კერძო საკუთრებად იყო აღიარებული, ერთობღივი ოჯახური ტენდენციების საწინააღმდეგოდ წარმოიშვებოდა ოჯახის შიგა უთანხმოება“.⁵³⁸ კერძო საკუთრების გაჩენის მცდეღობა გვხვდება სოფელ ჯიმიტიში „ნაცვალ ტურის ჰქონდა ძან გაძღიერებული ოჯახი და ბევრი ძმები-ძმისწუღებიცა... ტურის ორმა რძალმა თურმე ერთი კაღო თვითონ გაღეწეს, იშრომეს და საღამოზე გაათავეს და საკუთრებად შენახვა დაუპირეს. ტური საღამოთი მხღებღებით დაბრუნდა შინა და რძღების ამბავი რომ შეიტყო იმწამს შეჰყარა მთელი უბანი, მერე დინჯად მივიდა გათავებულ პურზედ და დაუწყო შეუბრალებრივ ნიჩბით ლობეში თუ ჯაგებში გადაყრა, მინამ სულ არ მიჰვანტმოჰვანტა. როგორ თუ რძალმა საკუთრება გაიჩინოს, ბარემ ყვეღა ოჯახიშვიღებმა ცეცხღზე წყალი დავასხათ და ეხღავ გავიყარნეთო. შენ-ჩემობა ოჯახში არავინ გაბედღოს ჩემს სამოხეღეღში, ოჯახი ყვეღა საერთოაო, - ყვიროდა გაბრაზებული ნაცვალი“⁵³⁹ ოჯახის გაყრის ერთ-ერთ მიზეზად სახეღდება ასევე ოჯახის

⁵³⁵ კორძია ა., „ღაჰრაკდ არი“ (სვანური ანდაზები), თბიღისი, სომა პრეს-1, 2000, 271.

⁵³⁶ იქვე, 271.

⁵³⁷ აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჰარაში, თბიღისი, მეცნიერება, 1990, 99.

⁵³⁸ ონიანი ს; დიდი ოჯახის ინსტიტუტი სვანურ ჩვეუღებით სამართაღში, სამართღისა და პოღიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები ტ. II, თბიღისი, თ. წერეთღის სახეღმწიფოსა და სამართღის ინსტიტუტი. 2012, 433.

⁵³⁹ გაზ. „დროება“, 1884 წ. №263; (მითითებულია: ბოსტოღანაშვიღი დ., დიდი ოჯახი აღმოსავღეთ საქართვეღოში ქიზიყის მასაღების მიხედვით №2, 1995, 138.)

უფროსის უფლებების შესუსტება ან ერთმართველობისადმი სწრაფვა,⁵⁴⁰ „აგრეთვე მიწების პერიოდული გადანაწილების გავრცელება. მიწების გადანაწილებისას ათვლის ერთეული იყო კომლი. თითოეულ კომლზე მიწის თანაბარი ნაკვეთების შეხვედრისას, ბუნებრივია, მრავალსულიანი ოჯახები წამგებიან მდგომარეობაში ხვდებოდნენ. სწორედ ეს მიზეზი უბიძგებდა დაშლისაკენ არა მარტო მრავალსულიან, არამედ უფრო მცირერიცხოვან ოჯახებსაც“.⁵⁴¹

სამოქალაქო სჯულვილების ლვ [35] მუხლიც ამას ადასტურებს „ყოველთვის უნდა ეცადნენ, რომე ძმები არ გაიყარნენ: იმ გაყრის მიზეზით, უფროსი ერთი, ბევრჯერ მოხდება, რომე ორთავ გაფუჭდებიან.

და ისეთვე ცოლების მიზეზით უფრო გაიყრებიან ხოლმე. არამცა თუ დაუჯერონ ყოველთ თავიანთ ცოლებს, [არამედ], თუ ცოლი, ანუ ერთი, ანუ მეორე, თავის ქმრებს შესჩივლონ თავიანთის პილწის ენით,-მაზლის ცოლებისაგან ანუ სხვა [მიზეზით] სახლში კარგიც მოხდება, ავიც,-ქმრებმა იმრიგად დასტუქსონ, რომე სხვა დროს ვეღარ გაბედონ ჩივილი. და, უფროსი ერთი, ცოლებისაგან იქნება სახლის გარევაცა და ძმების ერთმანერთში სამდურავიც; ჭკვიანმა კაცმა არასდროს არ უნდა დაუჯეროს თავის ცოლსა, რადგანც ჩვენნი პირველნი დად-მამა ადამ და იევა, თუ ადამს არ დაეჯერებინა იევისათვის, სამოთხეს არ დაჰკარგავდა. იმრიგათ, თუ კაცმა თავის ცოლს არ დაუჯერებს, არასდროს არც ძმებში იქნება სამდურავი და არც თავის სახლსა და ქონებას დაჰკარგავს. და სხვა, დიად, მრავალის ამრიგის საქმით.

და კიდევ რძლები უნდა მორჩილნი იყვნენ თავიანთის უფროსს მაზლის ცოლისა. და ისეთვე ყოველნი უნდა მორჩილნი იყუნენ

⁵⁴⁰ აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, მეცნიერება, 1990, 100.

⁵⁴¹ ბოსტოდანაშვილი დ., ოჯახის გაყრის წესები აღმოსავლეთ საქართველოში, ჟურნ. სამართალი, № 1-2, 1998წ.

თავიანთს, თუ ჰყავსთ, მამამთილს და დედამთილს, და კიდევ
ემსახურონ, და სხვა“.⁵⁴²

გურიაში ოჯახის გაყრას პატარა ოჯახებად ცხოვრების სურვილი
განაპირობებდა „რასაც ხელს უწყობდა კაპიტალისტურ სასაქონლო-
ფულად ურთიერთობაში ჩაბმა, ცალკეულ საქორწინო წყვილთა
განკერძოებული საოჯახო საკუთრების შექმნის სურვილის გაჩენა“.⁵⁴³

ასე რომ, რომელიმე კონკრეტულ მიზეზს ვერ გამოვყოფთ, რადგან
ერთობლიობაში კომპლექსურად ისინი ერთმანეთს ემატებოდა და
საბოლოოდ ქმნიდა ოჯახის გაყრის მყარ პირობას. თუნდაც ერთ-
ერთის არსებობის მიზეზიც სახეზე რომ ყოფილიყო, ბუნებრივი და
მიზანშეწონილი იყო ოჯახის გაყრა. ბ. ნიჟარაძის გადმოცემით:
„...სვანს საზოგადოთ ძლიერ ეზარება გაყრა, როდესაც ოჯახის წევრნი
გაიყრებიანო, ამბობენ სვანები, მაშინ მათს კერაზე (ცეცხლზე) წყალი
ისხმებაო, ე.ი ოჯახი ქრებაო, ოჯახს ის ურჩევნია რამდენიმე წევრი
მოუკვდეს, ჟამი ეწვიოს, ვინემ გაიყაროსო, ამბობენ იგივე სვანები“.⁵⁴⁴
ოჯახის გაყრის მიზეზებზე ვახტანგ VI სამართლის 98-ე მუხლში
ვკითხულობთ: *„უკეთუ ძმანი ანუ მამა-შვილნი, ანუ ბიძა-ძენი, ანუ
ბიძა-შვილნი, გინა სხვა ნათესავნი, ერთსახლნი და ერთად
მემამულენი ველარ მოთავსდენ და გაიყარნენ, ამ წესითა და რიგით
არის მათი დაშორვების რიგი“*.⁵⁴⁵

⁵⁴² სამოქალაქო სჯულდგენა, ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები გამოსცა დ.
ფურცელაძემ, თბილისი, მეცნიერება, 1967, 168.

⁵⁴³ ცეცხლაძე გ., ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების წესები გურიაში
(ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
XXIII, თბილისი, მეცნიერება, 1987, 101.

⁵⁴⁴ ნიჟარაძე ბ., (თავისუფალი სვანეთი) ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ.1,
თბილისი, თბილისის სახ. უნივერსიტეტი, 1962, 108.

⁵⁴⁵ ქართული სამართლის ძეგლები. ტ.1, (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი
დაურთო პროფ. ი.დოლიძემ), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963,
507.

5.3. საოჯახო ქონების მოწილეები

მოწილეები ძირითადად მამაკაცები იყვნენ, ძმები, ბიძაშვილები, მშობლები. მოწილე ხდებოდა ახალი საოჯახო თემის ან ინდივიდუალური ოჯახის მეთაური, რომელიც ხელმძღვანელობდა მასზედ გამოყოფილ ახალი ოჯახის კუთვნილებას. ქონების გაყოფისას მოწილეების ოჯახის რიცხოვრივ შემადგენლობას და ასაკს არ ექცეოდა მნიშვნელობა, ქონება თანაბრად ნაწილდებოდა. მას ანაწილებდნენ მამა, უფროსი ძმა ან გარეშე პირები. „ოჯახისა და, შესაბამისად, საოჯახო ქონების გაყოფისას, მთელი სისრულით იჩენდა თავს მისი ცალკეული წევრის ქონებრივი უფლებები. არსებითად, სწორედ ამ მომენტიდან ხდებოდა თითოეული მოწილე განცალკევებული ქონების მფლობელი. მანამდე მათი უფლება ქონებაზე მხოლოდ ფორმალური ხასიათისა იყო; ფაქტობრივად, ოჯახში არსებული ქონება ამ ოჯახის საერთო საკუთრებად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო ქონების წარმოშობის წყარო და რა ნიშნით ფლობდა მას პირი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სათავენოს, რომელიც იმთავითვეა განკერძოებული მისი მესაკუთრის ხელში).⁵⁴⁶

ძველი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ქონების თითოეულ ნაწილს „ხუედრი“ ეწოდებოდა. გურიასა და იმერეთში იხმარებოდა სიტყვა „ფარდი“, მაგრამ ძირითადად იყენებდნენ „წილს“. „ერთი მოწილე რომ ცოლშვილიანი შვილების მამა ყოფილიყო, ხოლო მეორე - უშვილო, ქონებას ისინი თანაბრად მიიღებდნენ. ასევე, ერთ მოწილეს რომ დიდი ამაგი ჰქონოდა, ხოლო მეორე მოწილეს თავის შენახვაც არ შესძლებოდა, ქონება კვლავ ზემოაღნიშნული წესით გაიყოფოდა. ზოგადად საქართველოში ქონების გაყოფისას მამა დესპოტურ საქციელს არ ამჟღავნებდა, იყო მხოლოდ ცალკეული

⁵⁴⁶ ხოფერია მ., მედიატორეს როლი ოჯახის გაყრაში ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, №1, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 2011, 44.

შემთხვევა, როდესაც მამას ერთი შვილისთვის მეტი მიუცია, მეორისთვის არაფერი.⁵⁴⁷ უშვილო ოჯახის ქონება უახლოეს მემკვიდრეებს რჩებოდათ.

თუ მოწილე გარდაიცვლებოდა, სრულად მის წილ ქონებას აკუთვნებდნენ თავის ობოლ ვაჟიშვილებს. ოჯახის განაწილების შემდეგ ობლად დარჩენილ ბავშვებს დედა ზრდიდა, მისი გათხოვების შემთხვევაში მეურვეობას ბიძა უწევდა ან სხვა რომელიმე ნათესავი მამაკაცი. მეურვეობას აჭარაში უკავშირდება ე. წ. ვესის ინსტიტუტი „ვესი არაბული სიტყვაა და ვისიმე მზრუნველად დანიშნულ ზედამხედველს, მეურვეს ნიშნავს“.⁵⁴⁸ თუ მომავალი მოწილე ოჯახის გაყრამდე გარდაიცვლებოდა, მისი ვაჟიშვილი დიდ ოჯახში იზრდებოდა და მეურვეს არ საჭიროებდა, მასზე მზრუნველობას ბაბუა იჩენდა. დედეთიქმას ე.ი. ბაბუას ობოლი, მას ერგებოდა მოწილე მამის ქონება და ბიძებიც აკუთვნებდნენ ობოლს სრულ სამმო წილს. ბაბუა ზოგჯერ სიტყვიერად ან წერილობით დაუბარებდა ოჯახის წევრებს, მისი გარდაცვალების შემდეგ, რომ შვილიშვილს წილი არ დაკარგვოდა, რომელიც არ შეიძლება მივაკუთვნოთ ანდერძს, რადგან იგი მიუღებელი იყო დიდი ოჯახისთვის, რადგან შეიცავდა კერძო საკუთრების ელემენტებს, ინდივიდუალური ოჯახისათვის დამახასიათებელს.⁵⁴⁹ „ოჯახის გაყრის მომენტში რომელიმე მოწილე რომ ჯერ კიდევ აკვნიდან არ ყოფილიყო ამდგარი, იმასაც კი იმდენს აძლევდნენ, რამდენსაც ხანდაზმულსა და შრომით დაღლილ მოწილეს. დიდი ამაგის მქონე მოწილესთვის შედარებით მეტი ქონების მიცემა ხდებოდა მხოლოდ ოჯახის საერთო თანხმობის შემდეგ“.⁵⁵⁰

⁵⁴⁷ ჭყონია ი., ახალი ყოფა მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში, მსე, VI, თბილისი, 1953, 5-34.

⁵⁴⁸ აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა) თბილისი, მეცნიერება, 1990, 104.

⁵⁴⁹ იქვე, 104-105.

⁵⁵⁰ ითონიშვილი ვ., მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 112.

საქართველოსა და კავკასიის მრავალ კუთხეში გაყრისას ძირითადად იცოდნენ უფროსი მოწილისთვის - ძმისთვის და არა მამისთვის განსხვავებული წილის მიცემა, რაც საუფროსოს, საუხუცესოს სახელით არის ცნობილი, საუფროსოს ინსტიტუტი ქართულ სამართალში ცნობილია უძველესი დროიდან, იგი მოხსენიებულია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც. საუხუცესო განისაზღვრებოდა წოდებათა მიხედვით: დიდებულის, აზნაურისა და გლეხის.

სამართალი ბატონისშვილის ვახტანგის მე-100 მუხლით: „*გაყრაში ეს ოთხი არის: საუფროსო, გასამყრელო, საუმცროსო და საშუალო.*

საუფროსო ასრე არის და ასრე უნდა. რისაც ან აზნაურისა, ან გლეხისა პატრონნი იყუნენ, უმამულოს, ბოგანოს გარდაისად ყუელა მეფის მდივანსა აანუსხვიონ, იანგარიშონ. რამდენიც კომლი დადგეს, ოცს კომლზე ერთს უკეთესს, რომელიც უნდა, უფროსი გამოირჩევს და ერთს უარესს-სხვა ძმები, რომელიც იმათ უნდა, იმას მისცემენ. და რამდენიც ოცი კომლი ეყოლების, ყუელაზე ასრე იქმონენ. დარჩების ბოგანო და იმაზედაც ასრე უნდა იქნას.

მაგრამე ბოგანო ამას ქუიან, რომე ვენაჯი არა ქონდეს, თვითო სახლი და რჩომის ალაგი ექნების, და მიწა ან ექნების და ან არა. ამგვარი ბოგანო იმ ზეითს გლეხებში არ ჩაითვლების, ამაზე ცალკე უნდა აალებინონ. ვენაჯის მქონეს გლეხს ბოგანო არა ქუიან, რაგინდ სხვა მამული ნაკლებად ქონდეს“.⁵⁵¹

იმავე სამართლის 108-ე მუხლით, უშვილო ძმის ქონება მომდევნო ძმას რჩებოდა, თუ შვილი დარჩებოდა - შვილს, თუ უმცროს ძმას შვილი არ ჰყავდა, საუმცროსოს სხვა ძმა მიიღებდა. „*თუ უფროსი ძმა უშვილოდ ამოვარდა, საუფროსო მისი შემდეგისა არის;*

⁵⁵¹ ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტესტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963. 507.

და თუ შვილი დარჩა, შვილისა არის; თუ რამ სასახლოდ დახარჯულა, სასუხი უნდა მისცენ“.⁵⁵²

ვახტანგ კურაპალატის სამართლის წიგნში, რომელიც შედგენილია XI საუკუნეში, აწესებს დიდებულთა, აზნაურთა და გლეხთა საუხუცესოს - „თუ დიდებულნი გაიყარნენ, ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ აიღონ და სხუაი შუაზე გაიყონ“. (მუხ.154) „თუ აზნაურნი გაიყარნენ, და გლეხიანი იყვნენ უფროსსა ძმასა საუხუცესოდ ერთი გლეხი, სხუაი შუაზე გაიყონ“(მუხ. 153) „თუ გლეხნი გაიყარნენ, უხუცესსა ძმასა ანუ თავი სახლი, ანუ ერთი ვენახი, ანუ უფროსნი ჭურნი - საუხუცესოდ; და სხუაი შუა გაიყონ“.⁵⁵³ (მუხ. 155)

საქართველოს ჩვეულებითი სჯულის 43-ე მუხლში ვკითხულობთ: „უფროს ძმას მამულისა და ქონების მიხედვით ერთ-ერთს მამულს საერთოდამ საუფროსოდ მისცემდნენ; და, თუ მცირე ქონება ექნებოდათ, რომ მამული არ ერგებოდა, მათიდ შეძლების მიხედვით თეთრს მისცემდნენ. მაგრამ, თუ იმ უფროს ძმას დიდხანს ოჯახი შეენახა, ჭირი და ლხინი გარდებოდა, აგრევე თავის ოჯახისათვის არა დაეკლო რა, იმას უფრო მეტს საუფროსოს მისცემდნენ“.⁵⁵⁴

სვანეთში საუფროსოს ნამხოშიერს უწოდებდნენ, ხოლო აჭარაში-საემეგოს ანუ საუმფროსოს,⁵⁵⁵ იმერეთში - საუხუცესოს, ვინაიდან უთანასწორობა არ უნდა ყოფილიყო ძმებში. ეს წესი მოწილეების ურთიერთ თანხმობის საფუძველზე ხდებოდა დამსახურების მიხედვით. მიწის ნაკვეთს საუფროსოდ იშვიათად მისცემდნენ,

⁵⁵² ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტესტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963. 510.

⁵⁵³ იქვე, 469.

⁵⁵⁴ დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1960, 64-65.

⁵⁵⁵ აჩუგა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი, მეცნიერება, 1990, 105.

შესაძლებელი იყო მიეცათ მთლიანი წილის მესამედი, ძროხა, საწნახელი, ჭური ან რაიმე საოჯახო ნივთი. „საუფროსო დიდი ოჯახის განვითარების გვიანდელ ეტაპზე, კერძოდ კი, საოჯახო თემის განვითარების იმ საფეხურზე უნდა გაჩენილიყო, როდესაც მის შიგნით ფეხს იკიდებდა შრომითი კოოპერაციის ნორმები, რაც საერთო-საოჯახო საკუთრების სფეროში კერძო მესაკუთრულ ელემენტებს ნერგავდა“.⁵⁵⁶ ს. მაკალათია მთიულების ყოფა-ცხოვრების შესწავლისას გადმოგვცემს, რომ გაყრა ოჯახში უფროსების სიცოცხლეში ძნელად ხდებოდა. გაყრის დროს ვაჟების ქონებას თანაბრად იყოფდნენ. მხოლოდ უფროს ძმას აძლევდნენ დამატებით წილად მამის ცხენს და იარაღს. მასვე ჰქონდა უპირატესობა, შეესყიდა მამისეული სახლი. ხოლო „თემურ ადათით ქალებს აქ ოჯახში წილი არა აქვთ“.⁵⁵⁷

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის დაკვირვებით, მშობლებს უფროსი შვილი „უმეტეს გმირად“ მიაჩნდა, მისი აზრით, „უფროსი ვაჟი ყოველთვის „უგმირეა“ (უმეტესი გმირი) სხვებთან შედარებით და ამიტომაც გაყოფის შემთხვევაში მამის საყოფელს, ხელისუფლებას და იგულისხმება ენასაც ყოველთვის უფროსი ღებულობს, დანარჩენი შვილები კი თავის წილს მამის საყოფელიდან მეტ-ნაკლები დაშორებით ღებულობენ. ისინი იძულებულნი არიან ახალ საბინადრო ადგილზე გადასახლდნენ და იქ თავისი საკუთარი კერა შექმნან“,⁵⁵⁸ რაც ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით არქაული ნიშანი არის, მამის სახლის მემკვიდრეობის გადაცემა უფროს შვილზე, რადგან ვახტანგ VI სამართლის წიგნის 103-მუხლის მიხედვით უმცროს ძმას ეკუთვნის საუმცროსო სასახლე და

⁵⁵⁶ ითონიშვილი ვ., ითონიშვილი ვ, ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974, 95.

⁵⁵⁷ მაკალათია ს., მთიულეთი, ტფილისი, სახელგამი, 1930. 82.

⁵⁵⁸ გრიგოლია კ., ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტამბა, 1954, 10-11. (მითითებულია: ნადარეიშვილი გ., ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, 1965, 136.)

ამდენად ლეონტი მროველის მაგალითი უნდა იყოს ძველი საქართველოს სამართლებრივი ინსტიტუტი.⁵⁵⁹ ბექას სამართალი იცნობს ასევე საუმცროსოს „იქნების ალაგისა გვარისა წესი, რომე უმცროსსა მამულოვნებით გაიყვანებენ, თუ ცოლსა შეირთავს, იგი-წესია, სამართალი არა“.⁵⁶⁰

მ. გარიშვილის გადმოცემით, „საკუთრების გაყოფის წესი, რომელიც საუფროსოსა და საუმცროსო წილს გულისხმობდა, დავით ბატონიშვილს ქართველთა ჩამორჩენილობით და გაუნათლებლობით აქვს ახსნილი და, მისი აზრით, ყოვლად შეუფერებელია ბუნებითი სამართლის პრინციპებისთვის“.⁵⁶¹ იგი საერთო საგვარეულო საკუთრებიდან არათანაბარი წილის გამოყოფას ეწინააღმდეგებოდა, „ავტორი აღნიშნავდა, რომ საგვარეულო საკუთრების გაყოფა შესაძლებელია როგორც მშობლის სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ. საერთო საკუთრების გაყოფის პირველ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ქონების გადაცემა, მშობლის ნება-სურვილის მიხედვით იმ შვილისათვის, რომელსაც თვითონ მიანიჭებდა უპირატესობას, სხვა ძმებთან შედარებით. ასეთი გაყოფის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებული იყო, დაედგინა, ხომ არ იყო ძმათა შორის-ავადმყოფი ან გონებაჩლუნგი და გამოეყო მისთვის სარჩო და საექიმო წილი. გარდა ამისა, ასეთი ფაქტის დადგენის შემთხვევაში, მოსამართლე ვალდებული იყო შეეჩერებინა ძმების გაყრა და დალოდებოდა ავადმყოფი ძმის გამოჯამრთელებას, რის შემდეგაც დაიშვებოდა საერთო საგვარეულო საკუთრების დანაწევრება“.⁵⁶²

⁵⁵⁹ იქვე, 137.

⁵⁶⁰ ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბექასი, მუხ-49, ტესტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963. 443.

⁵⁶¹ გარიშვილი მ., დავით ბაგრატიონის (ბატონიშვილის) კერძო-სამართლებრივი შეხედულებანი, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი II, თბილისი, მერიდიანი, 2012, 252-253.

⁵⁶² იქვე, 253.

არათანაბარი წილის გაყოფის თაობაზე დ. ბატონიშვილი თავის ნაშრომების შესაბამის მუხლებში გადმოგვცემს: *„მაგრა საუფროსოსა და საუმცროსოსათვის არა რაიმესა მოვიხსენიებთ, ვინაითგან განუნათლებელ არს ერი ჩუენნი; „და ოდესღა იწყებს ყვავილი მეცნიერებისა აღყვავებად, მაშინ თვით თავისი იქმნებიან მსაჯულ ბუნებისამებრ, გინა ბუნებითისა ჰსჯულისა, რომლისთვისჰცა უხმ არს საუფროსოსა, გინდა საუმცროსოსა და საშუალოსა გამოძიება და განყოფა. მით, რომე ყოველივე შფოთი და სიძულვილი ამის მიერ არს ერთა შორის ჩვენთა წარმოებული და რაიცა წარმოშობს სიძულვილსა, უხამს არს და ბუნებითაგან სჯულისა გარეგან“ და „При разделе имений должны быть безобидно уравниемы между наследниками все выгоды и угодья, исполнение чего возлагается на благоразумие беспристрастных судей и разрешается жребием“.*⁵⁶³

საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად აჭარაში დაუქორწინებელ მოწილეს ეძლეოდა დამატებითი ქონება ე.წ. გათანაბრების წილი (პირუტყვი, ფული) საქორწინო ხარჯებისათვის, რომელსაც საქორწინო ანუ საუმცროსო წილი ეწოდებოდა.⁵⁶⁴ მისი მიუცემლობის შემთხვევაში დაუქორწინებელ მოწილეს ჰქონდა მისი მოთხოვნის უფლება, როცა ამ წესით საუფროსოს გამოყოფის პრეტენზიის უფლება არ ჰქონდა უფროს მოწილეს. გათანაბრების წილში შედიოდა სამზითვი თანხა, რომელიც გადაეცემოდათ გაყრის დროს მოწილეთა გასათხოვარ დებს. ან კიდევ გათხოვების დროს ყველა ძმა ერთობლივად გაამზითვებდა და ქორწილსაც გადაუხდიდა.⁵⁶⁵ ვ. ითონიშვილი გადმოგვცემს: ქართლის მთიელებში

⁵⁶³ დავით ფურცელაძე, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, მუხლი [29] იბ, გაყრისათვის, თბილისი, 1964, დავით ბატონიშვილი, „Оншзрение“ მუხლი 345, მითითებულია: გარიშვილი მ., დავით ბაგრატიონის (ბატონიშვილის) კერძო-სამართლებრივი შეხედულებანი, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი II, თბილისი, მერიდიანი, 2012, 253.

⁵⁶⁴ აჩუგა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი, მეცნიერება, 1990, 108.

⁵⁶⁵ იქვე, 108.

საქორწინო ანუ საუმცროსო წილის მიუცემლობის გამო უცოლო მოწილეს მისი მოთხოვნის უფლება ჰქონდა მაშინ, როდესაც საუფროსოს მოთხოვნის უფლება უფროს ძმას არ ჰქონდა. „ეს ფაქტი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ საუმცროსოს გამოყოფის წესი ექვემდებარება მოწილეთა შორის ქონებრივი თანასწორუფლებიანობის პრინციპს ისევე, როგორც ამავე პრინციპისადმი დაქვემდებარებულ უფროსს არ შეეძლო, ზედმეტის მიღების პრეტენზია ჰქონოდა“.⁵⁶⁶

სასაშუალო წილი მემკვიდრეობაში შუათანა ძმის იყო, რომელიც შედარებით გვიან გიორგი XI-ემ შემოიღო.⁵⁶⁷ ვახტანგის სამართლის 102-ე მუხლის თანახმად *„საშუალო ასრე არის: აქამდინ შუას ძმას არას მისცემდენ, თუ არ დიდად მოჭირნახულესა, მაგრამე ახლა მეფემან პატრონმან გიორგიმ განაწესა, რომე შუათანას ძმებსაც ერთს რასმე მისცემენ. თუ სამი და ოთხი შუათანა ძმები არიან, ამ გლეხების ოცისთავი იანგარიშონ, რამდენიც კომლი დადგეს, ის შუათანას ძმებს გაუყონ ერთი მეორეზე; რომელიც უფრო მოჭირნახულე იყოს, ისრე გაუყონ“*.⁵⁶⁸ საჭირნახულო ჭირნახულისათვის, გარჯილობისათვის განკუთვნილი წილია.⁵⁶⁹

საოჯახო ქონების იმ ნაწილს, რომლის გაყოფაც ვერ ხერხდებოდა, მოწილეები საზიაროდ იტოვებდნენ, ასეთები იყო: წისქვილი, ტყე, სათიბი და სახნავი მიწა და სხვა. „ოჯახის გაყოფის შემთხვევაში საზედაშე ქვევრის დაძვრა არ შეიძლებოდა. ვინც ოჯახში რჩებოდა, საზედაშე ქვევრი იმის კუთვნილება იყო. ზოგან კიდევ ხელუხლებელი რჩებოდა და ძმათა შვილებს შორის საერთო

⁵⁶⁶ ითონიშვილი ვ., ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974. 54.

⁵⁶⁷ მეტრეველი რ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, მერიდიანი, 2003, 385.

⁵⁶⁸ ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბექასი, მუხ-49, ტესტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963. 508.

⁵⁶⁹ მეტრეველი რ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, მერიდიანი, 2003, 385.

საკუთრებად ითვლებოდა. გაყოფის შემთხვევაში ოჯახიდან წასული საზედაშეს ცალკე გაიჩენდა. უზედაშეოდ არ შეიძლებოდა, რადგან ზედაშეს დოვლათი და ბარაქა ჰქონდა. წასვლის დროს ოჯახის უფროსი დაილოცებოდა: ჩემი სალოცავებიდან უვნებელი ყოფილიყავი, ჩემგნით თავისუფალი იყავი, ჩემს სალოცავებს შენთვის ზიანი არ მიეყენებინოს და შენთვის გაგეჩინოსო“.⁵⁷⁰

ვ. ითონიშვილის გადმოცემით: „ქისტებში დიდი ოჯახის გაყრისას მოწილეებად მიიჩნეოდა ყველა ასაკისა და მდგომარეობის ძმა. ოჯახის ძირითადი დოვლათი იყოფოდა იმდენ თანაბარ ნაწილად, რამდენი ძმაც იმყოფებოდა ოჯახში. ქონების გაყოფაში თანასწორუფლებიანობას იცავდნენ. ძმებს შორის ქონების განაწილებაში მათი შვილების რაოდენობა არაფერს წყვეტდა, მაგრამ ითვალისწინებდნენ უცოლო ძმის მდგომარეობას და, მეორე მხრივ, რომელიმე ძმის მრავალცოლიანობას, რადგან ორივე ეს შემთხვევა უკავშირდებოდა ურვადის გადახდის წესს, რაც დაკავშირებული იყო ხარჯების გაღებასთან“.⁵⁷¹ საქართველოში XIX საუკუნეში ურვადის ჩვეულებას მხოლოდ მოხვევები მისდევდნენ.⁵⁷² ამდენად, ურვადის გადახდა პანკისის ხეობის ქისტებში სავალდებულო იყო, ოჯახის გაყრის დროს უცოლო ძმას სრულ წილთან ერთად დამატებით ეძლეოდა საქონელი ან ფული, ურვადისა და საქორწინო ხარჯის გადასახდელად.⁵⁷³

კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც მოწილეების საერთო ქონების განაწილება ხდებოდა თანასწორუფლებიანობის პრინციპით. უფროს მოწილისთვის საუფროსოს მიცემა ერთობლივი გადაწყვეტილებით

⁵⁷⁰ თოფურია ნ., ღვინის ზედაშეები. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. XII-XIII, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963. 167.

⁵⁷¹ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 179-180.

⁵⁷² ითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთერთობის ისტორიიდან, თბილისი 1960, 202-203, მისივე, ერთი ძველი საქორწინო წეს-ჩვეულების შესახებ ხევში (ურვადი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე ტ. XXIII, №1, 1959. 121-128. (მითითებულია: იქვე, 181.)

⁵⁷³ იქვე, 182.

წყდებოდა. გამორიცხული იყო, საუფროსო მიეთვისებინა თვითნებურად უფროს მოწილეს.⁵⁷⁴ ოჯახის წევრების საერთო შეთანხმებით ხდებოდა აღიარება, რომ საუფროსოს მიცემას იმსახურებდა იგი. თუმცა მოწმდება ისეთი შემთხვევებიც, როცა უფროსის მოწილის პრიორიტეტს უგულვებელყოფდნენ და საუფროსოს გარეშე ტოვებდნენ. „ჯიბრაილისთვის საუფროსოს გამოყოფის საკითხი არც დასმულა და ისიც სხვების თანაბარ წილს დასჯერებია“.⁵⁷⁵

5.4. ნაბიჭვართა (უკანონოდ შობილთა) წილი ოჯახის გაყრისას

მშობლების მეწილედ ითვლებოდნენ კანონიერ ქორწინებაში დაბადებული შვილები, მოგვიანებით კი უკანონოდ ქორწინების გარეშე შობილნიც იღებდნენ მცირედ წილს. ისინი სამართლის ძეგლებში გვხვდება „ბუშის“, „ბიჭის“, „ნაბიჭვრის“ სახელწოდებით.⁵⁷⁶ ნაბიჭვართა (უკანონო შობილთა) ქონებრივ უფლებებს ეხება ვახტანგ VI-ის სამართლის 110-ე მუხლი, სადაც მოცემულია იმ დროს არსებული პრინციპი, რომ: „ნაბიჭურის წილი არ არის მამულში“; მაგრამ არც მთლად ხელმოცალური რჩება. თუ ძმებს ეყმობა, მხოლოდ რჩენის უფლებით შემოიფარგლება, ხოლო უკანონოდ შობილი „ბუში“ ქალი მხოლოდ „მზითევის“ უფლებით სარგებლობს.

„თუ თავის ძმებს ეყმობა, სხვათ ჳელი არა აქუთ არც ბიძასა და არც ბიძაშვილსა. ძმებმან ერთის ყმის ალაგს უნდა არჩინონ. და თუ არ უნდა ძმებთან ყოფნა, იმათთან არაფერი წილი არა აქუთ. ვისთანაც უნდოდეს, წავივიდეს, ძმებს პასუხი არა აქუთ. და თუ ძმებს ეყმოს, ძმათ სიტყუა არა

⁵⁷⁴ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 278-279.

⁵⁷⁵ იქვე, 280.

⁵⁷⁶ ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა) თბილისი, უფლება, 2000. 214.

აქუსთ, უნდა არჩინონ ყმურად. და თუ ქალი არის, უნდა გაათხოვოს ან გაამზითოს ყმის ქალსავით. და თუ ენამუსების, ნამუსიანი კაცი ამას ხომ არ იკადრებს, კარგად არ გაისტუმროს! თუ ერთი ძმა ამოვარდა და ბუშის მეტი არ დარჩა რა, ჩვენს სამართალში ძმებმან ერთის ყმის მამულის ოდენი მამული უნდა მისცენ. თუ უნდოდეს, იმათთან დადგეს, და თუ უნდოდეს, ბატონს ეყმოს. მაგრამე საქონელიც უნდა უწილადონ ბიძაშვილებმან. მამას თუ ან ბუშისათვის და ან მართალის შვილისათვის სიცოცხლეში მიუცემია რამე, ის არ ჩაეთვლებს, მისია ვისთვისაც მიუცემია“.⁵⁷⁷

დავით ბატონისშვილის სამართლის კანონპროექტის 125-ე მუხლი „ნაბიჭვრისათვის“, მცირედი ქონების ნაწილის გაღებას ითვალისწინებს.⁵⁷⁸ არაკანონიერი ქორწინების შედეგად შობილი შვილები ითვლებიან უკანონო შვილებად - „ნაბიჭვრებად“, „Поничные дети“ და მოკლებულნი არიან კანონიერი ქორწინების შედეგად შობილი ბავშვების უფლებებს“.⁵⁷⁹ ამ მუხლის თანახმად, კეთილშობილთა ნაბიჭვრები მამის ქონების მცირე ნაწილს ღებულობენ - „ცირედიცა რამესცენ ნაწილი“. ქალიშვილებიც მზითევის მცირედი ნაწილით სარგებლობენ. თუ სამკვიდროს დამტოვებელს საერთოდ არ ყავს მემკვიდრე - ძე, მაშინ ნაბიჭვარი სარგებლობს მემკვიდრეობის უფლებით“.⁵⁸⁰

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში უკანონოდ შობილი შვილების უფლებები კანონით შეზღუდული იყო, მაგრამ მათ მთლად უწილოდაც არ ტოვებდნენ, რასაც ადასტურებს ერთ-ერთი საბუთი:

⁵⁷⁷ ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბექასი, მუხ-49, ტესტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963. 511.

⁵⁷⁸ სამართალი ბატონისშვილის დავითისა, (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ.) თბილისი, მეცნიერება, 1964, 72-73.

⁵⁷⁹ იქვე, 73.

⁵⁸⁰ იქვე, 73.

427. განჩინება ზაალ ზურაბის შვილისა და ავთანდილ ნაბიჭვრის შვილის გაყრის საქმეზე

1767 წ. 8 იანვარი

ცსსა. პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს პირადი ფონდი №1461. რვეული №13. საბ. №41. პირი
ქაღალდი. მხედრული.

ქ. ზ უ რ ა ბ ი ს შვილი ზ ა[ა] ლ და ნაბიჭვრის შვილი ა ვ თ ა ნ დ ი ლ,
ამისი შვილი ფ ა რ ს ა დ ა ნ ერთმანეთს ბატონყმობაზე უჩიოდენ და ველარ
მოთავსდენ ერთათ.

ჩვენ, კახეთის მოსამართლეებმა მეფის ბრძანებით და ოქმით ასე
განვაშორეთ, თუ რომ ამ ავთანდილს ნასყიდობა რამ ქონდა: სასაფლაო,
სახლკარი გაწყობილი, ვენახი, ქვევრი, მარანი, ნაფუძრები, სახნავები, თუ
რომ მამულის მქონე და მონასყიდი იყო ეს ავთანდილ და ამისი შვილი
ფარსადან, ის მამული სულ უკლებრივ ზა[ა]ლ ზურაბიშვილისთვის
დაგვიწვებია. და ეს ავთანდილ და ფარსადან სამართლისა და რიგიანის
საქმით გაგვითავისუფლებია.

ამ მამულის გარდა ზა[ა]ლს ამასთან საბატონყმით ხელი აღარა აქვს.
ამათი ნასყიდობა სასაფლაოა, მამულთ-დედული ყველა, სახლკარით
გაწყობილი, ვენახით, ქვევრ-მარნით, სახნავით ოცდათექვსმეტის დღის
მიწა სიით ზაალისათვის მიგვიცია.

და თუ რამ სისხლიანი საქონელი ყვანდათ ან სულადი და ან ნახნავი, ის
კი ავთანდილს და ფარსადანს დავანებეთ. ოთხი-ხუთის დღის მიწა იქნება
ნათესი, რომ წელს იმან უნდა შეინახოს ეს ავთანდილ და ფარსადან.

მეფეს გარდა სხვას ვერავის ეყმობიან.

ეს განაჩენი იმ მამულის თაობაზე ზაალისათვის მიგვიცია და მეორე
ფარსადანისათვის.

იანვარს 8, ქორონიკონს უნე. ქ. ერისთავი რუსუდან. რამაზ.⁵⁸¹

⁵⁸¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს),
(ტექსტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ) თბილისი,
მეცნიერება, 1972, 541.

5.5. ქვრივი ქალის წილი ოჯახის გაყრისას

ნაშრომის მეოთხე თავში განვიხილეთ დიდ ოჯახში ქალის პირადი საკუთრება და დავადგინეთ, რომ ოჯახის გაყრისას ქალიშვილს და რძალს თავიანთ წილად მხოლოდ „მზითევი“ და „სათავნო“ ერგებოდათ ვაჟიშვილებისგან განსხვავებით. „საქართველოს ჩვეულებითი სჯულით ქალს გაყრისას მზითევს, წინდას და პირისსანახავსაც აძლევდნენ“.⁵⁸² „გაყრისას დედას ანუ დედისნაცვალს ზითვისა, ნიშნისა პირის სანახავისა ანუ ქმრისაგან ნაჩუქებისა რაც რომ ექნებოდა, ისინი მათვე მიეცემოდათ“.⁵⁸³ გ. ნადარეიშვილის აზრით, „პირისსანახავი ის ფასეულობანია, რომელსაც დებულობს პატარმალნი საქმროსაგან და მისი ნათესავებისაგან“.⁵⁸⁴

ქვრივი ქალის წილს ოჯახის გაყრისას ითვალისწინებდა ქართული სამართლის ძეგლები, სადაც მეუღლეთა ურთიერთმემკვიდრეობის საკითხში არსებითი მნიშვნელობა ექცეოდა შვილიანი და უშვილო ქვრივი ქალის მემკვიდრეობას.⁵⁸⁵ აღბუღას სამართლის 81-ე მუხლის თანახმად, უშვილო ცოლ-ქმარს ქმრის გარდაცვალებისას რჩება თავისი „მზითევი“, „ზითევი თანა გაჰყვეს დაუკლებლად“.⁵⁸⁶ ხოლო ცოლის გარდაცვალების შემთხვევაში ქმარი ვერ მიიღებს ცოლის მზითევს, იგი ქალის მშობლების ოჯახს უბრუნდება - „ზითევი მისა სამშობლოსა მართებს დაუკლებლად“.⁵⁸⁷

⁵⁸² ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა) თბილისი, უფლება, 2000. 240.

⁵⁸³ დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, 1960. 68.

⁵⁸⁴ ნადარეიშვილი გ., ნარკვევები სამართლის ისტორიიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1986, 26-33. (მითითებულია: ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა) თბილისი, უფლება, 2000. 240.)

⁵⁸⁵ ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა) თბილისი, უფლება, 2000. 246.

⁵⁸⁶ იქვე, 246.

⁵⁸⁷ იქვე, 246. (ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბექასი, მუხ-49, ტესტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი

ეთნოგრაფიული მასალებით თუშეთში ქვრივ ქალს თუ ვაჟიშვილი არ ჰყავდა, გაყრისას უწილოდ უშვებდნენ.⁵⁸⁸ საქართველოს სხვა კუთხეებშიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ვაჟის ყოლას. „მამაკაცის გარდაცვალების შემთხვევაში თუ მას ვაჟი არ ჰყავდა, ქონება ნათესავ მამაკაცებს რჩებოდათ“.⁵⁸⁹

რ. ხარაძის გადმოცემით, სვანეთში ქვრივი ქალი, რომელსაც შვილი არ ჰყავდა, ოჯახის გაყოფის შემდეგ რომელიმე ქმრის ძმასთან აგრძელებდა ცხოვრებას. მას აძლევდნენ რამდენიმე ნაღჯომ ყანას სარჩენად. თუ ქვრივი ოჯახიდან წავიდოდა, მხოლოდ მშობლებისგან მოყოლილს გაატანდნენ. ადრე რძლის გაშვება ოჯახიდან ეძნელებოდათ და ასეთ შემთხვევაში ქვრივ ქალს უცოლო მაზლზე ათხოვებდნენ.⁵⁹⁰ „თუ ქვრივ ქალს ჰყავდა ვაჟიშვილი, ოჯახის გაყოფის შემდეგ ვაჟიშვილთან რჩებოდა, ხოლო ეს უკანასკნელი იღებდა სრულ სამმო ქონებას“.⁵⁹¹

ვ. ითონიშვილის დაკვირვებით, ჩაჩნეთ-ინგუშეთში ქვრივი ქალი ქმრიანი ქალების მსგავსად სარგებლობდა მზითევით, მაგრამ ოჯახის გაყრის დროს თუ ვაჟიშვილი არ ჰყავდა, წილს არ აძლევდნენ. მაზლების მსგავსი ქონება ერგებოდა მხოლოდ ვაჟის ყოლის შემთხვევაში. თუ მხოლოდ ქალიშვილი ჰყავდა, მაზლები მარტო საარსებო სარჩოს მისცემდნენ და ძმისწულზე მზრუნველობას თავად კისრულობდნენ როგორც ერთაც ცხოვრების დროს, ისე ოჯახის გაყრის შემდეგ. ქვრივს მაზლები დროებით სარგებლობაში გამოუყოფდნენ მამულს, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ამ ნაკვეთს

დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963. 456-457).

⁵⁸⁸ მერაბიშვილი ჯ. ივანე ცისკარიშვილის ცნობები თუშთა ჩვეულებით სამართალზე, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. I, თბილისი, მეცნიერება, 1988. 44.

⁵⁸⁹ ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, 105.

⁵⁹⁰ ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, 1939. 58.

⁵⁹¹ იქვე, 58.

ისევ მოწილეები ეუფლებოდნენ.⁵⁹² უფრო მოგვიანებით კავკასიის მკვიდრ ხალხებში ქვრივისათვის ქმრის ქონების 1/4-ისა და ყალიძის მიკუთვნების წესი დამკვიდრდა, რამდენადაც ადათის მიხედვით გათვალისწინებული იყო მხოლოდ მისი რჩენა.⁵⁹³

ბატონისშვილის ვახტანგის სამართლის წიგნის 231-ე მუხლით, ქვრივს ჰქონდა ქმრის კუთვნილი საქონლის და სულადის ერთი მესამედის მემკვიდრეობის უფლება, ხოლო მამულიდან წილს არ აძლევდნენ. *„და თუ რამ თავის ქმრის კერძო საქონელი და სულადი არის, მისი მესამედი სამკუიდროდ გაყუეს იმ დედაკაცსა მამულს გარდა“.*⁵⁹⁴

231-ე მუხლით, თუ ქვრივ ქალს ერთადერთი შვილი მოუკვდებოდა არ გათხოვდებოდა და ქმრის ოჯახში განაგრძობდა ცხოვრებას, ოჯახის წევრებს მისი პატივისცემა არ უნდა დაეკარგათ. *„ქ. ვის შვილი დარჩეს, მას უკან მოკუდეს, დედაკაცი დარჩეს უშვილოდ, თუ სახლში დადგების, რადგან ქმარი და შვილი იქ მოკდომია, ისრევ თავის პატივით იყოს“.*⁵⁹⁵ ქალი თუ დაქვრივების შემდეგ მშობლების ოჯახს დაუბრუნდებოდა ან მონაზვნად წავიდოდა, ქონებიდან წილი არ მიეცემოდა. *„თუ გამოვა, ან სამშობლოს მივა, ან მოლოზნათ შედგება, სახლიდამ საკაცოს საქონელს ვერ წაიღებს“.*⁵⁹⁶

ამდენად, ქართული სამართლის ძეგლებით და ეთნოგრაფიული მასალებით დავადგინეთ, რომ საქართველოსა და კავკასიის ზოგიერთ ხალხებში ქვრივი ქალის ქონებრივი უფლებები სხვადასხვა გარემოებებს ითვალისწინებდა. აღბუღას სამართლით, უშვილო

⁵⁹² ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 125.

⁵⁹³ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 126.

⁵⁹⁴ ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბექასი, მუხ-49, ტესტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963. 540-541.

⁵⁹⁵ იქვე 541.

⁵⁹⁶ იქვე 541.

ქვრივს სახლიდან მიაქვს თავისი მზითევი. ბატონისშვილის ვახტანგის სამართლით, ქვრივს, რომელსაც შვილიც გარდაეცვალა, ოჯახში პატივისცემით ექცევიან. თუ სახლიდან წავა, იღებს ქმრის კერძო საქონელს და სულადის მესამედს. ქვრივ ქალს მზითევის გარდა ზოგჯერ მცირედი სარჩოც მიაქვს ოჯახიდან.

5.6. მშობლების წილი ოჯახის გაყრისას

ტრადიციულად, დიდი ოჯახის გაყრა მშობლების გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა,⁵⁹⁷ „უწინ მამის სიცოცხლეში შეუძლებელი იყო ძმების გაყრა. მამის სიკვდილის შემდეგაც მკვიდრი ძმები ასში ერთხელ თუ გაიყრებოდნენ“.⁵⁹⁸ სვანეთში, სანამ ოჯახის მამა ცოცხალი იყო, ოჯახი არ იყრებოდა, შემდგომ ძმები თანაბრად იყოფდნენ მამის დანატოვარს. „ამ პერიოდში უნდა წარმოშობილიყო სვანური ჩვეულებითი სამართლისათვის საუკუნეების განმავლობაში თანამდევი და უკანასკნელ დრომდე შემორჩენილი საოჯახო ქონების განაწილების პრინციპი, როდესაც ერთი პრეტენდენტი ჰყოფდა სამკვიდროს, ხოლო მეორე თავისუფლად ირჩევდა“.⁵⁹⁹ შ. ინალ-იფას მიერ დამოწმებული ფაქტობრივი მონაცემებით, „98 წლის პლ. მანის (სოფ. ოხურეთი) მონათხრობით, როცა ის 25 წლისა იყო, სოფ. გალში ერთ დიდ ოჯახათ ცხოვრობდნენ, სადაც თავს იყრიდა 25 სული. მშობლები, ოთხი და ხუთი ძმა, რომელთაგან ორი უკვე დაქორწინებული იყო და ჰყავდათ რამდენიმე ბავშვი“ ჩვენ გვემინოდა, - გვიამბობს მთხრობელი - გვეთქვა რაიმე გაყრის შესახებ. მამას უნდოდა ჩვენ მუდამ ერთად გვეცხოვრა მისი სიცოცხლის

⁵⁹⁷ ითონიშვილი ვ., ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974, 54.

⁵⁹⁸ ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ.I, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი. 1962, 108.

⁵⁹⁹ ონიანი ს., დიდი ოჯახის ინსტიტუტი სვანურ ჩვეულებით სამართალში, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ტ.II, თბილისი, თინათინ წერეთელის. სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2012, 422.

მანძილზე. „რატომ გავიყაროთ, წყალი არ შეგვდგომიაო“, მკაცრად ეწინააღმდეგებოდა ის ვაჟებს. საერთოდ ხალხში ბევრი ფიქრობდა, რომ ოჯახების დაშლა გაუმართლებელი იყო და რომ მას უბედურება მოჰქონდა“.⁶⁰⁰ ეს პრინციპი სხვადასხვა კუთხეში დამყარებული იყო ოჯახის წევრთა სურვილზე და ტრადიციაზე, რასაც თვითონ წყვეტდნენ ურთიერთშეთანხმებით. გაყრისას უფროსი მამა ითვალისწინებდა თითოეული მოწილე სუბიექტის სტატუსს, საქართველოში დამკვიდრებული ცალკეული კუთხის ჩვეულებას და კანონს. „ოჯახის გაყოფა, ლიყლურე“ როგორც ამას სვანები უწოდებენ, ხდება „ქორა მახვშის“ თანხმობით და სურვილით, უამისოდ ოჯახი ვერ გაიყოფა. უფრო ხშირად უფროსის სიკვდილის შემდეგ ხდება“.⁶⁰¹ იყო შემთხვევები, როცა მამის გარდაცვალების შემდეგაც არ იყრებოდნენ ძმები და ისევ განაგრძობდნენ ერთად ცხოვრებას მეთაურის გარეშე. გაყრა ხდებოდა როგორც მამის სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ. მამის წილს გარდაცვალებამდე ძირითადად სამარხი ან საუხუცესო ერქვა, ზოგ კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებითაც ვხვდებით. მშობელი როცა წილს იღებდა, რომელიმე შვილთან თავისი წილით აგრძელებდა ცხოვრებას და ამ შვილს უნდა ერჩინა და დაემარხა იგი, სხვა შვილები ამ პროცესში არ მონაწილეობდნენ.

მშობლების სიცოცხლეში გაყრისას მოწილედ დედ-მამაც ითვლებოდა. მათ წილს გურიაში სარჩო ეწოდებოდა, მთიულეთ-გუდამაყარში მამისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთს ერქვა სანახი ანუ შესანახი, ხოლო ცხვარ-ძროხას და სურსათს - სამარხი ანუ

⁶⁰⁰ Инал-Ипа Ш.Д., Очерки по истории брака и семьи у абхазов, сухуми, 1964. 466. (მითითებულია: ბახია ს., საოჯახო ქონების გაყოფის წესი აფხაზეთში ძველად, საისტორიო კრებული II, თბილისი, სსრ მეცნიერებათა აკადემია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 1970, 436-437.

⁶⁰¹ ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, 1939, 57-58.

დასამარხი.⁶⁰² აჭარაში ოჯახის გაყრისას მშობლებს ეკუთვნოდათ თითო ძროხა ან რამდენიმე თხა-ცხვარი, ამ წილს ასამწევროს ეძახდნენ, ზოგ სოფელში - სამკვიდრინოს. მშობლები ამ ქონებით უმცროს შვილთან რჩებოდნენ და მათი გარდაცვალების შემდეგ შვილები მას გაყიდდნენ და იმ ფულით მშობლებს დაკრძალავდნენ. ასევე დასტურდება მოსამლელოს გამოყოფაც, მასში შედიოდა როგორც პირუტყვი, ისე სახნავ-სათიბი მიწები. ამ წილს მშობლები ერთ-ერთი შვილის ქონებას მიუერთებდნენ და მათი გარდაცვალების შემდეგ პირუტყვის ფული ხმარდებოდა დაკრძალვას, ხოლო მიწის ნაკვეთს განაყარი ძმები გაიყოფდნენ ან საზიაროდ დაიტოვებდნენ.⁶⁰³ აჭარაში მშობლების გარდაცვალების შემდეგ გაყრისას ძირითად ოჯახში უფროსი ძმა რჩებოდა.⁶⁰⁴

გურიაში, როდესაც გაყრა ახალგაზრდა შრომისუნარიანი მშობლების სიცოცხლეში ხდებოდა, ისინი ნაკლებ წილს მოითხოვდნენ ან სულაც უარს იტყოდნენ მასზე შვილების სასარგებლოდ, რადგან ფიქრობდნენ, რომ თავიანთი შრომით კვლავ შეეძლოთ წვლილის შეტანა იმ შვილის ოჯახში, რომელთან ცხოვრებას აირჩევდნენ. ასეთ შემთხვევაში შვილები აძლევდნენ მშობლებს ყოველწლიურად სარჩოს, მაგალითად სიმინდს ყოველწლიურად სხვადასხვა რაოდენობის.⁶⁰⁵ მშობლები ძირითადად საცხოვრებლად უმცროს შვილთან რჩებოდნენ „მამისეულ“ სახლში, უფროსები კი ცალკე გადიოდნენ.⁶⁰⁶ მამა უფრო ხშირად წილის მესამედს იღებდა. სარჩო იყო სხვადასხვა: მიწის ნაკვეთი, ნაგებობა,

⁶⁰² ითონიშვილი ვ., ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974, 55.

⁶⁰³ აჩუგა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა) თბილისი, მეცნიერება, 1990, 106-107.

⁶⁰⁴ აჩუგა თ., ხალხური საოჯახო სამართლის ნორმები აჭარაში (ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა), სდსყვ, X, თბილისი, 1983, 55.

⁶⁰⁵ ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, 93.

⁶⁰⁶ იქვე, 94.

იშვიათად სახლი, საქონელი.⁶⁰⁷ მშობლების გარდაცვალების შემდეგ დაკრძალვის ხარჯები იმ შვილს ეკისრებოდა, რომელთანაც მამა თავისი წილით ცხოვრობდა. სხვა შემთხვევაში ძმები თანაბრად იყვნენ ვალდებული, ერთად მიეღოთ მონაწილეობა ამ პროცესში.⁶⁰⁸ მოვიხმოთ ამონაწერს „ფარდის ფურცლიდან“; „1904 წლის თებერვლის 17-ს დღესა, მე ქვემოთ ამაზედ ხელის მომწერმა, მცხოვრები სურების საზოგადოებაშიდ, ოზურგეთის მაზრისა აღმასხან გიორგის ძე რამიშვილები ჩემის სურვილით და ნებაყოფლობით და არა სხვის ძალდატანებით თანდასწრებით ჩემის შვილების გრიგოლ, რაფიელ, და არჩილ აღმასხანის ძე რამიშვილებისა, იმათივე თანხმობით დღევანდელს რიცხვს გავყავი ჩემს შვილებს შორის ყოველივე უძრავ მოძრავი ქონება“...⁶⁰⁹ „ფარდის ფურცლებს“ იმდენ ცალად წერდნენ, რამდენი მოწილეც იყო, ერთი პირი რომელიმე მედიატორს უნდა დარჩენოდა. ამ საბუთებს ოჯახში გულმოდგინედ და დიდხანს ინახავდნენ“.⁶¹⁰

თუ მშობლების სურვილი იყო, თავად გაყრიდა შვილებს საკუთარი ხელით „კორციელად მშობელთა მონაგები შვილთა განუყვიან ხოლმე“,⁶¹¹ მაგრამ წილს არ მიიღებდა. ქართლის მთიელთა „წესის მიხედვით მას შეეძლო საოჯახო ქონებიდან გამოეტანა მხოლოდ ერთი დღიური სახნავი მიწა და ოჯახის შესაძლებლობის მიხედვით - ცხვარ-ძროხა, პურეული და პროდუქტები.

დიდი ოჯახის საფუძველს საერთო საოჯახო ქონება შეადგენდა. თუმცა გამონაკლისის სახით არსებობდა პირადი საკუთრებაც, რომელიც მხოლოდ ერთ წევრს ეკუთვნოდა და თავისი ნება-

⁶⁰⁷ იქვე, 93.

⁶⁰⁸ ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, 94.

⁶⁰⁹ ფარდის ფურცელი, ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შემოსულობათა წიგნი №1566, 3. მითითებულია: ცეცხლაძე გ., ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების წესები გურიაში (ეთნოგრაფიული მონაცემის მიხედვით) მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXII, თბილისი, მეცნიერება, 1987, 102.

⁶¹⁰ იქვე, 103.

⁶¹¹ ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, თბილისი, თორმეტ ტომად, ტ. VI, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1982, 463.

სურვილით შეეძლო მისი განკარგვა. მას მოუდევარ ქონებას ეძახდნენ. რ. ხარაძის განმარტებით, „...ქონებაზე საკუთრების უფლება განუყრელად ეკუთვნის მთელ ოჯახს. ოჯახის ცალკეულ წევრებს არ ჰქონდათ დამოუკიდებელი უფლებები საოჯახო ქონების ამა თუ იმ წილზე. მხოლოდ მას შემდეგ, როცა საოჯახო თემის ქონება გაიყოფოდა მოწილეთა შორის და შეიქმნებოდა ახალი საოჯახო მეურნეობა, აი მაშინ გაირკვეოდა დიდი ოჯახის ცალკეულ წევრთა უფლება-მოვალეობანი, ამასთან არც ერთ წევრს არ შეეძლო მოეთხოვა მისთვის კუთვნილი ქონება გაყრამდე. არ შეეძლო, აგრეთვე, მას დაეთმო თავისი უფლება სხვებისათვის. ანდერძზე უფლება, რომელიც მონაცვლეობის უფლებას ემყარება-საოჯახო თემში არ არსებობდა“.⁶¹²

ოჯახის გაყრის შემდეგ ნათესავები ურთიერთობას არ წყვეტდნენ ერთმანეთთან, მათ შორის ისევ გრძელდებოდა სულიერი და ეკონომიკური კავშირი. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 106-ე მუხლის თანხმად: „სასაფლაო, ხატი, ჯვარი, საყდრის მამული ერთია. თუ არ გაჰყოფენ, ისი სჯობს, საყდრის ყმასა“.⁶¹³

ვ. ითონიშვილის თანახმად, მშობლების გარდაცვალებამდე ქისტების დიდ ოჯახშიც იყრებოდნენ ძმები, ამიტომ შვილები ითვალისწინებდნენ მათ წილს. მამა ისეთივე მოწილე იყო, როგორც მისი ყველა ვაჟი. თავისი კუთვნილი წილით მშობლებს შეეძლოთ ან ცალკე გასვლა, ან რომელიმე შვილთან დარჩენა. უფრო ხშირად უმცროს ვაჟთან გადაწყვეტდნენ ცხოვრების გაგრძელებას.⁶¹⁴ თუ მშობლები თავისი კუთვნილი წილით და სამარხით, რომელიმე შვილთან მივიდოდნენ, ამ შვილს ევალებოდა როგორც მათი მოვლა-პატრონობა, ისე თავისი ხარჯით დამარხვა. ისეთ შემთხვევაში, თუ მამა წილს არ მოითხოვდა და მხოლოდ სამარხით ერთ-ერთ შვილთან

⁶¹² Харадзе Р., 1961 г, Грузинская семейная община, тбилиси., Т. 2.с. 45.

⁶¹³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქ. მეცნიერებათა აკადემია, 1963, 510.

⁶¹⁴ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 185.

წავიდოდა, ყველა შვილს ევალეზობდა მამის შენახვაში მონაწილეობის მიღება, ხოლო სამარხს გაიღებდა ის შვილი, რომელთანაც მშობლები ცხოვრობდნენ. უმთავრესად, ძმის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მშობლების დამარხვის ხარჯს ყველა შვილი თანაბრად ინაწილებდა.⁶¹⁵

5.7. საოჯახო ქონების განაწილების წესი უცხო პირთა მონაწილეობით

საქართველოს ყოველ კუთხეში, მთასა თუ ბარში, დიდი ოჯახის გაყრის ორი წესი იყო - უცხო პირთა მონაწილეობით და მის გარეშე, რაც რეგულირდებოდა ჩვეულებითი სამართლის წესებით. თუ ქონების განაწილებისას უთანხმოება ჩამოვარდებოდა მამასა და შვილებს ან ძმებს შორის, აუცილებლობას წარმოადგენდა მედიატორის ჩართულობა.⁶¹⁶ მ. ხოფერიას გადმოცემით, „გაყრის დროს წილის გამო უკმაყოფილება თავდაპირველად თუ იშვიათობა იყო, მოგვიანებით, ქონების განაწილებისას, მოწილეებს შორის-მამასა და შვილებს ან ძმებს შორის-უთანხმოებამ იმატა; პრობლემური საკითხის მოსაგვარებლად მოყავდათ გარეშე პირი, რომელიც „გამრიგედ“, „შუაკაცად“, „ნემსგამეზალად“ (სვანეთში) იწოდებოდა; თუმცა, რომაული წარმომავლობის სამართის ზეგავლენით, ქართულში ტერმინად ლათინური სიტყვა - („მედიატორე“) დამკვიდრდა“.⁶¹⁷

მ. კეკელიას მოჰყავს მთხრობელის განმარტება: „ბარს ზემო სვანეთში ტერმინები: მორევი და მედიატორი გაიგივებულია.

⁶¹⁵ ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1969, 186.

⁶¹⁶ მედიატორე/მედიატორი ლათინური სიტყვაა და მომრიგებელს, შუამავალს, შუაკაცს ნიშნავს. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა ჭაბაშვილი მ., ტყიბული, განათლება, 1973, 479.

⁶¹⁷ ხოფერია მ., მედიატორეს როლი ოჯახის გაყრაში ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სამართის ჟურნალი, №1, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2011, 46.

მთხრობლები მას ასე განმარტავენ: „სვანურად სიტყვა მორევს ვხმარობთ, ხოლო თუ ქართულად ვლაპარაკობთ, მაშინ მედიატორეს, მედიატორე-მორევს. (79 წლის ილია ბექის ძე პირველი, გვენემას უბანი, იფარის საზოგადოება, 14/VII-1969წ.)“.⁶¹⁸ იმავე ავტორის თანახმად „სიტყვა მედიატორს“ (იგი ლათინური წარმოშობისაა) XIX საუკუნის დამდეგამდე ქართული სინამდვილე არ იცნობს. ამ სიტყვას მხოლოდ 1802 წლიდან ვხვდებით: საბუთი წარმოადგენს „ყოველთა ჩვენთა არჩეულთა მედიატორეთა“ მოხსენებით ბარათს“.⁶¹⁹

ფშავში გაყრის საკითხი წყდებოდა როგორც ოჯახურ ფარგლებში, ასევე სოფლის „თავკაცებისა“ და „საბჭოს კაცების“ მონაწილეობით.⁶²⁰ ქიზიყში თუ გაყრა სადავო არ იყო, მედიატორის და მამასახლისის დასწრება ყოველთვის ხდებოდა, რათა აღეწერათ და შეეფასებინათ მთელი ქონება, გაეფორმებინათ გაყრა და ერთობლივად ხელი მოეწერათ გაყრის საბუთზე.⁶²¹ გაყრისას სოფლის საზოგადოების (ე.ი. ყრილობის, რომელიც წყვეტდა ადგილობრივი მნიშვნელობის მმართველობის საკითხებს) თანხმობა არ იყო საჭირო და მიწის გადანაწილებისას ითვალისწინებდნენ გაყრილი ოჯახების რაოდენობას.⁶²² მედიატორები ამავე დროს მოწმეებიც იყვნენ იმ ფაქტის, თუ როგორ მოხდა უძრავი და მოძრავი ქონების გაყოფა და თუ დავა წამოიჭრებოდა ძმებს შორის, მათ შეეძლოთ დაედასტურებინათ აღნიშნული.⁶²³ ქიზიყში გაყრისას მედიატორებს და მამასახლისს გასამჯელოდ აძლევდნენ დღეში თითოეულზე ერთ

⁶¹⁸ ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, 1962, 94. მითითებულია: კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, (იმერეთის სამეფო, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთს სამთავროები) წ. II, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1981, 107.

⁶¹⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-2003, ციტირებულია: კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, (ქართლ-კახეთის სამეფო) წ. I, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 244.

⁶²⁰ ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. IV. თბილისი. მეცნიერება, 1993, 160.

⁶²¹ ბოსტოდანაშვილი დ., ოჯახის გაყრის წესები აღმოსავლეთ საქარ, ჟურნ. სამართალი, №1-2, 1998, 77

⁶²² იქვე, 77.

⁶²³ დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 2004, 118.

მანეთს, ან საჩუქარს - პროხას, ხარს ან ცხვარს ოჯახის შეძლებისამებრ.⁶²⁴ იმერეთში მედიატორისთვის შესაძლებელია მიეცათ შრომისთვის საჩუქრის სახით ფული 10 მანეთი, მაგრამ თავად მედიატორები არაფერს ითხოვდნენ.⁶²⁵ ძირითადად ისინი უფასოდ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ეს მედიატორის გარჯაზე და ოჯახის შეძლებაზეც იყო დამოკიდებული, ზოგჯერ ეს პროცედურა რამდენიმე დღეც შეიძლებოდა გაგრძელებულიყო.

XX საუკუნის 70-იან წლების მასალებით დასტურდება, რომ თუ მხარეები თავად აგვარებდნენ დავას, მედიატორებს მაინც ირჩევდნენ და ასწრებდნენ გაყრის პროცედურას, რათა მათ საბოლოოდ საბუთი გაეფორმებინათ. თუ ისინი ვერ შეთანხმდებოდნენ, მაშინ მედიატორების დახმარებით მოხდებოდა ქონების გაყოფა.⁶²⁶ მედიატორები დაკითხავდნენ მხარეებს და მოწმეებს, სადავო ადგილებს დაათვალიერებდნენ, სწავლობდნენ მასალებს და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე მიიღებდნენ გადაწყვეტილებას.⁶²⁷ მედიატორები ხელწერილსაც ჩამოართმევდნენ მხარეებს, რომ მათ გადაწყვეტილებას პირნათლად შეასრულებდნენ; თუ დაარღვევდნენ პირობას, დავის შემთხვევაში წერილობით მტკიცებულებად გამოდგებოდა იგი.⁶²⁸

ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, თითოეული მხარე ირჩევდა თითო მედიატორს, მესამეს კი - ურთიერთშეთანხმებით, რომელსაც ზედამხედველი მედიატორი ერქვა. გაყრისას იმდენი მედიატორი, იყო რამდენი ძმაც იყრებოდა და ერთი საერთო

⁶²⁴ ბოსტოღანაშვილი დ., ოჯახის გაყრის წესები აღმოსავლეთ საქარ, ჟურნ. სამართალი, №1-2, 1998, 77.

⁶²⁵ კეკელია მ., მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე (გურჯაანი, დუშეთი, საჩხერე), 1976-1977, გვ.119.

⁶²⁶ დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომც. 2004 წ. გვ. 119.

⁶²⁷ იქვე, 112.

⁶²⁸ იქვე, 118.

მედიატორი.⁶²⁹ გაყრის პროცედურა რომ წერილობით უნდა გაფორმებულიყო, ადასტურებს ქართული სამართლის ძეგლებში შესული სომხური სამართლის 113-ე მუხლი: „*ქ. თუ ვინც ძმანი გაიყარნენ და გაიყონ მამული და საქონელი, და კაცთა წინა გაიყარნონ და არ დასწერონ გასამყრელოს წიგნი მართალი, უწიგნოთ გაყოფა რისაც და გაყრა არ არის ჭეშმარიტი*“.⁶³⁰

ერთ-ერთი იმერელი ინფორმატორი იხსენებს თავის ოჯახში გაყოფის ფაქტს: „16 წლის ვიქნებოდი, როცა მამაჩემი და ბიძაჩემი გაიყვნენ (გაიყარნენ) მედიატორობის წესით. მამაჩემმა თავის მხრივ მედიატორად დაასახელა თავისი ბიძაშვილი - სოლომონ მაჭარაშვილი, ბიძაჩემმა კი თავისი დედის ძმა - ასლან სამხარაძე. გარდა აღნიშნულისა, მამაჩემმა და ბიძაჩემმა ერთად აირჩიეს შუა მედიატორე მურმან ტალახაძე. იგი სულ გარეშე კაცი იყო. ამ სამმა კაცმა მოახდინა მთელი უძრავ-მოძრავი ქონების გაყოფა“.⁶³¹ ინფორმატორთა განმარტებით, მედიატორები აქცევდნენ ყურადღებას, თუ რომელ ძმას რა წვლილი ჰქონდა შეტანილი საერთო ქონების შექმნაში და ესა თუ ის ნივთი ვისთვის უფრო გამოსადეგარი იქნებოდა.⁶³²

„როდესაც ძმანი, ბიძანი და ბიძაშვილნი თავიანთის კეთილნებობით არ გაიყრებოდნენ და მოხდებოდა ჩივილი, მაშინ ტფილისის მოხელე ეცდებოდა, რომ მათ თავიანთ გასაყრელათ დაენიშნათ რამდენიმე მოქალაქე. თუ ისინი ამას არ მოინდომებდნენ, დაუნიშნავდა თითონ რამდენსამე პატივცემულს მოქალაქეთაგანსა და მიანდობდა მათს გაყრას და, უკეთუ საჭიროდ დაინახავდა, თითონაც

⁶²⁹ იქვე, 112-113.

⁶³⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქ. მეცნიერებათა აკადემია, 1963, 257.

⁶³¹ კეკელია მ., მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, (გურჯაანი, დუშეთი, საჩხერე), 1976-1977, 14-15 (მითითებულია დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 2004, 117.)

⁶³² იქვე, 119.

დაესწრებოდა, თუ არა, - ისინი გაჰყრიდნენ ესრედ“.⁶³³ მედიატორედ ოჯახი თვითონ ირჩევდა ჭკვიან და გამოცდილ კაცს, მოძმეს, ხევისკაცს ან ოჯახის ახლობელს, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა წერა-კითხვა და მიწის აზომვა. მათ ევალეობოდათ ოჯახის მოძრავი და უძრავი ქონების აღწერა და გაეცათ ოჯახის გაყრის საბუთი იმდენ ცალად, რამდენი მოწილედ იყო. ერთ პირს მედიატორე იტოვებდა. ამ საბუთს ერქვა „ფარდის ფურცელი“, „ფარდის ქაღალდი“, „გაფარდების ხელწერილი“, „სია ქონების გაყოფის შესახებ“. „განჩინება ქონების გაყოფის შესახებ“, „საბუთი“, „ხელწერილი ქონების განაწილების შესახებ“ და სხვა.⁶³⁴ იგივე პრინციპი იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

ხევში „გაყრის მსურველი ოჯახი ქონების განაწილებას ავალეობდა სოფლიდან ამორჩეულ ნდობით აღჭურვილ მოხუცებს. ასეთ საქმეში უმთავრესად მონაწილეობდნენ ოჯახის ახლობლები, რომლებმაც უკეთესად იცოდნენ ოჯახის ცხოვრების პირობები. შუაკაცებად ამორჩეული მოხუცების უპირველეს ამოცანას შეადგენდა წილის ყრით ქონების ობიექტურად განაწილება. არსებული წესის გამო მიკერძოება გამორიცხული იყო, ვინაიდან უძრავ-მოძრავ ქონებას ისინი ყოფდნენ იმდენ თანაბარ ნაწილად, რამდენ ნაწილადაც ოჯახი უნდა გაყრილიყო. მხოლოდ ამის შემდეგ ისინი ქუდში ჩაყრიდნენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ საგნებს ან სხვადასხვაგვარად დაჭდეულ ჩხირებს, აურევდნენ და სათითაოდ ამოაღებინებდნენ გაყრის პრეტენდენტებს. ამ წესით ქუდიდან ამოღებულ ნივთს ერქვა წილი, რომლის მიხედვით მიღებულ ქონებას (წილს) უნდა დასჯერებოდა ყველა ის პირი, რომელსაც მოწილე ერქვა და ამ უფლებით სარგებლობდა“.⁶³⁵ „იმისათვის, რომ ყველა მოწილეს ქონება თანასწორად შეხვედროდა, შუაკაცები განსაკუთრებულ ყურადღებას

⁶³³ დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, მუხლი 41, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960, 64.

⁶³⁴ ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, 88-89.

⁶³⁵ ითონიშვილი ვ., მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 111.

აქცევდნენ უძრავ-მოძრავი ქონების თანაშეფარდებას. ერთ მოწილეს რომ სახლის უკეთესი ნაწილი შეხვედროდა, სამაგიეროდ სახლის შედარებით მდარე ნაწილის პატრონს არგუნებდნენ უკეთეს სახნავ ნაკვეთს ან ზედმეტ საქონელს. ასეთ შემთხვევაში სახლის უკეთესი ნაწილის პატრონი უნდა დასჯერებოდა მიწის ნაკლებ ნაკვეთს ან ზედმეტი საქონლის ნაკლებ რიცხვს. მთელი დოვლათის ამ წესით განაწილებასთან ერთად შუაკაცები ვალდებული იყვნენ ასეთივე თანაშეფარდება დაეცვათ თვით ქონების ცალკეული სახეობის გაყოფის დროსაც. ისინი ვალდებული იყვნენ შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველი მოწილესათვის ერგუნათ მამულის საუკეთესო ნაკვეთები, მაგრამ როდესაც ეს ვეღარ ხერხდებოდა, ასეთ შემთხვევაში ერთ წილად ჩაადგებდნენ მამულის მცირე, მაგრამ საუკეთესო ნაჭერს, ხოლო მეორე წილად მასზე დიდსა და შედარებით მოუსავლიან ნაკვეთს. ხარისხიანი და უხარისხო ნაკვეთების განაწილება ისე უნდა მომხდარიყო, რომ ყველა მოწილეს შეხვედროდა ერთიც და მეორეც. ერთ მოწილეს რომ კარგი ხარისხის მცირე ნაკვეთი შეხვედროდა, ხოლო მეორეს უხარისხო და დიდი ზომის ნაკვეთი, ეს უსათუოდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა და შუაკაცების გადაწყვეტილებაც ასეთ შემთხვევაში განუხორციელებელი დარჩებოდა. ზუსტად ამ პრინციპით ხდებოდა საქონლისა და დგამ-ჭურჭლის განაწილებაც, მაგრამ რისი განაწილებაც ვეღარ ხერხდებოდა, გაუყოფლად ტოვებდნენ და განაყრები საზიაროდ იყენებდნენ. ეს ეხებოდა როგორც ნაგებობას, ისე მამულს, საქონელსა და საოჯახო ინვენტარს“.⁶³⁶

ვახტანგ-VI სამართალში აღწერილია წილისყრის წესი: „ეს შეფარდებული მდივანმან სწორეს, ერთნაირს ბარათზედ უნდა დასწეროს, სწორედ წაკვეცოს, დაკვეცოს, რომე ერთი-მეორეზედ მეტობით არ იცნობოდეს. მეფე, თუ ვინც მოსამართლე ბრძანდებოდეს, ამან კელსაჯოცში უნდა ჩაყაროს, აურიოს, ამოიღოს და თითო-თითოს

⁶³⁶ ითონიშვილი ვ., მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970, 114.

გარდუგდოს, რომელს ერგოს, მდივანმა ზედ მიუწეროს. მაგრამ გარდაგდება რიგით უნდა, რამდენიც ძმანი იყვნენ შეფარდებით“. (მუხ.104)⁶³⁷

ჩვეულებითი სჯულის (მ.40) მიხედვით, „გაუყრელ ძმათა, ბიძათა და ბიძაშვილთა ერთობასა შინა შემთხვეული ჭირსა და ლხინში ხარჯი, ზარალი, მოგება, ვალი, ასაღებ-მისაცემი, ესე ყოველივე საერთოდ აღეთვლებოდათ და გაყრისას საერთო ქონება თანასწორ გაეწილვოდათ...“.⁶³⁸ „ძველი რიგი ასრე არის, სანამდინ ძმანი ერთად არიან, ჭირი, ლხინი, საშოვარი, უშოვრობა, წანართმევი თუ ნაბოძები, ნაპოვნი თუ დაკარგული, რაც რამ ფერი, ყუელა ერთი არის, ძმურად-უფროსმან-საუფროსო, უმცროსმან -საუმცროსო, ასრე ყოფილა“.⁶³⁹

ფშავში გაყრის საკითხი წყდებოდა როგორც ოჯახში, ასევე სოფლის „თავკაცებისა“ და „საბჭოს კაცების“ მონაწილეობით. („საბჭოში“ იგულისხმება მმართველობის გვაროვნულ-თემობრივი სტრუქტურა.) ინფორმატორის ცნობით, გაყოფა შეიძლება მომხდარიყო „წილით“ ან „განაჩენით“. აი ეს ცნობაც: „ძმების გაყრისას თვით ძმები დაწერდნენ განაჩენს, ამ განაჩენში აღინიშნებოდა, თუ რომელ ძმას რა ქონება ერგებოდა და მასზე ხელს მოაწერდნენ. ამ განაჩენს ყველა ინახავდა, დავის წარმოშობის შემთხვევაში ამ განაჩენით იმართლებდნენ თავს. თუ გაყრისას ძმები შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ, მაშინ ამორჩეულ კაცებს (სამ კაცს) მოიწვევდნენ და

⁶³⁷ ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტესტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963. 509-510.

⁶³⁸ დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1960, 63.

⁶³⁹ ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტესტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963. 510-511.

ქონებას მას გააყოფინებდნენ. ჯერ შეთანხმდებოდნენ წილით, ე.ი. წილისწყრით გაყოფილიყვნენ თუ განაჩენით“.⁶⁴⁰

თუმცა ხაზგასასმელია, რომ XVIII საუკუნეში და უფრო ადრე გაყრას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი გააჩნდა და პრაქტიკაში იშვიათობა იყო, რადგანაც ბექას სამართლით, შვილს ნება ჰქონდა გაყროდა მამას, მაგრამ მამულის გაყოფა კი აკრძალული იყო. ბექას სამართლის ამ დებულების ანალიზისას არჩილ ჯორჯაძე ეყრდნობოდა ცნობილი ისტორიკოსის და იურისტის ნ. ხიზანიშვილის (ურბნელის) მოსაზრებას. „სხვათა შორის - წერს ნ. ხიზანიშვილი, გაყრაც გვიჩვენებს, თუ როგორ იყო მოწყობილი საათაბაგოს ოჯახი. საზოგადოდ აღიარებულია, რომ საგვარეულო ცხოვრება ხელს არ უწყობს გაყრას. ასე ყოფილა ძველად ყველგან, მაგალითად, ინდოეთში, ასეა ეხლაც ჩვენს მთაში, ფეოდალობის დროს ევროპაში ხალხს უშლიდნენ გაყრას. ჩვენი სჯულმდებელი ვახტანგიც გაყრის წინააღმდეგი იყო და ამ აზრით დააწესა ბატონის სასარგებლოდ „გასამყრელო“.⁶⁴¹ რას ამბობს ალბუღა? - თუმცა ათაბაგი გაყრას არავის უკრძალავდა, მაგრამ ოჯახის განცალკევებაც არ მოსწონდა. შვილს ნება აქვს მამას გაეყაროს, მაგრამ მამულის გაყრას არ ემართლებიო“. რად არ შეიძლება მამულის გაყოფა? მიზეზი აქ ისაა, რომ საათაბაგოს ოჯახი დიდი და მრავალწევრიანი ოჯახია, რომელსაც აუცილებლად საერთო და განუყოფელი მამული უნდა ჰქონოდა. ყველგან დიდი ოჯახობა საგვარეულო წყობილებისაგან წარმომდგარა და პატარა ოჯახი დიდისაგან გაჩენილა. განუყოფელი მამული საგვარეულო წყობილებისა და დიდი ოჯახის ხვედრია, პატარა ოჯახს, სახლს იგი არ მოეპოვება, რადგანაც ალბუღას დროს ოჯახი რომ არ დაპატარავებულიყო, მამულის გაყოფა არ შეიძლებოდა. სხვა გზით

⁶⁴⁰ ჯალაბაძე დ., ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ.IV, თბილისი, მეცნიერება, 1993, 160-161. (მითითებულია იქვე გვ. 161 (ჯალაბაძე დ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1987 რვ. გვ. 14)

⁶⁴¹ ხიზანიშვილი ნ., (ურბნელი) ათაბაგნი ბექა და ალბუღა და მათი სამართალი, ივერია, 1890, № 201, 179-181.

ვერ აიხსნება, თუ რატომ „შვილი მამულის გაყოფას არ ემართლებს“. თითქოს თვითონ აღბუღაც ამტკიცებს ჩვენს აზრს. მამულის გაყოფა ათაბაგს კერძო ჩვეულებად მიაჩნდა - „იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომ უნმცროსს მამულოვნებით გაიყვანენ, თუ ცოლსა შეირთავსო“. მაშასადამე, მამულით „გაყვანას“ საზოგადო წესი უკრძალავდა და ამას იმიტომ, რომ დიდი ოჯახი შეადგენდა საზოგადო შინაურ წყობილებას, რომელიც მამულის გაყოფას უარყოფს. ვახტანგ სჯულმდებელი თანაუგრძნობდა, დიდი ოჯახის საზოგადო წესი არ ყოფილა და მხოლოდ სანატრელ წესად გადაქცეულა. საათაბაგოს სამართალი ცხადად ამტკიცებს, რომ რაც შემდეგში სანატრელი შეიქმნა, ის წინათ ცხოველთა ჩვეულებას შეადგენდა.⁶⁴²

პროფესორი გ. ლობჯანიძე თვლის, რომ არჩილ ჯორჯაძე იმ მოსაზრებას ემხრობა, რომლის თანახმადაც ე.წ „დიდი ოჯახი“ (პატრიარქალური თემი) საგვარეულო წყობილების მეორე საფეხურზე დგას, ხოლო მესამე საფეხურია ინდივიდუალური, მონოგამიური ოჯახი, რომლის წარმოშობა ემთხვევა საგვარეულო წყობილების რღვევას. „საათაბაგოში პატრიარქალურ ოჯახსა ვპოვებთ და სამართალიც ამ ოჯახის ინტერესებს იცავს“.⁶⁴³ ქართულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ფეოდალური ეპოქის უკანასკნელ პერიოდში მიდგომები იცვლება და გაყრის შემთხვევაში სხვა ქონებასთან ერთად მიწაც ნაწილდებოდა, რაზედაც სხვა ვითარებაში გვექნება მსჯელობა.

საქართველოში ოჯახის გაყრასთან ერთად ხდებოდა ოჯახის შეყრაც, რომელიც ტერმინით - შეყრილობით - გამოიყენებოდა. „წესისამებრ, ოჯახის შეყრა იყო ადრე გაყრილი დიდი ოჯახის - გაუყრელი ძმების, მათი მშობლების, შვილებისა და შვილიშვილების,

⁶⁴² ხიზანიშვილი ნ., (ურბნელი) ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, ივერია, 1890, № 201, 179-186.

⁶⁴³ ლობჯანიძე გ., ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივი სამართლებრივი ნააზრევიდან, ქუთაისი 1992, 175.

ანუ აღმავალი და დადმავალი ახლო ნათესავების რამდენიმე თაობის - კვლავ გაერთიანება“.⁶⁴⁴

ამდენად, ჩვენს მიერ შესწავლილი იყო საქართველოს ცალკეულ კუთხეებში ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების წესები. კვლევამ გვიჩვენა, რომ გაყრა და ქონების განაწილება ოჯახისათვის მნიშვნელოვანი საკითხი იყო, გაყრის მიზეზები ყველგან ერთნაირი იყო როგორც დაბალ, ისე მაღალ სოციალური წრეებში. გაყრის დროს მამის აზრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხშირად იყო დავა ოჯახში ქონების გაყოფაზე და ამიტომ გარეშე პირების ჩარევა აუცილებლობას წარმოადგენდა, რაზეც იწერებოდა გაყრის საბუთები, რომლებიც მრავლად მოგვეპოვება ქართული სამართლის ძეგლებში. საქართველოს ყველა კუთხეში საოჯახო ქონების მოწილეები ძირითადად იყვნენ მამაკაცები, პატარა ოჯახების გაყრის დროს მშობლებიც. უფროს ვაჟს „საუფროსო“ წილს მიაკუთვნებდნენ, უმცროსს - „საუმცროსოს“, ხოლო შუათანა ძმას - „საშუალოს“. ქალს მამის ოჯახიდან წილი არ ერგებოდა, მხოლოდ მზითევი და სათავნო. რასაც ოჯახი ვერ გაყოფდა, საზიაროდ იტოვებდნენ.

(იხილეთ ოჯახის გაყრის საბუთები დანართში).

⁶⁴⁴ ხოფერია მ., ოჯახის შეყრა, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი II, თბილისი, მერიდიანი, 2012, 648.

დასკვნა

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლა არ შეიძლება განვიხილოთ ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრებისა და მრავალსაუკუნოვანი წესების მთლიანობის გარეშე. ფეოდალური დიდი ოჯახი, საოჯახო და საქორწინო სამართალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიისა და ფილოსოფიის ისტორიასთან. კვლევის დროს გათვალისწინებული იქნა საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობის ძირითადი ასპექტები, რამაც საშუალება მოგვცა, დაგვენახა მიწაზე საკუთრების ტრადიციული და სამართლებრივი პოსტულატები, რაც დამახასიათებელი იყო ფეოდალური საზოგადოებისათვის.

საქართველოში (და არა მარტო) მიწა და ოჯახი მიწის საკუთრება, ქორწინება, მიწის მფლობელობის უფლება, რაც განაპირობებდა დიდი ოჯახის წევრთა სტატუსს და ქორწინების უფლებებს, მყარად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან, ამან გვიკარნახა საკვლევი საკითხების ერთ ჭრილში განხილვა.

მართალია, დიდი ოჯახი წინ უსწრებდა ქორწინებას, მაგრამ, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ოჯახის საფუძველს მაინც ქორწინება წარმოადგენდა, ამიტომაც გახდა ის უძველესი დროიდან ჯერ ჩვეულებითი, შემდეგ ფორმალური სამართლებრივი მოწესრიგების საგანი.

დღეს სადავო არაა, რომ ოჯახი წარმოადგენს კაცობრიობის მოდგმის გაგრძელების უპირველეს წყაროს, მაგრამ მისი ფუნქცია ხომ ამით არ ამოიწურება. ოჯახი რჩება ადამიანის აღზრდის საფუძვლად, „სადაც ხორციელდება უმნიშვნელოვანესი სოციალური აქცია“ - პიროვნების ფორმირება.

სადისერტაციო ნაშრომში ჩვენს მიერ განხილული სამართლის ცალკეული ინსტიტუტების ერთ ისტორიულ განვითარებაში

შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა, აღვედგინა საქართველოს სხვადასხვა პერიოდის ადრეფეოდალური და გვიანფეოდალური ხანის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ერთიანი სურათი, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ისტორიულ-შედარების მეთოდით განვიხილეთ კავკასიის ზოგიერთ ხალხთა და ძველი რომის ცალკეული საოჯახო ინსტიტუტების საკითხები.

კვლევის პროცესში მონოგრაფიულად გადმოვეცით დიდი ოჯახის წევრთა სტატუსი და საოჯახო-საქორწინო უფლებები ძველი ქართული სამართლის მიხედვით. ჩვენს მიერ საკვლევი საკითხი შესწავლილ იქნა ეთნოგრაფთა შრომების, საარქივო მასალების, ქართული სამართლის ძეგლების, იურიდიულ-ისტორიული შრომებისა და მეცნიერთა კვლევების მაგალითზე, რამაც საშუალება მოგვცა, შეგვესწავლა ოჯახის წარმოშობის ისტორია და მისი განვითარების ფორმები, დიდი ოჯახის წევრთა სტატუსი, მმართველობის ფორმა და სტრუქტურა, ქორწინების და განქორწინების ჩვეულებები საქართველოში, დიდ ოჯახში ქალის პირადი საკუთრება და დიდი ოჯახის წევრთა ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში ოჯახის გაყრისას.

საბოლოოდ, სადისერტაციო ნაშრომში კვლევის შედეგად მიღებული მეცნიერული სიახლე და დებულებები შემდეგი სახით შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

1. ოჯახის ინსტიტუტმა საქართველოში, მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად, სტრუქტურულად სამი ფორმა გამოიარა: გვაროვნული, პატრიარქალური და ინდივიდუალური; პირველყოფილი მეურნეობის წარმოშობამ და ნათესაურმა კავშირმა ჩამოაყალიბა გვარი და საგვარეულო თემი, რომლის პირველი საფეხური მატრიარქატი იყო; ქალი აძლევდა შვილებს გვარს და მემკვიდრეობას, რადგან ისინი მამის გვარს არ ატარებდნენ, მხოლოდ

ბავშვის დედა იყო ცნობილი; ქონება მემკვიდრეობით გადადიოდა დედის ხაზით ნათესავებზე, განსაკუთრებით დედის ძმაზე; მატრიარქალური გვარის დაშლის შემდეგ წარმოიშვა პატრიარქალური საოჯახო თემი, იგივე დიდი ოჯახი, რომელიც შედგებოდა ორი, სამი და ოთხი თაობის სისხლით მონათესავე ადამიანთა ჯგუფისგან, რომლის მეთაური მამაკაცი გახდა. მის ხელში გადავიდა ქონებრივი ფასეულობა და მოიპოვა უპირატესობა, რის შედეგად მამა აძლევს მემკვიდრეობას შვილს და გვარს. ქალმა დაკარგა ის უფლებები რაც მატრიარქატის პერიოდში ჰქონდა; დიდი ოჯახის სტრუქტურა აგებული იყო ოჯახის თაობათა შემადგენლობაზე. საყურადღებო იყო ოჯახის წევრების ასაკი და სქესთა რაოდენობა, ასევე მნიშვნელობა ენიჭებოდა ოჯახის შრომისუნარიან და არაშრომისუნარიან წევრთა რიცხვს. დიდი ოჯახის წევრებს აერთიანებდათ საერთო მეურნეობა და საოჯახო საკუთრება, რომელთა თვითნებურად განკარგვა მის არც ერთ წევრს არ შეეძლო; ოჯახის საკუთრება იყო სახლ-კარი, შენობა-ნაგებობა, პირუტყვი, საოჯახო ნივთები, საბრძოლო და შრომის იარაღები; უმცროსები ემორჩილებოდნენ უფროსებს, ქალები - კაცებს, ოჯახის ყველა წევრი - ოჯახის უფროსს. თანდათან კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბებამ გამოიწვია კერძო საკუთრების გაჩენის სურვილი და დაიწყო დიდი ოჯახების დაშლა და პატარა ინდივიდუალური ოჯახების ჩამოყალიბება; გაბატონებული კლასი და სახელმწიფო იყო დიდ ოჯახში ეკონომიკური სიძლიერის მომხრე, ვიდრე პატარა ოჯახებად დაშლისა და გაყრის; ძველი რომაული ოჯახიც პატრიარქალური იყო, რომლის სათავეშიც იდგა სახლის მეთაური „Pater Familias“; XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში საქართველოში ისევე, როგორც კავკასიის ზოგიერთ მთიან რეგიონებში, თანაარსებობდა ორი ტიპის ოჯახი: პატარა ინდივიდუალური და დიდი პატრიარქალური ოჯახი, რაც დასტურდება სტატისტიკური მონაცემების და მოსახლეობის აღწერის დავთრებით.

2. საქართველოში დიდი ოჯახი სამი ტიპისაა: სამმო, საბიძაშვილო და სამამო; ასეთი ოჯახები განვითარებულია მიწათმოქმედების კუთხეებში (ქართლი, კახეთი, რაჭა) და მესაქონლეობის კუთხეებში (თუშეთი, ფშავი, ხევი, ქიზიყი) და მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის თანაბარი განვითარების კუთხეებში (მთის რაჭა, სვანეთი). საქართველოში სამამო ოჯახი დემოკრატიულია, ოჯახის უფროსი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს ოჯახის სხვა სრულწლოვან წევრებთან შეთანხმების შემდეგ, განსხვავებით კავკასიის ხალხებისგან. მაგალითად, აზერბაიჯანულ სამამო დიდი ოჯახის უფროსს შეუძლია ნებისმიერი წევრი ფიზიკურად დასაჯოს, სახლიდან უწილოდ გაუშვას და ოჯახის გაყრისას თავად მეტი წილი მიიღოს. გამოვკვეთეთ, რომ უძველეს კანონებშიც - ძეგლისდებასა და აღბუღას სამართალში - ოჯახის მამა სრული ბატონია ცოლის, თუმცა ისეთი არა, როგორც რომაელების ოჯახის მამა (pater familias), რომელიც თავს ცოლისა და ქონების მესაკუთრედ თვლის. ძეგლისდების მიხედვით შვილების პიროვნული ღირსება და უფლებები შეზღუდული არ არის. ოჯახის წევრებს შორის ფუნქციები სქესის, ასაკის და უნარის მიხედვით იზომება. უპირატესობა ენიჭება ოჯახის წევრთა შრომისუნარიანობას. ოჯახის უფროსი თუ უუნაროა და უღირსია, შესაძლებელია, იგი ღირსეულმა უმცროსმა წევრმა შეცვალოს, რაც ოჯახის დემოკრატიულ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ; საოჯახო საქმის განხილვისას ოჯახის უფროსს თავისი საუფროსო სკამი აქვს, სადაც მის დაუკითხავად ვერავინ დაჯდება, ხოლო დანარჩენ წევრებს სათათბიროდ თავთავიანთი ადგილები აქვთ გამოყოფილი; შედარებითი ისტორიის ჭრილში გამოვავლინეთ, რომ კავკასიის ზოგიერთ მთიელთა ყოფაშიც იმავე პრინციპზეა აგებული ოჯახის სტრუქტურა და მმართველობა.

საქართველოს ცალკეულ კუთხეებში ფიქსირდება გამონაკლისი შემთხვევები, როცა უხუცეს ქალს ირჩევენ დიდი ოჯახის უფროსად,

რომელიც მართავს და განაგებს მას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მის ოჯახში სხვა სრულწლოვანი მამაკაცი. ასეთი შემთხვევები გვხვდება სვანეთში, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ბერძნულ დიდ ოჯახებში, ლეჩხუმსა და აჭარაში; მიუხედავად ამ შემთხვევებისა, დიდი ოჯახის მმართველობაში უფროსი ქალი მაინც მეორე პირს წარმოადგენს, ევალემა საქალებო საქმის გაძლოლა და თავისი უფლებებით სარგებლობს საოჯახო საბჭოში; ანალოგიური წესია კავკასიის ხალხთა ყოფაშიც. ოჯახის დიასახლისის დაუკითხავად ოჯახის უმცროსი რძლები არავითარ საკითხს არ წყვეტენ, პატივს სცემენ უფროს დიასახლისს, მის აზრს დიდ ყურადღებას აქცევენ. თუ მას ოჯახის გაძლოლა არ შეუძლია, ამ მოვალეობას სხვა უმცროსი რძალი იბარებს; ამდენად, დავადგინეთ, რომ საქართველოსა და კავკასიის ზოგიერთ ხალხთა ყოფაში დიასახლისის ინსტიტუტიც არ ხასიათდება დესპოტური მმართველობის ფორმით.

3. ფეოდალურ საზოგადოებაში საქართველოს ცალკეულ კუთხეში ხალხი თავის ჩვეულებებს იყენებს. ჩვეულება კანონს არ უნდა დაუპირისპირდეს. მხოლოდ იმ ადათებს აქვს იურიდიული ძალა, რომლებიც ნებადართულია სახელმწიფოს მიერ, როგორც ქცევის სავალდებულო წესი. ჩვეულება არის გონივრული და ზნეობრივად მისაღები, რაც ნათლად აისახა ქორწინებისა და განქორწინების საკითხების განხილვისას; ვინაიდან უძველეს ძეგლებში მცირედი ცნობებია შემონახული ქორწინების და განქორწინების შესახებ, ამიტომ ეს საკითხი სხვადასხვა პერიოდიდან მოვიძიეთ. საქართველოში ეთნოგრაფიული მასალებით დადგინდა, რომ ქორწინებას საქართველოში წინ უსწრებდა წინასაქორწინო მოქმედებები, რომლებიც საცოლის შემოწმებით იწყებოდა - „გაჩხრეკა“, „შეზვერვა“, „გასინჯვა“ და სხვ. მას ახორციელებდნენ მშობლები, მაჭანკალი, შუამავალი, შუაკაცი. ყურადღება ექცეოდა

საცოლის ვიზუალობას, შრომით ჩვევებს, რადგან პატრიარქალური ოჯახი დიდ შრომას მოითხოვდა, ქალს საქმიანს ირჩევდნენ; ჩვეულებითი სამართლით მიუღებელი იყო მოტაცებითი ქორწინება და დანიშნული ქალის მოტაცება, რადგან მოჰყვებოდა შურისძიება და მკვლელობა. ქალის მოწონების შემდეგ, ნიშნობა ქორწინების სავალდებულო პირობა იყო საქართველოში; დანიშვნის სხვადასხვა წესი იყო გავრცელებული: აკვანში დანიშვნა, მცირეწლოვანთა დანიშვნა, გარიგებით დანიშვნა და სხვა. პირობის დარღვევა იწვევდა პასუხისმგებლობას;

4. განვიხილეთ ნიშნობა რომაული და ძველი ქართული სამართლის მიხედვით და დავადგინეთ, შუა საუკუნეებში რომის სამართალმა მოახდინა რეცეფცია, არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემაშიც; რომის სამართალში ნიშნობა ისეთივე ძველთაძველია, როგორც ქართულ კანონმდებლობაში; ქორწინებას რომში წინ უსწრებდა წინასაქორწინო მოქმედება - ნიშნობა-„sponsalia“, იგი წარმოადგენდა რიტუალურ პროცესს და, როგორც ჯვრისწერა, საეკლესიო წესების თანახმად ხდებოდა. ნიშნობისთვის საკმარისი იყო მექორწინეთა თანხმობა, რაც მოლაპარაკების დაწყებას გულისხმობდა. პირის შეშლილობა ნიშნობის დამაბრკოლებელ გარემოებას ქმნიდა. თუ იგი ნიშნობის შემდგომ დადგებოდა, ნიშნობა არ მოიშლებოდა. ნიშნობისთვის ასაკი არ არის განსაზღვრული, ამიტომ დანიშვნა ადრეულ ასაკშიც ხდება, თუ ორივე მხარეს ესმოდა, თუ რას აკეთებდა, თუ შვიდ წლამდე ასაკის არ იყვნენ. დასაქორწინებელი პირები კითხვა-პასუხის ფორმით ვერბალურ ანუ (ზეპირი) გარიგებას დებდნენ ერთმანეთთან. „ერთი მხარის შეკითხვაზე (მაგალითად, „მპირდები, რომ მომცემ ან გამიკეთებ“?), (“Spondes mihi dare centum?)) მეორე მხარე პასუხობდა - „გპირდები“ (“Spomdeo“) და ხელშეკრულება დადებულად ითვლებოდა; საქართველოში ქალის საქორწინო ასაკი 12 წლით

განისაზღვრებოდა, ხოლო ვაჟების - 15-16 წლით. საზოგადოების მაღალ ფენებში არსებობდა „კიდის კიდე გვირგვინთა კურთხევა“ ე.წ. წარმომადგენლობითი ქორწინება, როდესაც ერთი დასაქორწინებელი პირი ადგილზე არ იყო და მის მაგიერ გვირგვინის კურთხევისას საქმროს ან საცოლის ნაცვლად გვირგვინის ქვეშ სხვა მამაკაცი იდგა, ჯვრისწერისას კი ნამდვილ საქმროსა და საცოლის სახელს მოიხსენიებდნენ. აღნიშნულმა ქორწინებამ დიდხანს არ გასტანა, რადგან რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ იგი აკრძალა 1103 წ.

გამოვავლინეთ, რომ ქორწინების შეწყვეტა ფეოდალური სახელმწიფოსა და ეკლესიისთვის მიუღებელი იყო, მაგრამ იურიდიული ბორკილების დადებაც არ გამოდიოდა. განქორწინების თემა ჯერ კიდევ V საუკუნეში აღწერილი აქვს ქართველ ისტორიკოს იაკობ ხუცესს (ცურტაველი) თავის უძველეს ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „შუმანიკის წამება“, სადაც შუმანიკი აპროტესტებს ქმრის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფას და მაზდეანობის მიღებას და ამ მიზეზით წყვეტს ქორწინებას; ქართული ფეოდალური კანონმდებლობის თანახმად, ცოლი ქმრის ღალატისთვის სასტიკად ისჯებოდა, ქმარი კი დაუსჯელი იყო. ამ სასჯელებიდან საქართველოს ცალკეულ კუთხეებში სცოდნიათ ცხვირის, თმის, მკლავის მოჭრა, კვეთილში ჩასმა, ვირზე შესმა, ჩაქოლვა და სხვა. თუმცა მრუში ცოლის დასჯა ქმრის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, მას შეეძლო დაუსახიჩრებლადაც გაეშვა ცოლი. ასევე, განქორწინების მოტივად ითვლებოდა ქალის ქორწინებამდელი დეფლორაცია, ავადმყოფობა, მცვედნობა-უმამაკაცობა, სოდომურ ცოდვაში მხილება, მრუშობაში დასმენა, ემბაზიდან საკუთარი შვილის გამოყვანა, როცა მშობელი თავისი შვილის ნათლია ხდებოდა, ცოლის „წაგვრა“ და სხვა. ზოგჯერ კი ოჯახები კანონიერი მიზეზების გარეშეც ინგრეოდა. ცოლთან ასეთ განშორებას „უბრალოდ დაგდება“ ერქვა. ცოლის „უბრალო დაგდებისთვის“ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შესული ბეჟას

სამართლის 29-ე და 32-ე მუხლები ითვალისწინებდა გარკვეულ სასჯელს; ოჯახის უფროსი ყოველთვის ცდილობდა გვარის ინტერესები და სიწმინდე შეენარჩუნებინა, ამიტომ იყო დიდი სიმკაცრე მრუშობაში მხილებულ ცოლსა და მის საყვარელზე. განქორწინებისას ქალს მიჰქონდა სახლიდან თავისი მზითვევი, რაც ოჯახის მეურნეობის დიდი ნაწილი იყო. ამიტომ ქმრის გადასაწყვეტი იყო ქალის ოჯახიდან გაშვება-არგაშვების საკითხი.

ქართული ჩვეულების თანახმად, კაცს საქართველოს ცალკეულ კუთხეში პირველი ცოლის სიცოცხლეშიც შეეძლო მეორე ცოლის მოყვანა, თუ პირველი ცოლისგან შვილი არ ჰყავდა ან ცოლი მარტო ქალიშვილებს გაუჩენდა. ხევსურული სამართლის მიხედვით, გამონაკლისის სახით დაშვებული იყო ოჯახში ერდროულად ორი კანონიერი ცოლის ყოლა. ამ მიზეზით ქართულ ჩვეულებით სამართალში ორცოლიანობის ფაქტი გამოვავლინეთ სვანეთში, ხევსურეთსა და თუშეთში. თუ ოჯახის დანგრევა ამ მიზეზით არ სურდათ, არსებობდა შვილად აყვანის ადათი, რომელიც შვილების შემდეგ მიიჩნეოდა კანონიერ შვილად და მემკვიდრედ.

საქართველოს მსგავსად ძველ რომშიც ქორწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომელიც ყველა მოქალაქისათვის აუცილებელი იყო. რომის სამართალში ქორწინების ორი განმარტება იყო მნიშვნელოვანი: პირველი ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, მთელი ცხოვრების ერთიანობა, ღვთიური და ადამიანური სამართლის ერთობა და ხოლო მეორე ქორწინება (nuptiae) ანუ ცოლქმრობა (matrimonium) არის მამაკაცის და ქალის კავშირი, რომლის არსი ერთობლივ ცხოვრებაში მდგომარეობს.

5. მეუღლეთა პირად და ქონებრივ ურთიერთობებში დიდ გავლენას ახდენდა ქალის პირადი საკუთრება, „მზითვევი“ და „სათავნო“, რომელიც იყო გათხოვების დროს მშობლებისგან ნაჩუქარი მოძრავი ქონება. დიდი ოჯახის ქონებას იცნობდნენ „მამული“-ს,

„დედული“-ს და „მონაგები“-ს სახელწოდებით. საზოგადოების მაღალ ფენაში ქალს გათხოვებისას მიწასაც აძლევდნენ, ხოლო დაბალ ფენაში გამორიცხული იყო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მშობლებს სხვა შვილი არ ჰყავდათ. მზითვის შემადგენლობა ოჯახის შეძლების მიხედვით ნაწილდებოდა, რაზეც იწერებოდა მზითვის წიგნები; სათავნო ქალის მომგებიანი სარგებლიანი ქონება იყო, რომელშიც ძირითადად პირუტყვი და ფული შედიოდა. დიდი ოჯახის გაყრისას ქალს „მზითევსა“ და „სათავნოზე“ ვერავინ შეეცილებოდა, რადგან ის ითვლებოდა ქალის პირად საკუთრებად. საქართველოს მსგავსად ძველ რომშიც განვითარებული იყო მზითვის ინსტიტუტი, რომლის გაცემა მამის ღირსებად და მოვალეობად მიიჩნეოდა.

6. მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად როგორც საქართველოში, ისე ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებში, როცა პატრიარქალურმა ოჯახმა ამოწურა მისი არსებობისათვის გასავლელი ურთულესი ისტორიული გზა, XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში დაიწყო დიდი ოჯახების დაშლა და წევრთა შორის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების განაწილება. ქართული სამართლის ძეგლებით დასტურდება, რომ სახელმწიფო მომხრე იყო დიდი ოჯახების შენარჩუნებისა, გაყრის აუცილებლობის შემთხვევაში კი დავის ობიექტურად გადაწყვეტისა; გასაყოფი ქონება შედგებოდა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობისგან, მიწისგან (სახნავი, ბაღ-ვენახი, სათიბი, ბოსტანი), საქონლისგან, წლიური შემოსავლისგან, საოჯახო ინვენტარისგან და სხვა, რაც ჩვეულებითი სამართლის ნორმებით რეგულირდებოდა. გაუყრელად ცხოვრება წევრთა სიმრავლის გამო რომ შეუძლებელი იყო, სახელმწიფო აღიარებდა; ქართულ ჩვეულებით სამართალში ოჯახის სეგმენტაციას და ოჯახის წევრებს შორის ქონების განაწილებას „ოჯახის გაყრა“ ეწოდებოდა, ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, სხვადასხვა სახელწოდება გვხვდება ცალკეულ კუთხეებში, მაგალითად: აჭარაში, იმერეთსა და

გურიაში „გაყოფა“, „გარიგება“, „ოჯახი გარიგდა“, „ძმები გარიგდნენ“, რაც ნიშნავს როგორც ოჯახის გაყრას, ისე ქონების განაწილებას, ხოლო ტერმინი „ქონება გეირიგეს“ და „გაფარდება“ მხოლოდ ქონების განაწილებას გულისხმობს და არა ოჯახის გაყრას; ქონების თითოეულ ნაწილს „ხუედრი“ ეწოდებოდა. გურიაში და იმერეთში იხმარებოდა სიტყვა „ფარდი“, მაგრამ ძირითადად იყენებდნენ „წილს“; მოწილეები ძირითადად მამაკაცები იყვნენ: ძმები, ბიძაშვილები, მშობლები; ქონება თანაბრად ნაწილდებოდა. მას ანაწილებდნენ მამა, უფროსი ძმა ან გარეშე პირები. ქონების წილი იყოფოდა საუფროსო, საუმცროსო და სასაშუალო წილად; საოჯახო ქონების იმ ნაწილს, რომლის გაყოფაც ვერ ხერხდებოდა, მოწილეები საზიაროდ იტოვებდნენ, ასეთები იყო: წისქვილი, ტყე, სათიბი, სახნავი მიწა.

ოჯახის გაყრის მიზეზები იყო წევრთა უთანხმოება, კერძო საკუთრების გაჩენის სურვილი და სხვა. ოჯახის გაყრა ორი ფორმით ხდებოდა - უცხო პირთა მონაწილეობით და მის გარეშე, რაზეც დგებოდა გაყრის წიგნები, რომლებიც მრავლად მოგვეპოვება ქართული სამართლის ძეგლებში. ამ პროცესში მედიატორები ერთვებოდნენ. XX საუკუნის 70-იან წლების მასალებით დასტურდება, რომ თუ მხარეები თავად აგვარებდნენ დავას, მედიატორებს მაინც ირჩევდნენ და ასწრებდნენ გაყრის პროცედურას, რათა მათ საბოლოოდ გაყრის საბუთი გაეფორმებინათ; ეთნოგრაფიული მასალების - თანახმად თითოეული მხარე ირჩევდა თითო მედიატორს, მესამეს კი ურთიერთშეთანხმებით, რომელსაც ზედამხედველი მედიატორი ერქვა. გაყრისას იმდენი მედიატორი იყო, რამდენი ძმაც იყრებოდა და ერთი საერთო მედიატორი; მედიატორს კარგად უნდა სცოდნოდა წერა-კითხვა, მიწის აზომვა, ოჯახის მოძრავი და უძრავი ქონების აღწერა და გაეცათ ოჯახის გაყრის საბუთი იმდენ ცალად, რამდენი მოწილეც იყო. ერთ პირს მედიატორი იტოვებდა. ამ საბუთს ერქვა: „ფარდის ფურცელი“, „ფარდის

ქალაქი“, „გაფარდების ხელწერილი“, „სია ქონების გაყოფის შესახებ“. „განჩინება ქონების გაყოფის შესახებ“, „საბუთი“, „ხელწერილი ქონების განაწილების შესახებ“ და სხვა. იგივე პრინციპი იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როდის ხდებოდა გაყრა - ოჯახის უფროსის სიცოცხლეში თუ მისი გარდაცვალების შემდეგ.

ქალიშვილს საოჯახო ქონებიდან აძლევდნენ მხოლოდ მზითევსა და სათავენოს; ითვალისწინებდნენ რძლისა და ქვრივი ქალის წილსაც, რომელიც სხვადასხვა გარემოებებზე იყო დამოკიდებული; არც ნაბიჭვრებს (უკანონოდ შობილებს) ტოვებდნენ უწილოდ. საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად აჭარაში დაუქორწინებელ მოწილეს ეძლეოდა დამატებითი ქონება, ე.წ. გათანაბრების წილი (პირუტყვი, ფული) საქორწინო ხარჯებისათვის, რომელსაც საქორწინო ანუ საუმცროსო წილი ეწოდებოდა; მშობლების სიცოცხლეში გაყრისას მოწილედ დედ-მამაც ითვლებოდა. საქართველოს ცალკეულ კუთხეებში გაყრას „სოფლის თავკაცები“ და „საბჭოს კაცები“ აწარმოებდნენ; კვლევისას გამოიკვეთა, რომ ოჯახის გაყრასთან ერთად ხშირად ხდებოდა გაყრილი ოჯახების ხელახლა შეყრა, რომელიც ტერმინით „შეყრილობით“ იყო ცნობილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ეთნოგრაფია, საოჯახო-საქორწილო ჩვეულებები, ქართული კულტურის ძეგლები:

1. აჩუგა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, მეცნიერება, 1990.
2. აჩუგა თ., ხალხური საოჯახო სამართლის ნორმები აჭარაში (ქონებრივ- უფლებრივი მდგომარეობა), სდსყკ, X, თბილისი, 1983.
3. აჩუგა თ., ტრადიციული აჭარული ოჯახისა და საოჯახო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის ძირითადი შედეგები, სდსყკ XIV, თბილისი, 1987.
4. ანთელავა ნ., ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში, თბილისი, 2005.
5. ბექაია მ., საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის, თბილისი. მეცნიერება, 1981.
6. ბექაია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი, მეცნიერება, 1980.
7. ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი, თბილისი, შპს ირიდა, 2014.
8. ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმში, საბჭოთა აჭარა, 1974.
9. გოცირიძე გ., ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში, თბილისი, მეცნიერება, 1987.
10. გიორგაძე თ., ქართული ჭადრაკის მატეანე, ტ. I, განათლება, 1995.
11. გრიგოლია ა., ქართველ მთიელთა ადათი და სამართალი, თბილისი, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტი, 2015.

12. გრიგოლია კ., ახალი ქართლის ცხოვრება, ტ.1, თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1954.
13. გოგინაშვილი ი., ხელოვნური ნათესაობა მთიულეთსა და გუდამაყარში, ეთნოგრაფიული ძიებანი, თბილისი, მეცნიერება, 1988.
14. დემუროვა ლ., ქალის მდგომარეობა რევოლუციამდელ ბერძნულ ოჯახში (აჭარის საველე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), სდსკ, VII, თბილისი, 1987.
15. ვალიში გ., ლაზთა საოჯახო ყოფის ისტორიიდან, სდსკ, VII, თბილისი, 1979.
16. ვაჟა-ფშაველა., თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. IX, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1994.
17. ვაჟა-ფშაველა., თხზულებათა სრული კრებული, 5 ტომად, ტ. V, პიესა მოკვეთილი, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, საქართველო, 1994.
18. თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, უნივერსალი, 2007.
19. თაყაიშვილი ე., საქართველოს სიძველენი, ტ.1, ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა, 1899.
20. თედორაძე გ., ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, წ. II, თბილისი, სახელგამი, 1939.
21. თოფურია ნ., ღვინის ზედაშეები, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. XII-XIII, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963.
22. ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, ნაწ. I, (ნახებისა და ოსების საოჯახო ყოფა) თბილისი, მეცნიერება, 1969.

23. ითონიშვილი ვ., კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული III. (მთიულეთის ეთნოგრაფიის ნარკვევები) თბილისი, მეცნიერება, 1971.
24. ითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1960.
25. ითონიშვილი ვ., ქართლის მთიელთა ყოფა ცხოვრებიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974.
26. ითონიშვილი ვ., მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970.
27. ითონიშვილი ვ., ძველი საქორწინო წეს-ჩვეულების შესახებ ხევში (ურვადი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე ტ. XXIII, №1, 1959.
28. იველაშვილი თ., საქორწინო წეს ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში, (XIX ს. II ნახ.-XX ს) თბილისი, მეცნიერება, 1987.
29. იაშვილი მ., მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები) თბილისი, მეცნიერება, 1974.
30. ინგოროყვა პ., სვანეთის საისტორიო ძეგლები., ნაკვეთი მეორე, ტესტები, თბილისი, სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, 1941.
31. კეკელია მ., მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, (გურჯაანი, დუშეთი, საჩხერე), 1976-1977.
32. კორძაია ა., ლაჰრაკდ არი, (სვანური ანდაზები) თბილისი, სომა პრეს-1, 2000.
33. ლამბერტი არქ., სამეგრელოს აღწერა, თარგმნა, აღ. ჭყონიასი, ლ. ასათიანის რედაქციით და წინასიტყვეობით, თბილისი, 1938.
34. მაკალათია ს., მთიულეთი, ტფილისი, სახელგამი, 1930.
35. მაკალათია ს., თუშეთი, თბილისი, ნაკადული, 1983.
36. მაკალათია ს., ფშავი, თბილისი, ნაკადული, 1985.

37. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, (საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოების შრომები) თბილისი, 1941.
38. მაკალათია ს., ხევსურეთი, თბილისი, ნაკადული, 1984.
39. მამარდაშვილი გ., საოჯახო ყოფა და რწმენა-წარმოდგენები ლეჩხუმის მოსახლეობაში, თბილისი, უნივერსალი, 2006
40. მაჩაბელი ნ., ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან: მზითვის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, მეცნიერება, 1976.
41. მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. თბილისი, მეცნიერება, 1978.
42. მელიქიშვილი ლ., ქონებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ფორმის შესახებ მთიულეთში-სათავნო, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული III, მთიულეთის ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბილისი. მეცნიერება, 1971.
43. მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები) ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზია იაშვილმა, თბილისი, მეცნიერება, 1974, 3.
44. ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, თბილისი, უნივერსიტეტი, 1962.
45. ნანობაშვილი ბ., საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში (ქორწინება ქიზიყის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) თბილისი, მეცნიერება, 1988.
46. ონიანი ს., დიდი ოჯახის ინსტიტუტი სვანურ ჩვეულებით სამართალში, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები ტ. II, თბილისი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2012.
47. რუსო ჟ. ჟ., მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძვლების შესახებ, თბილისი, Carpe diem, 2009.

48. რუხაძე ჯ., ლეკიაშვილი ა., ჭყონია ი., სოფელი აკურა, თბილისი, მეცნიერება, 1964.
49. როსებაშვილი ნ., ივანელაშვილი ნ., ქორწინება ეთნოგრაფიულ მასალებსა და ქართული სამართლის ძეგლებში, #18, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.
50. სახოკია თ., ქორწილი სამეგრელოში. (საეთნოგრაფიო გამოკვლევა, ბრიუსელი, ქართული თარგმანი ინახება ისტორიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებაში) 1912. ჩართოლანი მ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, მეცნიერებათა აკადემია, 1961.
51. სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი, 1956.
52. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები., ტ. I, (ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით) თბილისი, საქ. ებრაელთა ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 1940.
53. ფარდის ფურცელი, ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შემოსულობათა წიგნი №1566.
54. ჩიტაია გ., გლეხის სახლი ქვაბლიანში, ტფილისი, პოლიგრაფტრესტის I-ლი სტამბა, 1926.
55. ცეცხლაძე გ., ოჯახის მმართველობის სისტემა გურიაში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), ისტორიულ ეთნოგრაფიული შტუდიები III, ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1988.
56. ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991.
57. ცეცხლაძე გ., ოჯახის წევრთა ქცევისა და ურთერთდამოკიდებულების ნორმები (გურიის ეთნოგრაფიული

- მონაცემების მიხედვით) მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXIII, თბილისი, მეცნიერება, 1987.
58. ცეცხლაძე გ., ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების წესები გურიაში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXIII, თბილისი, მეცნიერება, 1987.
59. ცხოვრება პეტრე იბერისა., ასურული რედაქცია, (გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ივ. ლოლაშვილმა) თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1988.
60. ცურტაველი ი., წამებაი შუშანიკ დედოფლისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.1, (V-X სს) რედ. ილ. აბულაძე, თბილისი, 1963.
61. წულაძე ა., ეთნოგრაფიული გურია, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1971.
62. ჭყონია ი., ახალი ყოფა მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში, მსე, VI, თბილისი, 1953.
63. ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1955.
64. ჭავჭავაძე ი., ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV, თბილისი, 1955.
65. ხიზანიშვილი ნ., (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, მეცნიერება, 1940.
66. ხარაძე რ., მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი, მეცნიერება, 1965.
67. ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, 1939.

მეცნიერული ლიტერატურა:

68. ბაგრატიონი დ., საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, აპოლონ როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, 1959.
69. გარიშვილი მ., ხოფერია მ., საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, თბილისი, მერიდიანი, 2014.
70. გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2013.
71. დიურკემი ე., სოციალური შრომის დანაწილება, თბილისი, Capre diem, 2012.
72. დიორკემი ე., სოციოლოგიის მეთოდის წესები, თბილისი, იოანე პეტრიწი, 2001.
73. დოლიძე ი., გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1957.
74. დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, 1960.
75. დოლიძე ი., ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1960.
76. დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1953.
77. დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 2004.
78. ენგელსი ფ., ოჯახის კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა (ლ.გ. მორგანის გამოკვლევებთან დაკავშირებით) თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1978.

79. ვაჩიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, თბილისი, თბილისისი უნივერსიტეტი, 1963.
80. ზურაბიშვილი თ., თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.
81. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005.
82. ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა) თბილისი, უფლება, 2000.
83. ზოიძე ბ., ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი, ბათუმი, აჭარა, 1992.
84. იოფე ო., ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, თბილისი, სამთავისი, 1994.
85. კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, (ქართლ-კახეთის სამეფო), ტ.1. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970.
86. კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, (იმერეთის სამეფო, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები) ტ. II, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1981.
87. ლობჯანიძე გ., ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივი სამართლებრივი ნააზრევიდან, ქუთაისი, 1992.
88. ლობჯანიძე გ., რომის სახელმწიფო და სამართალი, ტ. II, ქუთაისი, 2009.
89. მონტესკიე შ.ლ., კანონთა გონი, ტ. I, ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძემ, თბილისი, 1994.
90. მეტრეველი ვ., სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, მერიდიანი, 2003.
91. მეტრეველი ვ., რომის სამართალი საფუძვლები, თბილისი, მერიდიანი, 2013.

92. მიხაილოვა ნ.ვ., ივანოვი ა.ა., ასანიძე ს.რ., რომის სამართალი, თბილისი, სამართლიანი საქართველო, 2009.
93. მცირე სჯულის კანონი., მოამზადა ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1972.
94. ნადარეიშვილი გ., ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბილისი, მეცნიერება, 1965.
95. ნადარეიშვილი გ., ნარკვევები სამართლის ისტორიიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1986.
96. ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, სამთავისი, 1996.
97. ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, ბონა კაუზა, 2005.
98. ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2009.
99. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, კეგელი, 1998.
100. შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, მერიდიანი, 2003.
101. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი 23-ე. თბილისი, ნეკერი, 2001.
102. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი პირველი, თბილისი, მერიდიანი, 2000.
103. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, სამართალი, 1997.
104. სამოქალაქოს სჯულვილება., წ. II, ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები გამოსცა დ. ფურცელაძემ, თბილისი, მეცნიერება, 1966.
105. სამართალი ბატონისშვილის დავითისა., ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბილისი, მეცნიერება, 1964.
106. სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1981.

107. სურგულაძე ივ., საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1985.
108. სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1952.
109. ქართული სამართლის კლასიკა., წ. I, თბილისი, ზვიად კორძაძე, 2017.
110. ქართული სამართლის კლასიკა., წ. II, თბილისი, ზვიად კორძაძე, 2019.
111. ქართული სამართლის ძეგლები., ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, (ტექსტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ) თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963.
112. ქართული სამართლის ძეგლები., ტ. IV, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს), (ტექსტები გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ) თბილისი, მეცნიერება, 1972.
113. ქართული სამართლის ძეგლები., ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.) (ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), თბილისი, მეცნიერება, 1974.
114. ქართული სამართლის ძეგლები., ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX ს.ს) (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), თბილისი, მეცნიერება, 1977.
115. ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. I, თბილისი, მეცნიერება, 1988.
116. ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. II, თბილისი, მეცნიერება, 1990.
117. ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. III, თბილისი, მეცნიერება, 1991.
118. ქართული ჩვეულებითი სამართალი., ტ. IV, თბილისი, მეცნიერება, 1993.

119. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2011.
120. ხიზანიშვილი ნ., (ურბნელი) ძველი ქართული ოჯახი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბილისი, მეცნიერება, 1982.
121. ხიზანიშვილი ნ., (ურბნელი) ათაბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი, ტფილისი, სტამბა-ლიტოგრაფია მესხიევისა და პოლეტაევისა, 1890.
122. ჯორბენაძე ს., საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1957.
123. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია. წიგნი 1, თბილისი, 1928.
124. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.VI, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1982.
125. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად ტ. VII, თბილისი, საქ. სსრ მენიერებათა აკადემია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1984
126. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, ტფილისი. ტფილისის უნივერსიტეტი, 1929.
127. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1948.
128. ჯავახიშვილი ივ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის ისტორია, შემდგენელი ქანთარია ბ., თბილისი, საქ. უნივერსიტეტი, 2011.
129. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, ტფილისი, პოლიგრაფსკ. სტ, 1930.

სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაშრომები:

130. ბოსტოლანაშვილი დ., დიდი ოჯახი აღმოსავლეთ საქართველოში (ქიზიყის მასალების მიხედვით) თბილისი, აღმანახი, №2, 1995.
131. ბოსტოლანაშვილი დ., ოჯახის გაყრის წესები აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, ჟურნ. სამართალი, №1-2, 1998.
132. ბოსტოლანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში (ქიზიყის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით XIX საუკუნის II ნახევარში) თბილისი, უნივერსიტეტი, 2004.
133. ბოძაშვილი ლ., ფშავი და ფშაველები, რეცენზია წიგნზე, ახალი თიანეთი, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1998.
134. ბახია ს., საოჯახო ქონების გაყოფის წესი აფხაზეთში ძველად, (საისტორიო კრებული) ტ.2, თბილისი, 1971.
135. გუგუშვილი ნ., ქალის უფლებრივი მდგომარეობა შუა საუკუნეების საქართველოში (განქორწინების მოტივების მიხედვით.) თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 1-4, 1997.
136. გარიშვილი მ., დავით ბაგრატიონის (ბატონიშვილის) კერძო-სამართლებრივი შეხედულებანი, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი II, თბილისი, მერიდიანი, 2012.
137. ზოიძე ო., ალექსანდრე ხახანაშვილი და ქართული ჩვეულებითი სამართლის საკითხები, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. 2, თბილისი, მეცნიერება, 1990,
138. ზოიძე ო., სასჯელები, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ.3, თბილისი, მეცნიერება, 1991.
139. თენიეშვილი ლ., რომის სამართლის გავლენა თანამედროვე ქართულ საოჯახო სამართალზე, კულტურათმშორისი კომუნიკაციები, №32, თბილისი, 2019.

140. თუმანიშვილი გ., ქართული სამართლის ძეგლების ტესტებში სიტყვა „ოჯახის“ პირველად გამოყენების საკითხთან დაკავშირებით, სამართალი №5-6, თბილისი, 2002.
141. ითონიშვილი ვ., საოჯახო ყოფა მთიულეთ-გუდამაყარში, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი მთიულეთის ეთნოგრაფიული ნარკვევები, №3, თბილისი, 1971.
142. კოპალიანი მ., ქალთა სამართლებრივი მდგომარეობა საქორწინო-საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში ქართული საერო და ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, თბილისი, სამართალი და მსოფლიო, №1, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2015.
143. კობრეიძე ა., ქალის პროცესუალური მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში, (სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის სამეცნიერო კონფერენციის მასალები) თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1998.
144. კეკელია მ., სვანეთის სულხან-საბას-ბესარიონ ნიჟარაძის-დაკვირვებები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ.1, თბილისი, მეცნიერება. 1988.
145. კეკელია მ., და ავტორთა ჯგუფი., ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. II, თბილისი, მეცნიერება, 1990.
146. მერაბიშვილი ჯ., სერგი მაკალათია და ქართული ჩვეულებითი სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ.1, თბილისი, მეცნიერება, 1988.
147. მელიქიშვილი ლ., ქონებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ფორმის შესახებ მთიულეთში-სათავნო, კავკასიის ეთნოგრაფიული კრ. III, მთიულეთის ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბილისი, მეცნიერება, 1971.

148. მათიაშვილი მ., ოჯახის უფროსის ხელისუფლების ჩვეულებით სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს დიდ ოჯახებში, სამართლის ჟურნალი №1, 2011.
149. ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. 1, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 1962.
150. ონიანი ს., დიდი ოჯახის ინსტიტუტი სვანურ ჩვეულებით სამართალში, სამართლის და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები: ტ.2, თბილისი, თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2012.
151. უგრეხელიძე მ., ლეგიმეტრიის შესავლისათვის (სამართალი განზომილებათა სისტემა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, II, თბილისი, მერიდიანი, 2015.
152. ფუტყარაძე ი., ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით, (სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები) ტ.2, თბილისი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2012.
153. ქანთარია ბ., სამართლის ისტორია როგორც პრაქტიკული მეცნიერება და არგუმენტაციის თეორია, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო № 8, თბილისი, 2017.
154. შტაერმანი ე., რომის სამართალი, ჟურნალი „სამართალი“, №2, 1992.
155. შოშიაშვილი ლ., ნებაყოფლობითი ქორწინება, ქორწინებაზე თანხმობა (ნებართვა) რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, ჟურნალი სამართალი, №12, თბილისი, 2001.
156. შოშიაშვილი ლ., ქორწინების არსი და ფორმები რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, სამართალი №3, თბილისი, 2002.
157. წიფწივაძე ი., პატრიარქალური ოჯახი საქართველოში. ჟურნალი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, №14, თბილისი, 2018.

158. წივწივაძე ი., დიდი ოჯახის უფროსის ინსტიტუტი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სამართალი და მსოფლიო, № 11, თბილისი, 2019.
159. წივწივაძე ი., ქორწინების ინსტიტუტი ძველ ქართულ საოჯახო სამართალში, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კომფერენციის სტატიათა კრებული, თბილისი, 2019 წ.
160. წივწივაძე ი., დიდ ოჯახში ქალის პირადი საკუთრება „მზითევი“ და „სათავნო“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჟურნალი, მართლმსაჯულება და კანონი, №3, თბილისი, 2020.
161. წივწივაძე ი., დიდი ოჯახის წევრთა ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში ოჯახის გაყრისას, ცხოვრება და კანონი, №1(61), თბილისი, 2023.
162. ხოფერია მ., პიროვნების სამართლებრივი სტატუსი ძველ რომში, სამართალი, თბილისი, 2000, №4-5.
163. ხოფერია მ., პიროვნების სტატუსი ძველ რომში, (დიგესტების ორმოცდამეათე წიგნის მიხედვით.) სამართალი, №8-9, თბილისი, 2000.
164. ხოფერია მ., მედიატორის როლი ოჯახის გაყრაში ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, №1, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 2011.
165. ხოფერია მ., მზითევი როგორც ქალის ქონების ძირითადი შემადგენელი, ნაწილი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10, №1, 2007.
166. ხოფერია მ., სახელმწიფოს დამოკიდებულება ოჯახის გაყრისადმი, სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, №1, 2001.
167. ხოფერია მ., ქალის უფლებაუნარიანობა ქართული და რომაული სამართლებრივი აზროვნების კრილში, სამართლის ჟურნალი, ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, №2, 2009.

168. ხოფერია მ., ოჯახის შეყრა, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი II, თბილისი, მერიდიანი, 2012.
169. ჯალაბაძე დ., საქორწინო და საოჯახო სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტომი IV, თბილისი, მეცნიერება, 1993.

ლექსიკონები:

170. გოცირიძე მ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.VII. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1962.
171. მენტემაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, საქ. მეცნიერება, 1943.
172. მენტემაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ VII. თბილისი, 1962.
173. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, განათლება, 1978
174. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986.
175. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.II, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1951.
176. სიტყვის კონა, ლექსიკონი, ორბელიანი სულხან-საბა., თბილისი, სახელგამი, 1949.
177. ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ტყიბული, განათლება, 1973.

საარქივო მასალები:

178. პირობის ხელწერილი, ჩმმ ხელნაწერი ფონდი 1566, 1904.
179. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1448, საქმე -2975, 1781.

180. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი-1448, საქმე 2611, 1782.

181. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი-1448, საქმე 3369, მე-17 ს.

მზითვის წიგნები:

182. 1874 წ. XI. 2. მზითევში მიწის მიცემის წიგნი. Qd 3549, ხელნაწ. ინსტ.

183. 1874. წ. VIII.24 ალექსანდრე ეპისკოპოსის ხელწერილი მისი ძმისწულის მაკრინეს გამზითვების შესახებ. ხელნაწ. ინსტ. Qd 3876.

184. 1884 წ. XII.30. „კვიტანცია“ (ხელწერილი) მზითევში ფულის მიღების შესახებ. მიცემული სეფე ჯაფარიძის მიერ კონსტანტინე ერისთვისათვის. ხელნაწ. ინსტ. Qd 9403.

185. 1886 წ. VI. 19. ხელწერილი ნიკოლოზ ქარსელაძისა, მზითვის ფულად მიღების შესახებ ბარბარე ცხვედიანის ქალისაგან. საქ. სახ. მუზ. ბურჟ. განყ. ხელნაწერთა ფონდი № 61-65.

70

186. 1886 წ. ახლო სია საოჯახო ნივთებისა, რომელიც უნდა მისცეს გოჯასპირ მუსერიძემ თავის ძმისწულს ეკატერინას წაყვანის დროს (ე.ი. გათხოვებისას) საქ. სახ. მუზ. ბურჟ. განყ. ხელნაწერთა ფონდი № 61-65.

68

დისერტაციები:

187. გაბისონია ნ., ძველი ფრანკების დიდი ოჯახი „სალიკური სამართლის მიხედვით“, დისერტაცია, თბილისი, 2001.

188. გარიშვილი მ., დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებები, დისერტაცია, თბილისი, 1999.

189. ნადარეიშვილი გ., საოჯახო სამართალი ფეოდალურ საქართველოში, დისერტაცია, თბილისი, 1954.

190. ხოფერია მ., სადისერტაციო ნაშრომი ოჯახის გაყრის წესები ძველი ქართული სამართლის მიხედვით, დისერტაცია, თბილისი, 2015.

გაზეთები:

191. დროება № 231, 1884.

192. დროება, №263, 1884.

193. დროება, №198, 1885.

194. მნათობი, №8, 1939.

195. ივერია, №201, 1890.

სასამართლო განჩინებები:

196. განჩინება თუშთ მოურავის დურმიშხანის შვილების გაყრის საქმეზე, 1798, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.) მეცნიერება, თბილისი, 1977.

197. გაყრის წიგნი ზურაბა და გასპარა ოჰანეზას შვილებისა, 1701. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) მეცნიერება, თბილისი, 1972.

198. განჩინება გოსტაშაბიშვილების გაყრის საქმეზე, 1711-1722, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) მეცნიერება, თბილისი, 1972.

199. განჩინება ამსარქისანთ მამუკოას შვილების გაყრის საქმეზე,

1729. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) მეცნიერება, თბილისი, 1972.

200. განჩინება ბებურ და ომან გებურიანთა გაყრის საქმეზე, 1771, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) მეცნიერება, თბილისი, 1972.
201. 1767 წ. 8 იანვარის განჩინება ზაალ ზურაბის შვილისა და ავთანდილ ნაბიჭვრის შვილის გაყრის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) მეცნიერება, თბილისი, 1972.
202. 1779 წ. 8 ივნისის განჩინება ტერავეტიქას და ტეროჰანას გაყრის საქმეზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ.V, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) მეცნიერება, თბილისი, 1974.

ლიტერატურა უცხო ენაზე :

203. Аннерс Э., История Европейского права, М.,1994.
204. Винников И.Н., Арабы в СССР, Советская этнография. № IV, 1940.
205. Дормидонтов Г.Ф. Система римского права: Семейное право. Казань, Студенческое издание, 1915.
206. Довнар-Запольский М.В. Исследования и статьи. Т. 1. Этнография и социология, обычное право, статистика, белорусская письменность. Киев, 1909
207. Ефименко П.С. Приданое по обычному праву крестьян Архангельской губернии, Зап. Русск. геогр. общ. по отд. этногр.. т III, 1873.
208. Ефименко А., Исследования народной жизни. Обычное право. вып. I, чл. Имп. Рус. геогр. о-ва. – М.: В. И. Касперов. 1884.
209. Инал-Ипа Ш.Д., Абхазы, Сухуми, 1965.
210. Инал-Ипа Ш.Д., Очерки по истории брака и семьи у абхазов, сухуми, 1964.

211. Ковалевский М., Очерки, Происхождения и развития семьи и собственности, под. ред. проф. Косвена М.О., Перевод с французского Моравского С.П., Москва, 1939.
212. Ковалевский М.М., происхождение семьи. рода, племени, государства и религии, М.,1914.
213. Ковалевский, М., Поземельное и сословные отношения у горцев Северного Кавказа, Русская мысль, кн. XII, 1883.
214. Ковалевский М.М. Современный обычай и древний закон. Обычное право осетин в историко-сравнительном освещении. – М. , 1886.
215. Ковалевский М., Закон и обычай на Кавказе, Москва, 1890.
216. Ковалевский М., Очерк происхождения и развития семьи и собственности, пер. с фр. М. Иолшина., С.-Петербург, 1896.
217. Косвен М. О., Семейная община и патронимия. Академия наук, 1963.
218. Леонтович Ф., Адамы кавказских горцев, II, Одесса, 1883.
219. Морган Л., Древнее общество, М., 1936.
220. Мачабели М. В. „Экономический быт крестьян Тионетского уезда, Тиф. Губ“. (Мат. Экон. Быта государст. крест., т. V Тифлис, 1887.
221. Осиров А., Брачное право Древнего Востока, В.1. Казан. 1862.
222. Харадзе Р., Грузинская семейная община, т. I Тбилиси, 1960.
223. Харадзе Р., Грузинская семейная община, т. II Тбилиси, 1961.
224. Чурсин Г., свадебные обычаи и обряды на Кавказе, Сборник. Вестник Кавказа, 1. Этнографический отдел, 1903.
225. Bogolepov, Textbook of the History of Roman Law, Moscow, 1895, (in Russian)
226. Das Mutterrecht: eine Untersuchung über die Gynaikokratie der alten Welt nach ihrer religiösen und rechtlichen Natur. Stuttgart: Verlag von Kraiss und Hoffmann, 1861.
227. Digeste you Pandectes, Livre Cinquantieme, 16.195.1 Paris, 1995.
228. Spradley, J., The Ethnographic Interview. Holt Rinehart and Winston, New York. 1979.

დანართი

27. განჩინება თუშთ მოურავის დურმიშხანის შვილების

გაყრის საქმეზე

1798 წლის 28 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 7117. დედანი. ქალაქი. 43X19,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი და სამწერტილი.

ქ. თუშთ მოურავის დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი ს შვილები ძმობაში ერთად ვეღარ მოთავსდნენ და ამათი სამართალი მათმა უმაღლესობამ მ ე ფ ე მ გ ი ო რ გ ი მ ჩვენ, მათს შვილს ი ო ა ნ ე ს, გვიბძანა.

ჩვენც ქართლისა და კახეთის მოსამართლენი ჩვენთან შევჰყარეთ, თუშთ მოურავს დურმიშხანს სამართალში მოუწოდეთ და ეს საქმე გამოუცხადეთ: მამა ხარ და თუ შენი ნება არ არის, ჩვენ ამათს სამართალში ვერ შევალთ.

დურმიშხან მოურა[ვ]მა სამართალს ნება მოსცა, რადგანაც ერთად ვეღარ მოთავსდნენო, ჩემი ნება არისო, ერთმანეთს მოაშორეთო და როგორც ძმობის რიგი იყოს, ისე გაჰყარეთო.

ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ და ასე გავყარეთ, როგორც ამის ქვემოთ დაიწერება.

ხუთნი ძმანი არიან და მეექვსე მამა. ე დ ი შ ე რ პირველად საუფროსოდ უნდა აიღოს; და მასუკან დანარჩომი როგორც რიგი არის, ექვს წილად უნდა გაიყონ შეფარდებით ბარათით და წილის ყრით.

და რაც მოურავის წილად გავიდეს-მოურავისა, იმის მეუღლისა და სხეული ქალი ნინოს სიკვდილს უკან-ეს მოურავის წილიც ძმებმა უნდა გაიყონ.

ედიშერმა აიღო საუფროსოდ: ლ ა ლ ი ს ყ უ რ ს ბ უ შ უ რ ი ქ ი ტ ო თავისის ძმებით; და კიდევ ლალის ყურს ვ ე ლ უ ა შ ვ ი ლ ი თ ა მ ა ზ ა. ეს ხუთი კომლნი, დღეს რისაც მამულის მქონებელნი არიან, საუფროსოდ ედიშერს მიეცა.

სასაშუალოდ დ ი მ ი ტ რ ი ს ა და ორს იმის ძმას - ტ ი მ ო თ ე ს ა და ი ო ს ე ბ ს მიეცათ: ბ ა რ ხ უ დ ა რ ა შ ვ ი ლ ი ა ნ დ რ ი ა თავისი ძმისწულებით და კიდევ ხ ა ტ ე-

ლ ი შ ვ ი ლ ი ს ვ ი მ ო ნ ა დღეს რისაც მამულისა და საქონლის მქონებელნი არიან, მიეცათ სასაშუალოდ.

უმცროს ძმას გ ლ ა ხ ა ს მიეცა საუმცროსოდ სასახლე, დღეს რომელშიაც თუშთ მოურავი დურმიშხან დგას, თავისის შენობით და გარეშემოთ. ამ სასახლის ზომები ოთხთ ძმათ მიეცათ.

მ გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი რომ მამულიდან ააყენეს, იქ რომ ედიშერს თითონ სახლები გაუკეთებია, ის სახლები და იმისი გარეშემო, რომელიც თითონ შემოუფარგლავს და დღეს ჯელთ უჭირავს, დიმიტრისა, ტიმოთესა და იოსებს მიეცათ.

ამავ გ ე ლ ა ს მამულში რაც ედიშერის სასახლის ზომა არის, სამი იმდენი ამ სამთ ძმათ უნდა მოიზომონ გელაშვილის ვენახსა, სახლკარსა და იმის გარეშემოში. და რაც დააკლდესთ, ისეც იმ გელას მამულიდამ უნდა შეუსრულდესთ.

და დანარჩომი გელაშვილის მამული სოფელს გარეთ რაც იყოს, ხუთთავ ძმათ სწორეთ ზომით უნდა გაიყონ. და ეს გელაშვილი თავისუფალი არის, ვისთანაც უნდა, იმასთან მივა.

ამას გარდა რაც ყმა ჰყვანდათ, ყველა შეფარდებით წილის ყრით ექვსად გაგვიყვია: ერთი თუშთ მოურავის დურმიშხანისათვის მიგვიცია და ხუთი ხუთის ძმებისათვის; რომ ედიშერ ცალკე გავიდა; დიმიტრი, ტიმოთე, იოსებ და გლახა ერთად გავიდნენ; ეს ოთხნი და თავ-თავისი ბარათები ყველას ჯელთ უჭირავსთ.

ზვარი, ხოდაბუნი და რაც მამულები ჰქონდესთ, საბელი უნდა დაადვან და ექვსად უნდა გაიყონ: ერთი წილი თუშთ მოურავს დურმიშხანს და ხუთი წილი ხუთთ ძმათ. აგრევე ორი წისქვილი რომ აქვსთ, ესეც ექვსად უნდა გაიყონ - ერთი წილი დურმიშხანს მოურავს და ხუთი წილი ხუთთ ძმათა.

ქვევრზედ ერთი რომელიც უნდოდეს, ედიშერმა აიღოს საუფროსოდ და დანარჩომი ქვევრი ექვსად უნდა გაიყონ.

ტიმოთე რადგანაც მოსწრებული საქორწილო კაცი არის, ამას უნდა მისცენ საერთოდ ოცდახუთი თუმანი საქორწილოდ.

სხვა რაც ვალი აქვსთ, ისიც ექვსთავ საერთოდ უნდა გადაიხადონ.

და სხვა თუ რამ აქვსთ, ცოლების მზითევს გარდა, თვალი თუ მარგალიტი, ოქრო თუ ვერცხლი, ცხვარი თუ ძროხა თუ სხვა რამ პირუტყვი, ისიც ექვსთავ უნდა გაიყონ.

იარაღები, რომელიც მამას განსაკუთრებით არავისთვის მიეცეს და ადგილს იყოს, ისიც ექვსთავ უნდა გაიყონ.

ედიშერის დედის მზითვი რაც არის და საბუთსა იქს, ისიც ედიშერს უნდა მიეცეს, როგორც სამართალი არის.

რადის მამული უშოვნია, მისულან და სწორეთ იმ საყდართან დამდგარან და დამარხვითაც იმ საყდარში დამარხულან.

ბ ე ც ი ა კიდევ ამას ა მ ბ ო ბ დ ა: შენ არა გაქვს წილიო, საკუთრად ჩემი არისო.

მაგრამ ტყუოდა; ერთი ამიტომ, რომ იმ საყდრის გარეშემო მიწები სულ ნინიასი არის, რომ ბეციას საქმე არა აქვს; და მეორე კიდევ ეს უფრო დიდი ნიშანი-მირზაშვილებს ზავრადის მამული რომ უშოვნიათ, მისულან და იმ წმინდის გიორგის ეკლესიასთან დამდგარან და შიგაც დამარხულან. და თუ ზავრადისა არა ყოფილიყო, მირზაშვილებს არც იმ საყდართან დააყენებდნენ და არც მკვდარს დაამარხვინებდნენ.

და ასე განვსაჯეთ: ის წმინდის გიორგის ეკლესია ნახევარი ულაპარაკოდ ბერძენიშვილს ნინიას დავანებეთ; და ნახევარიც ასე განგვისჯია: ბეცია რომ ამბობს მოწმეები მყავსო, თუ ამ თუთხმეტს დღეზე სამსა და ოთხს სარწმუნოს მოწმეებს მოიყვანს, რომ წილი ჰქონოდეს, ნახევარი ეკლესია ბეციას დარჩება. და თუ ამ თუთხმეტს

დღეზე სამი და ოთხი სარწმუნო მოწმე ვერ მოიყვანა, და ის წმინდის გიორგის ეკლესია საჯუთრად ბერძნიშვილს ნინიას დარჩება.

კიდევ ჩიოდ ბეცია: ერთი კომლი ნასყიდა შვილი საბა უმამულოთ მიეცაო და ახლა იმისი მამულიც წამართვაო.

ბერძენიშვილმა ნინიამ ამისი განაჩენი მოიტანა ქედხუდების ბატონისაგან დამტკიცებული, რომ სწორეთ მამულით მისცემია და გამართლდა ნინია.

კიდევ ჩიოდ ბეცია: ნაწალკოტევი ში წამართვა ათის დღის მიწაო. ეს ნაწალკოტევი ნახევარი ნინიასია და ნახევარი გიგისია, რომ ბეციას საქმე არა აქვს. ამაშიაც ნინია გამართლდა.

კიდევ ჩიოდ ბეცია: აქ კარზე წამართვა სამი კალო-საბძლის ადგილიო.

ამისი ნინიამ ასე უპასუხა: ბატონი შვილმა ვახტანგ გოგია რომ ბეჟანამილახვარი შვილს მიაბარა, მაშინ გოგია წამომედავა, ბეჟანამილახვარიშვილი მოიყვანა, იმასთან ვილაპარაკეთო. ბეჟანმა გაამტყუნა და მე დამრჩა და გოგიას სიცოცხლეშიაც კელთ მეჭირა და ახლაც კელთ მიჭირავსო. ამაშიაც ნინია გამართლდა, ბეციას საქმე არა აქვს რა.

კიდევ ჩიოდ ბეცია: თავის ზალს უკან წამართვა ერთის დღის ნაფუზარიო.

ამისი ნინიამ ასე უპასუხა: არ წამორთმევიანო, შენის განაყოფის გოგიასი არის ის მიწაო. საღალოდ მოვკანო, რაც გამოვიდა, ავწყევ, რაც ღალა ერგო, ჩემს შვილს გიორგის ავკიდე და გოგიას ქვრივს მიუტანეო. ამაშიაც ნინია გამართლდა, რომ ეს წართმევა არ არის.

კიდევ ჩიოდა: ერთი მიწა გაუცვალე კარმიდამოზე, ის გაცვლილი მიწაც მაგას უჭირავს და თავისი მიწაცაო.

ამისი ასე უპასუხა ნინიამ: მართალია, ერთი გოგიას კაცი იყო, რომ ყმასავით მემსახურებოდა, ის შემომეხვეწა გამიცვალეო და

გაუცვალე; ის კაცი ამოსწყდა, გოგიაც მოკვდა და ახლა ჩემს მიწას აღარ მივცემო.

ეს გოგიას წილი ყოფილა, ბეციას საქმე არა აქვს რა, გოგიას მამული ბეითალმანია და ჩვენი არის.

ამათი სადაო საქმეები ასე გადასწყდა. ენკენისთვის ე, ქონიკონს უპვ.

ბეჭედი: ქ. ღვთისმშობლის სასოიანი ი უ ლ ო ნ დავითიანი.⁶⁴⁵

126. გაყრის წიგნი ზურაბა და გასპარა ოჰანეზას შვილებისა

1701 წ. 1 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 474. დედანი. ქალაქი. 29,5x21,8 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორი ან სამი წერტილი. ა-მეტი

ქ. ნებითა, შეწევნითა ღმრთისითა მამითა, ძისითა, სულისა წმიდისა; ამათის მინდობითა და თავადობითა და შუამდგომლობითა და უმეტესთა კურთხეულისა დედოფალისა ჩვენისა და ყველა წმიდა ღმრთისმშობლისა მარადისა ქარწყლისა მარიამისითა და ძალითა და ძლიერებითა და ოხითა და მეოხებითა და მინდობითა და შუამდგომლობითა და თავადობითა ესე გაყრისა წიგნი დავდევით ღმრთის ქვეშე.

და მელიქ მამასახლისისა და ქეთხუდების სალაჰითითა გავიყარენით ჩვენ, გოზაჩი ოჰანეზას შვილები ზ უ რ ა ბ ა და გ ა ს პ ა რ ა ასრე, რომე:

ერგო ზ უ რ ა ბ ა ს: დარბაზში ნიშანი არის კარამდ[ინ], კარი ჰვახნისაკენ უნდა გააღოს და სარდაფი ლელუმთასაკენ.

ერგო გ ა ს პ ა რ ა ს: სათორნე და დარბაზს რაც ნიშანი ძეს კარამდი, კარიც ელიზბარის სახლისაკენ.

⁶⁴⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX ს.ს) (ტექსტი გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ) თბილისი, მეცნიერება, 1977, 70.

და სხვა რაც სახლისა რიგი ოყო, ავი თუ კარგი, თუ ვალი თუ ასაღები,-ყველა შუაში გავყავით.

და დედასა სამარხს და დედა გასპარამ იკისრა. თუ დარჩეს, უნდა შეინახოს, თუ მოკუდეს უნდა დამარხოს.

კირაკოზას სახლი გირავოდ არის. ორი ძმისა არის. ჩვენ შუაში აღარა დარჩა რა გასაყოფი, არც ერთი იოტის ფასი, ძმობისა და კარკაცობის მეტი.

ვინც ეს წიგნი მოშალოს, ისიმც მოიშლებს თავის საჭესაგ[ა]ნ და რჯულისაგან და მასმცა ედების კეთრი გე[ე]ზის, შიშთული [ი]უდისა, ძრწოლა კე[ე]ნისა და სული მისი ისჯებოდეს გე[ე]ნში და ჯარიმის მიმცემი იყოს კელმწიფის ორის თუმანისა.

არის ამისი შუამა დამხდობი და მოწამე თავად ღმერთი მერმე მისნი ყველა წმინდანი და ხორციანი და უხორციონი; და კაცთაგან: მ ე ლ ი ქ გ ი ო რ გ ი, მამასახლისი პ ა პ უ ა და ხოსროვსშვილი ა რ უ თ ი ნ ა და მექვაბე ნ ა ს ყ ი დ ა და მექვაბე გ ა ს პ ა რ ა და

ქ ა ი ხ ო ს რ ო ვ ა ნ თ ე ლ ი ზ ბ ა რ ა.

და მეც, ც ლ უ ა ნ თ სუთიშოს შვილს მწერალს მ ე ლ ქ უ ა ს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი

დაიწერა ესე წიგნი აპრილის დამდექს ერთს, ქორონიკონს ტპთ.⁶⁴⁶

179. განჩინება გოსტაშაბიშვილების გაყრის საქმეზე

1711-1722 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. HD 7587. პირი. საბუთი შედგენილი უნდა იყოს ვახტანგ VI მეფობის ზემო აღნიშნულ წლებში, როცა იესე მსაჯულად იხსენიება.

ქ. გ ო ს ტ ა შ ა ბ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა მ ი ლ დ ა ნ ბ ა რ ი ს ა და მათის ძმების ბ ე ჟ ა ნ ი- ს ა და გ ო ს ტ ა შ ა ბ ი ს ერთობა და ძმობა აღარ მოჰდა, გაიყარნენ.

⁶⁴⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) თბილისი, მეცნიერება, 1972, 193-194.

რომელიც საქართველოს წესი და რიგი იყო, ისრე გაგვიყრია; მამული გააგვიყვია, ყველას ბარათი უჭირავს: უფროს[ს] საუფროსო, საშუალებას ბეჟანს საშუალო მივეცი; უმცროს[ს] სასახლის შენობა არა ჰქონდა რა, და იმისთვის წ ე რ ა ქ ვ ს ერთი კომლი ბეგთაშა მივეცი.

უწინ რომე თამაზისგან სას[ა]ხლი[ს]ალაგი გამოჰყოლიათ, ის კი სამათ გაიყონ. სხვა სასახლის ადგილები გაუყოფრის მიწიდან ჯერ ამილდახბარ, მერმე ბეჟან და მერმე გოსტაშაზ აიღოს.

სასაფლაო, ხატი, ჯვარი, წირვის იარაღი სასწორიოდ იქონიონ; ზვარი, ხოდაბუნი სამად გაიყონ.

თავეთს დედას თავეთის წილის გლეხიდან თითო კომლი კაცი დაუდვან, სანამდინ ცოცხალი იყოს, იმას მსახურონ; მერმე თავთავისი გლეხი ისრევ დაიჭირონ.

დ ო ლ ო ვ ნ ი ს ვალს რომ ამბობენ მდივანბეგის მიცემულსა და კიდევ მდივანბეგს რომ გასამყრელოსთვის ქრთამის გაღებას რომ ანბობს, თუ მართალია, უნდა სამთავ პასუხი გასცენ.

სხვა რომელიც სალაპარაკო ჰქონდეს, თუ მოსა[ქ]მემ იქ ვერ გაარიგოს, კარზე ილაპარაკონ.

ქ ო თ ი შ ს ა, გ უ ნ ა ნ ე თ ა ს, ე რ დ ო ს ა, წ ი ნ ა ნ ა უ რ ს რ ა ც საუფროსო ერგებოდეს ამილდახბარს, მოსაქმემ ათისთავი მისცეს; აგრევე რაც მთის სოფელი გაუყოფარი დარჩომილ იყოს, იმისიც ამგვარად საუფროსო მისცენ, მიწა, წყლისა და ნაოხრის სოფლებისა, ქვევრის საუფროსო-ამილდახბარს. და სხვა სამად გაიყონ.

ქ. რაც ამ ნუსხაში სწერია, რაც გაურიგო, ის არის, რაც არადა, ვერ გაარიგო, ლაშკრობიდან რომ მოვბრუნეთ, კარზე მოიყვანე, სამართალს უზამთ

რ ო ს ტ ო მ შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ო, ეს ასრე გაურიგე.

ბეჭედი ღთის მონა, ვახტანგ მეფის ძმა, მსაჯულად მღევი ი ე ს ე.⁶⁴⁷

238. განჩინება ამსარქისანთ მამუკოას შვილების გაყრის საქმეზე

1729 წ. ივლისის დამდგეს

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6921. დედანი. ქალაქი. 51x20,8 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი, ა-მეტი.

ქ. გავიყარენით ჩვენ ამსარქისანთ მამუკოას შვილებმა ს ი ო ფ მ ა და ქ ი ნ ა მ ა და დ ა ნ ე ლ ა მ ა. თუ რამ გვებადა-ავი ან კარგი, ვეჯი ან ნადდი, სახლი ან სახლის აჯნსი-სამ წილად გავიყავით.

და ს ი ო ფ ს ერგო: სახლის წილი შიგნითი მარა[ნი] და დარბაზის დედაბოძი რაც გაიტანს, საუფროსო. და ქინას წილი დარბაზისა სიოფს ერგო და ქინას გული შეაჯერა.

და ქ ი ნ ა მ არც სახლი ინდომა, არც ვალი. ვალიცა და დედაცა სიოფამ იკისრა. დანელსა და ქინასა დედასთან ხელი არა აქვს; სამარხი სიოფამ უნდა მისცეს.

და დ ა ნ ე ლ ა ს ერგო: სახლის წილი რაცა დარბაზის კარი გაიტანს ქუჩის კედლამდინ, კარის ძირში ნიშანი არის.

და ჩვენ ერთმანეთ[თ]ან ამრიგად მოვშორდით. ჩვენში არა დარჩა რა სადავო, არცა სალაპარაკო ერთის იოტის ფასი, კარკაცობისა მეტი.

და ამას იქით ყველას ხ[ე]ირი და შარი თავთავიანთია.

და თუ ძველი მამისეული ასაღები გამოჩნდეს ან მისაცემი, სამთავ ძმისა არის.

და ბიჭი პ ე ტ რ ე დანელასა და ქინას ერგო და გოგო ფ ე რ ა ი ა სიოფს ერგო.

და ეს წიგნი დანელასია. და ერთი ამისი ფარდი სიოფსა აქს და ერთი ქინასა აქს.

⁶⁴⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) თბილისი, მეცნიერება, 1972, 259-260.

და არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და მისი ყველა წმინდანი; და კაცთაგან: თბილისის ქალაქის მელიქი მამასახლისის ა შ ხ ა რ ბ ე გ ბეჭედი: მელიქმამასახლისი აშხარბეგ. და მამასახლისი ზ უ რ ა ბ, და ჩ ი თ ა ხ ა ნ თ მ ე ლ ქ ო ა, და ყ ა მ ა ზ ა ნ თ მილდისი ბ ა ღ დ ა ს ა რ ა ბეჭედი, და ნ ა რ ი მ ა ნ თ ო ს ე ფ ა მ, და შ ი ო ა ნ თ მ ე ლ ქ ო ა ბეჭედი, და ლ ო ი ა ნ თ ა ს ა ტ უ რ ა, და ჩვენი ბიძა როსტომას შვილი პ ა პ ა.

და მე, ზურაბას შვილი [მ]წერალს ფ ა რ ს ა დ ა ნ ა ს, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი.

დაიწერა ესე წიგნი, სიგელი [მ]კათათვის დამდექს, ქორონიკონს უიზ. +++

ქ. ამ სიგელში რომ დანელას წილი სახლი სწერია, რადგან დანელას შვილი კაკლოა უძეოდ ამოვარდა და ამისმა მეუღლემ სხვა ქმარი შეირთო [თავის ქმრის]კაკლოას დისწული არუთინას მიეცა, რადგან თავის დედის მზითვისა იყო, ისევ ამ არუთინას მიეცა, სხვას არავის ჯელი არა აქვს ამ სახლთან.

არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და კაცთაგან: მელიქ-მამასახლისი ა ვ ე ტ ი ქ ბეჭედი:

მონა ღთისა, ბანდა ირაკლისა, მელიქმამასახლისი ავეტიქ, ქამოანთ საყდრის დეკანოზი

ტ ე რ -გ ა ფ რ ი ე ლ ა სომხური ბეჭედი, ვანქის ტ ე რ-ბ ა რ ს ე ლ ა სომხური ბეჭედი,

ჩ ი თ ა ხ ა ნ თ პაპასშვილი ფ ა რ ს ა დ ა ნ ა ბეჭედი: მონა ღთისა ფარსადან, ბ ა რ ათაან თ

ს ტ ე ფ ა ნ ა ბეჭედი; მონა ღთისა სტეფან.

და მ ე, პ ო ლ ო ზ ა ს შვილს მწერალს ი ს ა ი ა ს, დამიწერია, მოწამეც ვარ ამისა

დაიწერა ესე წიგნი მარიამობისთვის ივ, ქორონიკონს უნთ.⁶⁴⁸

486. განჩინება ბებურ და ომან გებურიანთა გაყრის საქმეზე

1771 წ. 13 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. #4034. დედანი. ქაღალდი. 29X16 სმ.
მხედრული. განკვეთილობის ნიშნათ ნახმარი წერტილი.

ქ. ბ ე ბ უ რ ი ა ნ ი რომ იყრებოდენ ბ ე ბ უ რ და ო მ ა ნ, ამათი
გაყრა და სამართალი მის უმაღლესობას, საქართველოს მ ე ფ ი ს მ ე ს
გ ი ო რ გ ი ს ჩვენ, კახეთს მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ს რ ა მ ა ზ ი ს ა და ს ა ხ
ლ თ უ ხ უ ც ე ს ი ს გ რ ი გ ო ლ ი ს ა თ ვ ი ს და საგარეჯოს

მ ო უ რ ა ვ ი ს რ ა მ ა ზ ი ს ა თ ვ ი ს ებრძანა.

ჩვენ ესენი ორნივე მოვასხით და სამართლით გავყარეთ, რომ
ყმისა და მამულისა და ბოგანოსა და ხიზნის ბარათები ჯელთ
უჭირავთ, ორთავე საუფროსოსა და საუმცროსოს ბარათები აცხადებს,
ამისთვის აღარ დავწერეთ ამ განაჩენში. ყმასა და მამულზედ
სალაპარაკო აღარა აქვთ რა.

ძროხა, ცხვარი, ღორი და სხვა რამ ფერი პირუტყვი შუა უნდა
გაიყონ; წლევანდელი თავიანთ ვენახის გამოსავალი მკლავზედ უნდა
გაიყონ. პური სულზედ უნდა გაიყონ. ქერი მკლავზედ უნდა გაიყონ.
სამარხი და ნიგოზიც სულზედ გაიყონ. სამარხო და ნიგოზიც სულზედ
გაიყონ. ამ წლის გამოსავალი ასე უნდა გაიყონ.

და წელს იქით ერთმანეთთან სადაო აღარა ექნებ[ა]თ რა და აღარც
სალაპარაკო.

და თუ რამ ბარათს გარდა მიწა ან ახო დარჩომილა რამე, ისიც
სამძმოდ უნდა გაიყონ.

და საქორწილოზედ რომ ლაპარაკობდენ, ამისი სამართალიც ასე
განუწესეთ: რაც ბებურს ერთობაში საქორწილო აუღია, იმისი

⁶⁴⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.)
თბილისი, მეცნიერება, 1972, 321-323.

მესამედი ბებურმა უნდა მოსცეს თავისის ჯიბიდან ომანს, ორი თუმანი უნდა მოსცეს;

ალიწერა ნოემბრის იგ, ქორონიკონს უნთ.

ქ. ომანს რაც სასახლე ერგო, იმისი ზომა მიწა საერთოდამ ბებურს უნდა მიეცეს.

ორი ბეჭედი

1. რამაზ

2. მონა ღთისა საგარეჯოს მოურავი რამაზ.⁶⁴⁹

50. განჩინება ტერავეტიქას და ტეროჰანას გაყრის საქმეზე

1779 წ. 8 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd, 873. დედანი. ქალაქი. 61x22 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. ა-მეტი.

ქ. ნებითა ჩვენიტა გავიყარენით ჩვენ, ვანქის ტ ე რ მ[ი] კ ი რ ტ ი ჩ ა ს შვილებმა ტ ე რ- ა ვ ე ქ ი ტ ა მ და ტ ე რ-ო ჰ ა ნ ა მ ასე, რომე ჩვენ ერთმანეთთან დგომა ვერ მოვიხდინეთ და ასე გავიყარენით.

თუ მამეული ასაღები ან მისაცემი იყო, სულ გავიყეთ; ნახევარი მე, ტერ-ავეტიქამ ავიღევ, ნახევარი შენ, ტერ-ოჰანამ აიღევი. სახლის რაც აჯნასი იყო, ისიც გავიყავით მამისეული სახლები. დაგვრჩა ერთი პატარა დარბაზი, შიგნით სათორნე, წინ ტახტები და ეზო, ეზოში ოთახი;

და ამ სახლებისა ერგო ტერ-ავეტიქას: დარბაზის კარიდამ მოკიდებული ტახტები და ეზო; და ეზოს ოთახი გარეთ კარამდისინ ტერ-ავეტიქას ერგო.

და ტერ -ოჰანას ერგო: დარბაზი და შიგნითი სათორნე. ტერ-ოჰანას კარი ფონდოანთ ქუჩაში უნდა გაიღოს.

ამათში სალაპარაკო და სადაო აღარა დარჩათ რა, ძმობის და სიყვარულის მეტი.

⁶⁴⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) თბილისი, მეცნიერება, 1972, 622-623.

და თუ მამეული ან პაპეული ასაღები ან მისაცემი გამოჩნდეს, საერთო არის.

არის ამისი მოწამე თავად ღმერთი, ყოველნი მისი წმინდანი. კაცთაგან: ქალაქის მელიქმამასახლისის ა ვ ე ტ ი ქ ა. ბეჭედი: მონაღთისა, ზანდა მეფის ირაკლისა, მელიქ-მამასახლისი ა ვ ე ტ ი ქ ბესალამანთ პაპას შვილი ჰ ა ს ა რ თ ა ბეჭედი

მოუნთოანთ მ[ი]კირტუმას შვილი ო ს ე ფ ა

ბუმგულაანთ მ ე ლ ქ ო ა ბეჭედი

იენგულანთ გასპარას შვილი გ უ რ გ ე ნ ა

ჩითხანთ პაპას შვილის ფ ა რ ს ა დ ა ნ ა

ტერფოანთ ესტატეს შვილი მ ო ს ე ს ა და მე, მანანათ ხატისა შვილს მწერალს ს ტ ე ფ ა ნ ა ს, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ესე გასამყრელო სიგელი თიბათვის ც, ქორონიკონს უიზ. ამ პირის წიგნი ტერ-ავეტიქასთვის მიგვიცია.

სომხურად: სომხურად: მე, ტერ-ავეტიქ, ამ სიგლის ყაბული ვარ, მე, ტერ-ჰოვანესი, ამ სიგლის ეს ჩემი ბეჭედი. ყაბული ვარ, ბეჭედი არ მქონდა, ეს ჩემი ხელია

ბეჭედი: ქრისტეს მონა ტერ-ავეტიქ 1766.

ქ. როგორც ამ სიგელში სწერია, ასეც მოწამე ვარ, მელიქ-მამასახლისი ა ვ ე ტ ი ქ. ბეჭედი: მელიქ-მამასახლისი ავეტიქ.

ქ. ამ სიგლის მოწამე ვარ, მე, ნაზარბეგის შვილი ო ს ე ფ ა

ბეჭედი: ო ს ე ფ.

ქ. ამ სიგლის მოწამე ვარ მე, ი ვ ა ნ გ ე ლ ა ნ თ ა დას შვილი ს ტ ე ფ ა ნ ა სომხური ბეჭედი.⁶⁵⁰

⁶⁵⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ.V, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) თბილისი, მეცნიერება, 1974, 83-84.